114/1947/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანეკდოტი

10

თბილისი

მნათობი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სრულიად-საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო
ჟურნალი

433781
4375

წელიწადი ოცდამეოთხე

10

Тбил. ССКИЙ ФИЛИАЛ
Библиотека
Заприцев

19 ოქტომბერი
სახელგამი 47

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ა. ჟდანოვი

საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ*

★

I

ომისშემდგომი მსოფლიო ვითარება

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამ მთელი საერთაშორისო ვითარების არსებითი ცვლილებები გამოიწვია. ფაშისტურ სახელმწიფოთა ბლოკის სამხედრო განადგურებამ, ომის ანტიფაშისტურმა, განმათავისუფლებელმა ხასიათმა, საბჭოთა კავშირის გადამწყვეტმა როლმა ფაშისტ აგრესორებზე გამარჯვებაში მკვეთრად შესცვალა ორი სისტემის — სოციალისტურისა და კაპიტალისტურის — ძალთა თანაფარდობა სოციალიზმის სასარგებლოდ.

რაში მდგომარეობს ამ ცვლილებათა არსი?

მეორე მსოფლიო ომის მთავარ შედეგს წარმოადგენს გერმანიისა და იაპონიის — კაპიტალიზმის ორი ყველაზე მილიტარისტული და აგრესიული ქვეყნის — სამხედრო დამარცხების ფაქტი. რეაქციული იმპერიალისტური ელემენტები მთელ მსოფლიოში, მეტადრე ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთში, განსაკუთრებულ იმედებს ამყარებდნენ გერმანიასა და იაპონიაზე და პირველ რიგში ჰიტლერულ გერმანიაზე, ჯერ ერთი, როგორც ისეთ ძალაზე, რომელსაც ყველაზე მეტად შეეძლო მიეყენებინა დარტყმა საბჭოთა კავშირისათვის, რათა თუ არ მოესპო, ყოველ შემთხვევაში დაესუსტებინა იგი და ძირი გამოეთხარა მისი გავლენისათვის, და მეორეც, როგორც ისეთ ძალაზე, რომელსაც შეეძლო გაენადგურებინა მუშათა რევოლუციური და დემოკრატიული მოძრაობა თვით გერმანიაში და ყველა ქვეყანაში, რომლებიც ჰიტლერული აგრესიის ობიექტს წარმოადგენდნენ, და ამით განეშტკიცებინა კაპიტალიზმის საერთო მდგომარეობა. ამაში მდგომარეობდა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ფაშისტური აგრესიის „დამშვიდებისა" და წაქეზების ომამდელი, ეგრეთწოდებული მიუნხენის პოლიტიკისა, რომელსაც თანმიმდევრულად ატარებდნენ ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი იმპერიალისტური წრეები.

მაგრამ ინგლისელი, ფრანგი და ამერიკელი იმპერიალისტების მიერ ჰიტლერელებზე დამყარებული იმედები არ გამართლდა. ჰიტლერელები უფრო სუსტნი აღმოჩნდნენ, ხოლო საბჭოთა კავშირი და თავისუფლებისმოყვარე

* პოლონეთში 1947 წლის სექტემბრის დამლევს ზოგიერთი კომპარტიის წარმომადგენელთა საინფორმაციო თათბირზე გაკეთებული მოხსენება.

ხალხები უფრო ძლიერნი, ვიდრე მიუნხენელები ვარაუდობდნენ. მეორე მსოფლიო ომის შედეგად აგრესიული საერთაშორისო ფაშისტური რეაქციის მთავარი ძალები დამარცხებული და ხანგრძლივი ვადით მწყობრიდან გამოყვანილი აღმოჩნდნენ.

ამასთან დაკავშირებით მთლიანად მსოფლიო კაპიტალისტურმა სისტემამ კიდევ ერთი სერიოზული ზარალი განიცადა. თუ პირველი მსოფლიო ომის უმნიშვნელოვანესი შედეგი ერთიანი იმპერიალისტური ფრონტის გარღვევა და კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემისაგან რუსეთის ჩამოშორება იყო, თუ სსრ კავშირში სოციალისტური წყობილების გამარჯვების შედეგად კაპიტალიზმი მსოფლიო მეურნეობის ერთიან ყოვლისმომცველ სისტემას აღარ წარმოადგენს, მეორე მსოფლიო ომმა და ფაშიზმის განადგურებამ, კაპიტალიზმის მსოფლიო პოზიციების შესუსტებამ და ანტიფაშისტური მოძრაობის გაძლიერებამ გამოიწვია ის, რომ იმპერიალისტურ სისტემას ჩამოშორდნენ ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის მთელი რიგი ქვეყნები. ამ ქვეყნებში წარმოიშვნენ ახალი, სახალხო, დემოკრატიული რეჟიმები. საბჭოთა კავშირის სამამულო ომის დიადი მაგალითი, საბჭოთა არმიის განმათავისუფლებელი როლი შეუერთდა ფაშისტი დამპყრობლებისა და მათი დამქაშების წინააღმდეგ თავისუფლებისმოყვარე ხალხების მასობრივი ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის აღმავლობას. ამ ბრძოლის მსვლელობაში გამოაშკარავებულ იქნენ, როგორც ნაციონალური ინტერესების გამცემნი, პროფაშისტური ელემენტები, რომლებიც ჰიტლერთან თანამშრომლობდნენ, კოლაბორაციონისტები — ყველაზე გავლენიანი მსხვილი კაპიტალისტები, მემამულეები, უმაღლესი მოხელეები, მონარქისტი ოფიცრობა. დუნაისპირა ქვეყნებში გერმანულ-ფაშისტური მონობისაგან განთავისუფლებას მოჰყვა იმ ბურჟუაზიულ-მემამულური ზედაფენის ჩამოშორება ხელისუფლებისაგან, რომელმაც სახელი გაიტეხა გერმანიის ფაშიზმთან თანამშრომლობით, და ხელისუფლების სათავეში ხალხიდან გამოსული ახალი ძალების ჩადგომა, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ჰიტლერელ დამმონებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ ქვეყნებში ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგნენ მუშების, გლეხების წარმომადგენლები, პროგრესული ინტელიგენციის წარმომადგენლები. რამდენადაც მუშათა კლასმა ყველგან გამოიჩინა იქ ყველაზე მეტი გმირობა, ყველაზე მეტი თანმიმდევრობა და შეურიგებლობა ანტიფაშისტურ ბრძოლაში, განუზომლად გაიზარდა მისი ავტორიტეტი და გავლენა ხალხში.

ახალმა დემოკრატიულმა ხელისუფლებამ იუგოსლავიაში, ბულგარეთში, რუმინეთში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, ალბანეთში, ხალხის ძალების მხარდაჭერაზე დაყრდნობით, შესძლო უმოკლეს ვადაში გაეტარებინა ისეთი პროგრესული დემოკრატიული გარდაქმნანი, რომელთა უნარიც ბურჟუაზიულ დემოკრატიას აღარ შესწევს. აგრარულმა რეფორმამ მიწა გლეხებს გადასცა და მემამულეთა კლასის ლიკვიდაცია გამოიწვია. მსხვილი მრეწველობისა და ბანკების ნაციონალიზაციამ, გამცემთა საკუთრების კონფისკაციამ, რომელნიც გერმანელებთან თანამშრომლობდნენ, ძირი გამოუთხარა მონოპოლისტური კაპიტალის პოზიციებს ამ ქვეყნებში და იხსნა მასები იმპერიალისტური მონობისაგან. ამასთან ერთად საფუძველი ჩაეყარა სახელმწიფო საერთო-სახალხო საკუთრებას, შეიქმნა სახელმწიფოს ახალი ტიპი — **სახალხო რესპუბლიკა,** სადაც ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის, მსხვილი მრეწველობა, ტრანსპორტი და ბანკები სახელმწიფოს ეკუთვნის და წამყვან ძალას

წარმოადგენს მოსახლეობის მშრომელი კლასების ბლოკი მუშათა კლასის ძეთაურობით. შედეგად ამ ქვეყნების ხალხებმა არა მარტო დააღწიეს თავი იმპერიალიზმის მარწუხს, არამედ საფუძველს უყრიან სოციალისტური განვითარების გზაზე გადასვლას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომის შედეგად განუზომლად გაიზარდა სსრ კავშირის საერთაშორისო მნიშვნელობა და ავტორიტეტი. სსრ კავშირი გერმანიისა და იაპონიის სამხედრო განადგურების ხელმძღვანელი ძალა და სული იყო. საბჭოთა კავშირის გარშემო გაერთიანდნენ მთელი მსოფლიოს დემოკრატიული პროგრესული ძალები. სოციალისტურმა სახელმწიფომ ომის უდიდეს განსაცდელს გაუძლო და უძლიერეს მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო შეჯახებაში გამარჯვებული გამოვიდა. სსრ კავშირის დასუსტების ნაცვლად გამოვიდა მისი გაძლიერება.

არსებითად შეიცვალა კაპიტალისტური სამყაროს სახეც. ექვს ეგრეთწოდებულ დიდ იმპერიალისტურ სახელმწიფოს (გერმანია, იაპონია, ინგლისი, ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, იტალია) სამი გამოაკლდა სამხედრო განადგურების შედეგად (გერმანია, იტალია, იაპონია). საფრანგეთიც დასუსტდა და დაჰკარგა თავისი ყოფილი მნიშვნელობა, როგორც დიდმა სახელმწიფომ. ამრიგად, დარჩა მხოლოდ ორი „დიდი" მსოფლიო იმპერიალისტური სახელმწიფო—შეერთებული შტატები და ინგლისი. მაგრამ ერთი მათგანის, ინგლისის, პოზიციები ძირგამოთხრილი აღმოჩნდა. ომის დროს ინგლისის იმპერიალიზმი სამხედრო თვალსაზრისით და პოლიტიკურად შესუსტებული მოგვევლინა. ევროპაში იგი უძლური აღმოჩნდა გერმანიის აგრესიის წინაშე. აზიაში უდიდესმა იმპერიალისტურმა სახელმწიფომ—ინგლისმა — ვერ შესძლო საკუთარი ძალებით შეენარჩუნებინა თავისი კოლონიური სამფლობელოები. ინგლისმა დროებით დაჰკარგა კავშირი კოლონიებთან, რომლებიც მეტროპოლიას სურსათითა და ნედლეულით ამარაგებდნენ და მისი სამრეწველო პროდუქციის მნიშვნელოვან ნაწილს ასაღებდნენ, ამით იგი სამხედრო-სამეურნეო თვალსაზრისით ამერიკის სურსათისა და სამრეწველო საქონლის მიწოდებისაგან დამოკიდებული აღმოჩნდა, ხოლო ომის შემდეგ ზრდა იწყო ინგლისის საფინანსო-ეკონომიურმა დამოკიდებულებამ ამერიკის შეერთებული შტატებისაგან. თუმცა ომის დამთავრების შემდეგ ინგლისმა მოახერხა დაებრუნებინა თავისი კოლონიები, მაგრამ კოლონიებში იგი წააწყდა ამერიკის იმპერიალიზმის განმტკიცებულ გავლენას. ამერიკის იმპერიალიზმმა ომის დროს თავისი აქტივობა გააძლიერა ყველა იმ რაიონში, რომლებიც ომამდე ინგლისის კაპიტალის გავლენის მონოპოლიურ სფეროდ ითვლებოდნენ (არაბული აღმოსავლეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია). ამერიკის გავლენა განმტკიცდა ბრიტანეთის იმპერიის დომინიონებსა და სამხრეთ ამერიკაში, სადაც ინგლისის ყოფილი როლი მნიშვნელოვანწილად და უფრო და უფრო გადადის ამერიკის შეერთებული შტატების ხელში.

მეორე მსოფლიო ომის შედეგად კოლონიური სისტემის კრიზისის გამწვავება გამოიხატა კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრი აღმავლობით. ამით საფრთხეში ჩავარდა კაპიტალისტური სისტემის ზურგი. კოლონიების ხალხებს აღარ სურთ ძველებურად იცხოვრონ. მეტროპოლიის გაბატონებულ კლასებს აღარ შეუძლიათ ძველებურად მართონ კოლონიები. ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სამხედრო ძალით დათრგუნვის ცდები ახლა კოლონიების ხალხთა უფრო და უფრო მზარდ შეიარაღებულ წინააღმდეგობას აწყდება,

იწვევს გაჭიანურებულ კოლონიურ ომებს (ჰოლანდია—ინდონეზია, საფრანგეთი — ვიეტ-ნამი).

ომმა, რომელიც ცალკეულ ქვეყნებში კაპიტალიზმის განვითარების უთანაბრობამ წარმოშვა, ამ უთანაბრობის შემდგომი გამწვავება გამოიწვია. ყველა კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის მხოლოდ ერთი კაპიტალისტური სახელმწიფო — ამერიკის შეერთებული შტატები — გამოვიდა ომიდან არა დასუსტებული, არამედ მნიშვნელოვნად გაძლიერებული როგორც ეკონომიურად, ისე სამხედრო თვალსაზრისით. ამერიკის კაპიტალისტებმა დიდი სარგებლობა ნახეს ომით. ამავე დროს ამერიკელ ხალხს არ განუცდია ის გაჭირვება, რაც თან ახლავს ომს — ოკუპაციის უღელი, საჰაერო დაბომბვა, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების მსხვერპლი ადამიანთა მხრივ შედარებით ძცირე აღმოჩნდა, ვინაიდან შეერთებული შტატები ომში ჩაებნენ ფაქტიურად უკანასკნელ ეტაპზე, როცა ომის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. ამერიკის შეერთებული შტატებისათვის ომი უწინარეს ყოვლისა სამრეწველო წარმოების ფართოდ გაჩაღების, ექსპორტის (უმთავრესად ევროპაში) გადამჭრელი გაძლიერების სტიმული გახდა.

ომის დამთავრებამ მთელი რიგი ახალი პრობლემები დააყენა ამერიკის შეერთებული შტატების წინაშე. კაპიტალისტური მონოპოლიები მიისწრაფოდნენ შეენარჩუნებინათ თავიანთი მოგების წინანდელი მაღალი დონე. ამ მიზნით ისინი ცდილობდნენ, რომ ომიანობის დროის საქონლის მიწოდების მოცულობა არ შემცირებულიყო. მაგრამ ამისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებს უნდა შეენარჩუნებინათ ის საგარეო ბაზრები, რომლებიც ასაღებდნენ ამერიკულ პროდუქციას ომის დროს, და ხელში ჩაეგდოთ ახალი ბაზრები, ვინაიდან ომის შედეგად მეტწილ სახელმწიფოთა მყიდველობითი უნარი მკვეთრად შემცირდა. გაძლიერდა აგრეთვე ამ სახელმწიფოთა საფინანსო-ეკონომიური დამოკიდებულება ამერიკის შეერთებული შტატებისაგან. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საზღვარგარეთ 19 მილიარდი დოლარი კრედიტი დააბანდეს, გარდა საერთაშორისო ბანკში და საერთაშორისო სავალუტო ფონდში დაბანდებული სახსრებისა. ამერიკის შეერთებული შტატების მთავარი კონკურენტები — გერმანია და იაპონია — მსოფლიო ბაზარზე გაქრნენ, და ამან შეჰქმნა ახალი, მეტად დიდი შესაძლებლობანი ამერიკის შეერთებული შტატებისათვის.

თუ მეორე მსოფლიო ომამდე ამერიკის იმპერიალიზმის ყველაზე გავლენიანი რეაქციული წრეები იზოლაციონიზმის პოლიტიკას ადგნენ და ევროპის ან აზიის საქმეებში აქტიური ჩარევისაგან თავს იკავებდნენ, ახალ ომისშემდგომ პირობებში უოლ-სტრიტის ბატონები ახალ პოლიტიკაზე გადავიდნენ. მათ წამოაყენეს პროგრამა ამერიკის მთელი სამხედრო და ეკონომიური ძლიერების გამოყენებისა იმისათვის, რომ არა მარტო შეინარჩუნონ და განამტკიცონ ომის დროს საზღვარგარეთ მოპოვებული პოზიციები, არამედ მაქსიმალურადაც გააფართოონ ისინი და მსოფლიო ბაზარზე თვითონ შესცვალონ გერმანია, იაპონია, იტალია. სხვა კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ეკონომიური ძლიერების მკვეთრმა შესუსტებამ შეჰქმნა იმის შესაძლებლობა, რომ შეერთებულმა შტატებმა სპეკულაციურად გამოიყენონ ომისშემდგომი ეკონომიური სიძნელენი, რომელნიც აადვილებენ ამ ქვეყნების დამორჩილებას ამერიკის კონტროლისადმი და, კერძოდ, დიდი ბრიტანეთის ომისშემდგომ ეკონომიურ სიძნელეთა გამოყენებას. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა

ახალი, აშკარად დამპყრობლური ექსპანსიონისტური კურსი გამოაცხადეს.

ამერიკის შეერთებული შტატების ახალმა, აშკარად ექსპანსიონისტურმა კურსმა მიზნად დაისახა ამერიკის იმპერიალიზმის მსოფლიო ბატონობის დამყარება. იმ მიზნით, რომ შეინარჩუნონ ბაზრებზე ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიური მდგომარეობა, რაც იმის შედეგად შეიქმნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე დიდი კონკურენტები—გერმანია და იაპონია — გაქრნენ, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების კაპიტალისტური პარტნიორები — ინგლისი და საფრანგეთი შესუსტდნენ, — ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის ახალი კურსი სამხედრო, ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათის ღონისძიებათა ფართო პროგრამას სახავს. ამ ღონისძიებათა ამოცანაა ყველა ქვეყანაში, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების ექსპანსიის ობიექტს წარმოადგენენ, ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური და ეკონომიური ბატონობის დამყარება, ამ ქვეყნების დაქვეითება ამერიკის შეერთებული შტატების სატელიტების მდგომარეობამდე, იქ ისეთი საშინაო რეჟიმის დამყარება, რომელიც აღმოფხვრიდა ამერიკის კაპიტალის მიერ ამ ქვეყნების ექსპლოატაციის რაიმე დაბრკოლებას მუშათა და დემოკრატიული მოძრაობის მხრივ. ამჟამად ცდილობენ ამერიკის შეერთებული შტატების ეს ახალი კურსი გაავრცელონ არა მარტო გუშინდელ სამხედრო მტრებზე ან ნეიტრალურ სახელმწიფოებზე, არამედ უფრო და უფრო მეტად ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მოკავშირეებზეც.

ამასთან სპეციალური ყურადღება ექცევა ინგლისის — ამერიკის შეერთებული შტატების ამ მოკავშირისა და ამასთანავე მისი ძველისძველი კაპიტალისტური მეტოქისა და კონკურენტის ეკონომიურ სიძნელეთა გამოყენებას. ამერიკის ექსპანსიონისტური კურსი იმას ეყრდნობა, რომ ინგლისი არათუ არ უნდა გაუშვან ამერიკის შეერთებულ შტატებზე დამოკიდებულების ეკონომიური მარწუხიდან, რაც ომის დროს დამყარდა, არამედ, პირიქით, გაძლიერონ ინგლისზე ზემოქმედება, რათა თანდათანობით ჩამოართვან მას კოლონიებისადმი კონტროლი, რათა განდევნონ ინგლისი მისი გავლენის სფეროებიდან და დააქვეითონ ვასალური სახელმწიფოს მდგომარეობამდე.

ამრიგად, ამერიკის შეერთებული შტატების ახალი პოლიტიკა მიმართულია თავისი მონოპოლიური მდგომარეობის განმტკიცებისაკენ და მიზნად ისახავს იმას, რომ თავისი კაპიტალისტური პარტნიორები ამერიკის შეერთებული შტატებისაგან დამოკიდებულ, მორჩილ მდგომარეობაში ჩააყენონ.

მაგრამ მსოფლიო ბატონობისაკენ ამერიკის შეერთებული შტატების მისწრაფების გზაზე დგას სსრ კავშირი თავისი მზარდი საერთაშორისო გავლენით — ანტიიმპერიალისტური და ანტიფაშისტური პოლიტიკის დასაყრდენი, დგანან ახალი დემოკრატიის ქვეყნები, რომლებმაც თავი დააღწიეს ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმის კონტროლს, დგანან ყველა ქვეყნის მუშები, მათ შორის თვით ამერიკის მუშები, რომლებსაც არ სურთ ახალი ომები თავიანთ მჩაგვრელთა ბატონობისათვის. ამიტომ ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ექსპანსიონისტური და რეაქციული კურსი მიზნად ისახავს ბრძოლას სსრ კავშირის წინააღმდეგ, ახალი დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ, ყველა ქვეყანაში მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ, ამერიკის შეერთებულ შტატებში მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ, ყველა ქვეყანაში განმათავისუფლებელი ანტიიმპერიალისტური ძალების წინააღმდეგ.

ამერიკელი რეაქციონერები, რომლებიც შეშფოთებული არიან სსრ კავშირში სოციალიზმის წარმატებებით, ახალი დემოკრატიის ქვეყნების წარმატებებით და ომის შემდეგ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მუშათა და დემოკრატიული მოძრაობის ზრდით, მიდრეკილებას იჩენენ იკისრონ კომუნიზმისაგან კაპიტალისტური სისტემის „მხსნელთა“ ამოცანა.

ამრიგად, ამერიკის შეერთებული შტატების აშკარა ექსპანსიონისტური პროგრამა ძალიან მოგვაგონებს სამარცხვინოდ ჩაშლილ ავანტიურისტულ პროგრამას ფაშისტი აგრესორებისას, რომლებიც, როგორც ცნობილია, ცოტა ხნის წინათ აგრეთვე პრეტენზიას აცხადებდნენ მსოფლიო ბატონობაზე.

მსგავსად იმისა, როგორც ჰიტლერელები, ავაზაკურ აგრესიას რომ ამზადებდნენ, თავიანთ ანტიკომუნიზმს ეფარებოდნენ, რათა უზრუნველეყოთ ყველა ხალხის და პირველ რიგში თავიანთი საკუთარი ხალხის ჩაგვრისა და დამონების შესაძლებლობა, ამერიკის შეერთებული შტატების თანამედროვე მმართველი წრეები თავიანთ ექსპანსიონისტურ პოლიტიკას და ყველაზე სუსტი იმპერიალისტური კონკურენტის — ინგლისის — საარსებო ინტერესებზე თავიანთ შეტევასაც კი ცრუ თავდაცვითი ანტიკომუნისტური ამოცანებით ნიღბავენ. შეიარაღების გამალებულ წარმოებას, ახალი სამხედრო ბაზების მშენებლობას და მსოფლიოს ყველა ნაწილში ამერიკის შეიარაღებული ძალების პლაცდარმების შექმნას ცრუდ და ფარისევლურად ასაბუთებენ სსრ კავშირის მხრივ ფანტასტიკური სამხედრო საფრთხისაგან „თავდაცვის“ მოსაზრებებით. ამერიკის დიპლომატია, რომელიც დაშინების, მოსყიდვისა და შანტაჟის მეთოდებით მოქმედებს, იოლად ითანხმებს სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებს და პირველ რიგში ინგლისს იმაზე, რომ ლეგალურად განამტკიცოს ამერიკის უპირატესი პოზიციები ევროპასა და აზიაში — გერმანიის დასავლეთ ზონებში, ავსტრიაში, იტალიაში, საბერძნეთში, თურქეთში, ეგვიპტეში, ირანში, ავღანეთში, ჩინეთში, იაპონიაში და ა. შ.

ამერიკელი იმპერიალისტები, რომლებსაც თავი მიაჩნიათ მთავარ ძალად, რაც უპირისპირდება სსრ კავშირს, ახალი დემოკრატიის ქვეყნებს, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მუშათა და დემოკრატიულ მოძრაობას, მთელ მსოფლიოში რეაქციული, ანტიდემოკრატიული ძალების დასაყრდენად, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების მეორე დღესვე შეუდგნენ სსრ კავშირისა და მსოფლიო დემოკრატიისადმი მტრული ფრონტის აღდგენას და ანტისახალხო რეაქციული ძალების — კოლაბორაციონისტებისა და კაპიტალისტთა წინანდელი დამქაშების წაქეზებას ევროპის ქვეყნებში, რომლებიც განთავისუფლებულ იქნენ ჰიტლერული უღლისაგან და თავიანთი საკუთარი არჩევანით შეუდგნენ ცხოვრების მოწყობას.

ყველაზე ბოროტი, წონასწორობადაკარგული იმპერიალისტი პოლიტიკოსები ჩერჩილის მაგალითისამებრ შეუდგნენ სსრ კავშირის წინააღმდეგ პრევენტიული ომის დაჩქარებით განხორციელების გეგმების წამოყენებას და აშკარად მოუწოდებენ გამოყენებულ იქნას საბჭოთა ადამიანების წინააღმდეგ ამერიკის დროებითი მონოპოლია ატომურ იარაღზე. ახალი ომის გამჩაღებლები ცდილობენ დააშინონ და შანტაჟი გაუწიონ არა მარტო სსრ კავშირს, არამედ სხვა ქვეყნებსაც და, კერძოდ, ჩინეთსა და ინდოეთს, ცილისწამებლურად ხატავენ სსრ კავშირს შესაძლო აგრესორად, თავიანთი თავი კი გამოჰყავთ ჩინეთისა და ინდოეთის „მეგობრებად“ და კომუნისტური საფ-

რთხისაგან „მხსნელებად“, რომლებიც მოწოდებული არიან ყველაზე სუსტებს „დაეხმარონ“. ამ გზით ცდილობენ იმ ამოცანის განხორციელებას, რომ იმპერიალიზმისადმი მორჩილებაში შეინარჩუნონ ინდოეთი და ჩინეთი და ძიაღწიონ მათს შემდგომ პოლიტიკურ და ეკონომიურ დამონებას.

II

ომის შემდეგ პოლიტიკური ძალების ახალი განლაგება და ორი განაკის—ერთის მხრივ იმპერიალისტური და ანტიდემოკრატიული განაკისა და მეორე მხრივ ანტიიმპერიალისტური და დემოკრატიული განაკის — შექმნა

ომის შედეგად საერთაშორისო ვითარებაში და ცალკეული ქვეყნების მდგომარეობაში მომხდარმა ძირფესვიანმა ცვლილებებმა მსოფლიოს მთელი პოლიტიკური სურათი შესცვალეს. შეიქმნა პოლიტიკური ძალების ახალი განლაგება. რაც უფრო დიდი პერიოდი გვაშორებს ომის დამთავრებას, მით უფრო მკვეთრად გამოირჩევა ორი ძირითადი მიმართულება ომისშემდგომ საერთაშორისო პოლიტიკაში, რომლებიც შეესაბამება მსოფლიო ასპარეზზე მოქმედი პოლიტიკური ძალების გაყოფას ორ ძირითად ბანაკად. ესენია ერთის მხრივ იმპერიალისტური და ანტიდემოკრატიული ბანაკი, ხოლო მეორე მხრივ ანტიიმპერიალისტური და დემოკრატიული ბანაკი. იმპერიალისტური ბანაკის ძირითად წამყვან ძალას ამერიკის შეერთებული შტატები წარმოადგენენ. ამერიკის შეერთებულ შტატებთან კავშირში იმყოფებიან ინგლისი და საფრანგეთი, ამასთან ინგლისში ეტლი-ბევინის ლეიბორისტული მთავრობისა და საფრანგეთში რამადიეს სოციალისტური მთავრობის არსებობა ხელს არ უშლის ინგლისსა და საფრანგეთს, რომ ყველა ძირითად საკითხში ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტურ პოლიტიკას მისდიონ, როგორც მათმა სატელიტებმა. იმპერიალისტურ ბანაკს მხარს უჭერენ აგრეთვე ისეთი კოლონიური სახელმწიფოები, როგორიც არიან ბელგია და ჰოლანდია, რეაქციული ანტიდემოკრატიული რეჟიმის მქონე ქვეყნები, როგორიც არიან თურქეთი და საბერძნეთი, პოლიტიკურად და ეკონომიურად ამერიკის შეერთებულ შტატებზე დამოკიდებული ქვეყნები, როგორიც არიან ახლო აღმოსავლეთის, სამხრეთ ამერიკის ქვეყნები და ჩინეთი.

იმპერიალისტური ბანაკის ძირითად მიზანს წარმოადგენს იმპერიალიზმის განმტკიცება, ახალი იმპერიალისტური ომის მომზადება, სოციალიზმისა და დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლა და ყველგან რეაქციული და ანტიდემოკრატიული პროფაშისტური რეჟიმებისა და მოძრაობებისათვის მხარდაჭერა.

ამ ამოცანების გადაწყვეტაში იმპერიალისტური ბანაკი მზად არის დაეყრდნოს რეაქციულ და ანტიდემოკრატიულ ძალებს ყველა ქვეყანაში და მხარი დაუჭიროს გუშინდელ სამხედრო მოწინააღმდეგეებს თავის სამხედრო მოკავშირეთა წინააღმდეგ.

ანტიიმპერიალისტური და ანტიფაშისტური ძალები შეადგენენ მეორე ბანაკს. ამ ბანაკის საფუძველს წარმოადგენს სსრ კავშირი და ახალი დემოკრატიის ქვეყნები. მასში შედიან აგრეთვე ისეთი ქვეყნები, რომლებმაც კავშირი გასწყვიტეს იმპერიალიზმთან და მტკიცედ დაადგნენ დემოკრატიული განვითარების გზას, როგორიც არიან რუმინეთი, უნგრეთი, ფინეთი. ანტიიმპე-

რიალისტურ ბანაკს ემხრობიან ინდონეზია, ვიეტ-ნამი, მას თანაუგრძნობენ ინდოეთი, ეგვიპტე, სირია. ანტიიმპერიალისტური ბანაკი ეყრდნობა მუშაკთა და დემოკრატიულ მოძრაობას ყველა ქვეყანაში, მოძმე კომუნისტურ პარტიებს ყველა ქვეყანაში, ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მებრძოლებს კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში, თვითეულ ქვეყანაში არსებულ ყველა პროგრესულ დემოკრატიულ ძალთა მხარდაჭერას. ამ ბანაკის მიზანია ახალი ომების საფრთხისა და იმპერიალისტური ექსპანსიის წინააღმდეგ ბრძოლა, დემოკრატიის განმტკიცება და ფაშიზმის ნაშთების აღმოფხვრა.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამ ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხის წინაშე წამოაყენა უმნიშვნელოვანესი ამოცანა—უზრუნველჰყონ მტკიცე დემოკრატიული ზავი, რომელიც განამტკიცებს ფაშიზმზე გამარჯვებას. ომისშემდგომი პერიოდის ამ ძირითადი ამოცანის გადაწყვეტაში საბჭოთა კავშირსა და მის საგარეო პოლიტიკას წამყვანი როლი ეკუთვნის. ეს გამომდინარეობს საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს არსიდან, რომლისთვისაც სრულიად უცხოა რაიმე აგრესიულ-ექსპლოატატორული ზრახვა და რომელიც დაინტერესებულია კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის განხორციელებისათვის ყველაზე ხელსაყრელი პირობების შექმნით. ერთ-ერთ ასეთ პირობას წარმოადგენს საგარეო მშვიდობა. როგორც ახალი, უფრო მაღალი საზოგადოებრივი სისტემის მატარებელი, საბჭოთა კავშირი თავისი საგარეო პოლიტიკით ასახავს მთელი მოწინავე კაცობრიობის სურვილებს, რომელიც ხანგრძლივი მშვიდობისაკენ მიისწრაფვის და არ შეიძლება დაინტერესებული იყოს ახალი ომით, რომელიც კაპიტალიზმის ნაყოფს წარმოადგენს. საბჭოთა კავშირი ყველა ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ერთგული დამცველია, ნაციონალური და რასობრივი ჩაგვრის, ყოველგვარი ფორმის კოლონიური ექსპლოატაციის მტერია. მეორე მსოფლიო ომის შედეგად შეცვლილმა ძალთა საერთო თანაფარდობამ კაპიტალიზმის სამყაროსა და სოციალიზმის სამყაროს შორის კიდევ უფრო გაადიდა საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის მნიშვნელობა და გააფართოვა მისი საგარეო პოლიტიკური აქტივობის მასშტაბები.

სამართლიანი დემოკრატიული ზავის უზრუნველყოფის ამოცანის გარშემო გაერთიანდნენ ანტიიმპერიალისტური და ანტიფაშისტური ბანაკის მთელი ძალები. ამ ნიადაგზე გაიზარდა და განმტკიცდა სსრ კავშირისა და დემოკრატიული ქვეყნების მეგობრული თანამშრომლობა საგარეო პოლიტიკის ყველა საკითხში. ეს ქვეყნები და უწინარეს ყოვლისა ახალი დემოკრატიის ქვეყნები — იუგოსლავია, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, ალბანეთი, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს ფაშიზმის წინააღმდეგ განმათავისუფლებელ ომში, აგრეთვე ბულგარეთი, რუმინეთი, უნგრეთი, ნაწილობრივ ფინეთი, რომლებიც ანტიფაშისტურ ფრონტს შეუერთდნენ, ომისშემდგომ პერიოდში გახდნენ ძედგარი მებრძოლნი მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, თავიანთი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ყოველგვარი ცდების წინააღმდეგ — უკუღმა დაატრიალონ მათი განვითარება და კვლავ დაადგან მათ იმპერიალისტური უღელი.

დემოკრატიული ბანაკის წარმატებები და მისი საერთაშორისო პრესტიჟის ზრდა არ მოეწონათ იმპერიალისტებს. მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაშივე ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში განუხრელად იზრდებოდა აქტივობა რეაქციული ძალებისა, რომლებიც ცდილობდნენ ჩაეშალათ მო-

კავშირე სახელმწიფოთა შეთანხმებული მოქმედება, გაეჭიანურებინათ ომი, სისხლით დაეცალათ სსრ კავშირი და სრული განადგურებისაგან ეხსნათ ფაშისტი აგრესორები. მეორე ფრონტის საბოტაჟი ანგლო-საქსონ იმპერიალისტების მიერ ჩერჩილის მეთაურობით აშკარად ასახავდა ამ ტენდენციას, როდელიც არსებითად წარმოადგენდა „მიუნხენის“ პოლიტიკის განგრძობას ახალ შეცვლილ ვითარებაში. მაგრამ სანამ ომი სწარმოებდა, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციული წრეები ვერ ბედავდნენ აშკარად გამოსულიყვნენ საბჭოთა კავშირისა და დემოკრატიული ქვეყნების წინააღმდეგ, ვინაიდან კარგად ესმოდათ, რომ ხალხის მასების სიმპატიები მთელ ძსოფლიოში სავსებით საბჭოთა კავშირისა და დემოკრატიული ქვეყნების ძხარეზე იყო. მაგრამ უკვე, უკანასკნელ თვეებში ომის დამთავრების წინ მდგომარეობამ შეცვლა იწყო. უკვე 1945 წლის ივლისში სამი სახელმწიფოს ბერლინის კონფერენციაზე მოლაპარაკების მსვლელობაში ინგლისელ-ამერიკელმა იმპერიალისტებმა ცხადჰყვეს, რომ არ სურთ ანგარიში გაუწიონ საბჭოთა კავშირისა და დემოკრატიული ქვეყნების კანონიერ ინტერესებს.

განვლილ ორ წელიწადში საბჭოთა კავშირისა და დემოკრატიული ქვეყნების საგარეო პოლიტიკა ომისშემდგომი მშვიდობის დემოკრატიული პრინციპების თანმიმდევრული განხორციელებისათვის ბრძოლის პოლიტიკაა. ანტიიმპერიალისტური ბანაკის სახელმწიფოები ამ პრინციპების განხორციელებისათვის ერთგული და თანმიმდევარი მებრძოლები არიან და იოტის ოდნავადაც არ უხვევენ ამ პრინციპებს. ამიტომ ომის შემდეგ დემოკრატიულ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის მთავარი ამოცანა იყო ბრძოლა დემოკრატიული ზავისათვის, ფაშიზმის ნაშთების ლიკვიდაციისათვის და ფაშისტური იმპერიალისტური აგრესიის აღორძინების არდაშვებისათვის, ხალხთა თანასწორობის პრინციპის განმტკიცებისა და მათი სუვერენიტეტის პატივისცემისათვის, საერთოდ შეიარაღების საყოველთაო შემცირებისა და მშვიდობიანი ძოსახლეობის მასობრივად მოსასპობად გათვალისწინებული ყველაზე გამანადგურებელი სახის იარაღის აკრძალვისათვის. ყველა ამ ამოცანის გადაჭრისას საბჭოთა დიპლომატია და დემოკრატიულ სახელმწიფოთა დიპლომატია წააწყდნენ ინგლის-ამერიკის დიპლომატიის წინააღმდეგობას. ინგლის-ამერიკის დიპლომატია ომის შემდეგ განუხრელად და თანმიმდევრულად ატარებს ომისშემდგომი მშვიდობის შექმნის იმ საერთო პრინციპების უარყოფის გეზს, რომლებიც მოკავშირეებმა ომის დროს გამოაცხადეს, თანმიმდევრულად ატარებს იმ გეზს, რომ მშვიდობისა და დემოკრატიის განმტკიცების ეს პოლიტიკა შეიცვალოს საყოველთაო მშვიდობის ჩაშლისაკენ, ფაშისტური ელემენტების დაცვისაკენ, ყველა ქვეყანაში დემოკრატიის დევნისაკენ მიმართული პოლიტიკით.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირისა და დემოკრატიული სახელმწიფოების დიპლომატიის ერთობლივ მოღვაწეობას, რომელიც მიმართულია ძეიარაღების შემცირების და განსაკუთრებით გამანადგურებელი სახის იარაღის — ატომური ბომბების აკრძალვის პრობლემის გადაჭრისაკენ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საბჭოთა კავშირის ინიციატივით ძეტანილ იქნა წინადადება შეიარაღების საყოველთაო შემცირების, ატომის ენერგიის წარმოებისა და ომის მიზნით მისი გამოყენების აკრძალვის პირველი რიგის ამოცანად აღიარების შესახებ. საბჭოთა მთავრობის ამ წინადადებას ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა გააფთრებული წინააღ-

ძდეგობა გაუწიეს. იმპერიალისტური წრეების მთელი ღონისძიებანი მიმართული იყო ამ გადაწყვეტილების საბოტაჟისაკენ, რამაც გაძოხატულება ჰპოვა იმით, რომ დაუსრულებლად და უნაყოფოდ ყოველთაობად ამაოებდნენ და აბრკოლებდნენ ამ საქმეს იმ მიზნით, რომ ხელი შეეშალათ რაიმე ეფექტური პრაქტიკული ზომების მიღებისათვის. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ორგანოებში სსრ კავშირისა და დემოკრატიული ქვეყნების დელეგატების მოღვაწეობა საერთაშორისო თანამშრომლობის დემოკრატიული საფუძვლებისათვის, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების წინააღმდეგ იმპერიალისტ შეთქმულთა ინტრიგების გამოაშკარავებისათვის ყოველდღიური შეუპოვარი ბრძოლის ხასიათს ატარებს.

ეს განსაკუთრებით თვალნათლივ სჩანს, მაგალითად, საბერძნეთის ჩრდილოეთ საზღვრებზე შექმნილი სიტუაციის განხილვაში. საბჭოთა კავშირმა და მასთან ერთად პოლონეთმა გადაჭრით გაილაშქრეს იმის წინააღმდეგ, რომ უშიშროების საბჭო გამოყენებულ იქნას იუგოსლავიის, ბულგარეთისა და ალბანეთის დისკრედიტაციისათვის, რომლებსაც იმპერიალისტები უყენებენ ცრუ ბრალდებას საბერძნეთის წინააღმდეგ აგრესიული აქტების ჩადენაში.

საბჭოთა საგარეო პოლიტიკა გამოდის ორი სისტემის — კაპიტალიზმისა და სოციალიზმის — ხანგრძლივ პერიოდში თანაარსებობის ფაქტიდან. აქედან გამომდინარეობს შესაძლებლობა სსრ კავშირისა და სხვა სისტემათა ქვეყნებს შორის თანამშრომლობისა ნაცვალგების პრინციპის დაცვის და ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების პირობით. ცნობილია, რომ სსრ კავშირი მუდამ ერთგულად ასრულებდა და ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს. საბჭოთა კავშირმა ცხადჰყო მთელი თავისი ნებისყოფა და სურვილი თანამშრომლობისა.

სრულიად საწინააღმდეგო პოლიტიკას ატარებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ინგლისი და ამერიკა, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ უარჰყონ წინათ ნაკისრი ვალდებულებანი და ხელ-ფეხი გაითავისუფლონ ახალი პოლიტიკის გასატარებლად, რომელიც მიზნად ისახავს არა ხალხთა თანამშრომლობას, არამედ ამ ხალხების ერთიმეორეზე წასისიანებას, დემოკრატიული ხალხების უფლებათა და ინტერესთა დარღვევას, სსრ კავშირის იზოლაციას.

საბჭოთა პოლიტიკა ახორციელებს ყველა იმ სახელმწიფოსთან ლოიალური, კეთილმეზობლური ურთიერთობის დაცვის კურსს, რომლებიც თანამშრომლობის სურვილს იჩენენ. ხოლო იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც საბჭოთა კავშირის ნამდვილი მეგობრები და მოკავშირეები არიან, იგი ყოველთვის იქცეოდა, იქცევა და მოიქცევა, როგორც ერთგული მეგობარი და მოკავშირე. საბჭოთა საგარეო პოლიტიკა მიზნად ისახავს ამ ქვეყნებისადმი საბჭოთა კავშირის მეგობრული დახმარების შემდგომ გაფართოვებას.

საბჭოთა საგარეო პოლიტიკა მშვიდობის საქმეს იცავს და დამარცხებული ხალხების მიმართ შურისძიების პრინციპს უარჰყოფს.

როგორც ცნობილია, სსრ კავშირი ერთიანი მშვიდობისმოყვარე დემილიტარიზებული დემოკრატიული გერმანიის შექმნის მომხრეა. გერმანიის მიმართ საბჭოთა პოლიტიკის ჩამოყალიბებისას ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, რომ „მოკლედ თუ ვიტყვით, საბჭოთა კავშირის პოლიტიკა გერმანიის საკითხში განისაზღვრება გერმანიის დემილიტარიზაციითა და დემოკრატიზა-

ციით... გერმანიის დემილიტარიზაცია და დემოკრატიზაცია მტკიცე, ხანგრძლივი მშვიდობის დამყარების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს". მაგრამ გერმანიის მიმართ საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის იმპერიალისტური წრეების გააფთრებულ წინააღმდეგობას აწყდება.

1947 წლის მარტ-აპრილში მოსკოვში ჩატარებულმა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სესიამ ცხადჰყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და საფრანგეთი მზად არიან არა მარტო გერმანიის დემოკრატიზაცია და დემილიტარიზაცია ჩაშალონ, არამედ გერმანიის, როგორც ერთიანი სახელმწიფოს ლიკვიდაციაც კი მოახდინონ, დაანაწილონ იგი და სეპარატულად გადასჭრან ზავის საკითხი.

ამ პოლიტიკის გატარება ახლა მიმდინარეობს ახალ ვითარებაში, როცა ამერიკამ კავშირი გასწყვიტა რუზველტის ძველ კურსთან და გადადის ახალ პოლიტიკაზე — ახალი სამხედრო ავანტიურების მომზადების პოლიტიკაზე.

III

ევროპის დამონების ამერიკული გეგმა

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიულ, აშკარა ექსპანსიონისტურ კურსზე გადასვლამ თავისი გამოხატულება ჰპოვა ამერიკის შეერთებული შტატების როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში. მთელ მსოფლიოში რეაქციული ანტიდემოკრატიული ძალებისათვის აქტიურ მხარდაჭერას, პოტსდამის გადაწყვეტილებათა ჩაშლას, რომლებიც მიმართულია გერმანიის დემოკრატიზაციისა და დემილიტარიზაციისაკენ, იაპონელი რეაქციონერებისათვის მფარველობის გაწევას, ომისათვის მზადების გაფართოვებას, ატომური ბომბების მარაგის დაგროვებას, — ყოველივე ამას თან სდევს შეტევა მშრომელთა დემოკრატიულ უფლებებზე თვით ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს ომი შედარებით ნაკლებად შეეხო, ამერიკელთა უდიდეს უმრავლესობას არ სურს ომის და მასთან დაკავშირებული მსხვერპლისა და შეზღუდვათა გამეორება. ეს აიძულებს მონოპოლისტურ კაპიტალს და მის დამქაშებს ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებში გამოსძებნონ საგანგებო საშუალებანი იმისათვის, რომ გასტეხონ აგრესიული ექსპანსიონისტური კურსისადმი ამ ქვეყანაში არსებული ოპოზიცია და ხელ-ფეხი გაითავისუფლონ ამ საშიში პოლიტიკის შემდგომი განხორციელებისათვის.

მაგრამ კომუნიზმის წინააღმდეგ ლაშქრობა, რაც კაპიტალისტურ მონოპოლიებზე დაყრდნობილმა ამერიკის მმართველმა წრეებმა გამოაცხადეს, ლოგიკური გარდუვალობით იწვევს თავდასხმებს ამერიკელ მშრომელთა საარსებო უფლებებსა და ინტერესებზე, ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური ცხოვრების შინაგან ფაშიზაციას, ყოვლად უხამსი, კაცთმოძულეობის „თეორიებისა" და წარმოდგენების გავრცელებას. ახალი, მესამე მსოფლიო ომის მომზადებაზე რომ ოცნებობენ, ამერიკის ექსპანსიონისტური წრეები სისხლხორცეულად დაინტერესებული არიან იმით, რომ ჩაახშონ თა-

ვიანთ ქვეყანაში ყოველგვარი შესაძლო წინააღმდეგობა საგარეო ავანტიურებისადმი, შოვინიზმისა და მილიტარიზმის შხამით მოსწამლონ ორიგინალი ამერიკელების ჩამორჩენილი და ნაკლებკულტურული მასები, „გააბრიყვონ“ ამერიკელი ობივატელი ანტისაბჭოთა, ანტიკომუნისტური პროპაგანდის სხვადასხვა საშუალებათა გამოყენებით — კინოს, რადიოს, ეკლესიისა და პრესის საშუალებით. ექსპანსიონისტური საგარეო პოლიტიკა, რომელსაც ამერიკის რეაქცია ასულდგმულებს და ატარებს, ერთდროულ აქტივობას ითვალისწინებს ყველა მიმართულებით:

1) სამხედრო-სტრატეგიული ღონისძიებანი,
2) ეკონომიური ექსპანსია და
3) იდეოლოგიური ბრძოლა.

მომავალი აგრესიების სამხედრო-სტრატეგიული გეგმების რეალიზაცია დაკავშირებულია მეორე მსოფლიო ომის ბოლოს ამერიკის შეერთებული შტატების მეტისმეტად გაზრდილი სამხედრო-საწარმოო აპარატის მაქსიმალურად გამოყენების მისწრაფებასთან. ამერიკის იმპერიალიზმი ახორციელებს თავისი ქვეყნის მილიტარიზაციის თანმიმდევრულ პოლიტიკას. ამერიკის შეერთებული შტატების ხარჯები არმიასა და ფლოტზე 11 მილიარდ დოლარს სჭარბობს წელიწადში. ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების შესანახავად 1947-1948 წლებში ასიგნებულია ბიუჯეტის 35 პროცენტი, ანუ 11-ჯერ მეტი, ვიდრე 1937-1938 წლებში.

თუ მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში ამერიკის შეერთებული შტატების არმია მე-17 ადგილზე იყო კაპიტალისტური ქვეყნების არმიებს შორის, ამჟამად მას პირველი ადგილი უკავია მათ შორის. ატომური ბომბების დაგროვებასთან ერთად ამერიკელი სტრატეგები მოურიდებლად ლაპარაკობენ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში სწარმოებს ბაქტერიოლოგიური იარაღის ძომზადება.

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებს მშვიდობიან დროს მრავალი ბაზისა და პლაცდარმის შექმნას, რომლებიც მნიშვნელოვნად არიან დაშორებულნი ამერიკის კონტინენტს და განკუთვნილნი არიან სსრ კავშირისა და ახალი დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ აგრესიული მიზნებისათვის გამოსაყენებლად. ამერიკის სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ბაზები არსებობენ ან ახლა იქმნებიან ალასკაზე, იაპონიაში, იტალიაში, სამხრეთ კორეაში, ჩინეთში, ეგვიპტეში, ირანში, თურქეთში, საბერძნეთში, ავსტრიასა და დასავლეთ გერმანიაში. ამერიკის სამხედრო მისია მოქმედებს ავღანეთში და ნეპალშიც კი. გამალებით ემზადებიან სამხედრო აგრესიის მიზნებით არქტიკის გამოსაყენებლად.

მიუხედავად იმისა, რომ ომი დიდი ხანია დამთავრდა, კვლავ არსებობს სამხედრო კავშირი ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის და ინგლის-ამერიკის შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბიც კი. შეიარაღების სტანდარტიზაციის შესახებ შეთანხმების დროშით შეერთებულმა შტატებმა თავისი კონტროლი გაავრცელეს სხვა ქვეყნების, პირველ რიგში ინგლისისა და კანადის შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო გეგმებისადმი. დასავლეთი ნახევარსფეროს ერთობლივი დაცვის დროშით ლათინური ამერიკის ქვეყნები ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ექსპანსიონისტური გეგმების ორბიტში შეჰყავთ. ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობამ თავის ოფიციალურ ამოცანად გამოაცხადა ხელი შეუწყოს თურ-

ქეთის არმიის მოდერნიზაციას. რეაქციული გომინდანის არმიას წვრთნიან ამერიკელი ინსტრუქტორები და აიარაღებენ ამერიკული ტექნიკით. სამხედრო ხროვა აქტიური პოლიტიკური ძალა ხდება ამერიკის შეერთებულ შტატებში, იგი დიდი მასშტაბით იძლევა სახელმწიფო მოღვაწეებსა და დიპლომატებს, რომლებიც აგრესიულ მილიტარისტულ კურსს ახორციელებენ ამ ქვეყნის მთელ პოლიტიკაში.

ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიური ექსპანსია სტრატეგიული გეგმის განხორციელების მნიშვნელოვან დამატებას წარმოადგენს. ამერიკის იმპერიალიზმი, როგორც მევახშე, ცდილობს გამოიყენოს ევროპის ქვეყნების ომისშემდგომი სიძნელეები, კერძოდ ნედლეულის, სათბობისა და სურსათის ნაკლებობა მოკავშირე ქვეყნებში, რომლებიც ყველაზე უფრო დაზარალდნენ ომში, იმისათვის, რათა მათ დახმარების თავისი კაბალური პირობები უკარნახოს. მომავალი ეკონომიური კრიზისის მოლოდინში ამერიკის შეერთებული შტატები იჩქარიან გამონახონ კაპიტალების გამოყენებისა და საქონლის გასაღების ახალი მონოპოლიური სფეროები. ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიური „დახმარების" ფართო მიზანია ამერიკის კაპიტალის ძიერ ევროპის დამონება. რაც უფრო მძიმეა ამათუიმ ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობა, ამერიკის მონოპოლიები მით უფრო მკაცრ პირობებს უკარნახებენ.

მაგრამ ეკონომიური კონტროლი იწვევს ამერიკის იმპერიალიზმისადმი პოლიტიკურ დამორჩილებასაც. ამრიგად, ამერიკის შეერთებული შტატები ამერიკული საქონლის გასაღების მონოპოლიური სფეროების გაფართოვებას უკავშირებენ ევროპის ახალი დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ საბრძოლველად ახალი პლაცდარმების შექმნას. ამერიკის მონოპოლიებს შიმშილისა და ნგრევისაგან ამათუიმ ქვეყნის „ხსნის" დროს პრეტენზია აქვთ წაართვან მას ყოველგვარი დამოუკიდებლობა. ამერიკის „დახმარება" თითქმის ავტომატურად იწვევს იმ ქვეყნის პოლიტიკური კურსის ცვლილებას, რომელზეც ეს „დახმარება" ვრცელდება: ხელისუფლებას სათავეში უდგებიან ის პარტიები და პირები, რომლებიც მზად არიან ვაშინგტონიდან მიღებული დირექტივებით განახორციელონ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის სასურველი პროგრამა საშინაო და საგარეო პოლიტიკაში (საფრანგეთი, იტალია და სხვ.).

ბოლოს, ამერიკის შეერთებული შტატების მსოფლიო ბატონობისა და ანტიდემოკრატიული კურსისადმი მისწრაფება შეიცავს იდეოლოგიურ ბრძოლას. ამერიკის სტრატეგიული გეგმის იდეოლოგიური ნაწილის ძირითადი ამოცანა ის არის, რომ შანტაჟი გაუწიონ საზოგადოებრივ აზრს საბჭოთა კავშირისა და ახალი დემოკრატიის ქვეყნების ვითომდა აგრესიულობის შესახებ ცილისწამების გავრცელებით, და ამრიგად ანგლო-საქსური ბლოკი წარმოგვიდგინონ თავდამცველი მხარის როლში და მოხსნან მას პასუხისმგებლობა ახალი ომის მომზადებისათვის. მეორე მსოფლიო ომის წლებში საბჭოთა კავშირის პოპულარობა საზღვარგარეთ ძლიერ გაიზარდა. იმპერიალიზმის წინააღმდეგ თავისი თავდადებული, გმირული ბრძოლით საბჭოთა კავშირმა მშრომელი ადამიანების სიყვარული და პატივისცემა მოიხვეჭა ყველა ქვეყანაში. მან მთელი მსოფლიოს წინაშე თვალნათლივ ცხადჰყო სოციალისტური სახელმწიფოს სამხედრო-ეკონომიური ძლიერება, საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის ურღვევი ძალა. ამერიკის შეერთებული შტატე-

ბისა და ინგლისის რეაქციული წრეები ზრუნავენ იმისათვის, რომ როგორმე გააქარწყლონ ეს აღმოუფხვრელი შეთანხმება, რასაც სოციალისტური წყობილება ახდენს მთელი მსოფლიოს მუშებსა და მშრომელებს, ომის გამჩაღებლები მშვენივრად ითვალისწინებენ იმ გარემოებას, რომ იმისათვის, რათა შესაძლებლობა ექნეთ თავიანთი ჯარისკაცები გაგზავნონ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად, საჭიროა ხანგრძლივი იდეოლოგიური ჭოშზადება.

სსრ კავშირის წინააღმდეგ იდეოლოგიურ ბრძოლაში ამერიკელი იმპერიალისტები, რომლებიც ვერ ერკვევიან პოლიტიკურ საკითხებში და ცხადჰყოფენ თავიანთ უვიცობას, უწინარეს ყოვლისა, გამოჰყოფენ იმ იდეას, რომ საბჭოთა კავშირი დასახონ როგორც, თითქოს ანტიდემოკრატიული, ტოტალიტარული ძალა, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი და ეთელი კაპიტალისტური სამყარო — როგორც დემოკრატია. იდეოლოგიური ბრძოლის ეს პლატფორმა — ბურჟუაზიული ცრუდემოკრატიის დაცვა და კომუნიზმისათვის ტოტალიტარიზმის დაბრალება — მუშათა კლასის უკლებლივ ყველა მტერს აერთიანებს, დაწყებული კაპიტალისტური მაგნატებით და გათავებული მემარჯვენე სოციალისტების ლიდერებით, რომლებიც ყოველ-ძხრივ მზად არიან გაავრცელონ ყოველგვარი ცილისწამება სსრ კავშირის წინააღმდეგ, რასაც მათი იმპერიალისტი ბატონები უკარნახებენ. ამ ყალთაბანდური პროპაგანდის ხერხემალს წარმოადგენს მტკიცება, თითქოს ნამდვილი დემოკრატიის ნიშანია მრავალპარტიულობა და ოპოზიციად დარაზმული უმცირესობის არსებობა. ამ საფუძველზე ინგლისელ ლეიბორისტებს, რომლებიც ძალას არ ზოგავენ კომუნიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, სურთ სსრ კავშირში აღმოაჩინონ ანტაგონისტური კლასები და პარტიების სათანადო ბრძოლა. პოლიტიკაში უვიცებს,—მათ არასგზით არ შეუძლიათ შეიგნონ, რომ სსრ კავშირში უკვე დიდი ხანია აღარ არიან კაპიტალისტები და მემამულეები, აღარ არიან ანტაგონისტური კლასები და ამის გამო არ არსებობს პარტიების ეს სიმრავლე. მათ სურთ სსრ კავშირში ჰყავდეთ მათთვის სასურველი ბურჟუაზიული, მათ შორის ცრუსოციალისტური პარტიები, როგორც იმპერიალიზმის აგენტურა. მაგრამ, მათს სავალალოდ, ისტორიამ ეს ექსპლოატატორული ბურჟუაზიული პარტიები დასაღუპავად გასწირა.

ლეიბორისტები და ბურჟუაზიული დემოკრატიის სხვა ადვოკატები, რომლებიც სიტყვებს არ ზოგავენ საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ ცილისწამებისათვის, ამავე დროს სრულიად ნორმალურად სთვლიან ხალხზე ფაშისტი უმცირესობის სისხლისმღვრელ დიქტატურას საბერძნეთსა და თურქეთში, თვალს ხუჭავენ ბურჟუაზიულ ქვეყნებში თვით ფორმალური დემოკრატიის ნორმების აშკარა დარღვევაზე, ჩქმალავენ ეროვნულ და რასობრივ ჩაგვრას, კორუპციას, დემოკრატიულ უფლებათა უბოდიშო უზურპაციას ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ერთ-ერთი მიმართულება იდეოლოგიური „კამპანიისა“, რაც თან ახლავს ევროპის დამონების გეგმებს, არის თავდასხმა ეროვნული სუვერენიტეტის პრინციპზე, მოწოდება უარი სთქვან ხალხთა სუვერენულ უფლებებზე და მათდამი „მსოფლიო მთავრობის“ იდეის დაპირისპირება. ამ კამპანიის აზრი ის არის, რომ შეალამაზონ ამერიკის იმპერიალიზმის თავაშვებული ექსპანსია, რომელიც უბოდიშოდ არღვევს ხალხთა სუვერენულ უფლებებს, ამერიკის შეერთებული შტატები გამოიყვანონ საერთო საკაცობრიო კანონების დამ-

ცველის როლში, ხოლო ისინი, ვინც ამერიკის გავლენას ეწინააღმდეგება, წარმოგვიდგინონ დრომოჭმული „ეგოისტური“ ნაციონალიზმის მომხრეებად, ფანტაზიორთა და პაციფისტთა რიცხვიდან გამოსული ბურჟუაზიული ინტელიგენტების მიერ გაზიარებულ „მსოფლიო მთავრობის“ იდეას იყენებენ არა მარტო როგორც ზეგავლენის საშუალებას იმ ხალხთა იდეური განიარაღების მიზნით, რომლებიც იცავენ თავიანთ დამოუკიდებლობას ამერიკის იმპერიალიზმის მხრივ ხელყოფისაგან, არამედ როგორც ლოზუნგს, რომელიც სპეციალურად არის დაპირისპირებული საბჭოთა კავშირისადმი, რომელიც დაუღალავად და თანმიმდევრულად იცავს ყველა ხალხის — დიდი და მცირე ხალხების ნამდვილი თანასწორუფლებიანობისა და სუვერენული უფლებების დაცვის პრინციპს. ახლანდელ პირობებში იმპერიალისტური ქვეყნები, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და მათთან ახლო მდგომი სახელმწიფოები, ხდებიან ეროვნული დამოუკიდებლობისა და ხალხთა თვითგამორკვევის საშიში მტრები, ხოლო საბჭოთა კავშირი და ახალი დემოკრატიის ქვეყნები — საიმედო დასაყრდენი ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და ეროვნული თვითგამორკვევის დაცვაში.

მეტად დამახასიათებელია, რომ ამერიკის იმპერიალიზმის მიერ წამოყენებული იდეოლოგიური გეგმის განხორციელებაში მჭიდრო თანამეგობრობით მონაწილეობენ ბულიტის ტიპის ამერიკელი სამხედრო-პოლიტიკური მზვერავებიც, გრინის ტიპის ყვითელი პროფკავშირული ლიდერებიც, ფრანგი სოციალისტებიც კაპიტალიზმის ნაცადი აპოლოგეტის ბლუმის მეთაურობით, გერმანელი სოციალ-დემოკრატი შუმახერიც და ბევინის ტიპის ლეიბორისტი ლიდერებიც.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ექსპანსიონისტურ მისწრაფებათა კონკრეტული გამოხატულება ახლანდელ პირობებში არის „ტრუმენის დოქტრინა“ და „მარშალის გეგმა“. არსებითად ორივე ეს დოკუმენტი წარმოადგენს ერთიანი პოლიტიკის გამოხატულებას, თუმცა ისინი განსხვავდებიან იმ ფორმით, რომლითაც ორივე დოკუმენტში გვთავაზობენ ევროპის დამონების ამერიკის ერთსა და იმავე პრეტენზიას.

ევროპის მიმართ „ტრუმენის დოქტრინის“ ძირითადი განმასხვავებელი თვისებანი შემდეგია:

1. ამერიკის ბაზების შექმნა ხმელთაშუა ზღვის აუზის აღმოსავლეთ ნაწილში ამ ზონაში ამერიკის ბატონობის განმტკიცების მიზნით.

2. საბერძნეთსა და თურქეთში რეაქციული რეჟიმებისათვის დემონსტრაციული მხარდაჭერა, როგორც ამერიკის იმპერიალიზმის ბასტიონებისა ბალკანეთში ახალი დემოკრატიის წინააღმდეგ (საბერძნეთისა და თურქეთისათვის სამხედრო და ტექნიკური დახმარების გაწევა, სესხების მიცემა).

3. ახალი დემოკრატიის სახელმწიფოებზე განუწყვეტელი ზეგავლენა, რაც გამოიხატება ტოტალიტარიზმისა და ექსპანსიისადმი მისწრაფების ყალბი დაბრალებით, ახალი დემოკრატიული რეჟიმის საფუძვლების წინააღმდეგ გალაშქრებით, ამ სახელმწიფოთა შინაურ საქმეებში ფარული ჩარევით, ქვეყნების შიგნით ყველა ანტისახელმწიფოებრივი, ანტიდემოკრატიული ელემენტისათვის მხარდაჭერით, ამ ქვეყნებთან ეკონომიური კავშირის დემონსტრაციული გაწყვეტით, რაც მიმართულია ეკონომიურ სიძნელეთა შესაქმნელად,

ამ ქვეყნების ეკონომიკის განვითარების შესაფერხებლად, მათი ინდუსტრიალიზაციის ჩასაშლელად და სხვ.

ტრუმენის დოქტრინას, რაც ნავარაუდევია ამერიკის დახმარებაზე გასაწევად ყველა რეაქციული რეჟიმებისათვის, რომლებიც აქტიურად გამოდიან დემოკრატიული ხალხების წინააღმდეგ, აშკარად აგრესიული ხასიათი აქვს. მისმა გამოქვეყნებამ ერთგვარი დარცხვენაც კი გამოიწვია ამერიკის კაპიტალისტთა წრეებში, რომლებიც მიჩვეული არიან ყველაფერს. პროგრესულმა საზოგადოებრივმა ელემენტებმა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა ქვეყნებში გაძამწყვეტი პროტესტი განაცხადეს ტრუმენის გამოსვლის გამომწვევი, აშკარა იმპერიალისტური ხასიათის წინააღმდეგ.

იმ გარემოებამ, რომ „ტრუმენის დოქტრინას" ასე არაკეთილსასურველად შეხვდნენ, გამოიწვია „მარშალის გეგმის" გამოჩენის საჭიროება — იმავე ექსპანსიონისტური პოლიტიკის გატარების უფრო შენიღბული ცდის საჭიროება. „მარშალის გეგმის" ბუნდოვანი, განზრახ შენიღბული ფორმულირების არსი ის არის, რომ შეაკოწიწოს იმ სახელმწიფოთა ბლოკი, რომლებიც ხელ-ფეხშეკრული არიან ვალდებულებებით ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ, და ამერიკის კრედიტები წარმოგვიდგინოს, როგორც საზღაური ევროპის სახელმწიფოების მიერ ეკონომიურ, ხოლო შემდეგ აგრეთვე პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე უარის თქმისათვის. ამასთან „მარშალის გეგმის" საფუძველს წარმოადგენს დასავლეთი გერმანიის სამრეწველო რაიონების აღდგენა, რომლებსაც კონტროლს უწევენ ამერიკული მონოპოლიები.

„მარშალის გეგმა", როგორც შემდგომი თათბირებისა და ამერიკელი მოღვაწეების გამოსვლებიდან გამოირკვა, იმაში მდგომარეობს, რომ დახმარება პირველ რიგში გაუწიონ არა გაღარიბებულ გამარჯვებულ ქვეყნებს, ამერიკის მოკავშირეებს გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ გერმანელ კაპიტალისტებს, რათა დაიმორჩილონ ქვანახშირისა და ლითონის მოპოვების ძირითადი წყაროები ევროპისა და გერმანიის საჭიროებისათვის, და ამით ის სახელმწიფოები, რომელთაც ქვანახშირი და ლითონი ესაჭიროებათ, დამოკიდებული გახადონ გერმანიის აღდგენის პროცესში მყოფი ეკონომიური ძლიერებისაგან.

მიუხედავად იმისა, რომ „მარშალის გეგმა" ითვალისწინებს ინგლისის, ისე როგორც საფრანგეთის საბოლოო გადაქცევას მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ, ეტლის ლეიბორისტულმა მთავრობამ ინგლისში და რამადიეს სოციალისტურმა მთავრობამ საფრანგეთში ხელი ჩასჭიდეს „მარშალის გეგმას", როგორც ხსნის საშუალებას. ცნობილია, რომ ინგლისმა ძირითადად უკვე დახარჯა მისთვის 1946 წელს მიცემული ამერიკული სესხი 3.750 მილიონი დოლარის რაოდენობით. შემდეგ ცნობილია, რომ ამ სესხის კაბალურმა პირობებმა ხელ-ფეხი შეუკრეს ინგლისს. ინგლისის ლეიბორისტულმა მთავრობამ, რომელიც უკვე მოხვდა ამერიკის შეერთებული შტატებისაგან ფინანსური დამოკიდებულების მარყუჟში, თავის ერთადერთ გამოსავალად მიიჩნია ახალი სესხების მიღება. ამიტომ იგი „მარშალის გეგმას" შეხვდა, როგორც შექმნილი ეკონომიური ჩიხიდან გამოსავალს, როგორც ახალი კრედიტების მიღების შანსს. გარდა ამისა, ინგლისელი პოლიტიკოსები ვარაუდობდნენ ესარგებლათ დასავლეთი ევროპის ქვეყნების — ამერიკის შეერთებული შტატების მოვალეთა ბლოკის შექმნით, რათა ეცადნათ ამ ბლოკის შიგნით

შეესრულებინათ ამერიკის მთავარი ნოქრის როლი, რომელმაც, შესაძლებელია, მოახერხოს სუსტი ქვეყნების ხარჯზე გამდიდრება. ინგლისის ბურჟუაზია ოცნებობდა „მარშალის გეგმის“ გამოყენებით, ამერიკელი მონოპოლისტებისათვის სამსახურის გაწევით და მათი კონტროლისადმი დამორჩილებით დაებრუნებინა დაკარგული პოზიციები მთელ რიგ ქვეყნებში და, კერძოდ, აღედგინა თავისი პოზიციები ბალკანეთ-დუნაის რაიონში.

რათა ამერიკის წინადადებებისათვის უფრო მეტი გარეგნული „ობიექტურობა“ მიეცათ, გადაწყდა „მარშალის გეგმის“ განხორციელების მომზადების ინიციატორთა შორის მოეწვიათ აგრეთვე საფრანგეთი, რომელმაც უკვე სანახევროდ გასწირა თავისი სუვერენიტეტი ამერიკის შეერთებული შტატების სასარგებლოდ, რამდენადაც ამერიკის შეერთებული შტატების მიერ 1947 წლის მაისში საფრანგეთისათვის მიცემული კრედიტის პირობად დათქმული იყო საფრანგეთის მთავრობის შემადგენლობიდან კომუნისტების განდევნა.

ვაშინგტონის მითითებით ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა წინადადება მისცეს საბჭოთა კავშირს მონაწილეობა მიეღო მარშალის წინადადებათა განხილვაში. ასეთ ნაბიჯს უნდა შეენიღბა ამ წინადადებათა მტრული ხასიათი სსრ კავშირისადმი. ვარაუდობდნენ, რომ რამდენადაც წინასწარ კარგად იყო ცნობილი, რომ სსრ კავშირი უარს იტყოდა მარშალის მიერ წამოყენებული პირობებით ამერიკის დახმარების შესახებ წინადადებათა განხილვაზე,—შესაძლებელი იქნებოდა მისთვის დაეკისრებინათ პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ „არ სურს ხელი შეუწყოს ევროპის ეკონომიურ აღდგენას“ და ამით სსრ კავშირის წინააღმდეგ აემხედრებინათ ევროპის ის ქვეყნები, რომელთაც რეალური დახმარება ესაჭიროებათ. ხოლო თუ საბჭოთა კავშირი მონაწილეობას მიიღებდა მოლაპარაკებაში, მაშინ უფრო ადვილი იქნებოდა „ამერიკის დახმარებით ევროპის ეკონომიური აღდგენის“ მახეში აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნების შეტყუება. მაშინ, როცა ტრუმენის გეგმა მიზნად ისახავდა ამ ქვეყნების ტერორისტულად დაშინებას, „მარშალის გეგმა“ ნავარაუდევი იყო იმისათვის, რომ მოეშინჯათ მათი სიმტკიცე ეკონომიური მხრივ, ეცადნათ შეეცდინათ ეს ქვეყნები, ხოლო შემდეგ ხელ-ფეხი შეეკრათ მათთვის დოლარის „დახმარებით“.

„მარშალის გეგმა“ ამ შემთხვევაში მოწოდებული იყო ხელი შეეწყო საერთო ამერიკული პროგრამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანის განხორციელებისათვის — აღედგინათ იმპერიალიზმის ძალა-უფლება ახალი დემოკრატიის ქვეყნებში და მათთვის უარი ეთქმევინებინათ საბჭოთა კავშირთან მჭიდრო ეკონომიურ და პოლიტიკურ თანამშრომლობაზე.

სსრ კავშირის წარმომადგენლებმა, რომლებიც დათანხმდნენ ერთობლივად განეხილათ პარიზში ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებთან ერთად მარშალის წინადადებანი, პარიზის თათბირზე გამოააშკარავეს მთელი ევროპისათვის ეკონომიური პროგრამის შემუშავების ამოცანის უსაფუძვლობა და გამოამჟღავნეს ცდა საფრანგეთისა და ინგლისის მფარველობით შეექმნათ ახალი ევროპული ორგანიზაცია, რომელიც ევროპის ქვეყნების შინაურ საქმეებში ჩარევისა და მათი სუვერენიტეტის დარღვევის საფრთხეს წარმოადგენდა. მათ ცხადჰყვეს, რომ „მარშალის გეგმა“ ეწინააღმდეგება საერთაშორისო თანამშრომლობის ნორმალურ პრინციპებს და შეიცავს ევროპის გა-

თიშვის შესაძლებლობას, ამერიკის კაპიტალიზმის ინტერესებისადმი ევროპის მთელი რიგი ქვეყნების დამორჩილების საფრთხეს და ნავარაუდევია იმისათვის, რომ მოკავშირეებთან შედარებით უპირატესი დახმარება გაწიოს გერმანიის მონოპოლისტურ კონცერნებს, რომელთა აღდგენასაც „მარშალის გეგმით“ აშკარად განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა ევროპაში.

საბჭოთა კავშირის ამ ნათელმა პოზიციამ ნიღაბი ჩამოჰხადა ამერიკელი იმპერიალისტებისა და მათი ინგლისელ-ფრანგი ნოქრების გეგმას.

სრულიად ევროპის თათბირი სკანდალურად ჩაიშალა. მასში მონაწილეობაზე უარი სთქვა ევროპის ცხრა სახელმწიფომ, მაგრამ ის სახელმწიფოებიც კი, რომლებიც დათანხმდნენ მონაწილეობა მიეღოთ „მარშალის გეგმის“ განხილვაში და მის სარეალიზაციოდ კონკრეტულ ღონისძიებათა შემუშავებაში, ამ „გეგმას“ განსაკუთრებული ენთუზიაზმის გამოუჩენლად შეხვდნენ, მით უმეტეს, რომ უკვე მალე გამოირკვა, რომ სსრ კავშირის ვარაუდი იმის შესახებ, რომ ეს გეგმა სრულიადაც არ ნიშნავს მართლაც რეალურ დახმარებას, სავსებით გამართლდა. აღმოჩნდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა საერთოდ არ ჩქარობს მარშალის დაპირებათა განხორციელებას. კონგრესის ამერიკელმა მოღვაწეებმა აღიარეს, რომ კონგრესი ევროპის ცალკე ქვეყნებისათვის კრედიტების შესახებ ახალი ასიგნობების საკითხს განიხილავს არა უადრეს 1948 წლისა.

ამრიგად, ცხადი გახდა, რომ ინგლისი, საფრანგეთი და დასავლეთი ევროპის სხვა სახელმწიფოები, რომლებმაც მიიღეს „მარშალის გეგმის“ „რეალიზაციის პარიზის სქემა“, თვით გახდნენ ამერიკის შანტაჟის მსხვერპლნი.

მაგრამ გრძელდება ცდები ამერიკის მფარველობით დასავლეთი ბლოკის შესაკოწიწებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ დასავლეთის ბლოკის ამერიკულ ვარიანტს არ შეუძლია არ გამოიწვიოს სერიოზული წინააღმდეგობა შეერთებული შტატებისაგან უკვე დამოკიდებულ ისეთ ქვეყნებშიც კი, როგორიცაა ინგლისი და საფრანგეთი. პერსპექტივა გერმანიის იმპერიალიზმის აღდგენისა, როგორც რეალური ძალისა, რომელსაც უნარი აქვს დაუპირისპირდეს დემოკრატიასა და კომუნიზმს ევროპაში, ვერ მოხიბლავს ვერც ინგლისსა და ვერც საფრანგეთს. აქ არის ერთ-ერთი მთავარი წინააღმდეგობა ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის ბლოკის შიგნით. ამერიკის მონოპოლიებს, ისე როგორც მთელ საერთაშორისო რეაქციას, როგორც სჩანს, არა აქვს იმის იმედი, რომ ფრანკო ან ბერძენი ფაშისტები ამერიკის შეერთებული შტატების რამდენადმე საიმედო დასაყრდენი იყონ სსრ კავშირისა და ახალი დემოკრატიების წინააღმდეგ ევროპაში. ამიტომ ისინი განსაკუთრებულ იმედს ამყარებენ კაპიტალისტური გერმანიის აღდგენაზე და ამაში ხედავენ ევროპაში დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ ბრძოლის წარმატების უმნიშვნელოვანეს გარანტიას. ისინი არ ენდობიან არც ლეიბორისტებს ინგლისში და არც სოციალისტებს საფრანგეთში, და მათ, მიუხედავად იმ მაამებლობისა, რასაც ისინი მათდამი იჩენენ, სთვლიან „ნახევარ კომუნისტებად“, რომლებიც საკმაო ნდობის ღირსნი არ არიან.

აი რატომ არის, რომ საკითხი გერმანიის და, კერძოდ, რურის აუზის შესახებ, როგორც სსრ კავშირისადმი მტრული ბლოკის პოტენციურ სამხედრო-სამრეწველო ბაზის შესახებ წარმოადგენს საერთაშორისო პოლიტი-

კის უმნიშვნელოვანეს საკითხს და ამერიკის შეერთებულ შტატებსა, ინგლისსა და საფრანგეთს შორის განხეთქილების საკითხს.

ამერიკელ იმპერიალისტთა მადას არ შეუძლია სერიოზულად შეშფოთება არ გამოიწვიოს ინგლისსა და საფრანგეთში. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა არაორჭოფულად აგრძნობინეს, რომ მათ სურთ რური წაართვან ინგლისელებს. ამერიკელი იმპერიალისტები მოითხოვენ აგრეთვე სამი საოკუპაციო ზონის შეერთებას და ამერიკის კონტროლქვეშ დასავლეთი გერმანიის პოლიტიკური განკერძოების აშკარად ჩამოყალიბებას. ამერიკის შეერთებული შტატები დაჟინებით მოითხოვენ ფოლადის წარმოების დონის გადიდებას რურის აუზში ამერიკის შეერთებული შტატების მფარველობით კაპიტალისტურ საწარმოთა შენარჩუნების საფუძველზე. მარშალის მიერ დაპირებული კრედიტები ევროპის აღსადგენად ვაშინგტონში ისე ესმით, როგორც გერმანელი კაპიტალისტებისათვის უპირატესი დახმარება.

ამრიგად, „დასავლეთ ბლოკს“ ამერიკა აკოწიწებს ევროპის შეერთებული შტატების არა ჩერჩილის გეგმის ნიმუშით, რომელიც განზრახული იყო როგორც ინგლისის პოლიტიკის გამტარებელი, არამედ როგორც ამერიკის პროტექტორატს, რომელშიც ევროპის სუვერენულ სახელმწიფოებს, მათ შორის თვით ინგლისსაც, განკუთვნილი აქვთ როლი, რომელიც არც თუ დიდად განსხვავდება ყბადაღებული „ამერიკის 49-ე შტატის“ როლისაგან. ამერიკის იმპერიალიზმი სულ უფრო თავხედურად და უბოდიშოდ ეპყრობა ინგლისსა და საფრანგეთს. ორმხრივი და სამმხრივი თათბირები (ინგლისი — ამერიკის შეერთებული შტატები. და ამერიკის შეერთებული შტატები — საფრანგეთი) დასავლეთი გერმანიის სამრეწველო წარმოების დონის განსაზღვრის საკითხებზე, რომლებიც პოსტდამის გადაწყვეტილებათა თვითნებურ დარღვევას წარმოადგენენ, ამასთან ერთად ცხადჰყოფენ შეერთებული შტატების მიერ მოლაპარაკებაში მათი პარტნიორების საარსებო ინტერესების სრულ უგულებელყოფას. ინგლისი და განსაკუთრებით საფრანგეთი იძულებული არიან მოისმინონ ამერიკის დიქტატი და მორჩილად მიიღონ იგი. ამერიკის დიპლომატიის საქციელი ლონდონსა და პარიზში ბევრად მოგვაგონებს მათს საქციელს საბერძნეთში, სადაც ამერიკის წარმომადგენლები უკვე სრულიად აღარ სთვლიან საჭიროდ დაიცვან რაიმე ზრდილობა, თავიანთი სურვილისამებრ ნიშნავენ და სცვლიან საბერძნეთის მინისტრებს და თავი ისე უჭირავთ, როგორც დამპყრობლებს. ამრიგად, ევროპის დაუესიზაციის ახალი გეგმა არსებითად მიმართულია ევროპის ხალხთა ძირითადი ინტერესების წინააღმდეგ და წარმოადგენს შეერთებული შტატების მიერ ევროპის დაჩაგვრისა და დამონების გეგმას.

„მარშალის გეგმა“ მიმართულია ევროპის დემოკრატიული ქვეყნების ინდუსტრიალიზაციის წინააღმდეგ და, მაშასადამე, მათი დამოუკიდებლობის საფუძვლების წინააღმდეგ. და თუ თავის დროზე ევროპის დაუესიზაციის გეგმა ჩასაფუშავად განწირული აღმოჩნდა მაშინ, როცა დაუესის გეგმის საწინააღმდეგო ძალები გაცილებით ნაკლები იყვნენ, ვიდრე ამჟამად, ახლა ომისშემდგომ ევროპაში არიან საკმაო ძალები, საბჭოთა კავშირზე რომ აღარ ვილაპარაკოთ, რომლებსაც, თუ ისინი ნებასა და გაბედულებას გამოიჩენენ, შეუძლიათ ჩაფუშონ ეს კაბალური გეგმა. საქმე ის არის, რომ ევრო-

პის ხალხებმა გამოიჩინონ წინააღმდეგობის ნება და მისთვის მზად ყოფნა. რაც შეეხება სსრ კავშირს, იგი მთელ ძალებს მოახმარს იმას, რომ ამ გეგმას განხორციელება არ ეწეროს.

ის შეფასება, რაც „მარშალის გეგმას“ ანტიიმპერიალისტური ბანაკის ქვეყნებმა მისცეს, სავსებით დადასტურდა მოვლენათა მთელი მსვლელობით. „მარშალის გეგმის“ მიმართ დემოკრატიული ქვეყნების ბანაკმა თავი გამოიჩინა როგორც მძლავრმა ძალამ, რომელიც სდგას ყველა ევროპელი ხალხის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის საგუშაგოზე, რომელიც არ ემორჩილება შანტაჟსა და დაშინებას, ისევე როგორც თავს არ იტყუებს დოლარის დიპლომატიის ყალბი მანევრებით.

საბჭოთა მთავრობას არასოდეს არ გამოუთქვამს აზრი უცხოეთის, კერძოდ, ამერიკის კრედიტების გამოყენების წინააღმდეგ ისეთი საშუალების სახით, რომელსაც უნარი აქვს დააჩქაროს ეკონომიური აღდგენის პროცესი. მაგრამ საბჭოთა კავშირი მუდამ იმ აზრისა იყო, რომ კრედიტის პირობებს არა ჰქონოდათ კაბალური ხასიათი და არ გამოეწვიათ კრედიტორი სახელმწიფოს მიერ მოვალე სახელმწიფოს ეკონომიური და პოლიტიკური დამონება. ამავე პოლიტიკურ გეზზე დაყრდნობით საბჭოთა კავშირი მუდამ იცავდა იმ პოზიციას, რომ უცხოეთის კრედიტები არ უნდა იყოს ქვეყნის ეკონომიკის აღდგენის მთავარი საშუალება. ეკონომიური აღდგენის ძირითადი და გადამწყვეტი პირობა უნდა იყოს ყოველი ქვეყნის შინაური ძალებისა და რესურსების გამოყენება და საკუთარი ინდუსტრიის შექმნა. მხოლოდ ამ საფუძველზე შეიძლება უზრუნველყოფა ქვეყნის დამოუკიდებლობისა უცხოეთის კაპიტალის მიერ ხელყოფისაგან, უცხოეთის კაპიტალისა, რომელიც მუდამ იჩენს ტენდენციას კრედიტი გამოიყენოს, როგორც პოლიტიკური და ეკონომიური დამონების იარაღი. სწორედ ასეთია „მარშალის გეგმა“, რომელიც მიმართულია ევროპის ქვეყნების ინდუსტრიალიზაციის წინააღმდეგ და, მაშასადამე, ნავარაუდევია მათი დამოუკიდებლობისათვის ძირის გამოსათხრელად.

საბჭოთა კავშირი მტკიცედ იცავს იმ დებულებას, რომ პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობა სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის აგებულ უნდა იქნას მხოლოდ და მხოლოდ მხარეების თანასწორუფლებიანობისა და მათი სუვერენული უფლებების ურთიერთ პატივისცემის საწყისებზე. საბჭოთა საგარეო პოლიტიკა და, კერძოდ, საბჭოთა ეკონომიური ურთიერთობა უცხოეთის სახელმწიფოებთან დამყარებულია თანასწორუფლებიანობის, დასადები ხელშეკრულებების ორმხრივი სარგებლიანობის უზრუნველყოფის პრინციპზე. ხელშეკრულებანი სსრ კავშირთან წარმოადგენენ ისეთ შეთანხმებებს, რომლებიც ურთიერთ ხელსაყრელია მათი მონაწილეებისათვის და არასოდეს არ შეიცავენ რაიმე ხელყოფას ხელშეკრულების დამდები მხარეების სახელმწიფო დამოუკიდებლობის, ეროვნული სუვერენიტეტის წინააღმდეგ. სხვა სახელმწიფოებთან სსრ კავშირის შეთანხმებათა ეს ძირითადი განსხვავება განსაკუთრებული სიცხადით მოსჩანს ამჟამად იმ არასამართლიანი, არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულებების მიხედვით, რომლებსაც შეერთებული შტატები სდებენ და ამზადებენ. საბჭოთა საგარეო ვაჭრობის პოლიტიკამ არ იცის არათანასწორუფლებიანი შეთანხმებანი.

უფრო მეტიც, სსრ კავშირის ეკონომიური ურთიერთობის განვითარება ყველა სახელმწიფოსთან, რომლებიც დაინტერესებული არიან ამით, ცხადჰყოფს, თუ რა საფუძვლებზე უნდა იქნას აგებული ნორმალური ურთიერთობა სახელმწიფოებს შორის. საკმაოა გავიხსენოთ სსრ კავშირის მიერ ამას წინათ დადებული ხელშეკრულებანი პოლონეთთან, იუგოსლავიასთან, ჩეხოსლოვაკიასთან, უნგრეთთან, ბულგარეთსა და ფინეთთან. ამით სსრ კავშირი ცხადად გვიჩვენებს, თუ რა გზებით შეუძლია ევროპას იპოვნოს გამოსავალი მძიმე ეკონომიური მდგომარეობიდან. ამგვარივე ხელშეკრულება შეეძლო ჰქონოდა ინგლისსაც, ლეიბორისტულ მთავრობას რომ გარეშე ზეგავლენით არ ჩაეშალა უკვე დასახული შეთანხმება სსრ კავშირთან.

ევროპის ქვეყნების დამონების ამერიკული გეგმის გამოაშკარავება სსრ კავშირისა და ახალი დემოკრატიის ქვეყნების საგარეო პოლიტიკის უდავო დამსახურებაა.

ამასთან საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ ამერიკას თვით მოელის ეკონომიური კრიზისის საფრთხე. მარშალის ოფიციალურ გულუხვობას თავისი სერიოზული მიზეზები აქვს. თუ ევროპის ქვეყნები ვერ მიიღებენ ამერიკის კრედიტს, ამ ქვეყნების მიერ ამერიკული საქონლის მოთხოვნა შემცირდება, ხოლო ეს გამოიწვევს ამერიკის შეერთებულ შტატებში მოახლოებული ეკონომიური კრიზისის დაჩქარებასა და გაძლიერებას. ამიტომ, თუ ევროპის ქვეყნები გამოიჩენენ საჭირო გამძლეობასა და მზადყოფნას წინააღმდეგობა გაუწიონ კრედიტის ამერიკულ კაბალურ პირობებს, ამერიკა იძულებული გახდება უკან დაიხიოს.

IV

კომპარტიების ამოცანები დემოკრატიული ანტიფაშისტური მშვიდობისმოყვარე ელემენტების დარაზმვის საქმეში ომისა და აგრესიის ახალი გეგმების წინააღმდეგ საბრძოლველად

კომინტერნის დაშლამ, რაც მუშათა მოძრაობის განვითარების მოთხოვნებს შეესაბამებოდა ახალი ისტორიული ვითარების პირობებში, თავისი დადებითი როლი შეასრულა. კომინტერნის დაშლამ სამუდამოდ მოუღო ბოლო კომუნიზმისა და მუშათა მოძრაობის მოწინააღმდეგეთა ცილისწამებას იმის შესახებ, რომ მოსკოვი თითქოს ერევა სხვა სახელმწიფოთა შინაურ საქმეებში, იმის შესახებ, რომ სხვადასხვა ქვეყნის კომუნისტური პარტიები თითქოს არა თავისი ხალხის ინტერესებისათვის, არამედ გარედან მიღებული ბრძანებით მოქმედებენ.

კომინტერნი შეიქმნა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, როცა კომპარტიები ჯერ კიდევ სუსტი იყვნენ, სხვადასხვა ქვეყნის მუშათა კლასს შორის თითქმის არ არსებობდა კავშირი და კომპარტიებს ჯერ კიდევ არა ჰყავდათ მუშათა მოძრაობის საყოველთაოდ აღიარებული ლიდერები. კომინტერნის დამსახურება ის არის, რომ მან აღადგინა და განამტკიცა კავშირი სხვადასხვა ქვეყნის მშრომელთა შორის, შეიმუშავა მუშათა მოძრაობის თეორიუ-

ლი საკითხები განვითარების ახალ, ომისშემდგომ პირობებში, დაადგინა კომუნიზმის იდეის პროპაგანდისა და აგიტაციის საერთო ნორმები და გაადვილა მუშათა მოძრაობის ლიდერების გამოზრდა. ამით შეიქმნა პირობები, რათა ახალგაზრდა კომუნისტური პარტიები მასობრივ მუშათა პარტიებად გადაქცეულიყვნენ. მაგრამ, როცა ახალგაზრდა კომპარტიები მასობრივ მუშათა პარტიებად გადაიქცნენ, ამ პარტიებისადმი ხელმძღვანელობა ერთი ცენტრიდან შეუძლებელი და მიზანშეუწონელი გახდა. ამის გამო კომინტერნი, ნაცვლად ფაქტორისა, რომელიც ხელს შეუწყობდა კომპარტიების განვითარებას, გახდა ამ განვითარების შემფერხებელი ფაქტორი. ახალი ეტაპი კომპარტიების განვითარებაში მოითხოვდა პარტიებს შორის კავშირის ახალ ფორმებს. ამ გარემოებებმა განსაზღვრეს კომინტერნის დაშლისა და პარტიებს შორის კავშირის ახალი ფორმების ორგანიზაციის აუცილებლობა.

კომინტერნის დაშლის შემდეგ განვლილი ოთხი წლის განმავლობაში მოხდა კომუნისტური პარტიების მნიშვნელოვანი განმტკიცება, მათი გავლენის გაძლიერება ევროპისა და აზიის თითქმის ყველა ქვეყანაში. კომუნისტური პარტიების გავლენა გადიდდა არა მარტო აღმოსავლეთ ევროპაში, არამედ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში, სადაც ფაშიზმი ბატონობდა, აგრეთვე იქ, სადაც ადგილი ჰქონდა გერმანულ-ფაშისტურ ოკუპაციას — საფრანგეთში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, ნორვეგიაში, დანიაში, ფინეთში და სხვ. კომუნისტების გავლენა განსაკუთრებით განმტკიცდა ახალი დემოკრატიის ქვეყნებში, სადაც კომუნისტური პარტიები სახელმწიფოებში უაღრესად გავლენიანი პარტიები არიან.

მაგრამ კომუნისტური პარტიების ახლანდელ მდგომარეობაშიც არის ნაკლოვანებანი. ზოგიერთმა ამხანაგმა საქმე ისე გაიგო, თითქოს კომინტერნის დაშლა მოასწავებს მომმე კომუნისტურ პარტიებს შორის ყოველგვარი კავშირის, . ყოველგვარი კონტაქტის ლიკვიდაციას. გამოცდილებამ კი ცხადჰყო, რომ ამგვარი განცალკევება კომუნისტურ პარტიებს შორის არასწორია, საზიანოა და არსებითად არაბუნებრივია. კომუნისტური მოძრაობა ვითარდება ეროვნულ ჩარჩოებში, მაგრამ ამასთან ერთად მას აქვს სხვადასხვა ქვეყნის პარტიებისათვის საერთო ამოცანები და ინტერესები. გამოდის საკმაოდ უცნაური სურათი: სოციალისტებმა, რომლებიც თავს არ იზოგავდნენ, რათა დაემტკიცებინათ, თითქოს კომინტერნი ყველა ქვეყნის კომუნისტებს მოსკოვის დირექტივებს უკარნახებდა, აღადგინეს თავიანთი ინტერნაციონალი. ხოლო კომუნისტები თავს იკავებენ იმისაგანაც კი, რომ შეხვდნენ ერთმანეთს და მით უმეტეს კონსულტაცია გასწიონ მათთვის საინტერესო საკითხებზე „მოსკოვის ხელის“ შესახებ მტრების ცილისწამების შიშით. სრულიად სხვადასხვაგვარი მოღვაწეობის წარმომადგენლებს — მეცნიერებს, კოოპერატორებს, პროფკავშირულ მოღვაწეებს, ახალგაზრდობას, სტუდენტებს — შესაძლებლად მიაჩნიათ იქონიონ საერთაშორისო კონტაქტი, გამოცდილება გაუზიარონ ერთმანეთს და კონსულტაცია გასწიონ თავისი მუშაობის საკითხებზე, მოაწყონ საერთაშორისო კონფერენციები და თათბირები, ხოლო იმ ქვეყნების კომუნისტები, რომელთაც სამოკავშირეო ურთიერთობა აქვთ, ერიდებიან ერთმანეთს შორის მეგობრული კავშირის დამყარებას. ეჭვი არ არის, ასეთი მდგომარეობა რომ გაგრძელებულიყო, იგი მეტად საზიანო შე-

დეგების შემცველი იქნებოდა მომავალ პარტიების მუშაობის განვითარებისათვის. ცალკეული პარტიების საჭიროება კონსულტაციისა და მოქმედების ნებაყოფლობითი კოორდინაციის საქმეში განსაკუთრებით მომწიფდა ბუნებრივად, როცა შემდგომ განცალკევებას შეუძლია გამოიწვიოს ურთიერთ გაგების შესუსტება, ხოლო ზოგჯერ სერიოზული შეცდომებიც.

რამდენადაც სოციალისტური პარტიების ხელმძღვანელობის უმეტესი ნაწილი (განსაკუთრებით ინგლისელი ლეიბორისტები და ფრანგი სოციალისტები) გამოდის, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური წრეების აგენტურა, კომუნისტებს განსაკუთრებული ისტორიული როლი ეკისრებათ — სათავეში ჩაუდგნენ ევროპის დამონების ამერიკული გეგმისადმი წინააღმდეგობას, გაბედულად გამოააშკარაონ ამერიკის იმპერიალიზმის ყველა შინაური თანამონაწილე. ამავე დროს კომუნისტებმა მხარი უნდა დაუჭირონ ყველა ჭეშმარიტ პატრიოტულ ელემენტს, რომლებსაც არა სურთ დააჩაგვრინონ თავიანთი სამშობლო, რომელთაც სურთ იბრძოლონ უცხოეთის კაპიტალის მიერ მათი სამშობლოს დამონების წინააღმდეგ, მისი ეროვნული სუვერენიტეტისათვის. კომუნისტები ხელმძღვანელი ძალა უნდა იყონ იმ საქმეში, რომ ყველა ანტიფაშისტური თავისუფლებისმოყვარე ელემენტი ჩააბან ბრძოლაში ევროპის დამონების ახალი ამერიკული ექსპანსიონისტური გეგმების წინააღმდეგ.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ იმპერიალისტთა სურვილსა—გააჩაღონ ახალი ომი და შესაძლებლობასა — მოაწყონ ასეთი ომი — უდიდესი მანძილია. მსოფლიოს ხალხებს ომი არა სურთ. მშვიდობის მომხრე ძალები იმდენად მნიშვნელოვანი და დიდია, რომ თუ ეს ძალები სიმტკიცესა და გამძლეობას გამოიჩენენ მშვიდობის დაცვის საქმეში, თუ ისინი გამძლეობასა და სიმტკიცეს გამოიჩენენ, მაშინ აგრესორთა გეგმები სრულ კრახს განიცდიან. არ უნდა დავივიწყოთ, რომ იმპერიალიზმის აგენტთა ხმაურს ომის საფრთხის გარშემო მხედველობაში აქვს დააშინოს სუსტნერვებიანი და არამტკიცე ადამიანები და მიიღწიოს აგრესორისადმი დათმობებს შანტაჟის გზით.

მთავარი საფრთხე მუშათა კლასისათვის ამჟამად მდგომარეობს თავისი ძალების შეუფასებლობასა და მოწინააღმდეგის ძალების გადაჭარბებით შეფასებაში. როგორც მიუნხენის პოლიტიკამ წარსულში ხელ-ფეხი გაუხსნა ჰიტლერულ აგრესიას, ასევე ამერიკის შეერთებული შტატებისა და იმპერიალისტური ბანაკის ახალი კურსისადმი დათმობებს შეუძლიათ მისი სულისჩამდგმელნი უფრო თავხედი და აგრესიული გახადონ. ამიტომ კომუნისტური პარტიები სათავეში უნდა ჩაუდგნენ წინააღმდეგობას იმპერიალისტური ექსპანსიისა და აგრესიის გეგმებისადმი ყველა ხაზით — სახელმწიფოებრივი, ეკონომიური და იდეოლოგიური ხაზით, უნდა დაირაზმონ, გააერთიანონ თავიანთი ღონისძიებანი საერთო ანტიიმპერიალისტური და დემოკრატიული პლატფორმის საფუძველზე და თავის გარშემო შემოიკრიბონ ხალხის მთელი დემოკრატიული და პატრიოტული ძალები.

საფრანგეთის, იტალიის, ინგლისისა და სხვა ქვეყნების მომავალ კომუნისტურ პარტიებს განსაკუთრებული ამოცანა ეკისრებათ. მათ ხელში უნდა აიღონ თავიანთი ქვეყნების ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენი-

ტეტის დაცვის დროშა. თუ კომუნისტური პარტიები მტკიცედ იდგებიან თავის პოზიციებზე, თუ ისინი ნებას არავის მისცემენ დააშინონ, და შანტაჟი გაუწიონ მათ, თუ ისინი მამაცურად იდგებიან მტკიცე მშვიდობისა და სახალხო დემოკრატიის საგუშაგოზე, თავიანთი ქვეყნების ეროვნული სუვერენიტეტის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საგუშაგოზე, თუ ისინი შესძლებენ თავიანთი ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური დამონების ცდების წინააღმდეგ თავიანთ ბრძოლაში სათავეში ჩაუდგნენ მთელ ძალებს, რომლებიც მზად არიან დაიცვან ღირსებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის საქმე, მაშინ შესაძლებელი არ იქნება ევროპის დამონების არავითარი გეგმის განხორციელება.

(„პ რ ა ვ დ ა“, 1947 წლის 22/X).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იოსებ გრიშაშვილი

მოდის ქართული ავტომობილი

(რკალიდან: „ახალი ქუთაისი“)

★

ძველად აქებდნენ ქუთათურ მაისს,
აკაკის ვარდს და ცახელის შროშანს,
უცხო დაშპყრობელთ ებრძოდნენ... მაინც
არ დაუხრიათ ქართული დროშა.

განცხრა, განქარდა მწუხარე განცდა,
აღარ არიან უბედურები,
მაიაკოვსკის ზეცა გაბაცდა
და ჩაიკბილა მთის ქედურები.

დღეს განახლებულ ქუთაისს ვხედავ,
განახლებულად მოსჩანს ბუნებაც.
ბაგრატის ტაძრის შრიალი ხეთა
ყურს სხვანაირად ელამუნება!

თითქოს რიონიც, ჩვეულებრივი,
ვერცხლის ქამარზე სხვა ტალღას ჰკეცავს,
თითქოს ვარსკვლავთა ახალი მწკრივი
მიჰმატებოდეს აქაურ ზეცას.

ირგვლივ ქარხნების ჰანგი გაისმის,
ფოლადისა და რკინის დინება, —
აი, ეს არის ახალ მაისის
გამარჯვებული აღორძინება.

მოსკოვო! მალე შენს დიად ქუჩით, —
დღეს საქართველომ ასე ინება, —
მოხდება ჩვენი რვალის და თუჯის
ქართული ეშხით გასეირნება.

მოსკოვის ქუჩავ! გახსენი გული,
ერთ წუთს შესწყვიტე ეგ სვლა წყობილი...
აჰა, ხელიხელგადახვეული
მოდის ქართული ავტომობილი!

1947 წ. ოქტომბერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინე გამსახურდია

დავით აღმაშენებელი

★

კარი მეოთხე*

XXI

ქართული ხილნარი

ვიდრე ცალფეხა მაგისტროსი მანგანის სასახლემდის მიაღწევდა, ქართველმა სტუმრებმა ფეხის ბანა და სადარბაზოდ ჩაცმა მოათავეს. სასტუმროს დარბაზში შემოვიდა ეზოსმოძღვარი ცინცილუკ და კუროპალატისსა მელიტა.

კუროპალატისსა მელიტა ხელზე ემთხვია ეპისკოპოზებს, ხოლო ცინცილუკ მიესალმა ყველას და მოახსენა: ქართულ ხილნარში გიცდითო იმპერატრისსა მარიამ.

ნიანია ბაკურიანის დანახვაზე ლოყებზე ალმური წაეკიდა მელიტას, იგი საკმაოდ მორიდებულად და შეფარვულად უყვრეტდა ნიანიას, რომელსაც რამდენიმე ნახმლევი აჩნდა სახეზე და სელჯუკიანთა ტყვეობაში ჭაღარა შეპარვოდა.

ხოლო ნიანია თავათ შინაგანად თრთოდა მარიამთან შეხვედრის მოლოდინში. ძალას იკრებდა, რათა არც მელიტას და არც სხვას ვისშეს ეს მღელვარება მის სახეზე არ ამოეკითხათ.

ნიანიას გრძლად მოეჩვენა მანგანის სასახლის სასტუმროდან ბაღში ჩამავალი კიბე. აგრე ეგონა ნიანიას, ფეხებში ებლანდებოდა რაღაც და ის დრო მოაგონდა ანაზდად, როცა ქაიროს საპყრობილეში ფეხებზე ბორკილგაყრილი ეზოში ჩაჰყავდათ ამირ ილ-ღაზის სპათა.

სტუმრებმა ერთობლივად თვალი დაადგეს უზარმაზარ კაკლის ხის ქვეშ მარმალილოს მრგვალ მაგიდასთან მჯდარ მარიამ დედოფალს, რომელსაც სადად შეკერილი შავი კაშემირის კაბა ეცვა, საყელურზე მსხვილი ოქრო ბროკატის აჟურებით დამშვენებული.

ქართული ვერცხლის სურები იდგა მაგიდაზე, ღვინისფერი სერდოლიკის დიდი ლანგარი და ზედ ეწყო ბროწეულები, ყურძენი, ლეღვი და მსხლები.

შუხლის თავზე გადაფენილი ჰქონდა დედოფალს ატლასის მანდილი, რომლის კიდეებზე ოქრონემსულით ამოქარგული იყო ერთი წყვილი გაქცეული ნიამორი, ხოლო შუაგულში პანტერა, რომელსაც ჯეირანი ჰყავდა კლანჭებში მომწყვდეული.

პირველად კირიონ მანგლელი დაეწაფა მის მშვენიერ მარჯვენას, მას თვალი მოსჭრა საჩვენებელ თითზე ფარსულმა გემმამ, რომელიც ერთადერთ ბეჭდის ზედაპირზე ელავდა.

---

* გაგრძელება. „მნათობი" № 9.

ნიანია ბაკურიანმა დაიჩოქა მარიამის ფერხთით და მუხლზე მთხვევა დაუპირა დედოფალს. კუროპალატისსა მელიტამ თვალი წაასწრო: მარიამს ოდნავ შეუფაკლდა ლოყები, მაშინალურად ფეხზე გადადგმული ფეხი ძირს დაუშვა და მარჯვენა ხელი შეუშვირა საამბოროდ ვაჟკაცს.

მარიამმა მღვდელმთავარნი სათითაოდ მოიკითხა, ალერსიანი მზერა ესროლა ნიანია ბაკურიანს და ეუბნება:

„ბევრი წამება მოგაყენეს აგარიანთა?“ [1]

„დიახ, ბევრი ვეწამე, ავგუსტა“.

„საღამოს ტბასთან შეგიპყრეს, არა?“

„დიახ, საღამოს ტბასთან, დედოფალო, ქერბორგა სარანგმა“.

„სოლიმანთან როგორღა მოხვდით?“

„ქერბორგას ამირ სოლიმანთან შეეგზავნა ბრძოლა. მე და ათი მონასპა მეფისა სოლიმანმა ჩაგვიგდო ხელში და ტყვედ წაგვასხა. როცა სოლიმანი ანტიოქიას შემოეწყო, იძულებით გვაბრძოლეს ციხის აღებისას“.

„ამირ ილ-ღაზის ხელში როგორღა მოხვდით?“

„ანტიოქიის მონათა ბაზარზე გაგვყიდა ერთმა ყადიმ და აბირ ედდინ ილ-ღაზის მიგვგვარეს ძღვნად“.

„მე დიდხანს ვეაჯე წერილობით ქილირჯ არსლანს. სამგზის წარგზავნა კაცნი სარწმუნონი იემენს, ვეღარ მივსწვდით ამირ ედდინ ილ-ღაზის. ამასობაში დავით მეფე წიგნს წიგნზე მწერდა. კვლავ შეეეედრე ქილირჯ არსლანს, ბოლოს ის იყო მაცნობა, მივაწვდინეთ ქრთამები ილ-ღაზის“.

როცა ეს გასაუბრება მოათავა მარიამმა, თრიალეთის ეკლესიათა მდგომარეობაზე ჩამოაგდო სიტყვა თავათ დედოფალმა, მანგლელსა და მამაი ბასილის საყდრის იარაღი დაჰპირდა. ბოლოს ასეთი რამ ჰკითხა:

„მართლა კვლავ ქრისტეს ბაჯულად მიიქცა ლიპარიტ აბირა?“

მანგლელმა და მამაი ბასილი ერთხმად დაუმოწმეს.

„ახლა ვიდრე ეზოსმოძღვარი სუფრაზე მიგვიწვევდეს, ჩემი ბაღი უნდა დავათვალიეროთ“.

სთქვა მარიამ დედოფალმა, წამოდგა, პირველად კირიონ მანგლელს გაუწოდა ხელი და თან გაიყოლა სხვები.

როცა ლეღვები გამოჩნდნენ, ნიანია ბაკურიანს მიუბრუნდა მარიამი:

„გახსოვს ქუთაისის სასახლის ლეღვიანი, ეს ბროწეულებიც ჩემმა ძმამ მომიძღვნა, გიორგიმ, ეს ნუში გახმობას აპირებდა წრეულს, ჩემმა თურქმა მებაღემ უაქიმა“.

ახლა კარგად მყავსო, სთქვა, ალერსიანად ხელი შეავლო მის ტანს, თითქოს სულიერს ეფერებაო.

„ეს ატმები ჩემი ძმისწულის დავითის ნაძღვენია, ნაჭარმაგევის ბაღის ნერგია.“ ამის თქმა მოასწრო დედოფალმა და ეზოსმოძღვარმა ცინცილუკმა შემოაღო პაწია, ღრიჭინა ჭიშკარი, როგორსაც საქართველოში აკეთებენ ბაღჩებში შესასვლელად: იოანე მაგისტრი გეახლათო.

იოანე მაგისტრი დედოფალ მარიამს შუბლზე ეამბორა, ხოლო მარიამმა მარჯვენა მკერდზე აკოცა მოხუცს.

ბოლოს აღელვებული მიეჭრა იოანე სტუმრებს, დიდის ჭოწიწებით ემთხვია ხელზე კირიონ მანგლელს, გულცივად შეახო წალკელის დამჭკნარ მარჯვენაზე ბაგე, მერმე მამაი ბასილის გულტფილად დაუკოცნა ხელი და შემდგომ ამისა აკოცა მხცით დაფანჩულ ღაწვის თავზე, გადაჰკოცნა ნიანია, მისი მეგობრის გრიგოლ ბაკურიანის ვაჟი, ბოლოს ჯონდი წარუდგინა მას მარიამმა.

„ეს ჩემის ძმის, გიორგის სიყრმის მეგობარის, შამანის ვაჟია“.

„ჰო, ჰო, გამიგია, ვიცი,“ აროხროხდა ეს ბურუხუნა ბებერი, „ფარცხისში ასახელა მან გიორგი, სულკურთ-

---

[1] აგარიანნი — ოგულისხმება თურქნი, უშჯულონი.

ხეულ ბაგრატ კუროპალატს შველოდა მაგ წყეულის ლიპარიტ დიდის წინააღმდეგ“.

ისევ ქართულ ხეებისკენ მიიწევდა მარიამ დედოფალი:

„ეს ატმები ატენურია. როცა სულ-კურთხეული მამაჩემი ტაძარს აგებდა მანდ, ბაღი გაუშენეს ბერებმა ზედ ტაძრის კარებთან, სწორედ იმ ხეების ნაშიერებია. ეს ვენახი ბუდეშურის, ირმისძუძუს და თვალშავას ჯიშებია სულ, ზოგი კახეთიდან, ზოგნი ზარზმიდან, ზოგნი ხიდისთავიდან.

წრეულს სხვლისას მე თავათ ვადექი ჩემს მებაღეს თავზე. ხუთასიოდე ძირი ქრისტოპოლის მამულში ჩავაყრევინე, არ გაიხარეს. ეს ალუჩები და ეს ალუბლები გეგუთურია, ჩემმა რძალმა მისახსოვრა, დიოფალმა ელენემ. ეს ჭანჭური აფხაზურია, ანაკოფიის ციხისთავმა გამომიგზავნა, ეს მსხლები ოდიშურია, ეს ვაშლები შავშეთის ერისთავმა მომართვა, ეს კაკალი გუარამ ბეჭისციხის პატრონმა მომიძღვნა“.

სტუმრები ისე ყურადღებით ათვალიერებდნენ ამ ქართულ ხეებს, თითქოს საქართველოში არ ენახათ ასეთნივე არასდროს.

„ახლა მტილი ნახეთ ჩემი,“ განაგრძო მარიამმა, „ეს ვარდები შავშეთურია, შარშან ოდნავ დამიზრო ყინვამ. წრეულს მაინც გაიხარეს ბედშავთა. აქა მაქვს ქართული რეჰანი და ქონდარი, სატაცური და ღანძილი, პიტნა და ტარხუნა, პრასი და ნიორი, ნაირნაირი ჯიშისა. ოო, ნიორი მიყვარს ძალიან. ბერძნებს შავი ჟამივით სძაგთ ნიორი, ჩემი ორივე ქმარი ასე მეხუმრებოდნენ: სხვა მიზეზი რომ ვერ გიპოვნოთ, მარტო ნივრისადმი სიყვარულისთვის შეგიძაგებთო“.

ღიმილით დასძინა მარიამმა და იოანე მაგისტრს გადახედა. ნიანია ბაკურიანს არც კი შეუმჩნევია, ისე ამოდგომოდა გვერდით კუროპალატისსა მელიტა. თუმცა ქართული საუბარი მას არ ესმოდა, მაგრამ უსიტყვოდ მიხვდა, ნიორის გამო რომ იყო ლაპარაკი და ნიანიას მიმართა ბერძნულად:

„ავგუსტამ მეც ისე შემაყვარა ნიორი, შაქარლამასავით გეახლები ნიორს, ასე რომ ქართველმა რომ შემირთოს, ნივრის მიჩვევა არ დამჭირდება“. ნიანიას არაფრად ეპიტნავებოდა არც მისი სიახლოე და არც მისი გახუმრება, მაგრამ თავაზიანობამ სძლია და ოდნავის ირონიით მიუგო:

„საქართველოში თუ წაბრძანდებით, უნივროდაც შეგიყვარებენ“.

კუროპალატისსამ გადაიკისკისა.

„თქვენ გგონიათ? კი მაგრამ საქართველოში რაღა მინდა, თუ ის ქართველი ვაჟკაცები აქ ჩამოვლენ, ვინც მე მომწონს“.

ნიანიამ ისეთი სახე მიიღო, თითქოს მელიტას ოხუნჯობა ვერც კი გაეგო. მისი გული ამ წუთში ისე აღვსილი იყო მარიამ დედოფლის სიახლოითა და მრავალწელს ნანატრი ჰვრეტით, ეხამუშებოდა კიდევაც სხვა დიაცის ორანი. ბოლოს მარიამ დედოფალი თავათვე მიხვდა: არ მოვაწყინოო ჩემი სტუმრები ხეთა და ხილთა ქებით, ისევ კაკლის ქვეშ მიიპატიჟა ისინი.

ეზოთმოძღვარს ცინცილუკს უკვე გაეწყო კაკლის ქვეშ ქართული სუფრა. უწინარეს ყოვლისა ქართული შოთის პურები მოხვდა თვალში მუცელღმერთობით სახელგანთქმულს წალკელ ეპისკოპოზს. ჯერ არც ერთი თანადამსწრე არ გაჰკარებოდა საჭმელს, მას სულმა წასძლია, აიღო ერთი თონის პური, უყნოსა, ისევ დასდო ლანგარზე და ერთობლივი დუმილი დაარღვია:

„ნუ თუ თონეცა გაქვთ აქ, ავგუსტა?“

„დიახ, მამაო, მე ვერა ვჭამ ბერძნულ პურს, თონე აქ კი არა, ბუკოლეონის სასახლეშიაც მქონდა მოწყობილი“.

წალკელმა მზერა გააპარა სუფრის გარშემო დაწყობილ ნაირნაირ ქართულ და ბერძნულ ღვინოებისაკენ, ნერწყვი

მოსდიოდა ბათ შემხედვარეს და ნატრობდა მალე გაათავოსო ლოცვა ეზოთმოძღვარმა ცინცილუკმა.

როცა ლოცვა მოთავდა, იოანე მაგისტრმა სთქვა: „იცით ეს კაკალი ვისი დარგულია?“ სთქვა და თავის ზურგსუკან მდგარ კაკლის ხეს ახედა, „ეგეც ქართულია, მერმე იცით ვის მიერ?“

ყველანი დადუმდნენ, რადგან მარიამის გარდა არავინ იცოდა, თუ ვინ დარგა ეს ხე, ეს უკანასკნელი სდუმდა და ამიტომ ისევ იოანემ დასძინა:

„ამ ხის ნერგი სულკურთხეულმა გიორგი პირველმა გამოუგზავნა ბაგრატ მეოთხეს, მოგეხსენებათ ალბათ, მანგანის სასახლეში გაატარა სიყრმე ნეტარხსენებულმა მეფემ ჩვენმა ბაგრატმა“.

ღვინო მოსვა მცირედი მარიამ დედოფალმა და ბრძანა:

„აგრე, ჩემო კარგებო, სამშობლო დავკარგეთ მე და იოანემ ნებსით თუ უნებლიეთ, ყოველ შემთხვევაში განგების ნებით, აქ არავინ გვყავს მახლობელი და ნათესავი, კიდეგან ჩემი მხოლოდშობილი ძისა, კონსტანტინესი, იგიც გაბერძნებულია და გაუცხოებული, ერთად ერთი სიტყვა იცის ქართული „დედა“.

როცა სევდა მამულისადმი გულზე შემოგვენთება, ვზივართ მე და იოანე ამ კაკლის ქვეშ, ვიდრე სიღამემდის, მზერით ვეალერსებით ამ საყვარელ ხეებს, და აგრე გვგონია, სამშობლოს ჩვენის უკვდავი სული იყოს თითქოს გადმოსული ამ ვაზებსა და ამ ხეებზე.

ასეთივე ბალი გავაშენეთ მე და იოანემ შარშან ქრისტოპოლში, მაგრამ მანდ დაჭკნენ ლეღვები, ბროწეულები და ატმები, რადგან ქრისტოპოლი ზეგანზეა, და თქვენ უწყით, ქართული ხე ისევე ვერ იტანს ნიადაგის წარაშარა ცვლას, როგორც ქართველი კაცის სულიცა“.

ეს სიტყვები დაასრულა მარიამ დედოფალმა და ბაღში თამამი ნაბიჯებით შემოვიდა წითელწაღებიანი, ბეჭპრტყელი, მხარგანიერი, პირმშვენიერი ჭაბუკი. მის დიდრონ, ლურჯ-თვალებს სთიშავდა ოდნავ, ოდნავ მოდრეკილი ბაგრატიონული ცხვირი. სიარულის დროს თაფლისფერი კულულები ერხეოდა ბაღალ შუბლზე.

კაკლის ხესთან მოსულმა უკლო ნაბიჯს, უცხოთა დანახვაზე ანაზდად შეუფაკლდა რძისა და ღვინის ფერი ღაწვები.

თავმოდრეკილად მიესალმა ერთობლივად ყველას, მერმე მარიამ დედოფალს ეამბორა წელზე და ვიდრე ეპისკოპოსების საამბოროდ გამოწვდილ ხელებს ჩამოუვლიდა, მარიამმა მოასწრო მისი წარდგენა:

„კონსტანტინე პორფიროგენიტოს გახლავთ, ჩემი ვაჟი“.

როცა პურობა მოთავდა, წამოდგა უზარმაზარი, ბეჭგანიერი მოხუცი იოანე, ბამბუკის ყავარჯნებმა დაიჭრიალეს, ხელში აიღო ვარდისფერი ბროლის ფიალა და სთქვა:

„ამ უკანასკნელი ფიალით მუდამ იყოს ჩვენს შორის და შვილის, შვილის, შვილისშვილთა ჩვენთა ხსოვნაში ჩვენი დიდი მეფის, უშიშო რაინდის, ბაგრატ კუროპალატის სახსენებელი, აწ და მარადის, უკუნითი უკუნისამდე“.

„ამენ“ დაიღუღუნეს მღვდელმთავართა და მათაც გამოსცალეს ქართული ფიალა.

XXII

ნავროზობის დღეს

„დღე იყო ნავროზობისა“.
რუსთაველი.

სულტან ბარქიაროკმა სამჯერ იხმო ვარსიმ ვარძელი თავისი ვაზირის, ბაგრატ მეოთხის დისწულის ვაჟის, იზზაბუ-აბდალაჰ ჰოსენის პირით, თრიალეთის ამბების წვრილად გასაგებად. სამგზისვე ეახლა ვარსიმ ვარძელი ვაზირს ისპაჰანში, მალიქ-შაჰისეულ სასახლეში, დიდძალი ხალხი უცდიდა ამაოდ სულტანის დარბაზობას.

მივიდოდა ვარსიმ ვარძელი, აიწეოდა უზარმაზარი ფარჩის ფარდა, რომელზედაც ამოქარგული იყვნენ ჩალიანიდან მრისხანედ გამომზირალი ვეფხვები და ავაზები, და ეს იყო ნიშანი იმისა, რომ დარბაზობა არ შედგებოდა იმ დღეს.

დიარბექირიდან, სომხეთიდან, მოსულიდან, იემენიდან, ბაღდადიდან, ჰალაბიდან სადარბაზოდ მოსული სულტანთა და ამირთა კაცნი სარწმუნონი, თავათ ამირები, ყადები, გულიარები, მსტოვარნი და მსტოვართ-მსტოვარნი გულგანაწყენნი ბრუნდებოდნენ უკან.

მსტოვართა შორის ერთადერთი მსტოვარი ამირ ლიპარიტისა, ვარსიმ ვარძელი ბრუნდებოდა კმაყოფილი შინ, რადგან მთელი წელიწადი თრიალეთიდან ბაიბური არ ისმოდა და ვარსიმ ვარძელმა არც კი იცოდა, საჭირო შემთხვევაში რა ეთქვა, რა მოეხსენებინა სულტანისათვის.

თუმცა წიგნს წიგნზე აგზავნიდა ვარსიმ ვარძელი ხან კლდეკარში, ხან მანგლისში, ხან ლიპარიტის უბანში; ხან ხულუტის ციხეში, ზოგს ლიპარიტს, ზოგს რატის, ზოგსაც ზარგარელს, ლიპარიტის გამგეთუხუცესს, მაგრამ არავითარი პასუხი არ მოდიოდა მათგან.

ბოლოს ის იყო აზნაური აზარაისძე წარგზავნა ვარსიმ ვარძელმა, სამი თვე გავიდა, არც აზარაისძეს მოუწერია რაიმე.

ბოლოს თავათ აპირებდა საქართველოში გამგზავრებას ვარსიმ ვარძელი და ერთ საღამოს იზზ-ალ-მულკმა ამცნო თავის მალემსრბოლის პირით: ნავროზობის დღეს ჩემთან გამოიარე და ბარქიაროკ სულტანის წინაშე სადარბაზოდ წარგადგენო.

თუმცა კვლავ შეცფუნდა ვარსიმ ვარძელი, რა მოვახსენოვო სულტანს, მაგრამ ეს დიდ ბედნიერებად ჩასთვალა მან, რადგან ამ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მთელი ისპაჰანი, არა მარტო ისპაჰანი, მთელი ირანი ბარქიაროკის გარშემო ჭორაობდა, მის გარშემო იყო დავა, ლაპარაკი, ძითქმა-მოთქმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალიქ-შაჰ სულტანისა-ნიზამალ-მულკის მოკვდინებით დამწუხრებული თურქი ხოჯები, ყადები და ერთგული ამირები, ვინც სელჯუკიანთა სასულტანოს ძველი ძლიერების მკვდრეთით აღდგენისთვის ოცნებობდა, ბარქიაროკში ჰხედავდა მესსიას, ხოლო ირანელი პატრიოტები, დერვიშები, ასასინები, სექტანტები, რომელნიც სელჯუკიანთა სულტანებისთვის ჩუმად ლესავდნენ იატაგანებს, ლაფს ასხამდნენ ამ ლოთს, მაშათმავალს, ისტერიულ სულტანს, რომელსაც ვერც ასასინებმა მოუღეს ბოლო, ვერც ამირ ტუტუშმა და მისმა მომხრეებმა.

იზზ-აბუ-აბდალაჰ ჰოსეინ ბარქიაროკის პირველი ვაზირი იყო და როგორც სულტანთან, ისე ვარსიმ ვარძელთან მას ლოთობა აკავშირებდა.

თუ სახელოვანი მაშა მისი ნიზამალ-მულკი სელჯუკიანთა სახელმწიფოსთვის შრომამ და ბრძოლამ შეიწირა, იზზ-ალ-მულკ ამ საქმისათვის დიდად არ იწუხებდა თავს. ომებში იგი დიახაც ვაჟკაცი იყო, მაგრამ თორს გაიხდიდა თუ არა, ნარგილეს მილს და ბროლის ფიალას პირიდან არ იშორებდა, ნიადაგ ლოთობდა სულტანთან ერთად და გალეშილ პატრონს თავათვე უწყობდა ხოლმე ბიჭების ჰარამხანას, რომელიც ბარქიაროკს გამართული ჰქონდა იმავე სასახლეში, სადაც ალფ-არსლანისა და სულტან მალიქ-შაჰის სადედონი იმყოფებოდა.

იზზ-აბუ-აბდალაჰ ჰოსეინმა ბუნდოვანად იცოდა რომ დედის მხრიდან იგი „გურჯი“ იყო, ნაწილობრივ ბაგრატოვანთა სისხლისა, ასე რომ საქართველოს დიდად ამადლიდა, რომ იგი ხელს უწყობდა ლიპარიტის მსტოვარს — ვარსიმ ვარძელს „მუსლიმთა დაუძინებელი მტრის“, დავით მეფის წინააღმდეგ.

იზზ-ალ-მულკ ანისსა და ვაჰარშაპატში იყო მრავალგზის ნამყოფი და ზოგიერთ სომეხ და ბერძენ აზნაურთაგან განაგონი ჰქონდა თითქოს კანონიერი მემკვიდრე საქართველოს ტახტისა უნდა ყოფილიყო არა დავით მეფე, არამედ ლიპარიტ ამირა, ვაჟი იმ ლიპარიტისა, რომელსაც არა მარტო ბერძენი კეისრები სწყალობდნენ, არამედ სელჯუკიანთა დიდი სულტანი ტუღრილ-ბეგიცა.

მთავარზე უმთავრესი ეს იყო: როგორც თავის დროზე ბიზანტიელ იმპერატორებისათვის, ისე სელჯუკიანთა სულტანებისათვის ხელსაყრელი იყო ლიპარიტისძეთა და ბაგრატოვანთა ისტორიულ შუღლზე ნავთის დასხმა.

ვარსიმ ვარძელს დიახაც ეამა ნავროზობის დღეს სულტანის სასახლეში წვევა, უგუნებობის ჩრდილი მაინც უმღვრევდა გულს, ვაჲ, თუ საქმის გამო რაიმე არსებითი მკითხოსო სულტანმა, მაგრამ მისი ერთადერთი იმედი ეს იყო: ალბათ ამ დღეს ბარქიაროკი ისე დაოსებული იქნება ან ღვინისა, ან ჰაშიშისაგან, ალბათ კითხვისა და გამოკითხვის თავი არ ექნებაო.

ყოველივე ამის შემდეგ გასაგებია ის სიხარული, რომელიც აღეძრა მას, როცა ნავროზობის კვირაძალში მსახური სოლეიმანი შემოფრატუნდა და მოახსენა:

აზნაური საამ აბაზაისძე გეახლათო გურჯისტანიდან.

ვარსიმ ვარძელს გადავიწყებული ჰქონდა კოზმან ბერის ერისკაცობის გვარი და სახელი, ამიტომაც გაოცდა, როცა მაღალი, შავწვეროსანი ვაჟკაცი შემოვიდა მის დარბაზში, ტანმორჩილი, მელოტი კაცი თან შემოჰყვა თოროსანს და ქართულად უთხრა: „მწუხრი მშვიდობისა.“

ვარსიმ ვარძელი გაოცებული მიაშტერდა თოროსანს და როცა მის მხლებელზე გადაიტანა მზერა, ზარგარელი შეიცნო მასში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარბაზში ოდნავ ბნელოდა, ვარსიმ ვარძელმა ჯერ რაინდს გაუშვირა ხელი, სადაურობისა და ვინაობის გამოკითხვამდის. თოროსანმა დაასწრო და ღიმილით უთხრა:

„აბაზაისძე გახლავართ, მაკაბელის ციხის პატრონი“.

როცა სოლეიმანმა კიდევ ორი მაშხალა შემოიტანა ვერცხლის შანდლებზე გაწყობილი, ვარძელმა მხოლოდ მაშინ იცნო კოზმან ბერი და სიცილი ვეღარ შეიკავა, საერთოდ ზრდილმა და თავაზიანმა ვაჟკაცმა.

ცნობილია, ტანისამოსი სულიერადაც სცვლის ადამიანს ოდნავ, როგორც მოყვასის, ისე საკუთარი თავის წინაშე.

ლიპარიტ ამირას შეპყრობის შემდეგ კოზმანი გადაკარგული იყო, რაინდულად შეჭურვილი დადიოდა, ცხენზე იჯდა, სახიფათო საქმეებს აკეთებდა რატის დავალებით.

აგრე ეგონა: მოკვდაო თითქოს მის არსებაში საწყალობელი და ყველასგან ყბადაღებული კოზმან ბერი, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ეპისკოპოზის მტრისათვის ოცნებობდა ამაოდ და ვეღარაფერს მიაღწია ჯვალოს ჩოხისა და დიდაზნაურთა დამადლებულ პურის მეტს.

და ამიტომ კვლავ ადუღდა მასში აბაზაისძის აშბოხიანი სისხლი. იწყინა კოზმანმა, როცა მაშხალების სინათლეში მას შესცინა ვარსიმ ვარძელმა ისეთი დამამცირებელი ღიმილით, როგორიც ვაჟკაცს გადაურბენს ხოლმე ტუჩპირზე დეზიანი ან ხმლიანი დიაცის დანახვისას.

ვარსიმ ვარძელმა შეიცნო ეს იდუმალი განაწყენება სტუმრისა და შეეცადა გამოესწორებინა იგი, მყისვე უბრძანა სოლეიმანს წაღები და თორნი გაეხადა სტუმრებისათვის, კატის ტყავის ფაჩუჩები და ხალათები მიერთმია, ფეხე-

ბი დაებანა და მზარეულ ნიფარასათვის ვახშამი შეეკვეთა ახლავე.

როცა ეს ყოველივე მოთავდა, ხალათი გადაიცვა კოზმანმა, ფეხმორთხმული წამოჯდა ნოხებითა და ბალიშებით მორთულ ტახტზე და წვრილად შოუთხრო ვარსიმ ვარძელს როგორც თრიალეთის საერისთაოს ამბები, ისე თავისი თავგადასავალი სამშვილდეს ბარიდან ისპაჰანამდის.

კოზმანი არც ისეთი შლეგი იყო არ მიმხვდარიყო, რომ დავით მეფემ, კოზმანისთვის გაუგებარ მიზეზების გამო, ხელი აიღო მის შეპყრობაზე, მაგრა აბაზაისძეთა ძველი მამაცობისთვის ეშხის მისაცემად ეს დაუმალა ვარძელს და ვაჟკაცური იერით უამბო თუ როგორ „გამოექცა“ იგი დავით მეფის „სისხლის მხვრეპელ“ ჩუხჩთა.

„მდევარმა სანამდის შოგსდია?“

შეეკითხა ვარძელი კოზმანს.

„ლორეს ციხემდის“.

იცრუა კოზმანმა.

„კახთა მეფეს კვირიკეს, ანუ ბანუ ჯაფარს ხომ არ ეომება დავით მეფე?“

„ჯერჯერობით არა, მაგრამ ვაჰარშაპატში ავასინის ლაშქართა სარდალი ვინახულე და მან მიამბო: დავით მეფის მსტოვარნი შევიპყარი და გამოვტეხეო: დავით მეფე და გიორგი ჭყონდიდელი სამშვილდეს უმიზნებენ. აქედან კვირიკეს შეუტევსო ალბათ. თრიალეთი ხომ აიღო, სამშვილდეს მიიტაცებს, სამშვილდეც ხომ ლიპარიტ დიდის სამკვიდრო იყო. მერმე გადალახავს მტკვარს და როცა კახეთ-ჰერეთს შემოიერთებს, რაღა დარჩა, ბანუ ჯაფარს და ტფილისის ციხეს მოჭრილი ექნება გზები“.

ვარსიმ ვარძელი ფრიად დააღონა იმ საღამოს განაგონმა. ნაღვლობდა ფრიად, ამ სიბერეში რომ დაჰკარგა არა მარტო სამშობლო და მამული, ცოლშვილიცა.

„შენ რა გიშავს, კოზმან, მარტოხელა კაცი ხარ, ან იერუსალიმს შეაფარებ თავს, ან ათონის იბერიელთა მონასტერს, ასე თუ ისე იოლად გახვალ. ოჯახი მაინც არ გამეგზავნა თრიალეთს, მე შლეგს!“

„როგორ, თრიალეთს გაგზავნე სახლეული?“

განცვიფრებული შეეკითხა კოზმანი.

„ჩემი ცოლის ძმაი იყო ბაღდადში, იქიდან ჩამოიარა, თან გავატანე ბალღებიანად ცოლი“.

თათაის სახელი ენის წვერზე დაადგა. შეძრწუნდა: ეგებ თათაიც გაეგზავნოსო თრიალეთს. უნდოდა ეკითხა: თუ სად იყო თათაი, ან მისი ქმარი ამირ ქერბორგა, რომელიც ბარქიაროკისა და ტუტუშის ომებში მონაწილეობას იღებდა მისი ცნობით, მაგრამ გამბედავობამ უღალატა და დადუმდა.

ამასობაში სოლეიმანი და მზარეული ნიფარაი შემოფრატუნდნენ და ვახშმის გაწყობას ხელი მიჰყვეს.

„მაშ ბარქიაროკის მიერ თრიალეთის ჯარის გაგზავნის იმედი არ უნდა გვექნეს?“

„რა მოგახსენო, ჩემო კოზმან, აირია სელჯუკიანთა სასულტანო, ხვალ სადარბაზოდ ვარ წვეული, შენც თან წარგიტან, თუ სულტანი ფხიზელი მოვიხელეთ მე და იზზ-ალ-მულკმა, საცღელს არ დავაკლებთ და სათქმელს

ვნახოთ რას გვეტყვის სულტანი“.

„ქერბორგა სადღაა?“ იკითხა კოზმანმა (რა თქმა უნდა ამირ ქერბორგა როდი აინტერესებდა მას, არამედ თათაის სადაურობა).

„ქერბორგა?.. ვგონებ მოსულშია“, ყრუდ ჩაილაპარაკა ვარძელმა, რადგან არ უნდოდა ენაჭარტალა ბერისთვის გაემხილა, რომ ქერბორგა ამირი ბარქიაროკის მოსისხარი იყო. სულტანის სასახლეში თავათ იზზ-ალ-მულკმაც არ იცოდა, რომ ქერბორგა ვარსიმ ვარძელის სიძე იყო, ამიტომაც დადუმდა ვარსიმ ვარძელი.

*
* *

კოზმან ბერი ისე გათანგული იყო აქლემების ყანყალითა და უდაბნოს ბუღით, დიდხანს ვერ მოსულიერდა, არც ძილი მიეკარა მის თვალებს. შუაღამე გადავიდა თუ არა, უცნაური ღრიანცელი, სიმღერა, დაფდაფების ცემა ატყდა ისპაჰანის ქუჩებში.

„ხვალ ნავროზობაა“!

გაიფიქრა ბერმა და საბანი წამოიხურა თავზე, მაგრამ ამაოდ. მოუსვენრად იცვლიდა გვერდს; ბორგავდა, ტრიალებდა, ხვნეშოდა, ძილი აღარსად იყო.

იყივლეს მამლებმა და ირიჟრაჟა თუ არა, გამძაფრდა გნიასი, იმატა დუმბულების ცემამ, საყვირების ხმამ, ზურნის ჭიჭყინმა, ხმა აღიმაღლეს მეთარეთა, ეს გამყინავი ხმები უფრო მუეძინების ყივილს მიაგავდნენ, ვიდრე სიმღერას.

კოზმანი წამოდგა, საბანი წამოისხა და სარკმელს მიადგა. უჩვეულო სანახაობა გადაეშალა თვალწინ. მოედანზე დანთებული კოცონების გარშემო როკავდნენ ჭრელჭრულად, წითლად და ყვითლად მორთული ბრბოები, ველურ ყიჟინს ისროდნენ ხორხიდან.

ლავასავით მიედინებოდნენ მრავალ ათასიანი ბრბოები, მათ წინ მიუძღოდა აქლემზე აღმხედრებული წითელ-ყვითელ ფარჩებში მორთული „მეფე“, რომელსაც ქრისტიან მეფეთა გვირგვინის დარი, მუყაოს დიადემა ზედეხურა, ხელოვნური თვლებით, ჭრელი ღინჭილებით მორთული.

აქლემის გვერდით დინჯად მოალაჯებდნენ ხის იატაგანებით წელდამშვენებული ქონდაქარნი „მეფისა“, ისინი ხან ენას უყოფდნენ ამ „მბრძანებელს“, ხან აშკარად ეჯღანებოდნენ, ბრანწს უჩვენებდნენ და როგორც კი „მეფე“ წარბებშეყრილი გადმოუბღვერდა აქლემიდან ძირს, მყისვე გაიჯგიმებოდნენ და მოზეიმე იერით განაგრძობდნენ ცერემონიალურ სვლას.

არც ვარსიმ ვარძელს სძინებია იმ ღამეს. დილით სასტუმროში ეკარუ—შემოაღო და სარკმელთან წამოჯდა. ბერი რა დაინახა, გაეღიმა:

„ამდენი გივლია, კოზმან, მუსლიმთა ქვეყნებში და ნუთუ ნავროზობა არ გინახავს?“

*
* *

საუზმის დროს ისევ თრიალეთის ამბების გაგო დაიწყო საუბარი. კოზმანი ვარსიმ ვარძელზე ნაკლებად როდი ერკვევოდა წინა-აზიის ვითარებაში. იგი დარწმუნებული იყო: უკეთუ სულტან ბარქიაროკი შესძლებდა ხალიფას დამორჩილებას, შემდგომ ამისა, დანარჩენი სულტნები და ამირები იძულებული გახდებოდნენ ფეხქვეშ გაჰგებოდნენ ბარქიაროკს.

კოზმანის სიტყვებმა მხნეობა შეჰმატა ვარძელს.

ვარსიმ ვარძელი ღვინის ვაჭარი იყო. არაბულისა და ფარსულის ცოდნა მას ხელს უწყობდა და ამიტომაც ისპაჰანის ტახტთან ჩუდმივი კავშირი ჰქონდა. ერთი გარემოებაც შველოდა მას: იზზ-ალ-ჩულკს ქართულად დაყენებული „მწარე“ ღვინოები უყვარდა და ყოველივე ამის გამო დაწინაურდა იგი ისპაჰანში.

კოზმანმა სიტყვა ჩამოაგდო:

„თრიალეთში ხმა გავრცელდა: ხალიფა ალ-მოქთადი მოჰკლაო სულტან ბარქიაროკმა. აგრე ამბობენ ზოგნი. სხვანი სხვას ამბობენ: მოაწამვლინაო სულტანმა ხალიფა“.

„ამ ორ ცნობაში არც ერთია მართალი“, შენიშნა ვარძელმა. „სამი თვის წინად ბარქიაროკი სპით გაემგზავრა ბაღდადს. იზზ-ალ-მულკი თან ახლდა მას. ბაღდადი არა მქონდა ნახული, ამიტომაც ვთხოვე ვაზირს და მანაც თან წარმიტანა. აკარკუფში სულტანს წინ მოეგება ხალიფას ვაზირი, იზ ალ-მულკის ძმა, ამიდ ალ-მულკ და მთელი მოსახლეობა ქალაქისა.

ლაშქარი ბაღდადის მისადგომებში დაბანაკდა. ბარქიაროკმა თავისი ვაზირი იზზ-ალ-მულკი მიავლინა ხალიფასთან და შეეკითხა: ხუტბას თუ აღავლენო ჩემს სახელზე?

ხუთშაბათს, მუჰარემის მეთოთხმეტე დღეს, ხალიფამ ხუტბა აღავლინა ბარქიაროკის სახელზე, მეჩეთში.

შემდგომ ამისა, ამირ ალ-მულკმა მოართვა სულტანს ქილაჰ.“

„ქილაჰ რაღაა?“ იკითხა ზარგარელმა.

„ქილაჰ — საპატიო ხალათია ერთგვარი.“ მიუგო ვარძელმა.

შემოფრატუნდა მოხუცი სოლეიმანი და ქართულად შემწვარი მწვადები მოართვა სტუმრებს.

კოზმან ბერი დააცხრა ბწვადს და ვიდრე ლუკმის გადასანსლვას მოასწრებდა, წამოიძახა:

„მერმე, მერმე?“

„მერმე ის იყო, ბარქიაროკმა გარდაიცვა ქილაჰ და მეორე დღეს წარუდგა ხალიფას და წარუდგინა სიგელი, რომელზედაც სულტანის „ილამაჰ“, ესე იგი მისი ხელწერა იყო დასმული.

ხალიფამ გამოართვა სიგელი და თავათაც ზედ დასვა თავისი ილამაჰ.

ამ საზეიმო შეხვედრას დაესწრო ხალიფას შემს ენნიჰარ, ხალიფას განმგეთუხუცესი, მისი კაჰერმანაჰ.

უცებ ხალიფა მიაშტერდა სულტანს, ანაზდად თავი გადასწია უკან, გამღვეულივით დაბარბაცდა და წამოიყვირა:

„ვინ მომგვარა ეს კაცი ჩემდა უკითხავად?“

შემს ენნიჰარს აგრე ეგონა, კიდევ სხვა ვინმე შემოსულაო დარბაზში, მიმოიხედა, მაგრამ მანდ ბარქიაროკის გარდა არავინ აღმოჩნდა.

შემს ენნიჰარმა მყისვე შენიშნა, თუ როგორ გაფითრდა ხალიფა, ხელები აუცახცახდა, დაბარბაცდა და მოცელილივით დაეცა იატაკზე. მას აგრე ეგონა: გული შეუწუხდაო ხალიფას. საკინძე შემოაფხრიწა, მაგრამ გულშემოყრილის ნაცვლად სულამოხდილი შერჩა ხელში“.

ისევ შემოცუნცულდა სოლეიმანი, ახლა ქართული საცივი მიართვა სტუმრებს. კოზმან ბერი ჯერაც არ ეშვებოდა მწვადებს, საცივის ჭამა ძლიერ ეჩქარებოდა, მაგრამ მაინც იკითხა:

„რა ხნისა იყო ხალიფ ალ-მოქთადი?“

„ოცდაცამეტისა“.

მიუგო ვარძელმა.

„როგორც ქვეყნის მმართველი როგორი იყო ხალიფა?“

შეეკითხა ზარგარელი მასპინძელს.

„მის დროს გამშვენიერდა და გაბრწყინდა ბაღდადი. ახალი სასახლეები, მოედნები და ქუჩები შეჰმატა ქალაქს, ამ ნაწილს ქალაქისას ახლაც უწოდებენ: „ალმაჰალედ ალ-მოქთადიეჰ“-ს.

იგი ფანატიურად ღვთისმოსავი იყო. ბაღდადიდან გააძევა სიძვის დიაცები, მომღერალი ქალები, სარწმუნოების ჭირვეული ქომაგი.

„მიზარის“ ლოცვის შეუსრულებლად აბანოში არ უშვებდა ხალხს. მენავეებს აკრძალული ჰქონდათ დიაცებისა და მამაკაცების ერთად ჩასმა ნავში“.

„გაუთვალავს სულტანს ის უბედური ხალიფა“.

სთქვა სიცილით კოზმან ბერმა და ქათმის კურტუმო დაითრია.

*
* *

ვიდრე სულტანის სასახლეში დარბაზობა დაიწყებოდა, ვარსიმ ვარძელი ისპაჰანის ქუჩებში დაატარებდა კოზმან ბერს. როგორც ყოველი უფანტაზიო კაცი, რომელსაც გაჭირვების მეტი არაფერი უნახავს, კოზმან ბერი გაწუწკებული იყო არა მარტო საჭმელების, არამედ სანახაობათა მიმართაც.

დოღზე წაიყვანა ვარძელმა კოზმანი. გაჭიმულ საბელებთან იდგნენ ისარივით გამართული ბედაურები, კისერმოდრეკილნი ღეჭავდნენ ლაგამს და

მოუთმენლად თრთოდნენ. შავითმოსილი ბიჭუნები ზედ ისხდნენ და თავიანთ ცხენებზე უფრო მეტად ღელავდნენ თავათ.

ვიღაცამ ჰაერში შეაფრიალა ზაფრანისფერი ატლასი და მერეხივით მოსწყდნენ ადგილიდან ცხენები.

ჯერ წყვილ-წყვილად მიგელავდნენ, მერმე ოთხახმით დაიფანტნენ ვრცელ ასპარეზზე, როგორც მანიაკიდან უეცრად მოწყვეტილი ალმასები, ან როგორც უდაბნოს დურაჯის „კათას“ გუნდი, ბორას შიშით დამფრთხალი.

როცა მარულა მოთავდა, ცნობისმოყვარე კოზმანი უთვალთვალებდა თუ როგორ ურიგებდნენ „კეთილ ვარსკვლავზე დაბადებულ“ მოჯირითეებს ოქროს დიჰრემებით სავსე ქისებს, ოქროს ბროკატებს, ატლასისა და ხაერდის სამოსელებს, ძოწის ნაჭრებს. როცა ეს ნადავლი მოჯირითეებმა გავაზე გადააფინეს გამარჯვებულ ბედაურებს, აგრე ეგონათ მაცქერალთ: ოქრო და სისხლი გადაუღვრიათო ჰელლოზე ადრე მისულ ცხენებისათვის.

ვარსიმ ვარძელმა რომელიღაც სასახლის კედელზე მზის საათი შენიშნა, დააცქერდა.

„ახლა კი დროა სასახლეში წავიდეთ, სადაცაა დარბაზობა დაიწყება უთუოდ“.

უთხრა კოზმან ბერს და მკლავში წაავლო ხელი.

მოედნებსა და ქუჩებზე მდიდრულად ჩაცმული, ფეხშიშველა თურქები და ირანელები დაყიალობდნენ, თან დაჰყავდათ ვერძები, ყოჩები, ძაღლები და მამლები, ურთიერთთან აჯიბრებდნენ და არკინებდნენ მათ.

მათ გარშემო დაძრწოდნენ აგრეთვე ფეხშიშველა, სამოსშემოხეული, შიმშილისაგან ღონემიხდილი ბრბოები, რომელნიც სანახაობით ირთობდნენ თავს, ისინი შურით შესცქეროდნენ არა მარტო დიდკაცებს, რომელთაც ნავროზობის დღეს დავიწყნოდათ თავიანთი სიმდიდრის, პატივისა და დიდების შეშნობის უნარი, არამედ მათ ყოჩებს, მათ ვერძებს, მათ მამლებს, არა თავის შესაქცევად ნატრობდნენ ამ უკანასკნელთ, არამედ ნავროზობის დღეს მადიანად გასაძღომად.

მოედანი გადაიარეს ერთი და სავსებით უცნაურ სანახაობას წააწყდნენ: შეტბორებული ბრბო იდგა და ისმოდა ველური ყიჟინი. დაბებკილი ძონძებით შემოსილი ღატაკები გამოსულიყვნენ ქალაქში და წყალს ასხამდნენ ყველა გამვლელთაგანს, ვისაც მდიდრულად ეცვა. თითქმის ყველა კარგად ჩაცმული დაზუზული დადიოდა, ვერავინ გადარჩებოდა გაუწუწავი, ვინც ოქროს დიჰრემებით არ გამოისყიდდა თავს.

*
* *

იმ დილით უთენია სულტან ბარქიაროკს ეწვია იზზ-ალ-მულკ, რომელიც დაცდილი ჰყავდა სულტანს როგორც „კარგი მეფეხური“. თეთრი ქორი ეჯდა მარცხენაზე იზზ-ალ-მულკს.

პირისპირ წარუდგა სულტანს და შეჰკადრა ვაზირმა:

„ნება მებოძოს გეახლოთ“.

ხოლო სულტანმა ბრძანა:

„ვინა ხარ, საიდან მოსული, რას წარმოადგენ და რა მოგაქვს?“

„მოვდივარ ორ კურთხეულისაგან და მივალ ორ ნეტარისაკენ და სახელი ჩემი არს ხუჯესტოე და ჩემთანაა წელი ახალი და მომაქვს სულტანთან სასიხარულო ამბავი:

სალამი და გახარება“.

და მიუგო სულტანმა: „შემოდი“.

და დაუდგა იზ ალ-მულკმა თავის მბრძანებელს ვერცხლის ტაბაკი, რომლის კიდეებზე განწკრივებული იყო მარცვლები ხორბლისა, ქერისა, ღომისა, ოსპისა, ცერცვისა და მუხუდოსი.

და აიღო სულტანმა შვიდშვიდი მარცვალი ყველა მათგანისა და დააწყო

ვერცხლის ტაბაკის კიდეებზე და ვერცხლის ტაბაკის შუაგულში დააწყვეს კომშის, ზეთისხილის და ბროწეულის შტოები.

შემდგომ ამისა მოუტანეს სულტანს, ისე როგორც სპარსთა მეფეებს მოართმევდნენ ნავროზობის დღეს, ვერცხლისა და ოქროს ლარნაკები, ზედ ეწყო შაქარი, კოკოსის ნაყოფი, ოქროისა და ვერცხლის თასები.

იმავე დღეს გააფრინეს ისპაჰანის სასახლიდან სულტანისადმი მირთმეული თეთრი ქორი, ახლად ნადული რძე მიირთვა სულტანმა, ჭყინტლი ყველი, სწორედ ისეთი, როგორიც ფარსთა მეფეებს უყვარდათ ფრიად.

*
* *

როცა ბარქიაროკის სასახლემდის მიაღწიეს ვარძელმა და კოზმან ბერმა, „ისპაჰანის სასახლეთა პირველი ჭიშკარია!“

სთქვა ვარძიმმა და ორივეს თვალში მოხვდა ორი ლომი, ჩალისფერი გრანიტისაგან გამოკვეთილნი, ისინი დარაჯობდნენ მარმალილოს თაღებს ქვეშ მიმავალ, წითელი აგურებით მოკირწყლულ გზას.

როცა სამი ასეთი კარიბჭე განვლეს, დაიწყო თეთრი მარმალილოს კოლონადა და მოისმა მუსიკის გრიალი. ისმოდა დაფდაფების ცემა, „ცამარას“ წკრიალი და ფარსული ჭიანურის „რაბბას“ კვნესა.

გვერდს ჩაუარეს ნაირნაირად შეღებილ შრამელებს, ბაღჩებსა და ბაღჩებს შორის მოშუშხუნე, შხაპუნა შადრევანებს, აქაც დაღრენილი ქვის ლომები შემოეფეთათ მათ.

არკადებს შორის ფერადი საბელები იყო გაბმული და ზედ ეკიდა უამრავი თექური ნოხები, რომელზედაც ისევ და ისევ ლომები და ვეფხვები იყვნენ გამოხატული.

მთავარ სასახლის შესავალთან, ფირუზისფერ მარმალილოს კოლონადებში მდუმარედ ისხდნენ დაღრენილი ლომები, ლომისფერ მარმარისაგან გამოკვეთილნი, ესენი ისეთი დიდი ხელოვნებით იყვნენ შესრულებულნი, ჯუნგლებიდან გადმოსახტომად განმზადილ ნადირთა მეფენი ეგონებოდა ხამ კაცს.

სასახლის ვესტიბულში იდგა უზარმაზარი საბუდარი ფარშევანგისა, ზედ ფარშევანგი იჯდა. მისი დაფანჩული ფრთები სწორედ იმ ადგილებში, სადაც მათ ვერცხლის მონეტის დარი ტალები ატყვია, სადაფებით იყვნენ მოოჭვილნი.

შესავალთან თორიანი რაინდები იდგნენ ისე გახევებული, იგინიც ნაქანდაკები ეჩვენა კოზმანს. ამ რაინდებს ფარშავანგის ფრთებით მორთული მუზარადები ეხურათ.

ატლასის დიდი ფარდა დაწეული დაუხვდათ დიდ დარბაზში. ისპაჰანის კარისკაცნი და დიდებულნი იდგნენ და ისხდნენ ირგვლივ.

დარბაზის შუაგულში გამართულ ტახტზე სულტან ბარქიაროკი იჯდა, „მარჯვნით იზზ-ალ-მულკ დგას, მარცხნით ლისტიფიას უხუცესი ალი-ოსტად“.

უჩურჩულა ვარძელმა კოზმანს.

„ტახტის გარშემო, წრის პირველ ნახევარში სულტანის ნათესავებია, მეორეში ამირები, კარისკაცები და ხოჯები“.

ხოლო ამ უკანასკნელთა სიახლოეს ხელშუბიან ზანგებს ჯაჭვებით დაბორკილი ლომები და ვეფხვები დაჰყავდათ.

უზარმაზარი სპილო ქანაობდა და ყანყალებდა მათ შორის, როგორც ლოცვად დამდგარი ებრაელი რაბბი.

კოზმან ბერმა მზერა დაძაბა: იგი გაოგნებული მიაშტერდა სახედანაოჭებულ, ყელგრძელსა და მაღალშუბლიან, გამხდარ კაცს, რომელიც ისე აფახულებდა ჩაფერფლილ თვალებს, თით-

ქოს მასთან მოსალოცად, სათაყვანოდ მოსულ ნათესავებს, ამირებსა და კლიენტებს ვერც კი ამჩნევდა. როგორც ყოველ ჰაშიშის ლოთს, მას დაბერილი თვალის უპეები ჰქონდა, ფერმკრთალი ღაწვისთავები და გამხმარი, სიფრიფანა ცხვირი, ეჩოსებრ წაწვეტებულ ნიკაპზე თხელი და ჟღალი წვერი წაზრდოდა, სულ რამდენიმე ღერი თმისაგან შემდგარი.

*
* *

ნავროზობა იმ წელსაც, ჩვეულებისამებრ, ექვს დღეს გაგრძელდა. თუმცა ბევრს ეცადა იზზ-ალ-მულკ, მაგრამ პირველ დღეებში ვერ შესძლო ვარსიმ ვარძელისა და „ქართველი თავადის“ საამ აბაზაისძის მის წინაშე წარდგენა.

ბოლოს არაბულ და ფარსულ ტკბილი ღვინოებით გულმოყიჭებულ სულტანს, ერთ საღამოს, ნასმურევზე გურჯისტანის „მწარე“ ღვინო მოენატრა და ასეთ ღვინოებს ერთადერთი ვარსიმ ვარძელი აყენებდა ისპაჰანში. ნავროზობის დღისთვის დიდძალი „მწარე“ ღვინო ჰქონდა გაგზავნილი იზზ-ალ-მულკისთვის ვარძელს, ამიტომაც ეწვია სულტანი იმ საღამოს თავის ვაზირს.

იზზ-ალ-მულკ სავსებით განმარტოებით ცხოვრობდა თავის სასახლეში, რომელიც აჩუქა მას მისმა სახელოვანმა მამამ ნიზამ ალ-მულკმა, შვიდი მამრობითი სქესის მსახურის, შვიდიოდე მწევრის, ოცდაოდე თეთრი ქორისა და შავარდენის ამარა.

მამისეული ძველი ქითაბები, ჩინური, ფარსული და არაბული ხელნაწერები, რომელნიც ომებშიაც თან დაჰქონდა მალიქ-შაჰს დიდ ვაზირს, მტვერში ეყარნენ უპატრონო და მოუვლელნი.

ცოლი არასოდეს შეურთავს იზზ-ალ-მულკს, არც ჰარამხანა გააჩნდა დიაცთა მოძულეს. ჯერ კიდევ სიჭაბუკეშიაც ყურანის ლექსით ინუგეშებდა იგი თავს:

„... და ვინც ვერავინ ეპოვნოს თანამემცხედრედ, უბიწოდ დამთეს და უცადოს ჟამს, როცა ყოველთა მოწყალე ალაჰ სიჭარბის კალთას თვისას გადააბერტყავს მას თავზე“.

იმ საღამოს არც ამირები და სხვა წარჩინებულნი მოუწვევია. შვიდმა მოხუცმა მამაკაცმა გაშალა სუფრა. პურობას დაესწრნენ ალი-ოსტად, ლისტიფიასუხუცესი და ბაზიერთუხუცესი ისმაილ-აბუ სოლიმან, რომელიც მუდამ თან დაჰყავდა სულტანს, როგორც მასხარა თავშესაქცევარი.

არც მომღერალნი დასწრებიან ქეიფს, დიაცთაგანნი, დეილემელი და ფარსი უწვერული ბიჭები უკრავდნენ სანჯს, რაბბაბს და ცამარას.

ვიდრე ქართულად დაყენებული „მწარე“ ღვინო გაუტკბებოდა სულტანს და თრობა წაეკიდებოდა ღვინის უძღომელს, იზზ-ალ-მულკმა მოასწრო წარედგინა მისთვის „გურჯისტანის დიდი აზნაური, მაკაბელის ციხის პატრონი, საამ აბაზაისძე,“ და შემდგომ ამისა, სულ ახლოს მიუჯდა ბარქიაროკს. ლოთობის დროს მითამამებულ ვაზირს ყურის ბიბილოსთან მიჰქონდა ტუჩპირი პატრონთან და უამბობდა მას კანტიკუნტად კოზმან ბერის მიერ ჩამოტანილ ახალ ამბებს „გურჯისტანისას“.

ფარსულში კარგად იყო გაწაფული ვარსიმ ვარძელი, მაგრამ ეს ჩურჩული ისე ხმა დაბლა ხდებოდა, მას მხოლოდ ნაწყვეტები ესმოდა ფრაზებისა: „ლიპარიტ ამირა“, „კლდეკარი“, „თბილისი“, „დავით მეფე მუსლიმთა მმუსვრელი“ და სხვ.

ბოლოს კოზმან ბერს შეჰხედა იზზ-ალ-მულკმა და ეუბნება სულტანს ხმა მაღლა:

„პაპა მისი, დიდი აზნაური აბაზაისძე დედიჩემის ბიძას ებრძოდა, ბაგრატ კუ-

როპალატს, რომელიც ახალქალაქთან შეება დიდ სულტანს, ალფ-არსლანს“.

ბარქიაროკმა თავისი ცხენის თავივით წაგრძელებული თავკისერი მაღლა ასწია, ჩაფერფლილი თვალები ნერვიულად დააფახულა, კოზმანს გაუმართა მზერა, მერმე იზზ-ალ-მულკს გადახედა და უთხრა:

„ამ უფალმა თუ იცის ფარსული?“

არ იცისო, მიუგო იზზ-ალ-მულკმა.

„მაშ შენ უთხარი ჩემს მაგივრად მას: კარგი ვაჟკაცი ყოფილა პაპა მისი, მაგ გიაურს რომ ებრძოდა „პაკრატს“ (და ეს სახელი ისე წარმოსთქვა მან, როგორც ბერძნები უწოდებდნენ ხოლმე თავის დროზე ბაგრატ მეფეს).

წამოდგა ვარსიმ ვარძელი, გაავსო ქართული აზარფეშა და მოწიწებით მიართვა სულტანს. ბარქიაროკმა ერთბაშად გამოსცალა „მწარე“ ღვინო, მთლად დაემანჭა სახე, მერმე ლავაშის კიდეს მოსტეხა ნამუსრევი, ღეჭავდა მცირე ხანს და ბოლოს ეს უთხრა იზ ალ-მულკს:

„შენ უთარჯიმანე ამ უფალს და უთხარი: მე წრეულ ვერ ჩამოვალ გურჯისტანს, გაისად ან მე ჩამოვალ, ან იზზ-ალ-მულკს წარვგზავნი, და გავატან ყურანის ერთ ლექსს:

„უწყოდნენ ურწმუნოთა, უსასტიკესი სასჯელი რომ მოელით მათ“.

მე ადრემც მამცნეს ჩემმა მსტოვარებმა, რომ დავით მეფეს მშვიდობიანი თურქი მეცხვარენი შეუპყრია ლიპარიტ ამირას საერისთაოში.

ისინი უწყინრად მიდიოდნენ თურმე თემშარაზე, თავიანთ ფარას მიელალებოდნენ, დავით მეფე და მისი ამალა წამოსწევიათ თურმე უსაჭურვლო თურქებს, შეუპყრიათ და მოპირულ ხმლებზე გადაუხტუნებიათ მწყემსნი“.

ესა სთქვა სულტანმა და ვარსიმ ვარძელის მიერ ხელახლა მორთმეულ აზარფეშას დაეწაფა.

პირმშვენიერი ფარსი ბიჭუნა, რომელსაც დიაცური, ვიწრო მხრები ჰქონდა და შავ ატლასში გამოკრული სქელი თეძოები, ბეჭედივით წვრილ ტუჩპირს კეკლუცურად [illegible] ინით შეღებილი, წაზრდილი [illegible] ებღაუჭებოდა სანჯს და მღეროდა:

„ცხენს დეზი ჰკარი, გაჰკვეთე ქარი,
და გადალახე უდაბნო ვრცელი,
ჩემი მიჯნური, გვრიტი მწყაზარი,
უკვე მიმელის...
დაუკარ სანჯი...
თუნდ იყოს მრუშე ეგ ღამე გიშრის,
ჩავიდეს ბნელში თითბერის მთვარე,
მე შენს სიყვარულს ვერვინ დამიშლის,
ტკბილო მოყვარე.
დაუკარ სანჯი...
ჩავიდეს ბნელში თითბერის მთვარე,
ათასი მთვარე ისევ ამოვა,
ცრემლმა ღაწვებზე გადამათოვა,
ტკბილო მოყვარე.
დაუკარ სანჯი...
ვერც ქრისტე გაგვყრის, ვერც ეჰოვა,
ვერც ნათესავთა უძღები ხროვა,
ვერც მოენეთა ბოროტი ხვანჯი.
დაუკარ სანჯი...“

ვერც მესამე და მეოთხე აზარფეშის გამოცლამ, ვერც სანჯის წკრიალმა უგუნებობა ვერ გაუფანტა უკვე შეზარხოშებულ სულტანს. მისი ჩაფერფლილი თვალები გაავებულნი ელავდნენ.

„ეს უნდა უწყოდეს დავით მეფემ, სადაც თურქული ცხვარი სძოვს, ის თურქის ქვეყანაა და თუ ჯერ კიდევ არ არის, თურქის ქვეყანად უნდა იქცეს იგი. ხომ გასაგებია?

საძოვრები არ დაგვანებეს ჩვენ, თურქებს ღაზნევიდებმა და ამიტომაც დავამსხვრიეთ ირანის სამეფო. ხომ გასაგებია?

როგორ? თურქულმა ცხვარმა რა უნდა ჰქნას კავკასიაში, თუ ზაფხულობით თრიალეთს არ შეეხიზნა. ხომ დაგვეღუპა სამშვილდეს ბარში ცხვარი?

კარგად უწყოდეს დავით მეფემ, მას არ შერჩება ეს ამბავი.

ხომ დაგვიბარა მუჰამედმა, ალაჰის სახელით, რომელიც არის თანამდგომი და შემწყალებელი მორწმუნეთა და

განმსჯელი და განმკითხველი ურწმუნოთა ყოველთა:

„და აჰა, თქვენ თავათ იხილეთ რა ცუდი დღე მოელით ურწმუნოთა“.

მე ამას ვამბობ და ალაჰს უკეთ ეცოდინება ეს ამბავი.

ხომ გასაგებია?“

კოზმანი მონუსხული შესცქეროდა ამ გამხდარსა და ყელგრძელა სულტანს, რომელიც ისე გაბმულად, ტკბილად ლაპარაკობდა ამ კეთილხმოვან, მშვენიერ ფარსულ ენაზე, კაცს ეგონებოდა მღერისო.

ახლა ასევე ტკბილი ფარსული ღვინო მოსვა ბარქიაროკმა და ვარსიმ ვარძელს ჰკითხა:

„როგორა სთქვა იმ უფალმა, რა ოდენობის ლაშქარი ჰყოლია თრიალეთში დავით მეფეს?“

ვარსიმ ვარძელს ენა აერია შიშისა და მოკრძალებისაგან, მაგრამ შაინც მიუგო:

„სამ დღეს გრძელდებოდა მარტო ცხენოსან მოისართა შემოსვლა თრიალეთში, დიდო სულტანო“.

„კეთილი. მე იზზ-ალ-მულკს იმდენ ლაშქარს გავატან, ექვს დღეს რომ გაგრძელდეს მისი შესვლა თრიალეთის საერისთაოში.

გარდა ამისა, მე ორი ამირა მყავს ისპაჰანის სასახლეში, მეხმლენი, აბდალაჰ-აბუ-მუჰამედ და მაჰმუდ-ბენ-ანიმაჰ, ისინი სხვას არაფერს მიკეთებენ, ურწმუნოებსა და სულტანის ტახტისადმი ქვეგამხედვარებს თავს სჭრიან.

ამ ორ ამირასაც თან გავატან იზზ-ალ-მულკს და მაშინ ნახოს დავით მეფემ თუ რა საამოა მოპირულ ხმლებზე გადახტომა. ხომ გასაგებია?“

უკვე რიჟრაჟი იწყებოდა, არ ეშვებოდა „მწარე“ ღვინოს სულტანი, მაგრამ იზზ-ალ-მულკი ხედავდა: თრობა ეკიდებოდა ბარქიაროკს. ბევრი ევედრა და ძლივს წამოაყენა, რადგან ბიჭების ჰარამხანაში ეჩქარებოდა თავათაც.

როცა ვარძელი და კოზმან ბერი ქუჩაში გამოვიდნენ, უკანასკნელმა ეს უთხრა პირველს:

„ასეთ დიდ სულტანს, ამდენი სიმდიდრისა და ლაშქრის პატრონს რა უნდა დააკლოს უპოვართა და გლახაკთა მეფემ?“

ესა სთქვა კოზმანმა, ვარსიმ ვარძელმა თავი ზეასწია, ვარსკვლავებით მოოჭვილ ცას ზეახედა შეზარხოშებულმა და ახალი იმედები აუყვავდა გულში.

XXIII

ბარათები შარაღანიდან

გეგუთი. ჯუანდიდის მთავარეპისკოპოზს, მამაი გიორგის, ქრისტეს მიერ გლახაკის, ფილაქის ეპისკოპოზის სტეფანოზისაგან

გიორგობის დღეს, გეგუთს მიაღწია ანაკოფიიდან წარმოგზავნილმა მალემსრბოლმა და ეს ბარათი მიართვა გიორგი ჯუანდიდელს: დიდად შეჭირვებულა სტეფანოზ ყიფჩაღეთში. მკალსა ვჭამო და ცხენის ხორცს, რომელსაც ჩაჩხად აკეთებენ და საკომურებში წლობით ინახავენო.

კიბიტკების ქვეშ ვცხოვრობო ყიფჩაღებთან ერთად, აურაცხელი საქონელი ჰყავთ, საქონელზე უფრო მეტი მწერები. ამიტომ აქ ვინც არ იქექება, უზრდელად ითვლებაო.

როგორც იქნა გამეზარდა წვერი, ახლა უფრო სანდო თვალით მიცქერიანო შარაღანში. დავით მეფის ნაბრძანები შევუთვალე, წიგნიც წარვგზავნე ყიფჩაღთა უმთავრესის შარაღან შარაღანისძის ბანაკში, მაგრამ პასუხი არ მიმიღია, რადგან შარაღან შარაღანისძე რუსებთან ბრძოლით არისო გართული.

წრეულს ვეახელი შარაღანისძეს.

აქ მარტო ვარ და მარტოხელა კაცი თავის სიბრძნეშიაც შლეგია, წარმოგ-

ზავნოს დავით მეფემ კაცნი სარწმუნონი. შარაღან შარაღანისძეც აგრე უბნობს: შენ ერთ კაცს რა დაგიჯეროვო, ისინი ყველაფერს მრავლად ჰხედავენ, ცხვრებსა და თხებს, თავათაც ცხვარივით მრავლდებიან, ამიტომაც სიმრავლეს ანიჭებენ მხოლოდ პატივს.

თითი მაჩვენა შარაღან შარაღანისძემ ერთი.

მითხრა: ერთი საერთოდ არაფერიაო, თავი და ხელი დააქნია.

მერმე გაშალა ათივე თითი, ყველაფერი ბევრიაო კარგი. შენ ერთს რა დაგიჯეროვო, ხუთასმა კაცმა სისულელეც რომ დამიმოწმოს, ეს უფრო სარწმუნოაო, ვიდრე ერთი კაცის ნათქვამი სიბრძნე.

მოვცემო დავით მეფეს როქის სპისათვის ყმათა, მაგრამ მე ჩემი პირობები მაქვსო, ბევრი ვეაჯე, მაგრამ არ მამცნო, რამდენ ათას კაცს იძლევა, რა საფასითა და რა ვადით.

თუ კაცნი სარწმუნონი წარმოგზავნოს მეფემ, ანაკოფიით სჯობს, რადგან ალანნი და ყიფჩაღნი მტრობენ ურთიერთს და შესაძლოა გაძარცვნონ თქვენნი მოციქულნი.

მე შარშან ერთი სომეხის პირით გადმომცეს მეფის მიერ წარმოგზავნილთა, არ გამოგიშვესო ალანებმა.

ამ ბარათის მომტან სომეხს პატივი ეცით, რადგან აქ სამ თვეს ავად ვიყავი და ნამდვილი სამარიტელობა აღმოვიჩინა ქრისტიანური, ძმური. თუ საღვდელონი წარმოგზავნოს მეფემ, არ ჩააცვათ ხუცურად, ერისკაცურად ჩაიცვან იმ სამღვდელოთა, სანიადაგო კაბა და ქუდები მაღალი, მაღალი...

მაღალქუდიანი და გრძელწვერიანი კაცი აქ დიდ პატივშია, აგრე ჰგონიათ: ქუდის სიმაღლე და წვერის სიგრძე ჭკუას ჰმატებდეს თითქოს კაცს.

უცნაური ხალხი ყოფილა ყიფჩაღთა ნათესავი. ბალღი რომ დაიბადება, მარილწყალში დაბანენ, მხოლოდ მესამე დღეს მოვა ხუცი და ლოცვას ეტყვის.

სახით ხომ უცნაურნი არიან ყიფჩაღნი, სახელებიც აგრეთივე აქვთ: დომბაი და არობაი, ტუხტაი და ბურკაი, სარდაი და სპმათან, ცამცაი და ბარაპაი, ფოტბაი და გუტბაი, შარაღან და არაშან, უშაბან და ამაპტან, მუნკოი და ტომბოი, ჯონდუკ და დუნდუკ, ბანსარ და მანსარ, ამბბაი და ტამრაი, კიდევ ბევრი, სხვადასხვა სახელი აქვთ მაგ ეშმაკის კერძებს და მე ვერ დავიხსომე ისინი.

წულს ახლადშობილს ავგაროზს დაჰკიდებენ მყისვე. აქ ყოველ კაცს ავგაროზი ჰკიდია, მეფესა და მდაბიორს, ხუცსა და მეომარს, მენადირესა და მეჯოგეს, ყველას, ყველას. ვისაც ავგაროზი არა ჰკიდია, იგი მტრადა ჰყავთ შერაცხილი. მეც განმიცხადეს: ავგაროზი უნდა დაიკიდო, თორემ შეგეყრება ვინმე უცნობი და, მოგკლავს და ჩვენ ვერას გიშველითო.

მე მათ გაქრისტიანებას ვაპირებდი და ლამისაა მე გამათურქონ. რაკი ჩემი გვარი და სახელი ვერ დაიხსომეს, ამიტომაც „მომნათლეს“ თავიანთ ჭკუაში ხელახლა, ტუბუტაი ბერი შემარქვეს. რა უნდა იყოს ეს „ტუბუტაი“, ეს ბევრი ვიკვლიე და თავათაც არა სცოდნიათ ყიფჩაღებს.

პირველად დიდად ძეუცხოებოდა, მაგრამ ისე მივეჩვიე, სტეფანოზი რომ ვინმემ დამიძახოს, შესაძლოა არც მოვიხედო უკან.

აგრე სჯერათ ყიფჩაღებს, ეს ავგაროზი იფარავდეს თითქოს კაცს ავი თვალისაგან და მტრის ისრისაგან.

ჩემი ავგაროზი უბრალო რამეა, პაწია, სპილენძის ყუთში ჩაკუჭულია წითელ-ყვითელი ჭინჭები და თმები. ერთხელ ბევრი ვუჭვრიტე, მაგრამ ვერ გავიგე მგლის ბეწვებია, თუ ჭარმაგი კაცის თმები. ერთი პაწია კბილიცაა შიგ, არ ვიცი სინდიოფალას კბილია, კატისა თუ თრითინასი.

მოკვდება თუ არა ყიფჩაღი, ფეხებით გამოათრევენ გარეულ და უკაცრი-

ელ ტრამალზე დააგდებენ, ძაღლებს, მგლებს და ძერებს მიუგდებენ საძიძგნად. აგრე ჰგონიათ, ამგვარად შეჭმული ცხედრიდან წასული სული უთუოდ ცხონდება, რაკი მან გამოჭკვება ნადირნი და ფრინველნი ცისანი, რომელთაც არავინ არაფერს აჭმევს საერთოდ.

იმ ადგილას, სადაც მიცვალებული გაიხრწნება, ჩალის ქოხს ააგებენ, მოვა ხუცი და ლოცვებს იტყვის იმ კარავში, მარცვლეულს მიმოფანტავს ირგვლივ და შემდგომ ამისა, სული ეძლევა ლხინებას.

თუ ახლადშობილი ყრმა მოკვდა, კალათაში ჩააგდებენ და მდინარეში ჩაუშვებენ. როცა კალათა გადაყირავდება, ბავშვის ცხედარს წყალი წაიღებს, ხოლო კალათას ნაპირზე გამორიყავს, ეს კარგია, სული ეძლევა ლხენას.

აგრე სწამთ ყიფჩაღთა: ყიფჩაღთა შორის ცეცხლის წელს შობილი, სიკვდილის შემდეგ ყვითელი ძაღლის გვამში გადადის, ან ჩალისფერი ცხენის ნესტოებში შეძვრება.

ვინც მიწის წელიწადს მოკვდება, მალე უკან დაბრუნდება ან შავი ძაღლის, ან მწითური დიაცის სახით, მაგრამ ეგაა, ეს დიაცი მაიმუნის წელიწადში უნდა იყოს შობილი.

აგრე ამტკიცებენ ყიფჩაღნი: ეგ იმიტომაც ხდება აგრე, რადგან მავანი და მავანი სული ბერწ დედაკაცს გადაჰყრია და მასთან პური გაუტეხიაო. ასეთი რამე მოუვაო ისეთ კაცსაც, ვინც თავის სამყოფლოს სიახლოეს ხეებს მოსჭრის, ან ბალახს მოცეცხლავს.

შავი ძაღლის გვამიდან სულის გამოსარეკად ჭირისუფალმა მსხვერპლი უნდა შესწიროს, იგულისხმება შავი თხის დაკვლა, ან ჭაკი ცხენისა.

რკინის წელიწადში დაბადებული სული სიკვდილის შემდეგ დასახლდება ერთ ქოხში, რომელსაც აღმოსავლეთისაკენ ექნება კარი შებმული და ეს კარი ცისფერი იქნება უთუოდ.

ამ ქოხში დაუხვდება მას ცისფერსამოსიანი ქალ-ვაჟი და ერთი ჭრელი ძაღლი. შემდგომ ამისა ეს სული შავი ძაღლის გვამიდან გამოვა და სამარეხ-ძის გაბზარულ ქვაბში გადასახლდება, მალე გაბზარულ ქვაბიდან მამისეული ვირის ან ხვადაგის გვამს შეეხიზნება.

ამის მიზეზად შემდეგს ამბობენ: შესაძლოა ამ სულს ოდესმე გაქარჩხული თორი ცმოდეს, ან შავი ძაღლის ლეში ეჭამოსო სადმე.

თუ ვინმე ყიფჩაღთაგანი ჰაერის დღეს მოკვდა, აქლემის ბეწვისაგან გაკეთებულ ბაგირად იქცევა და ასე იტანჯება იგი ნიადაგ, რადგან ყიფჩაღთა ტომი, როგორც თქვენ უკეთ უწყით, ელია.

დადიან და დაღოღავენ ამ უხეო, უწყლო, უჩრდილო ტრამალებზე, თავიანთ სარჩო-საბადებელს აჰკიდებენ ცხენებს და ეხახუნება მერმე ბაგირი ძელის კეხს და იტანჯება სული, ბაგირში ჩაქსოვილი.

ასეთი ბედი ეწევა ისეთ მამაკაცს, ვინც დემონებით შეპყრობილ დიაცთან გაათევს ღამეს და დააორსულებს მას.

ხის წელიწადში შობილი სული დასავლეთისკენ გაფრინდება სიკვდილის უმალვე და დასახლდება წითელ სახურავიან ქოხში და ნიადაგ საკომურში უნდა ათიოს მან ღამე, კვამლისაგან გულშემოყრილმა.

აგეთი სიმძიმილი იმ კაცს ეწევა, ვინც მგლების მიერ ნაძიძგნ მძორს მიირთმევს, ან უბედურ კაცს წარტაცებს ლუკმას.

უკეთუ ყიფჩაღთაგანი რომელიმე ქარის წელიწადში მოკვდება, მისი სული ჩრდილოეთისაკენ გაფრინდება და შავი ძაღლის გვამში უნდა შეძვრეს და მუდამ იმის ცდაში იქნება, მაიმუნის წელიწადში დაბადებულს უმტროს.

ამის მიზეზად ასეთ რამეს ასახელებენ ყიფჩაღნი: ალბათ ჭინკას წაჰკიდებია ეს სული და მის ფეხებს შორის აშოსული თმები გამოუპუტავს და

ამ ბეწვებისაგან ნაკეთებ ბაგირით შავი თხა უძოვებიაო.

თუ ასეთი სულის ჭირისუფალმა ხვასტაგი, რკინა, ოქრო და ვერცხლი არ აჩუქა ხუცს, ეს სული შავი ძაღლის გვამს დასტოვებს და ორსულ დიაცს შეეხიზნება, წამოიზრდება ბალღი, დაიწყებს დედის საშოში ტრიალს, ეს სულიც იტანჯება ამასობაში.

თუ არა და მაკე ფაშატის გვამში ჩასახლდება ასეთი სული, ისეთი ფაშატის, რომელსაც იმდენად უგუნური პატრონი ჰყავს, რომელიც არამცთუ მაკე ჭაკზე შეჯდომას არ თაკილობს, არც მასთან გამიჯნურებას... (ამ ადგილას ბარათის გვერდზე სტეფანოზის ხელით მიწერილი იყო: ფუჰ, სატანამ წაიღოს ასეთი კაცის სული!).

ყიფჩაღთაგანი ვინც თაგვის წელიწადში მოკვდება, მისი ბედი დაემყარება ვერცხლის ფერ ცხენს, ან ვერცხლის ფერ ზროხას. რვა თვის შემდეგ ეს სული გველის სტომაქში ჩასახლდება.

ასეთი მიცვალებულის ჭირისუფალმა ბევრი უნდა ილოცოს, მიცვალებული თეთრად შემოსოს, თორემ ეს სული ურჩხულის გვამში გარდაინაცვლებს სამყოფლოს, ან არა და დიაცის სხეულს შეეხიზნება, ან საქონელი გამოშარდავს მას.

ყიფჩაღთაგანი ვინც ხარის წელიწადში განუტევებს სულს, საქონლის ვაჭარს შეუვა გვამში. ვინც გველის, ან საქონლის წელსაა დაბადებული, ამ კაცის ცხედარს იგი არ უნდა გაეკაროს, თორემ დიდი უბედურება მოხდება.

ვინც კურდღლის წელიწადში მოკვდება, იგი ჩაუსახლდება ყვითელ-სახიან კაცს, რომელიც ან მამლის წელიწადში მოკვდება, ან კურდღლის წელიწადში, ასე რომ ამ კაცს ორკეცი სიკვდილი მოუწევს.

ვინც გველის წელიწადში მოკვდება, ორ დღეს იმავე სამყოფლოში იფარფატებს, სადაც სული განუტევა, მერმე ზღარბს შეუსახლდება გვამში. ბოლოს ამ ზღარბს ან მგელი შესჭამს, ან მელი. ორივე შემთხვევაში ორგზის სიკვდილი მოუწევს მას, რადგან მგელსა და მელას უთუოდ მოჰკლავს რომელიმე მონადირე.

ვინც ცხვრის წელიწადში მოკვდება, იგი ან ნაცრისფერ მგელს ჩაუსახლდება სტომაქში, ან ფეხკავშა ცხენს.

ვინც მაიმუნის წელიწადში მოკვდება, იგი შურიან კაცს შეუსახლდება გვამში; შურიანსა და გულბოროტ კაცს ხომ არასოდეს მოსვენება არა აქვს, რადგან სულ განზე აცეცებს თვალებს, ვინა მჯობნის, ჩემზე უკეთეს ცხენზე ვინა ზის, ჩემზე მეტი ცხვარი ვისა ჰყავსო და შურიანი კაცის სტომაქში უეჭველად დაიტანჯება მაიმუნის წელიწადში დაბადებული.

ვინც ძაღლის წელიწადში დაიბადება, იგი ერთ ყვითელ კაცს შეუძვრება გვამში. ამ კაცს პატარა თავი ექნება, განიერი ღაწვები და დიდი ყურები, ყურებამდის გაჭრილი ტუჩპირი. მერმე ილაყბებს და ილაყბებს ეს კაცი და ლაყბობა დაღუპავს მას. ამ კაცსაც, ძაღლის თვეში დაბადებულს, ორგზის მოუწევს სიკვდილი.

თუ ყიფჩაღი მეხმა მოჰკლა, სამ დღეს და სამ ღამეს მოისარნი მწყესავენ, თეთრ ტილოში გახვეულს. ყიფჩაღებს სჯერათ, რომ მიცვალებულის ან აქლემის სახით, ან ჩრდილის სახით, ან უთავო სხეულის სახით მოვა ეშმაკეული სულის წასაყვანად და ისრით უნდა დააფრთხონ ჩვენება. მეხით მოკლულის შვილთაშვილი-შვილები არასოდეს მისცემენ უცხოს მაწონს, ან დაკლულ საქონლის თავფეხს.

თუ დამფრთხალი ფრინველი რომელიმე კარავში შემოფრინდა, ეს უბედურებას მოასწავებს.

თუ ბერწმა ფაშატმა ხვიხვინი დაიწყო, ეს პატრონისათვის სიავეს მოასწავებს.

თუ ხბო ან კვიცი თავით წამოვიდა დედის საშოდან, აბრეშუმებს შემოახ-

ვევენ, ძაღლისა და მგლის ბეწვებს ჩაჰყრიან კალათში და თერთმეტი წყრთის სიღრმეში დამარხავენ მიწაში.

თუ დიაცი, ან მამაკაცი ძილში კბილების კრაჭუნს იწყებს, იგი ეშმას უღიმისო იტყვიან. თუ ქალწული აკრაჭუნებს კბილებს ძილში, ეს დედმამის სიკვდილის მამცნედ მიაჩნიათ.

თუ კვიცი დედას გაუმიჯნურდა, კაცის მატყუარას გააკეთებენ ცომისგან, ნახშირით წვერულვაშს მოუხაზავენ და ხელში წითლად შეღებილ ისარს მისცემენ, კარვიდან ასი ნაბიჯის მანძილზე დასდგამენ და შეულოცავენ.

თუ ერთწლიანი კვიცი მოუკვდა პატრონს, ძროხის ქანდაკს გააკეთებენ დინგელისაგან, ჭრელჭრულად შელესავენ მას, აბრეშუმის ძაფს შემოახვევენ გარს, სანთლებს აანთებენ და გამოულოცავენ.

ომში მიმავალ ყიფჩაღებს გველი თუ შემოეყარათ, კუდზე აღმართული, ისე როგორც უდაბნოს გველებს სჩვევიათ, ეს ცუდი ნიშანია, ჯარი მყისვე უკუქცევას დაადგება და ყველა საკუთარ კარავს მიაშურებს.

თუ ლაშქარს გველი შეხვდა და მარჯვნით გადაუხვია, ეს კარგ ნიშნად ითვლება და გამხნევდებიან ყიფჩაღნი.

მინაწერი:

„გეაჯებით, ნეტარო მამაო ჩვენო გიორგი ბატონო, ერთი ფსალმუნი და ოთხივე სახარება გამოაგზავნიეთ თქვენს მედავითნეს ჩემთვის, რადგან ყიფჩაღებმა მომპარეს ეს საკითხავები. არ ვიცი რად უნდოდათ. საკითხავები მომაშველეთ, თორემ მეც უშჯულო გავხდები და წავწყდები.

ჯერჯერობით ეს ამბები გავიგე ყიფჩაღეთში და ღმერთს სხვა ჩემზე უკეთ ეცოდინება.

როცა ამ ბარათს ვწერდი, ყიფჩაღები თავზე მადგნენ.

რას ჩხაპნიო ბატის ფრთით? მე ავდექი და რამდენიმე სიტყვა ხმამაღლა წავუკითხე.

ქაღალდი ალაპარაკდაო!

ასტეხეს ყვირილი, ჯერ შეკრთენ, ეშმაკის მანქანება არ იყოსო, ... და კიდევ წამაკითხეს, მერმე მოსდგნენ, იცინეს და იცინეს, როგორც ახალი სათამაშოს სიკეთით გახარებულმა ბალღებმა.

ეაჯეთ ჩემს მაგივრად პატრონს: კაბის კალთაში ჩაკერებული ოქროს ბოტინატები მელევა, ხამლი შემომაცვდა, ტანზე სამოსი შემომეხა, ასე რომ მეც ყიფჩაღებსავით ფეხშიშველა დავდივარ ზამთარ-ზაფხულ ხელფეხ დამზრალი.

ქაღალდი მომაშველეთ, გევედრებით, თორემ მეტს ვეღარაფერს მოგწერთ არც ავსა და არც კარგს. უკეთუ მამულისა და მეფისათვის აქ სიკვდილმა მიწიოს, ილოცეთ სულის ჩემის სალხენად“...

ვიდრემდის ამ ბარათს დავით მეფეს გადაუგზავნიდნენ, ორგზის წაიკითხეს იგი გიორგი მეფემ, დიოფალმა ელენემ და მთავარეპისკოპოზმა ქუთათელმა.

„აი რა ხალხის მოყვანა ეწადა დავით მეფეს“, მოშაინურად ამბობდა გიორგი მეფე. „რას ამბობ, ვეჟო, ეს მურტალი ყიფჩაღები საქართველოში რომ ჩამოვიყვანოთ, წავწყდებით, სარწმუნოებასა და ხალხს წაგვიბილწავენ“.

„წავწყდებით მათი სიახლოვისაგან“, მოშაინურად დასძინა ქუთათელმა. „ვიჯმნი ეშმაკისაგან, ვიჯმნი ეშმაკისაგან“, ბუტბუტებდა გიორგი მეფე და იძახოდა, „ტფუ, ტფუ...“-ს.

XXIV

ბამბუკის ყავარჯენი

ნიანია ბაკურიანი და ჯონდი ერისთავი თავის სასახლეში გადაიყვანა იოანე მაგისტრმა, ხოლო მღვდელმთავარნი მანგანის სასახლეში მოათავსა მარიამ დედოფალმა.

დიდძალი საყდრის იარაღი მობოჭა მარიამ დედოფალმა კონსტანტინე-

პოლში, ქართული და ბერძნული საეკლესიო საკითხავები.

დედოფალს გადაწყვეტილი ჰქონდა: ენერგიულად ჩარეულიყო დავით მეფის პირად ცხოვრებაში, გარდა ამისა იგიც აგრე სთვლიდა: დრო არისო უკვე ლიპარიტი და რატი შევარიგოთ დავით მეფესთან.

„ქვეყანა აღრეულია, გეთაყვანე, გარღვეულივით ბორგავს მთელი საქრისტიანო, ასეთ დროს ვის გაუგია შინაშლილობა და შფოთი მეფესა და ერისთავებს შორის“. გარდა ყოველივე ამისა, მარიამ დედოფალს უჩვეულოდ მოენატრა თავის სათაყვანებელი ძმისწულის, ძმისა, რძლის და სამშობლოს მონახულება.

„ალბათ ვბერდები, გეთაყვანე“, ეუბნებოდა იგი კირიონ მანგლელს, „რაც უფრო ხანი გადის, უფრო და უფრო ერევა გულს მამულისადმი სევდა“.

„რასა ბრძანებ, ავგუსტა, რა დროს სიბერეა თქვენი, ჯერ არც ერთი ჭაღარა არა გაქვს თმაში, გუშინდელ დღესავით მახსოვს, ტიკინებს რომ გილაგებდა სულკურთხეული დედა თქვენი, დედოფალი მარიამ.

როცა ხუფთაში მოგიყვანეთ ცხენით, როგორ ღელავდა გიორგი მეფე! მე არასოდეს მინახავს ცრემლი მის თვალზე. როცა თქვენ ხელანდებით გამოგისტუმრეთ, ჩვენ ცხენებზე შევსხედით და გამოვბრუნდით, მეფემ ლითამი აიფარა მუზარადისა სახეზე, ცხენს დეზი ჰკრა და ყველას გამოგვასწრო წინ“.

„ჰოდ, წყეული იყოს ის დღე! ქართველ მეხამლეს წავყოლოდი ცოლად. რა მომცა ამ დიდებამ, ან ქრიოთოტრიოლინის მოოქროვილმა დარბაზებმა, ან ბუკოლეონის, ან მანგანის სასახლეებმა, ამ კუროპალატების, სებასტებისა და დომესტიკების მიერ ხელების ლოშნამ. სასახლეების ხვანჯმა, დედოფლობამ და საკეისრო ტახტმა. გეგუთის წითელი ტალახი მერჩია ყოველივე ამას.

ჩემს ვაჟს კონსტანტინეს დავაქორწინებ, მერმე დავბრუნდები საქართველოში, რომელიმე მონასტერს შევეხიზნები და მოვათავებ ჩემს გამრუდებულ ცხოვრებას“.

მარიამ დედოფალი უკვე შეუდგა საქართველოში წასვლის სამზადისს. რამდენჯერმე გადაიდო წასვლა, რადგან უნდოდა ჯერ რუსუდან დედოფალყოფილი, რომელიც ამასობაში წმ. თებრონეს მონასტერში იყო ამალიანად, გაეგზავნა როგორმე იერუსალიმს.

ქილირჯ არსლანი ახალ იმედებს იძლეოდა. ამიტომაც ინახულეს მარიამმა და მღვდელმთავართა დედოფალყოფილი, ანუგეშა მარიამმა, შენს გამგზავრებამდის არ წავალო გეგუთს.

ბოლოს დაბეჯითებით დაჰპირდა მარიამს რუსუდანის გამგზავრებას ქილირჯ არსლანი.

უკდიდნენ ზურგის ქარს. გამოიდარებდა, დაინიშნებოდა გამგზავრება, ისევ აბობოქრდებოდა, აზვავდებოდა სტუმართმოყვარე პონტოს ევქსინოს. ერთი კვირით კვლავ გადასდებდნენ წამოსვლას.

ვაშკარანებზე ისხდნენ, გახსნიდნენ ვაშკარანებს, ისევ გამოიდარებდა, კვლავ დანიშნავდნენ წასვლის დღეს.

ბოლოს მოვიდა უკანასკნელი ბარათი ქილირჯ არსლანიდან: ამირ ტუტუშმა, მამა ჩემის, სოლიმანის მოსისხარმა ბაღდადი აიღო და სულტანის ტახტზე ავიდა იგი, ნურავითარი იმედი ნუ გექნებათო ჩემი. სწერდა სულტანი მარიამ დედოფალს.

*
* *

იოანე მაგისტრმა ნიანიას და ჯონდის მოუპოვა ბერძნული ჯარის ახალ ახალი წესდებანი, კევკამენ კატაელონს, ტატიკის და ვრანას შეახვედრა ერისთავები მრავალგზის, ხანგრძლივი საუბრები ჰქონდათ ქართველ სარდლებს მათთან.

ახლადაგებული ლოდსატყორცნები და ტარანები დაათვალიერებინეს ერისთავებს. ალექსი კომნენს წარუდგინა მარიამ დედოფალმა დავით მეფის ყმანი. იმპერატორმა ასეთი რამეც შესთავაზა ახალგაზრდა ერისთავებს: თუ თქვენი პატრონი, პანიპერსევასტოს მეფე დავითი დათანხმდება, ერთ წელს იმსახურეთ ჩვენს ლაშქარში და მრავალ გამოცდილებათ შეიძენთო ახალთ.

იოანე მაგისტრის სასახლეში გადასვლამ დააღონა ნიანია ბაკურიანი. იგი განუსაზღვრელად ბედნიერად გრძნობდა თავს მანგანის სასახლეში, დღეში სამჯერ, საუზმის, სადილის და ვახშმის დროს, შესაძლებლობა ჰქონდა ხლებოდა დედოფალს.

მეფის დავალებანი რა მოათავა, მოიწყინა. ჯონდი ერისთავს კონსტანტინეპოლი წინათ არ ენახა, იგი აიყოლია წალკელმა ეპისკოპოზმა, დილიდანვე მიდიოდნენ მოედნების, მონასტრების, სასახლეების დასათვალიერებლად, ხან ჰიპოდრომზე იყვნენ, ხან პოლოს თამაშს უყურებდნენ ბუკოლეონის სასახლის საჯინიბოში.

ერთი უსიამო ამბავიც შეემთხვა ნიანიას: ეგვიპტეში მიღებული ციება განუახლდა კონსტანტინეპოლში. შინ იჯდა დილა საღამოს და უსინათლო ბერის ათანასეს საუბრით ერთობოდა.

იოანე მაგისტრი ფრიად მოუსვენარ ცხოვრებას ეწეოდა, უთენია ჩაჯდებოდა თავის ეტლში, სადღაც მიდიოდა, ღამე ბრუნდებოდა შინ, ვიღაც სტუმრები მოჰყავდა, ჩაიკეტებოდნენ მერმე სასტუმრო დარბაზში, რომელიც ნიანიას და ჯონდის საწოლი ოთახის გვერდით იმყოფებოდა, მთელი ღამის განმავლობაში ჩურჩულებდნენ, თათბირობდნენ, უთენია მიდიოდნენ ისევ. . .

. . . . . .

ერთხელ ნაშუაღამევს დეზების ერთობლივმა ჩხრიალმა გამოაღვიძა ხურვებისაგან გათანგული ნიანია. გაიხედა: ჯონდი აღარსად იყო. ალბათ კუროპალატისსა მელიტამ წაიყვანა იგი თავის მამულშიო, გაიფიქრა.

ამასობაში იოანე მაგისტრი და სამი თორიანი ვაჟკაცი შემოვიდა. ორს მოოქროვილი თორი ეცვა, ერთს ჟანგისფერი, სანიადაგო. პირველ ორთა შორის ერთი შეიცნო ნიანიამ: კონსტანტინე პორფიროგენიტოს.

ოქროს თორიანმა, მაღალმა იკითხა:

„ვინმე ხომ არა წევს იმ ოთახში, მაგისტროს ბატონო?“

„არაფერია, ეგ ჩემი სტუმარია, საქართველოდან ჩამოსული“.

ესა სთქვა იოანემ და კარს მიუახლოვდა, შეიხედა და დასძინა: სძინავსო.

ნიანიამ თავი მოიმძინარა.

ახლა იმან, ვისაც ჟანგისფერი თორნი ეცვა, ეს უთხრა მასპინძელს სომხურად:

„არა სჯობს, ეს კარი რომ გავხუროთ, იოანე ბატონო“.

„არა, მას სძინავს, კიდევაც რომ ფხიზლობდეს, სანდო კაცია, ჩვენთაგანი“.

ოქროს თორიანმა სთქვა:

„ვინ არის ეგ კაცი?“

„ახალგაზრდა სარდალია დავით მეფისა. მეორე სარდალიც ჩემთანაა მისი, თაკვერის ერისთავი. თუ საჭიროდ ეცნოთ, იგინიც მოგვერთვიან“.

„არა, არა, ჩვენ მოკავშირენი არ გვაკლია“, სთქვა ოქროს თორიანმა. „მე იმას ვწუხვარ, ისედაც ნამეტნავად ბევრს გავანდეთ ჩვენი საიდუმლო. კეისრის მსტოვარებს ყური დაცქვეტილი აქვთ. შეთქმულთა სიმრავლე ყოველთვის როდია სანუკვარი.

ახლა უმთავრესი სხვაა: დალმაციაში აჯანყებამ იფეთქა. მეამბოხეთა მოთავეს ვოლკანს, ქალაქი ლიპენიუმი აუღია და გადაუბუგავს. კეისარი სპას ამზადებს, სადაცაა ბრძოლის ველზე გაემგზავრება. მე და კონსტანტინე თან გავყვებით ლაშქარს. როცა ლაშქარი დაბანაკდება სადმე, ღამით თავს დავესხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მით ალექსის და გამოვცდით ჩვენ ხმლებს“.

„კეისრის სიძემ მიხაილ ტარონიტმა თანხმობა მოგვცა: სპიანად მიგულეთო თქვენ თანამდგომად“. სთქვა ოქროსთორიანმა.

„შენ ხომ არაფერი გაანდევი მარიამ დედოფალს?“

შეეკითხა იოანე კონსტანტინე პორფიროგენიტოსს.

„ჯერ არაფერი“.

„მეც ვეთანხმები იოანეს“, სთქვა ოქროს თორიანმა, „ერთიც ვნახოთ, ვინმემ გაგვთქვას, ჩვენი გეგმები ჩაგვეფუშა და მოგვაშთვეს. სჯობს არაფერი იცოდეს ავგუსტამ. რად გვინდა მანდილოსანი გავრიოთ საფრთხეში“.

იოანემ სთქვა:

„თუ თქვენ მართლაც შესძელით ბანაკში მოკვლა კეისრისა, ამასობაში მე და გრიგოლ ბაკურიანი ჰილპრახტს განვაზრახებთ, კონსტანტინეპოლის ციხისთავს. ცხადია, კეისრის მოკვდინების შემდეგ ძმები მისი, დომესტიკი ადრიანე და სებასტოკრატოს ისააკ, ტახტს წაეპოტინებიან.

ვოლკანს მოაშთობენ თუ არა, კონსტანტინეპოლზე წამოვლენ და შემოეწყობიან ქალაქს. მე და გრიგოლი ჰილპრახტსა და მეციხოვნე ჯარს მოვიმხრობთ, კევკამენ კატაკლონ ხომ ხელში გვყავს, ჯერ ქალაქიდან გავალთ და ციხის მისადგომებში შევებმებით, მერმე კიდევაც რომ დავმარცხდეთ, ჰილპრახტი დაახშობს ოთხივე კიდის გოდოლებს და ბარე სამ წელს მოუხდებათ ქალაქს გარეთ ყურყუტი. ამასობაში თქვენ ციხეში შემოგაპარებთ და ჩვენს ხელში იქნება ქალაქი“.

ჟანგისფერ თორიანი წამოდგა და კარი გაიხურა.

ნიანია თავქვე დაწვა, სულგაკმედილი უსმენდა მათ საუბარს, ცალკეული სიტყვები აღწევდნენ მის ყურებამდის, მაგრამ აზრი ვერ მოეკრიფა განაგონისგან.

სტუმრები გათენებისას დაიშალნენ.

იოანე შემოვიდა ნიანიას საწოლ ოთახში. თავზე წამოადგა ნიანიას და უთხრა:

„შენ ყოველივე გესმოდა ალბათ?“

„თითქმის ყველაფერი, სანამ კარს გაიხურავდნენ“.

„მე არ მინდოდა კარის დახშვა, მაგრამ ნიკიფორემ არა ქნა“.

„რომელი ნიკიფორე? ყოველ მეორე ბერძენს ნიკიფორე ჰქვია, არა?“

„უფლისწული ნიკიფორე, კეისარყოფილის, რომან დიოგენის ვაჟი. მასაც საკეისრო ტახტისკენ უჭირავს თვალი, მაგრამ მას სისხლი სწყურია კეისრისა, ამ წყურვილს მოვაკვლევინებ როგორმე, მერმე თუ ტახტს წაეპოტინა მართლაც და კონსტანტინეს ტახტზე დასმაში ხელი შემიშალა, კესაროსის გვირგვინს თუ არ დამჯერდა, იქ გავგზავნი, სადაც მართალნი განისვენებენ.

კარგი ვაჟკაცია, შესანიშნავი მოისარი, ჩოგნისა და ხმლის მომქნევი უბადლო, კარგი მოჯირითე და პოლოს თამაშის ოსტატი, მაგრამ ზომაზე მეტად თავაწყვეტილი და ტრაბახა, გიგანტებს რომ შევებრძოლო, მათაც დავძლევო, იქადის. კეისრად არ გამოდგება ასეთი ცუნდრუკა კაცი. ქილირჯ არსლანთან ჩურჩულებს ახლაც“.

„ის ვინ იყო, ჟანგისფერ თორიანი, სომხურად რომ შეგესიტყვა ერთ ორჯერ?“

„იგი თოროზის ძმისწულია, კილიკიის მთავრისა. ჩემი მეგობრის, ხაჩატურის ვაჟი, პოლოსი.

მოკავშირენი მრავალი გვყავს, მაგრამ მაინც კარგი იქნება შენ და ჯონდი ერისთავიც თანადგომას რომ გაგვიწევდეთ“.

სთქვა ხმადაბლა იოანე მაგისტრმა.

„ეს ამბები ჩემთვის არც ისე ახალი იყო“, სთქვა ნიანიამ ოდნავ ყოყმანით,

„მეფემ თქვენი ბარათები უკლებლად მიიღო. მან მიახლოებით იცის თქვენი ზრახვები, მაგრამ ეგაა, წამოსვლის წინ გვიბრძანა მტკიცედ: ბერძნულ საქმეებში ნუ გაერევითო“.

ქედფიცხელმა იოანემ ვეღარ დაუმალა სტუმარს გულნაწყენობა.

„როგორ თუ ბერძნულ საქმეებში? თქვენ ხომ არა გგონიათ, ამიერიდან თუნდაც ფრჩხილი ავიტკინო ბერძნულ საქმეთათვის მე?! ეყოფა ბერძნებს, რაც მათ მაგივრად მიღებული ჭრილობები მატყვია სხეულზე, ჩემი მარცხენა ფეხი ხომ ბიზანტიას შევწირე. ახლა საქართველოსთვის უნდა ვანაცვალო ჩემი მარჯვენა ფეხი და უკანასკნელი ამოსუნთქვაცა.

ეს ახალგაზრდობით და სიშლეგით მომივიდა, სხვის ომებში რომ ვღვრიდი სისხლს. მხოლოდ რეგვენია სხვის ომებში მამაცი. ახლა ჩავვარდი ჭკუაში, ამიერიდან ყველაფერი საქართველოსთვის მინდა, ჩემი ქვეყნისათვის, გესმის?“

ნიანიამ გაოცებულმა ზეახედა იოანეს, მთვრალი ხომ არ არისო, გაიფიქრა იდუმალ.

არა, ნასმურევს არა ჰგავდა იგი.

„საქართველოს უნდა შევწირო ჩემი სიცოცხლის უკანასკნელი წუთები. თუ საქართველო არ იქნება, ქვამც ქვაზე ნუ დარჩენილა, ნიანია, მეწყერსაც წაულეკავს მთელი ხმელეთი.

გესმის, ნიანია?“

ყვიროდა იოანე, ცხვრისთავის ოდენა მუშტს ურტყამდა მაგიდაზე ეს მხცოვანმოსილი დევკაცი.

მერმე სელი მისწია ნიანიას საწოლისაკენ და უფრო ხმადაბლა განაგრძო:

„ჯერ მთავარია, ალექსი კომნენი მოვაშთოთ, ეს მოღალატე და პირისგამტეხი. ხომ წავაქციეთ მე და გრიგოლმა კეისარი ბოტანაიტეს, ახლა ალექსის ჯერია, მაგასაც დავცემთ და კონსტანტინე დუკას დავსვამთ მამისეულ ტახტზე.

4. „ძნათობი“, № 10.

თუ ეს შევძელით, დარდი ნუ გაქვთ, ჩვენც მივეშველებით დავით მეფეს, თუმცა კონსტანტინე ჯერაც ყრმაა, მე და გრიგოლი აქედან მივაწვებით ქილირჯ არსლანს, დავით მეფეს სპას გავუგზავნით მაშველს, თბილისიდან დავძრავთ თურქებს, სამშვილდეს წავგლეჯთ, შემდგომ ამისა სპაჲ გაუთავისუფლდება მეფეს, შავშთა ციხეებიდან იოლად მიწვდება ხალდეას და ტრაპიზონს.

მერმე გვიყურე რა დღე ვაყარო ამირ ტუტუშსა და სულტან ბარქიაროკს.

მე დავბერდი და ცალი ფეხი დავკარგე ამ დამპალი ბიზანტიისთვის ბრძოლაში, მაგრამ მძლეთა მძლეა გაცოფებული კაცი. ბრძენს უთქვამს და ეგ მართალია, სახიფათოა, ლომის გაღვიძება, საშიშარია ძუ ავაზას წარსტაცო ბოკვერი, მაგრამ სასტიკზე უსასტიკესია გაცოფებული კაცთა შორის, ყოველი.

ოჰ, ადამიანმა თუ თავზე ხელი აიღო, ბევრი შეუძლია მას, ძალიან ბევრი. თუმცა მე დავბერდი, ნიანია, ცალფეხა ვარ და მრავალგზის დაკოდილი, მაგრამ სიბერე და სიძაბუნე ჩემს გულს არ გაჰკარებია.

ცოლშვილი არ მამძიმებს და არც რაიმე ამ ქვეყნიური პატივი, საწყალი მაგისტროსის წოდება მომანიჭა იმ გლახაკმა რომან დიოგენმა ერთი, იგიც შემიძლია უკან მივაშავო ბიზანტიელებს.

მხცოვანი შემოსილი მაქვს თავი, მაგრამ მე იგივე იოანე ვარ, ამირ ჯებრაილს რომ ვაძგერე მახვილი.

ლაჩარი იყო რომან დიოგენი, დიაცივით დაფრთხა მანციკერტთან, ვარწმუნებდი: წინა ღამეს თავს დავსხმოდით ალფ-არსლანის ბანაკს და გაგვეჟუჟა თურქნი. არა ჰქნა, ცოდო არიანო სპანი, ჩვენ ქრისტიანები ვართ, მძინარ მტერსაც უნდა ვაცალოთო გამოძინება. მთელი ღამე ლოცულობდა თავის კარავში.

მერმე ის იყო, ყველაზე გვიან ჩემი კოჰორტები დანებდნენ ალფ-არსლანს.

ლაჩარი იყო მიხაილ მეშვიდე დუკაც, კეისარყოფილი ბოტანაიტეს — კაცისმატყუარა. მხოლოდ ბასილი ბულგართამმუსვრელი იყო ვაჟკაცი ბერძენ მეფეთა შორის. დანარჩენებმა ლოცვა იცოდნენ მხოლოდ და გვინიკეას დიაცების კაბებს ქვეშ მიჰქონდათ მუდამ თავი.

აბა, ბაგრატ მეფე გაგვძოლოდა მანციკერტში, ან დავით კუროპალატი, ან თუნდაც ეს ჩვენი ლოთი გიორგი მეორე. გიორგი ღვინოს და ნადირობას გადაჰყვა ის ბედშავი, თორემ დიდი ვაჟკაცი იყო იგიცა, ფარცხისთან მან დღე აყარა სელჯუკიანთ სარანგს, ასეთი დამარცხება არ უგემნიათ იმ ჟამად არც ერთ ქვეყანაში თურქებს“.

ნიანია ბაკურიანი მდუმარედ უსმენდა ამ მართლაც გაცოფებულ ბერიკაცს. იგი ისე ანთებული იყო, შეპყრობილივით აბრიალებდა თავის დიდრონ, ხორბლისფერ თვალებს.

დინჯად, აუმღვრევლად დაიწყო ნიანია ბაკურიანმა:

„ჩვენს პატრონს სულ სხვა გეგმა აქვს, იოანე ბატონო. მოგეხსენებათ, იგი უძრავია ჯულითა, ვერავითარნი თათბირნი ვერ გადაათქმევინებენ მას ერთხელ ნათქვამს და გადაწყვეტილს.

ჩვენ რა ვართ, ჩვენ კი არა, გიორგი ჭყონდიდელი ხომ მზრდელია მისი, მისი სულიერი მამაი და დიდი სარდალი. მე ვაკვირდები, ხანდახან თვით გიორგი ჭყონდიდელიც ვერ გადაათქმევინებს ხოლმე მეფეს წინასწარ მოფიქრებულს.

პირველთქმულად რომ მივიქცეთ კვლავ, სულ სხვა ზრახვები ამოძრავებს ჩვენს პატრონს. მას დაგზავნილი ჰყავს კაცნი სარწმუნონი როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში. უნდა გავერკვეთ თუ რა ხდება ჩვენს ირგვლივ, ხელმარჯვე ჟამი შევურჩიოთ მტრებს და მერმე დავკრათ.

მთელი ჩვენი ძალა და მოცალება ამჟამად მიპყრობილია სპათა წვრთნისა და ციხეთა გამაგრებისაკენ“.

„მხდალი შვილი ჰყოლიაო ბაკურიანს, გრიგოლს“.

გაიფიქრა იოანე მაგისტრმა.

„აგრე არ ფიქრობს მამა შენი გრიგოლ“.

„მე არ ვიცი მამაჩემი რას ფიქრობს, ეს მისი ნებაა. ხოლო ჩემთვის უმთავრესია ჩემი მეფე, ჩემი პატრონი რას მიელტვის ამ ჟამად“.

მშრალად მიუგო ნიანიამ.

იოანე გაწბილებული წამოდგა სელიდან, მესამე ოთახში გავიდა, მერმე შემობრუნდა, ბამბუკის ყავარჯნებს დაებჯინა და ეუბნება სტუმარს:

„მე უკვე გავაფრთხილე სახლთუხუცესი უჩემობა არ დაგამჩნიონ. სამიოდე დღით ქრისტოპოლს უნდა წავიდე. მამაი ათანასესაც დავავალე: წამლები არ დაგაკლოთ.

დედოფალი მარიამი თუ მოინახულოთ, ეაჯეთ საქართველოში წასვლა დააჩქაროს. დედოფალყოფილ რუსუდანს მე გავამგზავრებ იერუსალიმს, თუ ცოცხალი გადავრჩი. უთუოდ ეაჯე, ნიანია: ძალე წავიდეს დედოფალი გეგუთს. დამიჯერე, ასე სჯობს ამ ჟამად“...

ესა სთქვა იოანემ და კარები გაიხურა.

თავქვე იწვა ნიანია ბაკურიანი და ყურს მიუგდებდა ეზოდან გასული ეტლის რახრახს. . . . .

ნიანიას მართლაც ჭკუაში დაუჯდა იოანეს მოსაზრება ამ ჯერად: თუ კეისარი შეთქმულებს დაამხობდა, ვინ იცის რას მოიმოქმედებდა სიკვდილს გადარჩენილი კაცი. ბრალიანსა და უბრალოს ხელს დახვევდნენ. სჯობდა: სამშობლოში წასულიყო მარიამი. საქართველოში კი უბატონოდ ხმას ვინ გასცემს დედოფალს?!

მაგრამ ეს იყო, როგორ ეთქვა ეს ყოველივე ნიანიას დედოფლისათვის? ან რა ფასი ექნებოდა მის თათბირს?

*
* *

ნიანია ბაკურიანი მეორე დღესვე წამოდგა, თუმცა სიცხე ჯერაც არ გამონელებოდა. გაეხარდა, როცა ეზოსმოძღვარი ცინცილუკ შემოვიდა და ამცნო: დედოფალი მარიამ წმ. სოფიოს ტაძარში მიბრძანდება და თუ გენებოთ, თქვენ და ჯონდი ეახელითო.

ნიანია აუჩქარებელი კაცი იყო საერთოდ, მაგრამ ამ ამბის გამგონეს სულმოსწრაფება დაეტყო ანაზდად.

საშველი არ დაადგა არც წაღების ჩაცმას, არც თორის გადაცმას, ხელები უთრთოდა მღელვარებისა და სიჩქარისაგან.

უხმოდ მიჰყვებოდა კონსტანტინეპოლის შფოთიან ქუჩებს. ოდნავ ჟინჟლავდა...

ნიანიამ აღარ იცოდა რა ექნა, ემცნო ყოველივე დედოფლისათვის? ეგ ერთის მხრით უხერხული იყო იოანე მაგისტრისა და საერთოდ შეთქმულთა მიმართ, მაგრამ ამის თქმა რას გაარიგებდა, ან როგორ შეეძლო მარიამს ამას ყოველივეს წინ აღდგომოდა. თუ არა და ახლა გრძნობდა ნიანია, თუ რა საშინელების მოწმე გახდებოდა იგი...

ამ წუთში მან შეიცნო თუ როგორი ძვირფასი ყოფილა მისთვის მარიამი. ის მცირეოდენი და გაუბედავი გამიჯნურება, რომელიც მან შეჰკადრა სოხასტერის მონასტერს მიმავალ დედოფალს, უჩინრად გაზრდილიყო მის გულში.

მას ვერ აეხსნა თუ ასე საყვარელი იყო ეს ქალი მისთვის, რად ატარებდა იგი ამ დიდსა და ფაქიზ, სავსებით უანგარო გრძნობას ქვეშეცნეულად?

„როგორი ბედითი ამბავია, როგორი საშინელება თვალნათლივ ხედავდე თუ როგორ მიემართება შენთვის უსაყვარლესი ადამიანი დაღუპვის უფსკრულისაკენ, შენ ყოველივე იცოდე, ყოველივეს წინასწარ ხედავდე და არ შეგეძლოს უშველო მას რაიმე, გააფრთხილო და ააცდინო იგი განსაცდელს“.

მით უფრო აუტანელი იყო ნიანიასთვის ეს სიმძიმილი, მას არ სჯეროდა ეს ცალფეხა იოანე მაგისტრი, არც მიხრწნილებაში გადამდგარი მამა მისი გრიგოლი, არც ყრმა კონსტანტინე, ან ეს ბაქია ნიკიფორე დიოგენი განზრახულ საქმეს თავს მოაბამდნენ და ალექსი კომნენს ჩამოაგდებდნენ ტახტიდან.

იგიც იცოდა ნიანიამ, აქ მარტო ალექსი კეისრის მოკვდინება როდი კმაროდა: სებასტოკრატი ისააკ, დომესტიკი ადრიანე, ტატიკი და სხვა დიდი სარდლები ბიზანტიისა, არც ისეთი გუდურები იყვნენ, ასე ერთი ხელისმოსმით გადაეყარათ სანაგვეში.

„ნეტავი ფეხი მომტეხოდა და არ წამოვსულიყავ საქართველოდან!“ ფიქრობდა ნიანია და მიჰყვებოდა მანგანის სასახლისკენ მიმავალ ქუჩას.

მანგანის სასახლის სასტუმროს კარებთან კუროპალატისსა მელიტა შემოეყარა ნიანიას.

როგორც ყოველთვის, ჩინებულ გუნებაზე იყო ეს დიაცი.

ჯანმრთელობა მოიკითხა ნიანიასი. თქვენთვის ხურვების წამალი მაქვსო კარგი.

ბევრი იტიკტიკა მელიტამ, ბოლოს ესა სთქვა: უგუნებოდ არისო დედოფალი მარიამი.

„ალბათ წინასწარ განიცდის მოსალოდნელ უბედურებას დედოფალი“, გაიფიქრა ნიანიამ, არც არაფერი მიუგო კუროპალატისსას, მაგრამ უკანასკნელმა მაინც დასძინა: მთელი ღამე ლოცულობდა და სტიროდაო ავგუსტა.

მიზეზი ჰკითხა ნიანიამ.

„დალმაციაში აჯანყებამ იფეთქა თურმე, კეისარი ემზადება საომრად, კონსტანტინე პორფიროგენიტოს ახირდა, თან მიჰყვება იმპერატორს ზეგ დილით“.

როცა სასტუმროში, ქართველ მღვდელმთავართა შორის მჯდარ დე-

დოფალს თვალი მოჰკრა ნიანიამ, მყისვე შენიშნა: არამიწიერი მშვენებით ბრწყინავდა მისი ფერმკრთალი, მარმარის ღაწვები.

„კონსტანტინე ომში მიდისო? მან რომ იცოდეს, გარეშე ამისა კიდევ როგორი დიდი უბედურება მოელის?“. . . . . .

გიორგობა იყო, დიდძალი ხალხი შეყრილიყო წმ. სოფიოს ეკლესიაში. იჩოქებდნენ და ლოცულობდნენ ოქროცურვილ თორში ჩამსხდარი ლოგოთეტები, კუროპალატები, სებასტები. წირვას დაესწრო სებასტოკრატ ისააკ, დომესტიკი ადრიანე, გიორგი პალეოლოგი, ფლოტის დუნგარი და მთელი მათი ამალა. არსად სჩანდა თავათ იმპერატორი.

ოქრო, ვერცხლი და მარმალილო ბრწყინავდა ირგვლივ, ელრიალებდა ჯაჭვი თორისა, წკრიალებდნენ დეზები, გუგუნებდა ხორო, ნიანია თვალს არ აშორებდა შავ ატლასში მოსილ მარიამ დედოფალს.

იგი იჩოქებდა, დგებოდა, ისევ იჩოქებდა, იმშრალებდა ცრემლებს, ომში მიმავალ თავის მხოლოდშობილ ვაჟს, კონსტანტინეს ავედრებდა ღმერთს. თვალნათლივ ხედავდა ნიანია ბაკურიანი, როგორი დიდი და უკურნებელი სიმძიმილით იყო შეძრული მისი ღვთივმშვენიერი სახე!

როგორი საცოდავი იყო ეს ქალი, რომელსაც ბედმა თითქმის ყოველივე ამ ქვეყნიური დიდება ბრესავით გადააყარა თავზე, ბიზანტიის ორი კეისრის გვირგვინი, ბუკოლეონის, ხრიზოტრიკლინის და მანგანის სასახლეთა საჭურჭლეთა სიმდიდრე, მთელი მაშინდელი მოწინავე მსოფლიოს რჩეულთა შორეული ტრფიალი და აღტაცება.

მის სიცოცხლეშივე მხატვრები ღვთისმშობლის ხატების დასახატავად ხმარობდნენ მის ანაგობას, მის სახის ნაკვთებს, მაგრამ მაინც უფრო უბედური იყო და საწყალობელი, ვიდრე რომელიმე მეჯადაგის ცოლი, ან ცოლ-ყოფილი.

და ამის ყოველივეს შემცნობი, მისი იდუმალი მიჯნური, რომელსაც ვერც ვაებედნა ამ შეფარვული ტრფიალის გამხელა, ერთადერთი კაცი, რომელიც მსგავსად რომელიმე ბედის წინასწარ განმჭვრეტი იდუმალის მიმთხრობისა, თვალნათლივ ხედავდა, რომ ხვალ, ან ზეგ, ამ სვეგამწარებულ ქალს კიდევ უფრო დიდი უბედობა უდარაჯებდა, გაცილებით უფრო სამძიმო, ვიდრე ორი გვირგვინოსანი იმპერატორის ხელიდან გამოცლა: სახელდობრ კონსტანტინე პორფიროგენიტოს დაღუპვა და ეს კიდევ ცოტაა, მოღალატისთვის განკუთვნილი სახელით უნდა მოეშთოთ იგიცა.

ამბიონზე მდგარი მთავარდიაკონი მაღალი ხმით გალობდა:

„მიწყალე მე ღმერთო, რამეთუ დამთურგნა მე კაცმან, მარადღე ბრძოლითა მაჭირვა მე. დამთურგნეს მე მტერთა ჩემთა მარადღე, რამეთუ მრავალარიან რომელნი მბრძვანან მე მაღლით. დღისი არ მეშინოდეს მე რამეთუ შენ გესავ“. . . . . .

*
* *

ნიანია გაფაციცებით თვალყურს ადევნებდა თუ რა ხდებოდა ირგვლივ.

მვამბოხე ვოლკანმა ლიპენიუმის გადაბუგვის შემდეგ აიღო მისნი მიმდგომნი ქალაქნი და დაბანი, წინ მიუძღოდა აჯანყებულ დალმატებს, ცეცხლითა და მახვილით მოისწრაფოდა კონსტანტინეპოლისკენ, უდაბნოდ აქცია სკუპის შემოგარენნი.

ალექსი კომნენი აუღელვებელი კაცი იყო, ომში წასვლის წინა დღეს ვარჯიშობა ჩვეოდა. იგი პოლოს თამაშობდა ბუკოლეონის საჯინიბოს მახლობლად... ვიღაც მათხოვარი როგორღაც

შემოხეტებულიყო ყოვლის მხრით დაცულ სასახლის ბაღში, ცხენოსან იმპერატორს მიეჭრა, ფერხთით დაუვარდა მის ცხენს და როცა იმპერატორმა ცხენი შეაყენა:

„მაპატიეო“!

შეევედრა.

ალექსი კომნენი ჩამოხტა ცხენიდან, ჯიბიდან ქისა ამოიღო, ოქროს სოლიდი გაუწოდა მათხოვარს და ეუბნება:

„მარქვი, რა გაპატიო, ბედშავო?“

დიდებულებმაც მიატოვეს პოლოს თამაში და მიეჭრნენ გლახის ტანისამოსში მორთულს და მის ხელში მახვილმა იელვა.

იმპერატორის მეხმლემ იქვე მოკვდინება დაუპირა ხელმყოფელს, მაგრამ კეისარმა არ დაანება და სთქვა:

„არაა საჭირო ავისმზრახველის მოკვდინება, მკლავი უფლისა იფარავს ხელმწიფეს“.

მეორე დღესვე იოანე მაგისტრმა გაიგო ქრისტოპოლში, რომ ეს „მთხოვარი“ აღმოჩნდა: სომეხი პოღოს, იოანეს მეგობრის, ხაჩატურის ვაჟი. იგი გამოტყდა: იოანე მაგისტრის და ნიკიფორე დიოგენის შთაგონებით იმპერატორის ხელყოფას ვლამობდიო.

ეს დანაშაული აპატიეს ხაჩატურის ძეს, ხმალი წაართვეს და გაუშვეს.

*
* *

როცა იმპერატორმა ლაშქრითურთ მიაღწია სკოპამდის, ვოლკანმა მოციქულები გამოუგზავნა კეისარს, მძევლებს დაჰპირდა და დაზავება ითხოვა. იმპერატორმა გადამწვარ ქალაქების აღსადგენად განმგეთუხუცესნი დასტოვა და კონსტანტინეპოლს გამობრუნდა.

ვოლკანმა მოატყუა იმპერატორის რწმუნებულნი, არამც თუ მძევლები არ მისცა ბიზანტიელებს, ისევ შემოესია ბიზანტიის პროვინციას და კონსტანტინეპოლისაკენ დასძრა მგამბრეთა ურდოები.

ალექსიმ ჯარი გააყოლა თავის ძმისწულს, ისააკ კომნენის ვაჟს, იოანეს. მასაც დაზავება სთხოვა ვოლკანმა, მძევლებს დაჰპირდა, მოატყუა იგი, ღამით თავს დაესხა მდინარის პირად დაბანაკებულთ, ჯარი ამოსწყვიტეს, ძლივს გამოასწრო იოანემ.

ვოლკანმა განაგრძო ბიზანტიური ქალაქების და დაბების გადაწვა. ალექსი კომნენმა თორნი გადაიცვა, წარუძღვა ლაშქარს და კონსტანტინეპოლიდან 40 სტადიონის მანძილზე დაბანაკდა ქალაქ დაფნუტში.

ლაშქარს თან ახლდა ნიკიფორე დიოგენი. მან თავისი კარავი იმპერატორის კარვის წინ დადგა.

კეისრის მხლებელი მანუილ ფილოკალ დააეჭვა ამ ამბავმა.

საღამოს ეახლა იგი ალექსის და მოახსენა:

„ნება მიბოძე, ნიკიფორე დიოგენი დავითხოვო აქედან, რადგან ვშიშობ არაფერი მოგწიოთ ამაღამ“.

„დეე, თუ მას რაიმე ავი განზრახვა აქვს, ღვთის წინაშე აგოს პასუხი“.

მიუგო იმპერატორმა და ძილს მინებდა.

ნაშუაღამევს, როცა მეფე და დედოფალი ისვენებდნენ კარავში, მხოლოდ მხევალი მსახური ფხიზლობდა. მხევალმა დაინახა: ნიკიფორე დიოგენი ხმლიანად მოადგა კარვის კარს. ნიკიფორე შედრკა და გაბრუნდა თავის კარავში.

მეორე დღეს მხევალმა მოახსენა ეს ყოველივე იმპერატორს, მაგრამ ალექსიმ არც აგრძნობინა ნიკიფორეს, რომ მან ყოველივე იცოდა.

სერრამდე იმპერატორს თან ახლდა კონსტანტინე პორფიროგენიტოს. მან სთხოვა ალექსის, გაეგზავნათ მარიამ დედოფლის მამულში, რომელიც პენტიგოსტში იმყოფებოდა: დავისვენოთ და დრო გავატაროთო.

ალექსი დათანხმდა, მეორე დღეს წასვლას დაადგა, მაგრამ კონსტანტინემ არ გაუშვა. მტვერი შემოვიცალოთ ნამგზავრთა, ვიბანავოთ და მერმე წავიდეთო.

იმპერატორი დაეთანხმა კონსტანტინეს და მეორე დღეს აბანოში შევიდა. მეფეს სარდალი ტატიკი თან ახლდა. აბანოს კართან შენიშნა ტატიკიმ: ნიკიფორე დიოგენი ხმლიანად დადიოდა მარტოკა.

„რატომ იქცევი აგრე უზრდელად, კეისრის სიახლოეს რომ დადიხარ ხმლიანად, ახლა აბანოს დროა და არა ომისა, ან ნადირობისა“.—ეუბნება ტატიკი.

ნიკიფორე შეკრთა და განიზრახა ქრისტეპოლში გაქცეულიყო მარიამ დედოფალთან, მით უმეტესს, რომ მარიამი არა ერთგზის ეპატიჟებოდა მას.

მესამე დღეს კეისარი ბრძოლის ველისკენ გაემართა. ბევრი ეაჯა კონსტანტინე პორფიროგენიტოს, თან წამიყვანეო ომში, მაგრამ დაარწმუნა უფლისწული:

დედისერთა ხარ, მტრებს ჩვენ გავცემთ პასუხს, შინ დარჩიო, ურჩია.

წავიდა თუ არა იმპერატორი, ნიკიფორემ მისი საუკეთესო ცხენი სთხოვა კონსტანტინეს. მხოლოდ ამ ცხენით წამოვეწევიო იმპერატორს.

იოანე მაგისტრიც აქ იყო, იგიც ბევრს ეაჯა კონსტანტინეს, მაგრამ პორფიროგენიტოს შედრკა, არ ათხოვა ეს ცხენი ნიკიფორეს, მოიმიზეზა: იმპერატორის ნაჩუქარიაო იგი.

სერრაში მაინც წამოეწია ნიკიფორე დიოგენი იმპერატორს ცხენდაცხენ და ისევ მის კარვის მახლობლად დაადგმევინა თავისი კარავი.

ალექსი კომნენმა იხმო დიდი დომესტიკი, თავისი ძმა ადრიანე და გაუმხილა მას: ნიკიფორე დიოგენი მოკვლას მიპირებსო.

ადრიანი ნიკიფორეს სიძე იყო. შეუხედავად ამისა, მოიხმო ნიკიფორე და ათასგვარი შეპირებებით და პატიების აღთქმით შეეცადა, გამოეტეხა ნიკიფორე და დაესახელებინა მას თავისი თანამზრახველნი.

ნიკიფორემ იუარა ყოველივე.

მაშინ იმპერატორმა იხმო მუზაკი და უბრძანა მას ძალით გამოეტეხა ნიკიფორე.

მუზაკმა აწამა ნიკიფორე და ამ უკანასკნელმა აღვიარა: იმპერატორის მოკვლას მიველტვოდიო, გამოტყდა: კონსტანტინე პორფიროგენიტოს და იოანე მაგისტრი მაგულიანებდნენო. მარიამ დედოფალს ცილი დასწამა: იგიც ერიაო ამ შეთქმულებაში.

როცა მუზაკმა ხელახლა დაჰკითხა დამნაშავე, ახლა ჩვენება შესცვალა ნიკიფორემ: მარიამმა იცოდა შეთქმულების ამბავი, მაგრამ იმპერატორის მოკვლას ყოველგვარად წინ აღუდგა, ცრემლმორეული გვევედრაო არ მოგვეკლა იმპერატორი.

შეიპყრეს და აწამეს სომეხი პოღოს ხაჩატურის-ძე და გამოსტეხეს: იოანე მაგისტრის, ნიკიფორე დიოგენის და კონსტანტინე პორფიროგენიტოსის თანამდგომი ვიყავი, მიტომაც მინდოდაო კეისრის ხმლით მოკვლა, მაგრამ ვერ შევბედეო ქრისტიან იმპერატორს.

იმპერატორმა უბრძანა მუზაკს: საიდუმლოდ შეენახა ეს ცნობა მარიამ დედოფლის შესახებ, რადგან თავათაც არა სჯეროდა. ნიკიფორემ ხელი დაადო იმპერატორის სიძეს, მიხაილ ტარონიტს და სარდალს კევკამენ კატაკლონს და სხვა მრავალ დიდებულსა და კარისკაცს. . . . . .

. . . . . .

*
* *

იმპერატორმა დაამარცხა ვოლკანი და კონსტანტინეპოლში მიბრუნდა, ერთგვარი სამსჯავრო გაუმართა შეთქმულებს.

ბუკოლეონის სასახლის დიდ დარბაზში შეგროვდნენ კუროპალატები, მაგისტრები, ფლოტის დრუნგარი და კონსტანტინეპოლის პატრიარქი და ეპარქი. იმპერატორის ტახტს გარს შემოერტყნენ ნათესავნი და დიდებულნი, იარაღის მტვირთველნი და მედაფენი.

მეხმლენი, მედუმბულენი და შუბოსანნი აჟღრიალებდნენ იარაღს, ყვიროდნენ:

„სიკვდილი შეთქმულებს“.

ოქროს ტახტზე იჯდა საამარ თორში მორთული მრისხანედ წარბებშეყრილი ალექსი კომნენი. იგი თრთოდა, მახვილი არ მაძგეროსო შეთქმულთა-განმა რომელიმემ.

ჯონდი ერისთავი მხარმარცხნით უჯდა სასეიროდ მოსულ ქართველ მღვდელმთავრებს, მხარმარჯვნით მათგან ნიანია ბაკურიანი იჯდა, სავსებით ფერწასული. კირიონ მანგლელმა ჰკითხა კიდევაც ნიანიას ქართულად: „შენ ისე ღელავ, ნიანია, თითქოს შენაც იყვე შეთქმული“.

ნიანია ჯერ დადუმდა და მერმე მიუგო, განმიახლდაო ხურვება. ცდილობდა ნიანია: მღელვარება დაეოკებინა როგორმე.

მას უკვე განზრახული ჰქონდა თავის სიცოცხლეში ერთხელ დაერღვია დავით მეფის ნაბრძანები: ბერძნულ საქმეებში ნუ გაერევითო, რომ დააბარა პატრონმა.

თუ მარიამ დედოფალს რაიმე ხიფათს შეჰყრიდა ალექსი კეისარი, ნიანიას გადაწყვეტილი ჰქონდა: ამავე დარბაზიდან გასვლამდის ხმლით აეკუწა იგი და აგრე დაეცვა სვეგამწარებული ქართველი მანდილოსანი.

განა უბრალო ქალი, მისი სათაყვანებელი მეფის მამიდა. მით უმეტეს მტკიცე იყო მისი განზრახვა, რომ მან იცოდა სავსებით უბრალო იყო ამ საქმეში დედოფალი.

ნიანია კარგად გრძნობდა: როგორი საშინელი უფსკრული იწყებოდა ამ ადგილიდან. . . . . .

*
* *

შემოიყვანეს დაბორკილი შეთქმულები: ნიკიფორე დიოგენი, კონსტანტინე პორფიროგენიტოს, მიხაილ ტარონიტ, კევკამენ კატაკლონ და ასიოდე სტრატიგი და კოჰორტების წინამდგომნი. რადგან შეთქმულებაში ათასზე მეტი კაცი იყო გარეული, სხვათა შეპყრობა არ ინება იმპერატორმა. არც იოანე მაგისტრი შეაპყრობინა, რადგან მხედველობაში მიიღო მისი დიდი დამსახურება ბიზანტიის ლაშქრის წინაშე და აგრეთვე ხეიბარობა მისი.

ბოლოს ალექსი კომნენმა დაარღვია დიდ დარბაზში ჩამოვარდნილი დუმილი:

„თქვენ უწყით, არავითარი ბოროტება არ მიმგია მე რომან დიოგენისათვის. მას შემდეგ რაც ნებითა უფლისაითა საკეისრო ხელისუფლება ჩემზე გადმოვიდა, მე მას და მის ძმას ლეონს როგორც საკუთარ ვაჟებს, ისე ვუვლიდი.

არა ერთხელ საცნაურ ვყავი ავნი ზრახვანი მისნი ჩემი სიცოცხლისადმი ხელყოფისკენ მიმართულნი, მხოლოდ მამობრივი რუდუმება მივაგე. მიუხედავად ამ სიქველეთა, მან მოკვდინება მომისაჯა სამაგიეროდ“.

ატყდა საშინელი ღრიანცელი:

„მზეგრძელი იყოს კეისარი ალექსი“.

„სიკვდილი მოღალატეებს“ . . .

კეისარმა დამშვიდება სთხოვა თანადამსწრეებს, მერმე სთქვა: „ნაცვლად მოკვდინებისა, მე ვბრძანებ: ეპატიოს მათ დანაშაული, უფლის წინაშე აგონ სამაგიეროდ პასუხი“.

ისევ გაიმართა გნიასი, მაგრამ ბორკილები მაინც შეხსნეს შეთქმულთა. მხოლოდ ნიკიფორე დიოგენს და კევკამენ კატაკონს დასთხარეს იმ დამეს კეისრის უკითხავად თვალები. . . .

. . . . . .

*

* *

მეორე დღეს გარიჟრაჟზე სწვიმდა, ზღვა ღელავდა. პროპონტიდის უკაცრიელ ნაპირზე მარტოხელა მენავემ შენიშნა: ბამბუკის ყავარჯნიანმა მოხუცმა მოხსნა რკინის პალოზე მიბმული პატარა ნავი, შიგ ჩაჯდა და აუჩქარებლად შეიყვანა იგი მღელვარე ზღვაში.

სულ ასიოდე ნაბიჯიც არ ჰქონდა ზღვაზღვა გადალახული ნავს, მოხუცმა ისკუპა ნავიდან, მაგრამ ისე უმარჯვოდ გადახტა, ნავი გადაყირავდა. ეს შენიშნეს უკვე ზღვაში გასულმა მეთევზეებმაც, მიაშურეს იმ ადგილს, მაგრამ მხოლოდ გადაყირავებული, ცალიერი ნავი იპოვნეს და ორი ყავარჯენი ბამბუკისა დაჰქონდა ზღვას.

მხოლოდ მესამე დღეს გაიგო მარიამ დედოფალმა იოანე მაგისტრის დაღუპვა. სავალალო იყო დედოფლისთვის შეცნობა იმისა, რომ იოანე მაგისტრმა არ ინდომა ალექსი კეისრის მიერ სულგრძელად პატიების მიღება და თავისი ტრაგედიული ცხოვრება აგრე დაასრულა.

მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ უსინათლო ბერმა ათანასემ ეზოსმოძღვარს ცინცილუკს გადასცა პაწია ბარათი და თან დასძინა:

ნაშუაღამევს მე ვეღარ მოკვდა შუბლზე. როცა გამომეღვიძა, ცრემლით დამენამა ღაწვის თავი. ეს ბარათი ხელში ჩამიკუჭა, კიდევ მაკოცა ღაწვის თავზე და გაჰქრაო.

სულ რამდენიმე სიტყვას სწერდა გამოსათხოვარს იოანე მაგისტრი მარიამ დედოფალს:

„სათაყვანებელო ავგუსტა!

მომიტევე, სიცოცხლე რომ გაგიმრუდე მე შლეგმა. ამის შეცნობამ გადამაწყვეტინა ალექსი კეისრის დამხობა. მისი ბედი, თავათ მიხვდა, რომ შენ უბრალო იყავი ამ შეთქმულებაში. ეს რომ არა, საიქიოს წინ გავიძღოლებდი ამ მუხანათ კეისარს.

მე და ნიანია ბაკურიანმა შევფიცეთ ერთმანეთს: თუ დედოფალი ამ შეთქმულებაში გაჰხვიეს ბერძნებმა, მივეჭრებოდით და იმ ღამესვე ხმლით ავკეპავდით ალექსი კომნენს. რაკი შენ გადაგვირჩი მშვიდობით, მე უკვე აღარა მსურს ალექსი კეისრის ნაწყალობები სიცოცხლის თრევა.

როცა საქართველოში ჩაბრძანდები, ჩემ მაგივრად ეამბორე საქართველოს მიწას, ეგებ წამიღოს ევქსინის პონტმა და საქართველოს ნაპირზე გამომრიყოს. მიტომაც ვარჩიე ზღვაში მეპოვნა სიკვდილი.

ხელზე გემთხვევი ჩემო მწყაზარო, ჩემო მშვიდო, ჩემო მშვენიერო ავგუსტა.

მშვიდობით.

ქრისტეს მიერ რეგვენი იოანე“.

ბარათის კიდეზე კიდევ ორიოდე სიტყვა იყო მიწერილი:

„ილოცვიდე სულის ჩემის სალხვნად“.

XXV

ბარათები ბაღდადიდან

ფარცხისის ციხეში. ერისთავთ ერისთავის რატი ლიპარიტის ძის წინაშე. ღვთის მოწრჩილის კოზმან ბერისაგან.

ეს ბარათები კოზმან ბერისაგან მოვიდა თრიალეთში, ლიპარიტ ერისთავის მედავითნის სახელზე, მაგრამ ვარსიმ ვარძელის მიერ ისპაჰანიდან წარმოგზავნილი მალემსრბოლი ქარიმან სეტიელმა შეიპყრო და ბარათები დავით მეფეს გადასცა.

„როგორც წინა ბარათშიაც მოგახსენებდით“, სწერდა კოზმანი, „ბარქიაროკი დაგვპირდა: იზზ-ალ-მულკს წარმოგზავნის თრიალეთს და ლაშქარს გამოატანს ისე მრავალრიცხოვანს, ექვს დღეს გრძელდებოდეს ჯარის შემოსვლა.

ხალიფა ალ-მოქთადის სიკვდილის შემდეგ მრავალი რამ მოხდა საყურადღებო. ხალიფას ტახტზე ავიდა ალმოქთადის თექვსმეტი წლის ვაჟი, აბუ-აბას-აჰმედ, რომელმაც მიიღო წოდება ალ-მოსტადიჰრ ბილაჰ[1].

ისევ დაიძრა ისპაჰანიდან ლაშქარი.

ბარქიაროკი ბაღდადს გაეშურა, მე და ვარსიმ ვარძელი თან ვახლდით სულტანის ვაზირს იზზ-ალ-მულკს.

ბაღდადს მიუახლოვდა თუ არა, ალ-მოსტადიჰრმა გამოუგზავნა ქილაჰ სულტან ბარქიაროკს და ხუტბა აღავლინა მის სახელზე.

ბაღდადში ავიდა თუ არა ტახტზე, ბარქიაროკმა იხმო მყისვე თავისი ბიძა ტაკაში, რომელიც ოდესღაც წინ აღუდგა თავის ძმას მალიქ-შაჰს და აჯანყება მოუწყო.

ახლა ეს უნდოდა სულტანს: ტაკაში ჩაეთრია მისივე ძმის—ტუტუშის ალფ-არსლანის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ სწორედ ტაკაშს უპოვნია ბარქიაროკმა ჯიბეში ბარათი, სადაც ეგი დახმარებას ჰპირდებოდა ტუტუშს.

შემდგომ ამისა, ბარქიაროკმა მოჰკლა თავისი მამის ძმა და ტიგრში გადააგდო მისი ცხედარი.

მერმე შეიპყრო ბარქიაროკმა მალიქ-შაჰს დიდი ამირი იელბერდი, რომელიც ტურკან ხათუნს მიემხრო ოდესღაც.

ამასობაში ამირებმა ქერბორგამ, აქსონკორმა და ბუზანმა უღალატეს ტუტუშს და ბარქიაროკს მიემხრნენ.

ტუტუშმა აზერბაიჯანში ხელახლა შეჰყარა ლაშქარი, დაუგდო დამასკი და ჰალაბისაკენ გაეშურა. გადაბუგა და დაიმორჩილა ქალაქი. სამი ამირი გააგზავნა ბარქიაროკმა ტუტუშის წინააღმდეგ: აქსონკორ, ბუზან და ქერბორგა.

აქსონკორს ლაშქარმა უღალატა, ბრძოლის ველზე მარტო დასტოვეს ამირი. როცა ტუტუშს მიჰგვარეს, იგი შეეკითხა ტყვეს: მე რომ შეგეპყარი, რას იზამდიო?

მოგაშთობდიო.

მიუგო აქსონკორმა.

ამირ ტუტუშმა მოჰკლა აქსონკორი და ჯვარზე დაჰკიდა.

ამ გამარჯვების შემდეგ ტუტუშმა წინ გაიგდო ქერბორგას და ბუზანის ლაშქარნი. ორივე ამირი შეიჭრა ჰალაბში, ტუტუშმა ალყა შემოარტყა ქალაქს, აიღო იგი და ამირები დაატყვევა.

ბუზანს თავი მოსჭრა, ხოლო ქერბორგა გადაარჩინა სიკვდილს ამირ ომარმა.

ბარქიაროკიც იღებდა ქალაქებს, მაგრამ როგორც კი რომელიმე მათგანს აიღებდა, ლოთობდა იზ ალ-მულკთან ერთად.

ასე რომ არაბმა პოეტმა აბუმანსურ ჰალაბიმ ლექსიც გამოუთქვა:

---

[1] არაბ. ნიშნავს: კაცი, რომელიც ღვთის თანადგომას ითხოვს.

„ჩვენ ისე გაგვიტაცა ღვინის სმამ და ლოთობამ,
არც ამირ აქსონკორი გვახსოვს და არც ამირ ბუზანი“.

ამასობაში ტუტუშმა ბაღდადს შემოარტყა ალყა, ხალიფ ალ-მოსტადიჰრმა ახალ სულტანის სახელზე აღავლინა ხუტბა, რადგან უკვე იცოდა, რომ ბარქიაროკს შეეშინდა თავის მამის ძმის ლაშქრისა და ისპაჰანისკენ გაქცეული იყო უკვე“.

მინაწერი:

„მე და ვარძიმ ვარძელი უკვე ბაღდადში ვიმყოფებით და ახლა იმის ცდაში ვართ, ამირ ტუტუშს ვამცნოთ დავით მეფის ამბავი და შველა ვთხოვოთ სულტანს“.

ფულები მოგვაშველეთო, სწერდა კოზმან რატის, დიპრემენი სჯობან, ბიზანტიურ ოქროს მაჯაგანით ბლებენო თურქები.

*
* *

მეფეს ნაჭარმაგევში წარუდგინა კოზმან ბერის ბარათი ქარიმან სეტიელმა.

როცა დავით მეფემ იგი გადიკითხა, გაეღიმა და თქვა: „ჯერჯერობით ჩვენი მტრები ჩვენს მაგიერობას უწევენ ერთმანეთს. ვნახოთ რას მოგვიტანს ხვალინდელი დღე. . . . “.

(დასასრული იქნება).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა აფხაიძე

ჩანაწერები გზაში

★

1. გაზაფხული

მივქრი მშობლიურ წიაღში ნაგებ
ყველაზე სანდო ციური ნავით;
არ მეგულება მასზე ლამაზი,
მასზე ძლიერი და გამბედავი.

მივქრი... თბილისის ხშირი ბაღების
მომყვება სუნთქვა თან მადლიერი.
გაზაფხულია... ასე ხმამაღლა
ხალისით რომ კრთის, იცინის, მღერის.

მომყვება იგი ელვით და ქარით,
და ავსებს მიწის სახსრებს სითბოთი.
აღარ ეტევა ცის ლაჟვარდებში,
ადიდებული გრუხუნით მოდის.

ვხედავ შეჭრილა ყუბანის ველზე
ის აყვავებულ ბაღებში ლხენით,
და მაცდურ ენით ეპატიჟება
ყვავილთ: გამოდით, გაიშალენით!

მშვენებით მოსილ დონის ველებზე
ყოველი სახლის ჭიშკრისკენ უხვევს,
აღარ უსვენებს ტყეებს, ბუჩქნარებს,
მიწის ქერქს არღვევს მისი სიუხვე.

მრავალფერი და მარადბრწყინვალე
მოჰყვება დიდ გზას, დაუმცხრალს, მზიანს,
აი — აღთქმული ჩვენი ქვეყანა,
რა ნათელი და რა ლამაზია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამაღლებულა გმირობით იგი,
რომ ვეამბორო გულით მწყურია;
ქარიშხლის შემდეგ მასზე რა დიდი,
რა მშვენიერი გაზაფხულია!

★

2. მომეჩქარება... მოვესწრაფები

განა მოვდივარ! მოვფრინავ,
ჩამოვიტოვე თბილისი.
ქართლის რიყრაყებს გადმოვუქროლე,
სადღაც შორს ბოლავს უკვე ზღვის ნისლი.

მომეჩქარება... მოვესწრაფები
ელვაზე მაღლა, ელვაზე ჩქარა,
რომ ჩქარა ვნახო შუქში შეჭრილი
შენი ველები და ცა ანკარა.

რომ გავიხარო შენი დიდებით,
შენი სიტურფე დამეცეს ზვავად...
მომეჩქარება, მონატრებულო,
შენი ჰაერის ჩასასუნთქავად.

რომ სივრცეები ასე დიადი,
მათი დუღილი ვიხილო ახლო,
და განშორებით მოდუნებული
ძველი ტრფობა რომ კვლავ განვიახლო.

მოვფრინავ, ვხედავ მაღლიდან ყველგან
ჯეჯილთა ბიბინს, ბაღების ჩრდილებს;
შენი ბუნების მშვიდ სილამაზეს
ველარ გავუძელ, დავემორჩილე.

ო, როგორ ბრწყინავს ცა საბჭოეთის,
ველი ცხოველი, გმირობის წყარო,
მოვესწრაფები, რომ ჩაგეხვიო,
უახლოესო და სანეტარო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

★

3. ამ ხალხს მშვიდობა

რა მშვენიერი გაზაფხული და
რა გაზაფხულის წყალდიდობაა!
ერთი სიტყვა სჩქეფს მხოლოდ გულიდან:
მშვიდობა ამ ველს, ამ ხალხს მშვიდობა!

თვალუწვდენ სივრცეს გავცქერი ისე,
როგორც ჩემს პირველ ბედნიერებას,
გულს სიამაყით და ტრფობით მივსებს
ის, გადაშლილი ამდენ ფერებად.

ცა რა სუფთაა, რა განიერი —
არ ბოლავს არსად ღრუბლის ნაფლეთი,
მხოლოდ ჯეჯილთა შუქი ძლიერი
ცის შორ დასავალს ზეიმით ერთვის.

ჩემი სამშობლო ასე მდიდარი,
ან ასე დიდი როდის ყოფილა.
აქაც ჩემი ცის უბერავს ქარი
და მტრედისფერი შრიალებს დილა.

აქ ყოველ საგნით წარმომიდგება
გამარჯვებაში მისი ნახტომი,
იყო, არის და ჩემთვის დარჩება
ის არჩევანის გარეშე მდგომი.

ასე ნათელი, ასე ბრწყინვალე
დილა არასდროს დასთენებია, —
შრომით შემკული ცხელი დღეები
მისი დიდების ცეცხლის ფრთებია.

ჩემი ცხოვრების დასამშვენებლად
ვიცი: რომ ერთი ეს დღეც მეყოფა,
ველარ ვშორდები მის სილამაზეს,
წინ რომ აღმიდგა, გადამეღობა.

მესმის მაღალი და რაღაც წმინდა
ამ გაზაფხულის ფერთა ღუდღუდში,
ჩემო ძმობილო, ჩაგიკრა მინდა
ამ სიყვარულით შემოსილ გულში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

★

4. რა უსაზღვროა ჩემი სამშობლო

გაზაფხულია... ყვავილთ ხმაური
დგას უზარმაზარ ნათელ ბაღიდან.
ზეიმობს მიწა შემკული ხალხით,
სამშობლო სირცხვილს რომ განარიდა.

რასაც შეხედავ — ყველგან შენება,
შრომის დიდება არის გაშლილი,
და ყოველივე ანათებს ისე,
როგორც სახელი — დიდი კავშირი.

რა უსაზღვროა ჩემი ქვეყანა,
სცემს შუქი მისი მდიდარი ყოფის,
რომ დაიტიოს ეს სილამაზე,
მას სივრცეები მაინც არ ყოფნის.

ხომ არსად უჩანს ამ ცას ნაპირი,
ჯეჯილებს მაინც განი არ ყოფნის,
რა ბეღლებია, რომ ჩაიტიოს
საგაზაფხულო ფიცის ნაყოფი?

განა მეორე... შენ ხარ პირველი
ტრფობის სამშობლო, სიკეთით სრული,
შენ ძლიერ ფრთებს ქვეშ ჩემმა ხალხმა რომ
დააბინავა მშფოთვარე სული.

დიდება შენდა — დიდო კავშირო,
უძლეველობით, გმირობით ვრცელო,
ჩემო პირველო სიყვარულო და
კვლავ სიყვარულო უკანასკნელო.

★

5. აი რით ვარ ბედნიერი

ციდან განა წვიმა მოდის?
ეს ზურმუხტის წვენი არის.
ჰაერი ქრის განა თბილი?
ეს მინანქრის ქარი არის —
აი რით ვარ ბედნიერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტატნობს ასე რომ ანათებს —
მზესუმზირას შუქი არის,
ცისარტყელას რკალს რომ არხევს —
დონის სიო არის წყნარი,
თავს დამნათის ცა ნარნარი.

შორ მინდვრებზე რომ გაშლილან —
ჭტრედებია მოფრენილი,
გარეშემო მათი თბილი
ღუღუნია მოფენილი —
ყველა დაა საყვარელი.

მინდორს თავს რომ დასტრიალებს —
იგი ძმაა ღვიძლი ჩემი,
ის 'იყო, რომ მტერს არ მისცა
მოსაშლელად კერა ჩემი
და ამით ვარ ბედნიერი.

ვაშლების და ალუბლების
გზებს ღიმილი დაფენია.
თავდახრილი თავთავები
ოქროს წვენში ნაფერია,
შიგ გვრიტები დამღერიან.

სიხარულით რომ ივსება,
შუადღეა შრომით ცხელი.
წითელშწვანედ შეფეთქილა
მიწის ღაწვი შაქრით სველი —
მზეში ცურავს დონის ველი.

★

6. ღამე დონის ველზე

რა დღე დასრულდა! დროით მიწყნარდა,
ჯეჯილთ მორევში მინაბა თვალი,
შემდეგ დაეშვა საღამოს ფარდა —
შორს ტბა გაბრწყინდა, ვით დიდი ლალი,
მზემ გაიბანა მასში დალალი.

გრილი მინდვრების სუნსავსე სიომ
გამოაღვიძა ლალის ზვირთები,
და შეუმჩნევლად ლურჯ უფსკრულიდან
ჩაეშვნენ ტბაში ღრუბლების მთები...
გააშრიალა საღამომ ფრთები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუქმწვანე ბინდში შორს გაირიყა
თივის ზვინების ჩრდილთა ზვავები,
ხშირ არყნარების მშვიდსა ლირიკას
უფრო ანაზებს ცა ღრმა თაღებით...
შევყურებ ცას და ცამდე ვმაღლდები.

შორს ჩაიძირა სივრცე სქელ ბინდში,
სადღაც განათდა პატარა რვილი,
და აელვარდა ნელ შუქში დონი,
ვით მურომეცის მძიმე მახვილი,
არ ეკარება ამ მახვილს ძილი.

თითქოს ვარსკვლავთა ისმის წკრიალი,
სველდება ღამე თანდათან ნაბით,
და შრომის შემდეგ დიდ სიწყნარეში
ისვენებს ხალხი მეტი სიამით.

★

7. ანდერძი

რა თავისუფლად სუნთქავს ეს სივრცე —
ცივი გრიგალი რომ გადასცილდა.
ძირს გულს მინათებს ხალხის სიკეთე,
გუნდი ვარსკვლავთა კი — მაღლა ციდან!

რა ფერსავსეა კურსკის საღამო,
ლამაზი, როგორც თითონ დიდება.
მისი ალერსი და სიყვარული
გულს არასოდეს არ მოსწყინდება.

ბრწყინავს, ლივლივებს შორს ლაქვარდებში
თითქოს პუშკინის ლექსების ბროლი,
თანაბრად გვწვდება კავშირის შუქი,
მის მზის წინაშე ყველა ვართ ტოლი.

აი აქ იყო, ორი წლის წინათ,
სისხლი რომ დუღდა მიწაზე ცხვლი,
ჩვენი არმია წინ მიიწევდა
დიდი სამშობლოს წმინდა სახელით,
ხალხთა ოცნების ციურ სახელით.

აი აქ იყო, რომ დაიწერა
სისხლით ბრწყინვალე ომის ფურცელი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელ ამ სივრცეზე რომ გაიშალა
თავისუფლების ძალა უცვლელი.

ქარიშხლის შემდეგ ისევ მშვიდობა,
ისევ შრომა დუღს გაუგონარი,
და მინდვრებიდან თითქოს იძვრება
აქ ჩაიკოვსკის მუსიკა წყნარი.

ხან თვალშეუდვამ დილის მინდვრებზე
ვერცხლისფრად ბზინავს თხელ ორთქლში თოში,
ხან ლევიტანის პეიზაჟები
შორს ელვარებენ ტყეთა ჩარჩოში...

და ჩემს მოშავალს მხოლოდ ერთსა ვთხოვ,
ერთ ანდერძს ვტოვებ — ტრფობისა გარდა:
უყვარდეს დიდი რუსეთის ხალხი
იმ აღტაცებით, მე რომ მიყვარდა.

რომ ეამბოროს ამ სილამაზეს
როგორც რამ ციურს, როგორც უწმინდესს,
ხალხის სიყვარულს მისდიოს მარად,
თვალის ჩინივით მას გაუფრთხილდეს.

★

8. გზაზე სანგრების დანახვისას

როცა ვუყურებ მიწის იარებს —
ყოფილ სანგართა დაკლაკნილ შტოებს,
მე მახსენდებით თქვენ, დევგმირებო,
ხალხის ერთგულო, ღვიძლო შვილებო,
მათში სიცოცხლის მზე რომ ჩასტოვეთ.

როგორ იბრძოდით, რომ არ დაგეთმოთ
მტრისთვის სამშობლოს ბედნიერება,
შუქით შემკული თქვენი სახელი
და თავდადება აურაცხელი,
ალმდგარ ცხოვრების მბრწყინავ ფურცელზე
უკვდავი ხელით დაიწერება.

განა წყვდიადი ფლობს თქვენს საფლავებს!
არა, ისინი თქვენი გმირობით
ისევ ნათელი, ისევ თბილია
და სიყვარული თქვენი, ძმობილნო,
ჩემს ოცნებაშიც ჩაწერილია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორ იბრძოდით... წინ მიგაფრენდათ
უძლეველობა ბელადის დროშის,
ახლა კი გულზე ხელდაკრეფილებს,
თქვენ, სახელოვან ომგადახდილებს,
სიცოცხლის ზეიმს რომ გამოაკლდით,
გძინავთ მინდვრების ყვავილთ სითბოში.

თქვენი ციური პატიოსნება
განვლილ გმირულ გზას მიჰყვება, მისდევს...
დაეფინება კვლავაც თქვენ საფლავთ
სამშობლოს ცრემლი, ხალხის სიწმინდე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალეკო შენგელია

გორის დილა

★

რა კარგი დილა გათენდა,
ცაში ტოროლა აფრინდა,
ცისკრის ვარსკვლავი მოსწყვიტა
და ღამის ბადე დაფლითა!

გაფრინდა, გაიშურდულა,
ღამის ჩრდილებიც გაადნო,
მზის სხივთა კიბეს ჩამოჰყვა,
აისის ცეცხლი დაანთო!..

ქოხზე ვარსკვლავი აენთო,
ვარსკვლავია თუ შუქურა!
ამღერებულა აკვანი,
მზის კალთა გადაუხურავს.

კვლავ რაღას გვეტყვი, აკვანო,
აკვანო ნაამაგარო,
ნატვრის თვალო და ლამპარო,
გაცოცხლებულო ზღაპარო,
კვლავ რაღას გვეტყვი, აკვანო!

რა კარგი დილა გათენდა,
რა კარგი განთიადია,
გორის ვაშლების ლოყებზე
ყაყაჩოები ანთია.

შენ რაღას მეტყვი, რას ეტრფი,
დაუდგრომ-დაუძინარო,
მტკვარო, ქართულო მდინარევ,
მარადჟამიერ მდინარო!

შენ რაღას მეტყვი, ყანაო,
ვინც გთესა, მოგიყვანაო?
მისი ლამაზი სიმღერა
მოგნატრებია, განაო?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერგო კლდიაშვილი

დაბრუნება

★

შემოსასვლელ კარზე ვიღაცამ დააკაკუნა.

მთელი სახლი უმალვე აფორიაქდა ამ ხმაზე. ყველამ მაშინვე თავი მოიყარა პატარა დერეფანში.

ოჯახში გაფრთხილებული იყვნენ და მის მოსვლას ელოდნენ.

კარი გაიღო და გამოჩნდა ახალგაზრდა მამაკაცი ცივილურ ტანსაცმელში.

— მოვესწარით თქვენს ნახვას! — გულწრფელად მიეგება ჭაღარა მასპინძელი რაფიელ სიმონიშვილი. მოეხვია და გადაჰკოცნა.

ამის შემდეგ თითქოს საჭირო აღარ იყო თავისი ვინაობის თქმა, მაგრამ სტუმარი მაინც გაშოემცნაურა ქალებს:

— კაპიტანი ვალერიან ნადირაშვილი...

რატომღაც ყრუდ წარმოსთქვა ეს და ალერსიანად გადახედა დერეფანში მყოფთ. შავგვრემან, რამოდენიმედ ტლანქ სახეზე ღიმილის დროს თითქმის ეხუჭებოდა თვალები და დიდრონი, თეთრი კბილები უჩანდა.

— მობრძანდით, აქეთ მობრძანდით! — შეუძღვა რაფიელი სასტუმრო ოთახში.

ნადირაშვილმა შენიშნა, რომ ყველანი სიხარულით შესცქეროდნენ. შენიშნა ისიც, რომ მათ გამოხედვაში ამასთანავე სევდა იხახებოდა.

— მოხარული ვარ... ყველას გვიხარია, რომ...—უეცრად ხმა ჩაუწყდა რაფიელს, მერე თავს ძალა დაატანა და ჩუმი მღელვარებით განაგრძო:— ძალიან, ძალიან მოხარული ვარ, რომ მშვიდობით დაბრუნდით...

მეზობელ ოთახში კედლის საათი წიკწიკებდა. მკაფიოდ ისმოდა, თუ როგორ მარცვლავდა თვითეულ წამს. დროის სვლას მონოტონური, გულგრილი ხმა ჰქონდა.

— თქვენ კი, ჩემი წარმოდგენით, სულ სხვანაირი იყავით. — ისევ მასპინძელმა დაარღვია სიჩუმე. — სულ სხვანაირი მეგონეთ...

ნადირაშვილმა ვერ მოახერხა რაიმე ეთქვა ამაზე, მხოლოდ ღიმილით უპასუხა და ისევ თავისი დიდრონი კბილები გამოაჩინა.

რაფიელის სიტყვები დაადასტურეს ქალებმა. დაადასტურეს უხმოდ, უსიტყვოდ, მხოლოდ სახის გამომეტყველებით. ამათაც ხომ სხვაგვარად ჰყავდათ წარმოდგენილი... ყოველ შემთხვევაში არა ისეთად, როგორსაც ახლა ხედავდნენ.

— რომელია ამ ორში გოგის ცოლი? — ცდილობდა ნადირაშვილი გამოეცნო.

ორივე ქალი ახალგაზრდა იყო და სახითაც გვანდნენ ერთმანეთს. ნადირაშვილი დარწმუნებული იყო, რომ ერთი მათგანი გოგის ცოლი ირინე

იქნებოდა. ეს სახელი მრავალჯერ სმენია, როცა გოგისთან ერთად სანგრებში იჯდა.

მოხუცი და ორი ახალგაზრდა ქალი თვალს არ აშორებდნენ. თითქოს უკვირდათ, რომ ის კაცი, ვისაც აქამდე მხოლოდ წერილებით იცნობდნენ, ვინც აქამდე მხოლოდ ოცნებაში არსებობდა, ახლა სიცხადეში წარმოსდგა და მათთან ოთახში იჯდა. ის იყო გოგის ფრონტელი მეგობარი, რომელიც შორეულ კარპატებში იმ საბედისწერო დღეს მასთან გვერდით იდგა. მოჩვენებითი იყო მათ წარმოდგენაში უცხო ქვეყნის ის ადგილი და ამიტომ კიდევ უფრო საკვირველი იყო, რომ იქიდან მოვიდა ცოცხალი, ჩვეულებრივი ადამიანი.

აი ამ წაბლისფერმა, კეთილმა, ოდნავ ნაღვლიანმა თვალებმა ორი წლის წინათ უკანასკნელად აღბეჭდეს გოგის სახე, დაინახეს გოგი სხვანაირი და არა ისეთი, როგორიც შინაურების მეხსიერებაში ცოცხლობდა.

იმ წუთამდე, სანამ ნადირაშვილი კარის ზღურბლს გადმოაბიჯებდა, ყველაფერი, — თითონ ეს კაცი, ფრონტი, გოგის უკანასკნელი დღეები, — სულ სხვაგვარად და თვითეულს თავისებურად ჰქონდა წარმოდგენილი. ახლა კი ძველი წარმოდგენა რატომღაც უეცრად დაიშალა და გაჰქრა.

შუშაბანდიდან ხმაური მოისმა და შემდეგ ოთახში შემოირბინა პატარა ბიჭმა.

— ჰო, ეს უსათუოდ თამაზია! — ხალისიანად სთქვა ვალერიანმა, მაშინვე წამოდგა, ბავშვი ხელში აიყვანა და ისევ თავის ადგილზე დაჯდა.

— დიახ, თამაზია! — ხალისიანადვე დაუდასტურა რაფიელმა და მერე გაკვირვებულმა ჰკითხა: — თქვენ საიდან იცით მისი სახელი?

ნადირაშვილმა ბავშვს ქოჩორზე ხელი გადაუსვა, შემდეგ თვალი შეავლო მოხუცს და [illegible] [illegible] [illegible]

გაკვირვებულ რაფიელს. — არა, შოფერობა აღარ უნდა. ახლა გემის კაპიტნობაზე ოცნებობს... უნდა მოგახსენოთ, აქ ერთხანს მრავალი მეზღვაური გაჩნდა. შავი ზღვიდან იყვნენ ყირიმის ოპერაციის შემდეგ...

— ის ბეღურა აღარ მოფრენილა? ვერ დაიჭირე? — ისევ ბავშვს მიმართა ნადირაშვილმა. — მაშ წაიღო, წაიღო შენი საყვარელი ზონარი! ოხ, ის არამზადა!

ირინემ თვალი მიაჩერა სტუმარს. გაოცებულმა კინაღამ ჰკითხა, თუ საიდან იცოდა ეს ამბავი. აქამდე ამაზე არავის უთქვამს და...

— ჰო, მართლა! — მოულოდნელად ხმამაღლა სთქვა, როცა მოაგონდა გოგისთვის ფრონტზე გაგზავნილი თავისი წერილი.

— რა მართლა? — მისკენ სახე იბრუნა რაფიელმა.

— არაფერი... — ჩუმად ჩაილაპარაკა ქალმა.—არაფერი... ისე რაღაც მომაგონდა...

— ბევრი გვაცინა იქ ამ ამბავმა,— გაიღიმა ნადირაშვილმა.

— მართლაც სასაცილო შემთხვევა იყო,—დაუდასტურა რაფიელმა. — თამაზმა ჩიტს მახედ დაუგო თავისი ჭრელი ზონარი, მაგრამ ბეღურა მასზე უფრო ეშმაკი გამოდგა, ნისკარტი დაჭკრა და გაიტაცა...

— ბევრი ვიცინეთ ამ ამბავზე, — გაიმეორა ნადირაშვილმა. — გოგიმ იმდენი იცინა, რომ ცრემლები მოადგა...

მოხუცი, რომელიც აქამდე მხიარული სჩანდა, ამ სიტყვების გაგონებაზე უეცრად დადუმდა.

ყველანი სდუმდნენ. რამდენიმე წუთი ღრმა სიჩუმეში გავიდა.

— არ უნდა მეთქვა ეს... — თავისთავზე საყვედურით გაიფიქრა ნადირაშვილმა.

ბავშვს მოეწყინა ასანთით თამაში, ჩამოხტა სტუმრის ეკალთიდან და ოთახიდან გაიქცა.

ნადირაშვილმა საფერფლეზე დააგდო ბოლომდე მოწეული პაპიროსი და მაშინვე ახალს მოუკიდა.

— ხშირად ეწევით, ყმაწვილო... — მორიდებით და მზრუნველობით შენიშნა რაფიელმა.

— არა, ყოველთვის კი არა... ხანდახან, როცა... — კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა ნადირაშვილს, მაგრამ ჩაჩუმდა.

ქალები მეორე ოთახში გავიდნენ. მალე იქიდან მოისმა საინებისა და დანა-ჩანგლის რაწკუნი.

რაფიელმა მაშინვე ინაცვლა ადგილი და სტუმრის გვერდით სავარძელზე ჩამოჯდა.

— მე მინდა გინახულოთ თქვენ... ცალკე... როცა თავისუფალი დრო გექნებათ... — ჩუმად, ძალიან ჩუმად უთხრა მოხუცმა და ისე მიაჩერა თვალი, თითქოს მოწყალებას სთხოვდა. — სულ მცირე ხნით... ოღონდ ცალკე...

ნადირაშვილს რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ რაფიელმა თავისივე ტუჩზე ხელის გული დაიფარა და, თითქოს შიშით, გაიხედა მეორე ოთახისკენ. სტუმარი უცბადვე მიხვდა, ხმა არ ამოუღია და თანხმობის ნიშნად მხოლოდ თავი დაუქნია. მისთვის გასაგები იყო თუ რა უნდოდა მოხუცს, მაგრამ ვერ წარმოედგინა, კიდევ რაღა ეთქვა ახალი. ყველაფერი ხომ დაწვრილებით აცნობა წერილებით...

— ყველას ძალიან გვაღელვებდა თქვენი ბედი... — ისევ ხმადაბლა განაგრძო მოხუცმა. — გვეშინოდა, ვაი თუ ვეღარც თქვენ დაბრუნებულიყავით... ეს დიდი უბედურება იქნებოდა ჩვენთვისაც. თქვენ იყავით გოგის უკანასკნელი მეგობარი და მახლობელი ადამიანი. გარდა ამისა, მხო-

ლოდ თქვენ შეგეძლოთ გეამბნათ ჩემთვის მის უკანასკნელ წუთებზე... სანუგეშო ამაში არაფერია, მაგრამ, მერწმუნეთ, ერთობ დამტანჯველია არ იცოდე, თუ როგორ მოკვდა შენთვის ყველაზე ძვირფასი არსება...

რაფიელმა დაინახა, რომ ქალები სამზარეულოში გავიდნენ და ამის შემდეგ უფრო თამამად განაგრძო:

— თქვენ მწერდით, რომ გოგის გვერდით იყავით, როცა ის დაეცა...

— დიახ.

— მე მინდა ვიცოდე... მინდა ნამდვილი ვიცოდე... აი, მაშინ, როცა ის...

მოხუცს სიტყვა უმძიმდა. ბოლოს ღრმად ამოისუნთქა და თავს ძალა დაატანა:

— მაშ, გოგის არ უტანჯია უკანასკნელ წუთებში? ხომ არა?

— დარწმუნებული ვარ არაფერი უგრძვნია. ისე უეცრად მოხდა, რომ..

— ჰო, თქვენ ასე მწერდით... მადლობა ღმერთს... მეშინოდა ხანგრძლივი არ ყოფილიყო ის წუთი... მადლობა ღმერთს...

სამზარეულოდან ქალები დაბრუნდნენ.

სასტუმრო ოთახში ირინე შემოვიდა.

— მობრძანდით! — მიიპატიჟა მან მამაკაცები.

— ცოტა რაღაც სახელდახელოდ... მობრძანდით, თქვენი ჭირიმე! — ხშირი, მოკლე ნაბიჯით გაუძღვა სტუმარს მოხუცი მასპინძელი.

კარებთან მოულოდნელად შეჩერდა ირინე და ოდნავ გასაგონად მიმართა ნადირაშვილს:

— მინდა გინახულოთ... თუ შეიძლება, ცალკე... როცა თავისუფალი დრო გექნებათ... ოღონდ ცალკე...

და როგორც კი თვალი მოჰკრა, რომ სტუმარმა თანხმობის ნიშნად თავი დახარა, ხმიანად მიმართა:

— მობრძანდით!

— გთხოვთ, გთხოვთ! — რაფიელის ხმაც მოისმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასადილო უფრო ნათელი იყო. ზამთრის მზის ირიბი სხივი ოთახის სიღრმეში შეჭრილიყო. მზე დანათოდა რგვალ მაგიდას, დიდ ვაზაზე დახვავებულ ვაშლებს, ვარდისფერ ღვინოს გრაფინში და თეთრ, ძალიან თეთრ სუფრას.

ირინეს დამ ლანგარით ცხელი საჭმელი შემოიტანა.

— აგერ, ჩემთან ახლო! — რაფიელმა თავის გვერდით დასვა სტუმარი.

ბუფეტის ზედა თაროზე ნადირაშვილმა დაინახა მამალი ხოხობის ფიტული. მისი ფრთები ცოცხალი ფერებით ბრწყინავდა.

— ეს ხოხობი გოგის ნანადირევია, — სთქვა რაფიელმა, როცა შენიშნა ფიტულზე მიჩერებული სტუმრის თვალი. — თამაზის დაბადების დღეს მოიტანა. გოგი ხომ ნადირობის დიდი მოყვარული იყო. როგორც კი შაბათი საღამო დადგებოდა, შინ ვეღარაფერი გააჩერებდა. თუნდაც ავდარი და მეორედ მოსვლა ყოფილიყო გარეთ, სანადიროდ წავიდოდა. ამ დღეს ყველაფერი ავიწყდებოდა, — თავისი წიგნები, თავისი სამეცნიერო შრომა... ალბათ, გეცოდინებათ, გოგი ბოლო დროს ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებზე მუშაობდა... მიირთვით, შენი ჭირიმე, არ გვიძრახოთ ღარიბი სუფრა!

რაფიელი გულწრფელად მასპინძლობდა. სასმისებს თითონ უვსებდა ყველას.

— თქვენს დაბრუნებას გაუმარჯოს! — ჭიქა მიუჭახუნა ნადირაშვილს.

— უკვე შესვით ეს... — მორიდებულად მოაგონა სტუმარმა.

— კიდევ მრავალჯერ შევსვამ! — სიტყვა შეაწყვეტინა გახალისებულმა რაფიელმა. — კიდევ მრავალჯერ...

თქვენ ერთობ ძვირფასი ხართ ჩემთვის...

ლაპარაკობდა თითქმის მხოლოდ რაფიელი, ქალები კი უხმოდ მასპინძლობდნენ, მაგრამ ყოველ მათ მოკლე მიმართვაშიც ვალერიანი ალერსს და გულის სითბოს გრძნობდა. მას სიამოვნებდა ამ კეთილ ადამიანთა შორის ყოფნა, მაგრამ ამავე დროს რატომღაც უნდოდა მალე წასულიყო აქედან.

მოხუცმა მასპინძელმა თითქოს იგრძნოო სტუმრის იდუმალი განზრახვა, მოულოდნელად მიმართა:

— ხშირად უნდა გვეწვიოთ... ეს დიდი ნუგეში იქნება ჩვენთვის... თქვენ ერთობ ძვირფასი ადამიანი ხართ ჩემთვის... შვილის მაგიერი... ჰო და, ხშირად უნდა გვინახულოთ.

— რა თქმა უნდა... — წაიბუბუნა ნადირაშვილმა. — ყოველთვის, როცა ქალაქში ჩამოვალ... მე ხვალ მივემგზავრები ჩემს ძველ ადგილზე ქარხანაში...

— წარმოდგენილი მაქვს როგორ გიხარიათ, რომ საყვარელ გარემოს და საქმეს უბრუნდებით! — სთქვა რაფიელმა.—ეს გასაგებია ჩემთვის. ასეც უნდა იყოს. თქვენცა და ყველამ უნდა დავიამოთ ძველი ტკივილი... ჩვენი ქვეყანა ამიერიდან მუდამ სიხარულში უნდა იღამებდეს და ითენებდეს. ჩვენ დიდი ტანჯვა გამოვცადეთ და ახლა კიდევ მეტი უფლება გვაქვს ბედნიერებაზე. მუდამ გვექნეს ცხოვრების ხალისი, ამაზე ძვირფასი არაფერია!

ყველას თვალი მოავლო, ჭიქები შეავსო და ისევ ნადირაშვილს მიუჯახუნა:

— დავლიოთ სიცოცხლის სადღეგრძელო!

ირინემ რაღაც წასჩურჩულა. რაფიელმა გადახედა ალერსით და თავზე ხელი გადაუსვა:

— არა უშავს რა, შვილო, არა უშავს რა. ასეთი დღე და ასეთი სტუმარი იშვიათია... ისე როგორ გაწყრება ღმერთი, რომ დღეისდღესაც მაწყინოს!

მოსვა ჭიქიდან და მერე ნადირაშვილისკენ გადაიხარა:

— ნუ დამცინებთ მოხუცს, თუ ენად ვიქეც. თქვენი ბრალია, თქვენი ნახვის სიხარული მალაპარაკებს ამდენს.

ვალერიანს აქამდისაც უნდოდა მეგობრის მოსაგონარი დაელია და, როგორც კი საამისო დრო იხელთა, მოკრძალებით დაიწყო:

— ნება მიბოძეთ გოგის შესანდობარი დავლიოთ...

— არა, ოღონდ ეგ არა! — ხელი გაიქნია რაფიელმა. — შესანდობარი იმას არაფერი აქვს. მან პატიოსნად იცხოვრა. დავლიოთ იმისი, რომ ის მარადის ცოცხალია ჩვენს გულში!

სტუმარი დიდხანს აღარ დარჩენილა. დაღლილობა მოიმიზეზა და სუფრიდან ადგა. მასპინძლებიც წამოიშალნენ.

დერეფანში ყველამ თავი მოიყარა გასაცილებლად.

ნადირაშვილი გულწრფელი მადლობით დაემშვიდობა სამივეს.

— ბედნიერი ვიქნები, თუ... ასე ვთქვათ, მომავალში მაინც...—სიტყვა არ მოჰყვებოდა თავისუფლად. ამის გამო კიდევაც მორცხვობდა, ღიმილით შეჰყურებდა ყველას და თავის დიდრონ, თეთრ კბილებს აჩენდა. — თუ მომავალში მაინც თქვენი სიყვარული, ასე ვთქვათ, დავიმსახურე...

რაფიელი გადაეხვია:

— აბა, თქვენ იცით, რა ხშირად გვინახულებთ. როგორც საკუთარ სახლში, საკუთარ ოჯახში... ყოველთვის თქვენი ნახვის მონატრული ვიქნებით. ა, ხომ ასეა? — მიუბრუნდა ირინეს.

ირინე ჩუმად იდგა.

ნადირაშვილი გავიდა კარებიდან.

მასპინძლები კიბის თავში იდგნენ, სანამ საფეხურებს ჩაათავებდა. შებრუნდნენ ბინაში მხოლოდ მაშინ, როცა ფეხის ხმა მიწყდა.

— ჰო და, ესეც ასე! — ყველაზე ბოლოს შემოვიდა რაფიელი. მას მღელვარება ემჩნეოდა ნადირაშვილთან შეხვედრისა და ჭიქა ღვინის შემდეგ. თითქოს ვიღაცას ეძებდაო, დადიოდა ოთახებში და დროდადრო ჩაილაპარაკებდა: — ჩინებული ახალგაზრდა ყოფილა... მდა... ესეც ასე... რამდენი სასიამოვნო ადამიანია ქვეყანაზე! ღმერთმანი ღირს სიცოცხლე... ჰო და, ასეც უნდა იყოს... ღმერთმა ყველა ბედნიერად ამყოფოს!.. რა მზეა, რა დალოცვილი ამინდია! ჰო და, ასეც უნდა იყოს!

ერთხანს კიდევ დაბორიალებდა, შემდეგ სასტუმრო ოთახში ტახტზე მოიკალათა, პიჯაკი გაიხადა, თავზე წამოიხურა და გაისუდრა.

სანამ ნადირაშვილი მოვიდოდა, სანამ ის არ ენახა, ირინეში კიდევ ცოცხლობდა რაღაც მსგავსი იმედისა, ბუნდოვანი, ყოველგვარ ნიადაგს მოკლებული, მაგრამ მაინც არ გამქრალი ბოლომდე. იმ წუთიდან კი, როცა ნადირაშვილი წავიდა, პირველად იგრძნო სინამდვილე მთელი სიცხადით და რატომღაც მხოლოდ ახლა საბოლოოდ ირწმუნა გულმა, რომ გოგი აღარასოდეს დაბრუნდებოდა. ამასთანავე ისიც ეჩვენა, თითქოს ამ დღიდან ახალი ცხოვრება უნდა დაწყებულიყო...

თავის ოთახში მარტოდ დარჩენილმა ირინემ თავი ჩარგო ბალიშში და ჩუმად, რომ არავის გაეგონა, ატირდა.

სიჩუმით მოცულ ბინაში მხოლოდ კედლის საათის ხმა ისმოდა.

დერეფანში უეცრად კარი გაიღო და ოთახში თამაზი შემოიჭრა. სწრაფად მოიშორა პალტო, ქუდი, კაშნე, მიაგდო სადღაც სკამზე და, თითქოს დრო აღარ რჩებოდაო, მაშინვე სათამაშოებს მივარდა.

ხმაურზე პიჯაკის ქვემოდან რაფიელმა თავი გამოჰყო.

— ჰე, მოვიდა ჩემი ყაჩაღი ბიჭი, მოვიდა ჩემი აბრაგი!—მიეხალისა შვილიშვილს და ფეხზე წამოდგა. ის თითქოს კმაყოფილიც იყო, რომ მყუდროება დაურღვიეს.

თავის ოთახიდან ირინეც გამოვიდა. ისე ძლიერად, როგორც ახლა, ჯერ არასოდეს მონატრებია შვილის ხმის გაგონება და მოალერსება. იდგა და სახეგანათებული შესცქეროდა ყინვისაგან ლოყაშეწითლებულ ბავშვს.

პატარა აბრაგი კი ყურადღებას არავის აქცევდა. დარბოდა მოუსვენარი, დაუღალავი, დაახრიგინებდა სათამაშოს და მხიარული შეძახილით ჩაუქროლებდა ხან დედას, ხან მოხუც რაფიელს.

რამდენიმე წუთის წინათ სიჩუმეში ჩაძირული სახლი ისევ ხმაურით და სიცოცხლით აივსო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იოსებ ნონეშვილი

ვახტანგ VI მოსკოვში

★

იგი დუმილში შერთვია ბურანს,
შუბლს ჰბურავს ფიქრი — კურუმი ნისლი,
ეზოში თეთრი ქარბუქი ბრუნავს
და ყვავ-ყორნების ჩხავილი ისმის.

უცებ სარკმელთან დარეკავს ზარი,
ალბათ მარხილი მიაფრენს მგზავრებს...
მეფის მჭმუნვარე ფიქრი და თვალი
მძიმედ გაჰყვება სევდიან ზარებს.

... კვლავ საქართველოს თავანი ჰფარავს,
ვინა სთქვა ქართლი დაცარიელდა?!
ზღვასავით ლურჯად გაშლილი ყანა
ცის ფერს შეერთვის დასალიერთან.

ჰა, სვეტიცხოვლის წმიდა ტაძარიც,
ვით ქართლის გული უზარმაზარი,
განათებულა ძველი დიდებით,
ტრაპეზთან დგანან ბაგრატიდები,
ღმერთს ავედრებენ დარბეულ მამულს,
თამარ დედოფლის ცრემლებით ნამულს.

ეს ნისლი კი არ ირხევა ასე
განთიადისას, სურამის მთაზე, —
ქართველი დედის ლეჩაქი წმიდა
გადაჰფენია ივერს ამ დილით...
შორს თეთრი მტრედი მოფრინავს ციდან,
მოაქვს ნისკარტით რტო ზეთისხილის.

იქნებ კვლავ აღსდგეს სული ძლიერი,
ბედის ბორბალი დაბრუნდეს წაღმა,
მტრისგან იავარქმნილი ივერი
გადურჩეს ამტყდარ ქარსა და წარღვნას!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაგლახ... ეს ფიქრი გამოაფხიზლებს,
ქრება ზმანება — მსუბუქი ნისლი.
შორს ობლად რეკავს ზარი მარხილზე
და მეფის ჩუმი ოხვრა-ღა ისმის.

. . .

ასე დავხატე სურათი შენი
მოსკოვის ახლოს — სვენცკის თაღებთან...
სამეფო კაბის ბრწყინვალე ფერი
შეუღებია სტამბის საღებავს.

ასე დავხატე სურათი შენი,
მეფევ მესტამბევ, მეფევ მგოსანო,
საქართველოდან გადახვეწილო
და საქართველოს ბედზე მლოცავო.

შენი ივერი გადურჩა წარღვნას,
ბედის ბორბალი დაბრუნდა წალმა.

ქართული წიგნის მამავ და თვალო,
მეფევ სარდალო, მეფევ მგოსანო,
საქართველოდან გაძევებულო
და საქართველოს ბედზე მლოცავო.

მოსკოვი, 1947 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ ლორთქიფანიძე

სამი ლექსი

★

მთიბავებთან

ცელიანები ხელის შეხებით
შავ მახობელას ესალმებიან.
შორით დამდგარან ღია ბეღლები, —
მოშიებული ვეშაპებია.
მზით გარუჯული ქართლის კაცები
მწიფე ყანაში მოირხევიან.
შეეშინდებათ ლაპლაპა ცელის
და თავთავები მოიხრებიან.
თქვენი ტრფიალი თავიდან დამყვა,
მეც თქვენებრ ოფლის მდიოდეს ღვარი,
რომ დავიღალო თქვენსავით ახლა,
რომ დავისვენო თქვენსავით ღამით.
როგორი ცეცხლი გაგიჩენიათ,
მოუწვდენია ყანას წელამდი,
თითქოს იხსენებთ დღეებს ცეცხლიანს,
როცა სამშობლოს მტრებს მიჰცელავდით.
მაგრამ სხვა არის ეს დღე სრულიად,
თქვენ გისმენს მშვიდი დედა-ბუნება:
ცელების მღერა კრიმანჭულია,
თქვენი — დევების აბუბუნება.
თქვენ გულიანად გაგიხარიათ,
ახმიანდება ქვაც გალურსული.
ეი ჩემს სულშიც ახლა დარია,
სახეც თქვენსავით მაქვს გარუჯული.
დღე, დასასრულის ზღურბლზე დამდგარი,
მთების ბიბინა თხემზე ასულა.
ეს ქართლის ყანა, ნათავთავარი,
თქვენი ცელებით გადაპარსულა.
გამკაჟებია თქვენებრ სხეული,
მეცა ვარ თქვენი ჯიშიან გვარის
და ქართლის ველზე შემოჩვეული
თქვენსკენ მომაფრენს ხმიანი ქარი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

★

რომანი*

პურის ნატეხი არ მინდა,
არც ლიტრა ღვინო, არა,
გზაზე ჭრელ აბგას არ ვზიდავ, —
შენი ნათელიც კმარა!
გზას მხიარულად ვოვყვები,
შორი გზა მიდევს განა!
საქართველოში მოყვრები
კარიდანკარად მყვანან.
განა შორი მაქვს სავალი?
რაღად ირჯები ახლა?
საქართველოში საგზალით
სირცხვილი არი გავლა.
შენს პაპისეულ აბგაში
ხაჭაპურებს და ქადებს
რომ აწყობს ხელი ლამაზი, —
კელაპტარივით მანთებს.
გულმა დარეკა საარით,
მთებზე ოცნება ცურავს.
სადაც გავივლი, მზად არი
საქართველოში სუფრა!

★

ატმის ჩრდილში

იავნანით დარწეული
ატმის ჩრდილში აკვანი...
ქალი, ძირს თავდაწეული,
ცისკარივით დაჰხარის.
ატმის ჩრდილში ატმისფერი
ბაფთიანი აკვანი,
რაღა უნდა ამის მეტი
ქალს, ოცნებით აყვანილს?
ატმის მზით მეც შევიმოსე,
აკვანს თავზე დავხარი.
ვინ რა იცის, რა სიცოცხლეს
ზრდის პატარა აკვანი!
ამ აკვნიდან ამოსული
როცა ფორთხვით გაივლის,
ამ ყვავილებს ამო ზრუნვით
ემატება ყვავილი.
ატმისფერი, მომხიბლავი
ატმისფერი აკვანი,
მოდის მამა მომღიმარი
გრიგალ-ქარის მაგვარი.
არწივის თვალს აბრიალებს
ღიმი სახეს უვერცხლავს,
ატმის ფოთლებს აფრიალებს
მისი სუნთქვა უეცრად.
ღელავს ვეფხვის თანასწორი,
მზის აკვანთან დახრილი,
მოდის ბაბუც თამაშობით,
წელში ჩიბუხგაყრილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი ბელიაშვილი

თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა

რომანი*

★

მეორე დღეს ერეკლე მოულოდნელად მობრძანდა თბილისს.

სასახლეში ნადიმი ახლად დამთავრებული იყო, მონადიმენი დასაძინებლად წასულ-წამოსულიყვნენ. ფარეშები სუფრას ალაგებდნენ და თან ნასუფრალს შეექცეოდნენ. ერთმანეთს სთავაზობდნენ მწვადს, ტკბილ ფლავს, ხოხბის ან შემწვარი ვარიების ხელუხლებელ ნაჭრებს და თან სადღეგრძელოებს გადადიოდნენ. ამ ხორხოზში იყვნენ ყველანი, როდესაც კარებში მოულოდნელად გაისმა ფარეშის დაფეთებული ხმა, მეფე მობრძანდაო. ეზოსმოძღვარი სამზარეულოში ჩასულიყო. დანარჩენ დიდებულთაგან არავინ არ იყო ფეხზე, ყველას ეძინა და მეფეს კარიბჭესთან მორიგე უზბაშის მეტი არავინ არ შეგებებია, ამიტომ მეფის ?ოსვლა სრულიად მოულოდნელი იყო ყველასათვის.

ერეკლემ მდუმარედ აიარა კიბეები და ასევე მდუმარედ გადახედა დიდ დარბაზში გარინდულსა და მოკრძალებით თავდახრილ ფარეშებს. მორიგე უზბაშმა ხმადაბლა მოახსენა მეფეს ყარაბაღის ხანის მობრძანება და ლეონის მიერ მის საპატივცემოდ ნადიმის გამართვა. ერეკლემ არაფერი არ უპასუხა უზბაშს და ასევე მდუმარედ გაემართა თავის სამუშაო ოთახისაკენ. უზბაში მიხვდა, რომ ეს კარგს არას მოასწავებდა და მეფე ცხადი იყო უგუნებოდ ბრძანდებოდა. ეს მოსაზრება მან მაშინვე გაუზიარა ეზოსმოძღვარს, რომელიც დაფეთებული მოვარდა სამზარეულოდან და აღარ იცოდა როგორ მოქცეულიყო, შესულიყო დაუკითხავად მეფესთან თუ დაეცადა, სანამ იხმობდნენ. მან ისევ დაცდა არჩია და უზბაშს ფუსფუსით უთხრა:

— წადი, გეთაყვა, ბატონის ამალას ჰკითხე, გაიგე რამე, მე აქ ვიქნები..

— ბატონს მარცხენა მხარი უთამაშებდა.

— მართალს ამბობ? — ისეთი დაფეთებით ჰკითხა ეზოსმოძღვარმა უზბაშს, რომ შიშით შეახტუნა კიდევ.

— მართალს მოგახსენებ. მერე... მერე განა ეგ რაიმე ცუდს მოასწავებს?

— ვაი ჩვენს დღეს. რისხვის ზნეს მოუვლია. ნეტავ ვის თავზე გადატყდება არგანი მეფისა? ვაი მას, უბედურს! — ჩურჩულით წაილაპარაკა ეზოსმოძღვარმა და პირჯვარი გადაისახა. — ღმერთო, გვიხსენი ყოველივე განსაცდელისაგან!..

---

* გაგრძელება. „მნათობი" № 8.

ეღრიალით გაიწკარუნა ზარმა. ეზოსმოძღვარმა გამალებით რამდენჯერმე კვლავ გადაიწერა პირჯვარი და მეფესთან შევიდა.

ერეკლეს ქურქი გაეძრო და საშინაო ხალათი ჩაეცვა, ფანჯარიდან ქალაქს გასცქეროდა. ეზოსმოძღვარს ოდნავ მოხედა და ისევ ქალაქისაკენ დაიწყო ცქერა.

— ნადიმი გქონდათ?—მოუხედავად ჰკითხა მან ეზოსმოძღვარს.

— ყარაბაღის ხანი...

— ვიცი!—შეაწყვეტინა მეფემ.— ვინ დაესწრო ნადიმს?..

— ლეონმა ინება...

— მარტო თავისი არიფანა მოეწვია. სხვა რა იყო?..

— სხვა რაღა მოგახსენოთ...

— იბრეიმმა ხოტბა შეასხა ლეონს, ხოლო მისმა კარის მგოსანმა იგი ფადიშაჰს შეადარა. შენ უნდა იყო მეფეო... ახლავე ტკბილი გესლით მიწამლავენ შვილს, რომ სიცოცხლეშივე ბოროტი ზრახვები აღუძრან ჩემს წინააღმდეგ. ნეტავ ვინ შააგონა ყარაბაღელ მგოსანს ასეთი აზრები...

ეზოსმოძღვარი თავდახრილი სდუმდა. ერეკლე მობრუნდა და დაჟინებით დააცქერდა მას.

— ჰმ! რადა სდუმხარ?—დამცინავი ღიმილით ჰკითხა მეფემ.

„ღმერთო ჩემო,—ფიქრობდა ეზოსმოძღვარი,—როდის მოასწრეს მოეხსენებინათ მეფისათვის ყოველივე. კიდევაც რომ გსურდეს მაგისგან რაიმეს დამალვა, ყოვლად შეუძლებელია. ან გულთმისანია, ან იმდენი მსტოვარი ჰყავს, რომ არათუ ნათქვამს, ნააზრევსაც კი მაშინვე მიურბენინებენ. სტუმრები ყველა წასულ-წამოსულნი არიან და სძინავთ. ფარეშთაგან სასახლიდან არავინ გასულა, მეც კი მოულოდნელად გავიგე მაგის მობრძანება და ესე ცხლად ვინ მიურბენინა ნადიმის ამბები“...

— როგორ უმღერა იმ უცხოელმა, თვით ფადიშაჰობა უნდა იყოს შენი ხვედრიო? ვინ იჯდა ამ მგოსნის გვერდით?

— რა მოგახსენოთ, აღარც კი მახსოვს,—შეხედა ეზოსმოძღვარმა მეფეს და თან ცდილობდა მოეგონებინა ის მგოსანიც და მის გვერდით მსხდომნიც.—მგონი ბესიკი...

— ბესიკი, ბესიკი,—შეაწყვეტინა ერეკლემ უცბად, თითქოს რაღაც მოაგონდა. ერთ წუთს დაფიქრებული სივრცეში იცქირებოდა,—ჭაბუა ბრძანდებოდა ნადიმზე?

— არ ბრძანებულა.

— სთხოვე თერთმეტ საათზე ჩემთან მობრძანდეს.

ეზოსმოძღვარმა წასვლა დააპირა, მაგრამ ერეკლემ ანიშნა მიჰყოლოდა და ოთახიდან მისი თანხლებით ნელი ნაბიჯით გავიდა; თან გზადაგზა ყველაფერს უცნაური დაჟინებული ცქერით ათვალიერებდა. გზადშეფეთებული ფარეშები მოწიწებით ხრიდნენ თავს და თითქოს ცვილისაგან ყოფილიყვნენ ჩამოჭნილნი, ერთ წუთსაც ვერ უძლებდნენ მეფის გავარვარებულ მზერას, მაშინვე ეკეცებოდათ მუხლები.

მეფემ უხმოდ გაიარა დერეფანი და კიბის თავიდან მეორე დერეფნისაკენ გაიხედა. ანას მოახლეს მოჰკრა თვალი და ეზოსმოძღვარს კითხვის გამომეტყველებით შეხედა.

— თქვენი დაჲ ჩამობრძანდა,—მოახსენა ეზოსმოძღვარმა.

ერეკლე უცბად მობრუნდა და ანას პალატებისკენ გაემართა. მოახლემ, შორიდან როგორც კი მოჰკრა თვალი, რომ მეფე მათკენ მიდიოდა, მაშინვე გაიქცა, რომ ანასთვის მოეხსენებინა მისი მობრძანება.

— მადლობა უფალს, გაგხსენებივარ! — უთხრა ანამ ძმას, როდესაც ის ოთახში შევიდა და თავის დას მოეხვია. — ალბათ, გზა თუ შეგეშალა...

— როგორ ბრძანდები, ჩემო საყვარელო დაო? უდროო დროს ხომ არ მოვსულვარ, მგონი ხელი შეგიშალე?—თვალით ანიშნა ერეკლემ ფარეშ ქალზე, რომელიც მეფის მოსვლამდე თმას უწნავდა ანას და ახლა იქვე მორიდებით იდგა თავდახრილი.

— არა უშავს რა, უკვე დავამთავრეთ,—მოკიდა ხელი თავს ნახევრად დაწნულ მათრახივით წვრილ ცალ ნაწნავს ანა და თითების სწრაფი მოძრაობით თითონ დაამთავრა, მოახლეს კი თვალით ანიშნა წასულიყო.

ანამ მაშინვე შეატყო ძმას, რომ ის ისეთ აღრენილ ხასიათზე იყო, როდესაც მას ყველანი ერიდებოდნენ და ცდილობდნენ თვალში არ მოხვედროდნენ. ასეთ დროს მეფე თავზარდამცემი იყო ყველასათვის, რადგან არავინ არ უწყიდა, როდის იფეთქებდა მისი რისხვა. შეიძლება სრულიად უმნიშვნელო მოვლენას გამოეყვანა მეფე მოთმინებიდან და მაშინ, ვაი მას, ვისაც მისი რისხვა დაატყდებოდა.

— გატყობ ვიღაცას გაუჯავრებიხარ!—უთხრა ანამ.—დაბრძანდი, სადმე მიგეჩქარება?

— არავისაც არ გავუჯავრებივარ!—უპასუხა პირველ კითხვაზე ერეკლემ და ჯიბიდან სავარცხელი ამოიღო, რადგან თავისთავს სარკეში მოჰკრა თვალი და წვერის ვარცხნას შეუდგა.— არავისაც არ გავუჯავრებივარ,—გაიმეორა მან, შემდეგ სავარცხელს სული შეუბერა და კვლავ უბის ჯიბეში შეინახა.—ცხოვრება მაჯავრებს, ჩემო დაო, ცხოვრება!

— ღმერთო, შენ შემიწყალე! რისთვის გაჯავრებს, რა ვქნა! შენ თუ სასაყვედურო გაქვს რამე, აღარ ვიცი, სხვამ რა უნდა სთქვას. თურქებთან მორიგდი, სპარსეთთანაც მორიგდი, რუსეთის იმპერატრიცაც გმეგობრობს, შინაური მორჩილი გყავს...

— შენ აგრე გგონია!—შეაწყვეტინა ერეკლემ.

— რა ვიცი, ერთი დედინაცვალი გყავდა ურჩი და ისიც...

— იმ დედინაცვალს ეხლა ეუმადლო, რომ ჩემი საყვარელი ძვილი ასეთი აღმიზარდა. ჯერ ტუჩზე რძე არ შეშრობია და ახლავე ოცნებობს, რომ ტახტი წამართვას...

— იჰ, კარგი ერთი,—გაუქილიკა სიტყვა ანამ,—ეგ რაღამ გაფიქრებინა?! ალბათ, ვიღაცამ დააბეზღა შენთან. განა ყოველ მაბეზღარას სიტყვა დაეჯერება?!

— ეგ განა არ ვიცი... მე რომ ყოველ მაბეზღარას ვუჯეროდე, მაშინ ისიც უნდა ვერწმუნებინა, რომ შენ ვითომ ჭაბუკი ბესიკი გაგეხადოს მიჯნურად...

— ღმერთო ჩემო,—აღმოხდა ანას და სახეზე ისე სწრაფად გადაურბინა სიფითრემ, რომ კინაღამ გული შეუღონდა.

ერეკლე შეწუხდა. მაშინვე ბოდიში მოიხადა: ასეთი სიტყვა თქვენთვის არ უნდა მომეხსენებინაო, და სცადა საუბარი შეეცვალნა. ანა არ უსმენდა, გაფითრებული იცქირებოდა სივრცეში და ნელსაცხებლით გაჟღენთილ აბრეშუმის ხელსახოცს ყნოსავდა.

— აბრძანდი, წავიდეთ, ჩემი ლომები ვნახოთ.—უთხრა ბოლოს ერეკლემ დას და მკლავში ხელი მოჰკიდა.—ალბათ, ახლა უკვე იმოდენები არიან, რომ კამეჩებს შესჭამენ. კარგი ახლა, ნუ გამიჯავრდები.

ანა მიჰყვა, თუმცა მუხლები ოდნავ ემორჩილებოდა და სულ ეშინოდა, არ წაქცეულიყო.

ერეკლე ცდილობდა გაერთო თავისი დაჲ, გზადაგზა უაზბობდა სხვადასხვა ამბებს, ვითომ კიდევაც ხუმრობდა, მაგრამ, შინაგანი გაბოროტება თუ მატულობდა, თორემ არ კლებულობდა. ახლა ის აბრაზებდა, რომ უნებურად გასცა თავისი მეუღლის მიერ საიდუმლოდ ნათქვამი ანას მიჯნურობის შესახებ, რის გამო შეიძლება სამკვდროსასიცოცხლო მტრობა ჩამოვარდნილი-

ყო რძალსა და მულს შორის. ანამ, ცხადია, ძალიან კარგად იცოდა, რომ ასეთ რამეს ერეკლეს მარტო დარეჯანი თუ ეტყოდა, თორემ სხვა ვერავინ ვერ გაუბედავდა მოეხსენებინა.

ორივენი ჩავიდნენ ეზოში და გაემართნენ მტკვრის პირისაკენ, სადაც ბაღის კუთხეში მოჩანდა დუღაბით ნაგები ბაქანი, ამობურცული გუმბათით.

ეზოსმოძღვარი, მიხვდა თუ არა, რომ მეფე ლომების სანახავად მიბრძანდებოდა, მაშინვე მოუბრუნდა ქსახურს და ბაზიერთუხუცესი დაიბარა. სანამ ერეკლე და ანა გუმბათს მიუახლოვდნენ, მეორე მხრიდან ბაზიერთუხუცესიც გამოჩნდა, რომელიც. გზადაგზა ისწორებდა სამოსს და თითქმის მორბოდა მეფისაკენ. ერეკლემ ოდნავ მოიხედა მისკენ და შეჩდეგ გუმბათის სარკმელში ჩაიჭყიტა. პირველად შეუჩვეველი თვალით ვერაფერი ვერ დაინახა.

— ახლავე, თქვენო უმაღლესობავ, მტკვრის პირიდან დარაბას გავხსნი, თორემ ვერაფერს დაინახავთ. — გასძახა ბაზიერთუხუცესმა და კიბეები მარდად ჩაირბინა.

ცოტა ხნის შემდეგ ხრაგუნი მოისმა, ერეკლემ და ანამ ერთსადაიმავე დროს ჩაიხედეს გუმბათის ვიწრო სარკმელში და აშკარად დაინახეს მთელი სარდაფი. ლომები დარაბის ხრაგუნს და უეცარი უხვი სინათლის შეჭრას დაეფრთხო და ორივენი შეშინებული იცქირებოდნენ რკინის ხარიხებიან ფანჯრისაკენ. ერთი ფეხზე იდგა, ხოლო მეორე ძაღლივით ჩაცუცქულიყო და კუდს მძიმე მათრახივით სცემდა იატაკზე. თაღის სარკმელიდან ცუდი, უცნაური ზინზლის სუნი ამოდიოდა. სარდაფის იატაკზე მოგროვილი იყო უამრავი ძვლები.

— ესენი თუ აქედან დროზე არ გადვიყვანე, საკუთარ სიმყრალეში დაიხრჩობიან, — სთქვა ერეკლემ.

— სად გსურს წაიყვანო? — ჰკითხა ანამ.

— თელავს. დიდ გოდოლში მინდა მოვათავსო, — უპასუხა ერეკლემ და ისევ ჩაიხედა სარკმელში, ვიდრე ეკარგებოდა ნადირთა მეფეს ასეთ ტყვეობაში და სიბინძურეში ყოფნა.

— სულაც არ ყოფილან საშინელნი. — სთქვა ანამ.

— როგორც ყოველი მეფე, არა? — გაიცინა ერეკლემ და უცნაურად შეუთამაშდა მხარი.

— ასე შგონია, რომ მივიდე და მოვეფერო, ხმას არც კი გამცემენ-მეთქი.

— ადვილი შესაძლოა კიდევაც ხელზე გეამბორონ. ლომებმა აგრე იციან, — გაეხუმრა ანას ერეკლე, — ვინც მოსაფერებლად მიუახლოვდება, სანამ თავზე ხელს გადაუსვამდეს, ხელზე ეამბორება...

მეფეს ბაზიერთუხუცესთან ერთად სპარსი ფაიზულა მიუახლოვდა, რომელიც საგანგებოდ ლომების მომვლელად გამოეგზავნა ქერიმს. ფაიზულამ თაყვანი სცა მეფეს, დაიჩოქა და სამეფო ხალათის კალთაზე ეამბორა. ასევე ბოწიწებით, მხოლოდ შორიდან მიესალმა ფაიზულა ანას.

— ჩქარა იზრდებიან ჩვენი ლომები, ფაიზულ! — მიმართა ერეკლემ სპარსს. — მაგრამ რატომ ფაფარი არ ამშვენებს მათ. განა ორივე ძუ ლომია?

— არა, მეფეე, ერთი ძუ ლომია, მეორე ხვადი. ფაფარი კი ჯერ ადრეა. ხვადს მხოლოდ მესამე წელს ეზრდება ფაფარი...

— ნუ თუ მართლა? — წამოიძახა ანამ და ისევ ჩაიხედა სარკმელში, თითქოს უნდოდა გამოეცნო რომელი მათგანი იყო მათ შორის ძუ და რომელი ხვადი.

— ამ დილით მშივრები არიან, გუნებაზე ვერა ბრძანდებიან, — განაგრძო ფაიზულამ. — ახლავე ვეტყვი მსახურთ, ხორცი ბოუტანონ...

— დაიცა, — შეაჩერა ერეკლემ, —

ცოცხალი ცხოველი რომ შევუგდოთ, თუ ინადირებენ?

— ჰმ! — ჩაიცინა ფაიზულამ, — ახლავე თქვენის დიდებულის თვალით ნახავთ, როგორი მონადირეა მეფე ყოველთა ნადირთა...

სპარსი წავიდა და ცოტა ხნის შემდეგ ფარეშის დახმარებით კარგა მოზრდილი ვაცი მოიყვანა. შენობას, რომელიც ლომების სამწყვდევად აერჩიათ, ორი კარი ჰქონდა: ერთი ქუჩის მხრიდან და მეორეც — სასახლის ეზოდან, მტკვრის პირისაკენ ჩამავალი კიბის გვერდით. აქ კარის შიგნით რკინის ხარიხა იყო მიმაგრებული, მაგრამ რკინის წნელებს შორის ადვილად შეიძლებოდა ვაცის გაძვრენა. მსახურებმა ადვილად შეუშვეს გულუბრყვილო ცხოველი ლომების სადგომში და მაშინვე მიუხურეს კარები. ალბათ სადგომის ზინზლის სუნმა აგრძნობინა ვაცს, თუ სად მოხვდა ასე მოულოდნელად. მან ბუნებრივი გუმანით იგრძნო, რომ მისი საქმე ცუდად იყო და, როგორც კი კარი მიუხურეს, მაშინვე მოწყდა ადგილიდან, ელვის სისწრაფით გაექანა, ისკუპა და ფანჯარას მიაწყდა, წინა ფეხებით და რქებით ხარიხებში გაეხირა, ხოლო უკანა ფეხებით კედელს ებჯინებოდა, ებღაუჭებოდა, რომ როგორმე ტანი აეთრია. ძნელი იყო იმის თქმა, რომ მას ლომებისთვის თვალი მოეკრა, მაგრამ მთელ მის გაქცევის ცდაში მოჩანდა თავზარდაცემა და შიში, რომელიც მასში გამოიწვია ყნოსვამ.

ვაცმა შემზარავი, ჟრუანტელის მომგვრელი ხმით დაიღრიალა, როდესაც იგრძნო, რომ ფანჯარაში ვერ გაძვრებოდა და დამძიმებული ტანით ნელნელა დაიწყო უკანვე ჩამოცურება. მის ღრიალში მოისმოდა ხსნის წარმოუდგენელი მუდარა და შიში.

ლომები პირველად არც კი დაძრულან ადგილიდან და ცნობისმოყვარეობით მოიხედეს, როდესაც მსახურებმა კარი გააღეს. მხოლოდ ქუდები აამოძრავეს და ერთმა მათგანმა ლანგარ-თავისი ცალი ტუჩი მაღლა ასწია, ვითომ ღრიალი დააპირა, მაგრამ შეჩერდა და ვაცს თვალი გააყოლა. ორივენი ასე გაოცებით უცქეროდნენ შეშინებულ ცხოველს, მაგრამ დაიღრიალა თუ არა ფანჯარაზე მიხეთქებულმა ვაცმა, ორივენი თითქმის ერთსადაიმავე დროს მოსწყდნენ ადგილიდან. ერთერთი მათგანი, რომელიც უფრო ახლო იყო ფანჯარასთან, მძლავრი ნახტომით ვაცს კისერში მისწვდა, დაითრია და ისე ჩსუბუქად დახტა იატაკზე, თითქოს პირში ბამბის ქულა ეჭირა და არა ორფუთიანი ვაცი.

— აბა ლეკვი მაგას ეთქმის, ხედავ როგორ ჩიტივით დაიჭირა პირში ამოდენა ცხოველი, — სთქვა ერეკლემ და სარკმელს მოშორდა.

ანა ისევ იცქირებოდა სარკმელში, მაგრამ მალე თვალებზე ხელი აიფარა და ისიც მოშორდა სარკმელს. სარდაფიდან ღრიალი მოისმა.

— რაო, წაიჩხუბენ? — იკითხა მეფემ, — ერთმანეთი არ დაგლიჯონ!

— არა, დიდო მეფევ, — უპასუხა სპარსმა ფაიზულამ, — ისინი დაძმანი არიან და ერთმანეთს არას დაუშავებენ.

ერეკლე შეკრთა. თითქოს რაღაც ენიშნა, უნებურად ანას შეხედა და კვლავ შეუთამაშდა მარცხენა მხარი.

*
* *

სასახლეში უცნაური, ავისმომასწავებელი სიჩუმე დამკვიდრდა. ამბავმა, ბატონს რისხვის ზნემ მოუარაო, სისინით დაირბინა ოთახები, სარდაფები, დერეფნები, ბაღები, გალავნის სენაკები და ყველანი გარინდა და მიაჩუმა. მსახურნი ერთმანეთს ჩურჩულით ელაპარაკებოდნენ, ფეხაკრეფით დადიოდნენ და ცდილობდნენ საერთოდ სულ არ გა-

მოჩენილიყვნენ. წამდაუწუმ პირჯვარს იწერდნენ და ღმერთს ევედრებოდნენ, არა შემთხვევოდათ რა.

წინაღამით ნამთვრალევ ლეონს ჯერ კიდევ ტკბილად ეძინა, როდესაც ის ბესიკმა გაღვიძა და აცნობა მამამისის მოსვლა. ლეონი გემრიელად გაიზმორა და ისევ დააპირა ძილი, მაგრამ ბესიკმა არ დააყენა და კვლავ შეანჯღრია.

— შენ, რაო, თავი მოგბეზრდა? — წამოიწია ლეონმა და ბესიკს მრისხანედ შეხედა.

— მე არა, მაგრამ თუ თქვენს ბრწყინვალებას თავი არ მობეზრებია, ვურჩევ აბრძანდეს. ბატონი რაღაცაზე გაჯავრებულია და ჯერ არავინ არ იცის მიზეზი.

— გაჯავრებული?

— დიახ, ამ დილას მობრძანებულა, ხმა არავისთვის გაუცია და პირდაპირ თავის ოთახისკენ გასულა. მარცხენა ჩხარი უთამაშებდაო...

— ოო, ეგ ცუდია. მერე?

— მერე თავის ოთახიდან გამობრძანებულა და პირდაპირ თავის დის პალატებს მიაშურა თურმე...

— ანა ნუ თუ აქ არის?... ჰო, — გაახსენდა ლეონს, — ის ხომ წუხელ ჩამობრძანდა. მერე?

— მერე, მეტი მე არა ვიცი რა.

— შენ რაღამ გაგაფითრა? ხალათი მომაწოდე. თუმცა მოდი, დავიცადოთ... მე ვითომ მძინავს... შენც აქ იყავ, ოღონდ ფარეშებს უბრძანე, ბატონიშვილს სძინავსთქო, არავინ გაბედოს ჩემი გაღვიძება, მანამ მამაჩემი რომელიმე მსახურს ან დიდებულს ყურებს დაუსერავს და მისი რისხვაც უცბად დაცხრება. ალბათ, რომელიმე მსტოვარმა ენა მიუტანა...

— იცი რა უთქვამთ?..

— რა უთქვამთ?..

— წუხანდელი ნადიმის ამბები მოუხსენებიათ. ლეონს თავი მეფესავით ეჭირაო და ყარაბაღელ ხანს კიდევაც უთქვამს ლეონისათვის, უკვე დროა შენ იყო მეფე ქართლისა და კახეთისაო...

— ეგ რა სისულელეა! — წამოიჭრა ფეხზე ლეონი, — ნეტავ ვინ მოანყენა ასეთი სისულელე!

— აბა რას გაიგებ. მსტოვარი ბევრი ჰყავს მეფეს...

— ორგული მსტოვარი რად უნდა. დამაცა, ახლავე ყოველივეს გავიგებ და იმ მსტოვარს თავს გავაგდებინებ...

— დაიცა, ბატონიშვილო, ერთ მსტოვარს თავს გააგდებინებ, მეორეს რას უზამ, მეორეს მოერევი, მესამეს, თუნდაც მეოთხეს და მეხუთეს, მაგრამ მეათეს, მეასეს... მერე და როგორ გინდა გაიგო მისი ვინაობა, ბატონს გინდა ჰკითხო?

ლეონი შედგა და ბესიკს მიაშტერდა. ერთ ხანს ასე იდგა უძრავად, მერე გულმოსულმა ხელი ისე დაიქნია, თითქოს ხეს ტოტი ჩამოაწყვიტა, ისევ ლოგინში ჩაწვა და ჭერს შეაცქერდა.

— მაშ ჯობია ვიყუჩოთ?

— ვიყუჩოთ. მე მგონია რომ ბატონი მაგის გამო არ უნდა იყოს გაჯავრებული. სხვა რამ მადარდებს... — ბესიკი სარკმელს მიუახლოვდა და ეზოში დაიწყო ცქერა.

ჭაბუკ მგოსანს რატომღაც უცნაურად უცემდა გული. ?ას არასოდეს არ განეცადა ასეთი არაჩვეულებრივი შიში და არასოდეს არ აღძვრია ასე უეცრად გაქცევის სურვილი. როდესაც უთხრეს, რომ ბატონმა თავის დასთან ისურვა წაბრძანებაო, გული შეუხტა და აუჩქროლდა. დაფეთებულმა მიმოიხედა და მუხლები ისე აუკანკალდა, რომ ლეონის ოთახამდე ძლივს მიაღწია. რამდენჯერმე ეცადა თავიდან მოეშორებინა აბეზარი ფიქრი გაქცევაზე, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. გრძნობა მოუსვენრად კარნახობდა ფრთხილად ჩასულიყო ეზოში, საჯინიბოდან გაეყვანა თავისი ცხენი, შემჯდარიყო ზედ და, პირველად რომ არავის შეემჩნია რამე, ნელი ნაბიჯით გაეყვანა სასახლის ეზოდან, ვითომ ლეონის დავა-

ლებით მიდიოდა სადმე ახლო. გასცილებოდა სასახლის ალაყაფს, გასცილებოდა ქალაქის კარიბჭეს და, გავიდოდა თუ არა შარაზე, ეტკიცა მათრახი ცხენისათვის და გაფრენილიყო.

ლეონთან საუბარმა მცირე ხნით დააკავიწყა ეს სურვილი, მაგრამ მალე ისევ გაახსენდა და თავისდაუნებურად მიუახლოვდა სარკმელს, თითქოს სურდა შეემოწმებინა, შეიძლებოდა თუ არა ეზოში შეუმჩნევლად ჩასვლა. გადაიხედა და თვალი მოჰკრა ორივეს, ბატონსა და მის დას. ისინი რაღაცაზე საუბრობდნენ. მერე ორივენი ლომების გომურისაკენ გაემართნენ და ბანის გუმბათიდან დაუწყეს თვალთვალი მხეცებს. ბესიკმა დაინახა, როგორ ანიშნა ერეკლემ ხელით ფაიზულას რაღაც, როგორ მოიყვანეს რქანაყარი ლამაზი ვაცი და გომურში ლომებთან შეაგდეს. ბესიკს ეზოდან მოსამსახურეთა ხმა არ ესმოდა და ამიტომ მისთვის მოულოდნელი იყო, როდესაც გაიგონა ვაცის თავგანწირული ბღავილი. თითქოს ადამიანი ყვიროდა: მიშველეთო. ლეონმაც კი წამოიწია და იკითხა რა ამბავიაო.

— არაფერი, — უპასუხა ბესიკმა. — ლომებს ცოცხალი ვაცი მიუგდეს...

— ჰოო! — უგუნებოდ ჩაილაპარაკა ლეონმა და ისევ მიწვა ლოგინზე.—მაგ ლომებმა საქმე გააჭირეს. მაგათი სიმყრალის გამო ბაღში ვეღარ ჩავსულვარ. კიდევ კარგი, მალე თელავში წაიყვანს.

ბესიკმა თვალი გააყოლა ანასა და ერეკლეს, რომელნიც ლომების სადგომს მოცილდნენ, სასახლის ბაღში გაიარეს, ბოწიწებით ადევნებულ მსახურთ არც კი შეხედეს და ისევ სასახლეში დაბრუნდნენ. რატომღაც ახლა განიცადა ბესიკმა ამ ორი არსების მეფური სიდიადე და ის თავზარდამცემი შიში, რომელიც აქამდე არასოდეს არ განუცდია.

და მხოლოდ ახლა დააფასა ბესიკმა თუ რა დიდი ბედნიერება იყო მისთვის ანას მფარველობა, მასთან მიჯნურობა; მხოლოდ ახლა იგრძნო ბესიკმა, რა დიდი სიფრთხილე იყო საჭირო მისთვის ანასთან დამოკიდებულებაში, ეშ ანასთან, რომელსაც ის ახალგაზრდული უმეცრების გამო ასე აბუჩად მოეპყრო. ერთ წუთს მოიგონა მასთან უკანასკნელი წლების დამოკიდებულება და, როდესაც გაახსენდა, რომ აგერ წელიწადზე მეტი იყო რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ, რაც მისთვის უბრალო წერილიც კი არ მიეწერნა, დაფეთებული აფუსფუსდა. ?ას სურდა ახლავე გამოესწორებინა ეს დაუდევრობა. თავის ოთახში გავიდა და საგანგებოდ ახალი ტანსაცმელი ჩაიცვა, რომელიც წინაღამით ეცვა ნადიმზე. მერე ფიქრებში წასულმა დიდხანს ივარცხნა თმები სარკის წინ და, როდესაც გამოერკვა, გაოცებით შეხედა სავარცხელს. მას აუარება თმები გამოჰყოლოდა და ამ თმებში ორი თუ სამი ღერი თეთრი თმა ერია. სწრაფად მიუახლოვდა სარკეს და თავისთავი დაკვირვებით შეათვალიერა. ბესიკი გაახარა თმებში თეთრის დანახვამ, თითქოს ამ თეთრ თმებს უნდა შეეცვალა მისი მდგომარეობა. ?ალარა თავით ის უფრო ხანშიშესულად გამოიყურებოდა და ანასაც, ალბათ, ეს ძალზე იამებოდა.

მაშინვე გაემართა ანას სანახავად. მსახურისაგან გაიგო, რომ ბატონის დაც თავის პალატებში წაბრძანებულიყო. ბესიკმა ფარეშს სთხოვა, მოეხსენებინა ანასათვის, რომ მისი ნახვა სურდა. ფარეში მხიარულად გაიქცა, რომ ბესიკის თხოვნა შეესრულებინა, მაგრამ იქედან სახეშეცვლილი დაბრუნდა, ერთხანს გაშტერებით უცქირა ბესიკს და მერე როგორც იქნა უთხრა:

— ა... არა... არაო... აგრე უთხარი, მე თითონ მოვალ და შენს ცხედარს ვინახულებო. ეგ რა სთქვა? — თავისთავს ჰკითხა ფარეშმა და მერე ისევ შეხედა ბესიკს, — განა ისეთი რა დაუშავე, რომ აგრე გაგიჯავრებია?..

ბესიკმა ახლა აშკარად იგრძნო, რომ მხოლოდ გაქცევით შეეძლო თავისთვის ეშველნა, მაგრამ ამავე დროს ხედავდა, რომ ეს სრულიად შეუძლებელი იყო. შეუძლებელი იყო, რადგან ის მარტივი, ცხოვრების დაუწერელი კანონით, მოჯადოებელი ფრინველივით, მანამ არ აიქნევდა ფრთებს, სანამ გალიაში არ შეაგდებდნენ. მას არ შეეძლო გაქცეულიყო, რადგან სასახლეში მეფისა და ბატონიშვილის სამსახურში იშყოფებოდა. სამსახური კი მას ერთ ადგილზე აბამდა. სანამ მას არ დაითხოვდნენ ამ სამსახურიდან, აჰყრიდნენ ყოველგვარ უფლებებს, შეაგდებდნენ საპყრობილეში, მანამდე ფუჭი იყო ფიქრები გაქცევაზე. ბუნდოვანად აღეძრა სურვილი ყოფილიყო სადმე შორს, ძალიან შორს, ყოფილიყო ისევ პეტერბურგში ან შირაზში და ამ სიშორით აეცილებინა თავიდან საბედისწერო მეხის თავზე დაცემა.

— განა რა დაუშავე? — გაუმეორა კითხვა ფარეშმა

— არაფერი. მე რა უნდა დამეშავებინა, ალბათ გაჯავრებულია...

ბესიკი მოცილდა ფარეშს და ლასლასით გაემართა თავის ოთახისაკენ.

აღარც კი ახსოვდა, რამდენი დღე გავიდა ამის შემდეგ, ვინ ესაუბრებოდა, რას აკეთებდა. ყოველივე ბურუსში იყო მისთვის, არეულ-დარეული. მსახურნი და დიდებულნი ფუსფუსით გარბი-გამორბოდნენ, ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ და ყოველი მათგანი — თითქოს რაღაცას მოელოდა — დამფრთხალი ცხენივით ძაგძაგებდა.

ასე გაიარა რამდენიმე დღემ და თუმცა სასახლეში ყველას ეგონა, რომ ბატონის რისხვა ვინმეს აუცილებლად დაატყდებოდა თავზე, არაფერი საამისო არ მომხდარა. ერეკლე, მართალია, საოცრად უგუნებოდ იყო, მაგრამ ჩვეულებრივი უბრალო გულმოდგინებით განაგრძობდა საქმიანობას. მან მშვიდად შოუსმინა ლეონს, რომელმაც მაშინვე მოახსენა მამამისს, — თქვენთვის ისეთი სისულელე მოუხსენებიათ, რომ მზად ვარ ჩემის ხელით განვგმირო ტყულეო. ერეკლემ დაამშვიდა ლეონი, ღიმილით შეხედა თვალებში და თავისი საოცრად ნაზი, ქალურად თეთრი წვრილთითებიანი ხელი ლოყაზე მოუთათუნა. ამით დამთავრდა მაჰაშვილის მოსალოდნელი უკმაყოფილება.

ერეკლეს უგუნებოდ ყოფნა გამოწვეული იყო იმით, რომ მას უკანასკნელი წლების განმავლობაში აუარებელი ვალები დაუგროვდა, ხოლო საგარეო საქმეებისა და საშინაო მდგომარეობის გამოკეთებასთან ერთად მაშინვე დაიძრენ მოვალეები და მეფეს, მართალია, მორიდებულად, მაგრამ დაჟინებით მოაგონეს, რომ საჭირო იყო სესხის დაბრუნება. მართალია, ყველაზე დიდი მოვალე აღა იბრეიმი (რომლის ვალი ერეკლემ ერთხელ გაისტუმრა, მაგრამ მალე ისევ დაესეხა), იმდენად არ აჩქარებდა, მაგრამ შედარებით უფრო წვრილი მოვალეები მოსვენებას არ აძლევდნენ. რუსეთთან ერთად ჩატარებული ლაშქრობანი თურქეთის წინააღმდეგ ერეკლეს ნახევარ-მილიონ მანეთზე მეტი დაუჯდა, ხოლო ამ ლაშქრობიდან მას არაფერი არ აუნაზღაურებია. ერეკლემ მისწერა იმპერატრიცას ამის შესახებ, რადგან იმედი ჰქონდა, რომ რუსეთის დედოფალი ამ ხარჯებს აუნაზღაურებდა იმ თანხებიდან, რომელსაც ის თურქეთს გადაახდევინებდა ზავის დადების შემდეგ. მისწერა, მაგრამ პასუხი იგვიანებდა, ხოლო აქ ვალებს სარგებელი ეპატებოდა, იზრდებოდა და მოვალეებიც აღარ იცდიდნენ. ყველა იმიზეზებდა, როგორც იქნა ვაჭრობის დარი დაგვიდგა და ფული გვჭირდებაო. ზოგის ათასი თუმანი ემართა ერეკლეს, ზოგისა — ხუთასი, სხვისა — შვიდასი და დღედაღამე მოსვენება არ ჰქონდა მოვალეთაგან. ვალს გასტუმრება უნდოდა და ხაზინა კი ცარიელი ჰქონდა. ახტალის მადნებმა ჯერჯერო-

ბით იმედი არ გაუმართლა. ბერძნებმა ასი თუმნის ნახშირი მიაწვეს და ძლივს-ძლივობით ასორმოცდაათი თუმნის ღირებული ვერცხლი გამოადნეს. მართალია, ისინი არწმუნებდნენ მეფეს, რომ დასაწყისში მუდამ ასეა, მალე მადნის მთავარ ძარღვს მივადგებით, სადაც ათ ლიტრა ქანზე ერთი ლიტრა ვერცხლი დადგებაო, მაგრამ ეს ჯერ კიდევ საეგებისო იყო და ამაზე იმედის დაშყარება არ შეიძლებოდა. ქვეშევრდომი სახანოები ხარკის გადახდას აგვიანებდნენ და ვინც იხდიდა, ისიც შინაური, აუცილებელი ხარჯების დაფარვას ჭირდებოდა.

საჭირო იყო გამოსავლის ნახვა. ერეკლე ჯერ მდივანბეგებს ეთათბირა, მაგრამ მათ ვერაფერი ვერ ურჩიეს მეფეს. ჭაბუა კვლავ რუსეთის იმპერატრიცის წყალობას ელოდა, იოანე ორბელიანი მთელ იმედებს ვერცხლისა და ოქროს მადნებზე ამყარებდა, ხოლო რამაზ ბდივანბეგი იქამდი მივიდა, რომ მეფეს ურჩევდა: მოვალე ვაჭრებს, მოდი, შარი მოვდოთ, ქონება ჩამოვართვათ და ისინი, პირიქით, შეგვეხვეწებიან: ოღონდ ჩვენი ქონება დაგვიბრუნეთ და ვალმა ჭირი მოგჭამოთო.

ამ უნიათო თათბირმა ერეკლე უფრო ცუდ გუნებაზე დააყენა. გამოსავალი კვლავ არ იყო ნახული და თუ ასე გაგრძელდებოდა, იძულებული იქნებოდა თავის სახლობისათვისაც კი მოეხსნა სამკაულები, რომ მოვალეები თავიდან მოეშორებინა.

ამ ფიქრით იყო შეპყრობილი ერეკლე, როდესაც მას ეახლა ოსეფა ყორღანაშვილი და მოულოდნელად ამ მძიმე მდგომარეობიდან გაეხსნა უჩვენა. ოსეფა სულ სხვა საქმისათვის იყო მეფესთან. სომხების ეპისკოპოსის დავალებით ათიათასი მანეთი უნდა მიერთმია საერო საქმეთა სასარგებლოდ (ვითომდა ანტონ კათალიკოსის მიბაძვით, რომელმაც მეფეს საერო საქმისათვის ოცდაათი ათასი მანეთი მიართვა), ნამდვილად კი იმისთვის, რათა გამოეთხოვა საქართველოში კათოლიკე მისიონერთა საქმიანობის აკრძალვა. ერეკლე მაშინვე მიხვდა, რომ ამ საქმიდან შეიძლებოდა სარგებლობის მიღება და გულდასმით მოუსმინა ოსეფას.

— ეგ რასა შვრებიან? — ეუბნებოდა ყორღანაშვილი მეფეს. — თუ აგრე გაგრძელდა, სულ მალე ჩვენს ეკლესიებში მარტო ტერტერები თუ შევლენ, თორემ მრევლი სადღა იქნება. ეს საქმეა? ათადან, ბაბადან სომხები და ქართველები ერთად მოვდივართ, ბეფევ, ერთნაირად ვადიდებთ ქრისტე ღმერთს, ახლა მაგთაღას ბიჭი პოღოსა მეუბნება — ფრანგი ვარო... გაგონილა?! ჩემმა მზემ, ეგ პატრები სულ ტყუილებს მოგახსენებენ: ექიმები ვართო. რის ექიმები, ხალხს ატყუებენ, რომ კათოლიკებად მოაქციონ, თორემ — ჩემმა და ბატონის მზემ, მაგათ ექიმობისა არა გაეგებათ-რა.

— მერე მე რა ვქნა, ჩემო ოსეფავ, — უპასუხა ერეკლემ, — ეს საქმე ჩემი დაწყებული არ არის. აგერ ორას წელზე მეტი იქნება, რაც საქართველოში კათოლიკე მისიონერები იღწვიან და სარგებლობის მეტი არა მოაქვთ რა, ხოლო თქვენი სომეხი მევახშეები კი დაღრჩობას მიპირებენ...

— ეგ რასა ბრძანებთ, მეფევ?

— აგრე კია და...

— აბა იმათაც რა ჰქნან. ფული მოუციათ და თავისას ითხოვენ.

— მართალია, მაგრამ მე რომ ქვეყნისათვის სისხლი დამიღვრია, ეგ ვისღა მოვთხოვო?..

ოსეფა დაიბნა და მეფეს ვერაფერი ვერ უპასუხა. ბერე აბრეშუმის ჭრელი ბაღდადი ამოიღო, შუბლზე სიმწრის ოფლი მოიწმინდა და, ვითომ დიდ საიდუმლოებას ამბობდა, მეფეს ჩურჩულით მოახსენა:

— ერთი წავალ ეპისკოპოსს ვეტყვი, ჰამაც ამტოლა საქმე გისურვებია, მოდი

ჩვენც მოგვეხმარე-მეთქი. რაც სომხების გმართებთ, ოციათასი თუმანი ვალი, ეგ რომ გვითავდებოს, ჩვენ კიდევ ან გირავნობის ქაღალდს შივცემთ ან თამასუქს. მაშ როგორ უნდა! რომის პაპი მტრად მოვიკიდოთ, სარგებელიც ვერა ვნახოთ? მორჩომილია, ეგ საქმე მე მომანდეთ, მეფევ, ახლავე წავალ და დანარჩომისა მე ვიცი...

საღამოს ოსეფა ისევ ეახლა მეფეს და მოახსენა, რომ ეპისკოპოსი თანახმა იყო მოეშორებინა მეფისათვის თავისი სამწყსოს სომეხი მოვალენი, თუ კი მეფე აუკრძალავდა კათოლიკეთა მისიონერებს მოღვაწეობას და განდევნიდა მათ საქართველოდან.

— ჩვენ კი, მეფევ, ეპისკოპოსს ერთიან თამასუქს მივცემთ პირობით, რომ ათ წელიწადში ამ ვალს გავუსტუმრებთ. სარგებელზედაც უარს ამბობს. ჰაა! ესეც კიდევ კარგი პირობა. მეტი რაღა გინდა...

ერეკლემ მაშინვე არ გასცა პასუხი. მას სურდა ანტონ კათალიკოსს მოთათბირებოდა.

*

* *

მზიანი ამინდი უცბად ავდარმა შესცვალა. წვიმა ღამით დაიწყო და მთელი დღის განმავლობაში განუწყვეტლად სცრიდა. ხანდახან ცივი ქარი დაუბერავდა და ზანტად ერეკებოდა ჩამოძონძილ ნაცრისფერ ღრუბლებს. გზები ატალახდა, ქუჩებში წუმპეები ლივლივებდნენ და მთელი ქვეყანა თითქოს ამომწყდარიყო, ყველანი სახლებში შეყუჟულიყვნენ. მარტო აქა-იქ ამოდენილი ბოლით იგრძნობდა ადამიანი, რომ ქვეყნად სიცოცხლე არ ჩამკვდარიყო. ბაზრებში აღარ ისმოდა მხიარული ყაყანი, დაცარიელებულ მოედნებზე ხანდახან სახედრიანი მენახშირე თუ გამოჩნდებოდა, რომელიც აძაგძაგებული ხმით გასძახოდა: „ნახშირი... ნახშირეეე!“, და გათოშილ სველ ხელებს იღლიებში ითბობდა. ვაჭრები და ხელოსნები თავიანთ დუქნებში შეყუჟულიყვნენ. ზოგი საქმით ეყო გართული, ზოგი კიდევ მაყალს მიეფარა. მოდა და, არ იცოდა, დრო რით მოეკლა. სამეკიტნოებშიაც კი არავინ იხედებოდა და მარტო სამორინე იყო ხალხით გაჭედილი. აქ დილიდან-საღამომდე ისმოდა ნარდის ქვიშრებისა და კამათელის ჩხაკუნი, ბანქოს მოთამაშეთა ყაყანი და სეირის მაყურებელთა თქართქარი. მარტო მოჭადრაკენი თამაშობდნენ ჩუმად და დაძაბული სახეებით დასცქეროდნენ დაფას.

ასეთ ამინდს თბილისელნი თარსს ეძახდნენ და ოსტატი ხელოსნებიც კი ასეთს დღეებში უგუნებოდ მუშაობდნენ, მეტ დროს მასლაათსა და გართობას ანდომებდნენ. თუ მარხვის დღე არ იყო, თავიანთ მაყალებზე მწვადებს სწვავდნენ, გვერდით მოზრდილ ხელადას მოიდგამდნენ და თიხის ჯამებით პატიოსანი ადამიანების სადღეგრძელოებს სვამდნენ. თან ახალ ამბებს უამბობდნენ ერთმანეთს.

— გაიგეთ, ხალხო, სომხების ეპისკოპოსს და კათოლიკების პატრს ჩხუბი მოსვლიათ და ახლა ბატონთან მისულან: გაგვაშველეთო...

— ეგ რაა, ანტონ კათალიკოსმა სამართალი უნდა უყოსო და მთელ საქართველოდამ, რაც კი რამ მღვდელია, სულ აქ დაუბარებიაო...

— ვა, ეგ, მგონი, მართლა ეგრეა: მთელი დღეა სულ მღვდლები მოდიან ქალაქში, ზოგი ცხენით და ზოგი ფეხით. სიონთან რომ ჩაიარო, ყვავების ქეიფი გეგონება...

მღვდლები მართლაც გროვდებოდნენ ქალაქში და, ავდრის მიუხედავად, მთელი დღე არ შეწყვეტილა მათი მოსვლა. მიტროპოლიტებს და ეპისკოპოსებს მსახურთა მთელი ამალა ახლდა და ზოგ მათგანს მორიგე ჯარის მცველი რაზმიც კი აცილებდა.

წიგნის საქმის შეჩერებამ კათალიკოსი აიძულა საეკლესიო ყრილობა

ძოეწვია. მალე მთელი თბილისი აივსო ქართლ-კახეთის მიტროპოლიტებით და ეპისკოპოსებით, რომელნიც მოსვლისთანავე ყოველდღე რიგრიგობით სწირავდნენ თბილისის ტაძრებში და ნაშუადღევს კი სიონის საკათალიკოსო პალატებში იკრიბებოდნენ სათათბიროდ.

ანტონმა ვრცელი ქადაგება წარმოსთქვა და სასულიერო მამანი, დიდი თანამდებობის მიუხედავად, სასტიკად დატუქსა. უსაყვედურა მათ, რომ ისინი არ ზრუნავდნენ ქვეყნის საკეთილდღეოდ, ხალხის სულიერად ამაღლებაზე, არ იღწვოდნენ ხალხის განსანათლებლად, არ აყვარებდნენ მათ სასულიერო წიგნებს, რის გამო თვით სულიერ მამათა შორის შეპარულიყო ბოროტი ხრწნილება და ყოვლად უგვანო ქცევანი.

— ბოდბიდან მღვდელი ჩამოსულიყო თბილისს, — მოახსენა კათალიკოსმა წმინდა მამათ, — ჩვენს წიგნთა საწყობში მიბრძანებულა და უკითხავს, თეიმურაზის თიმსარიანი მომყიდეთო. ღმერთო, გვიხსენი ყოველთა ცოდვათაგან. ვერ გავიგე რომელი იყო, რომ მაშინვე ამეყარა ღირსება და საქვეყნოდ გამეკრიჭა...

— ეგ ზოსიმე ბღვდელი იყო, ალბათ, — წამოიძახა საოცარი წრიპინა ხმით პატარა ტანის ბოდბელმა მიტროპოლიტმა იოანემ და თავისი კვერთხი მარცხენა ხელიდან მარჯვენაში გადაიტანა. ის ორჯერ დაბალი იყო თავის კვერთხზე და ახლა დამჯდარი ისე პატარა მოსჩანდა, თითქოს ჭოტი ჩამჯდარიყოს ხის ძირას. — აქამდე უნდა გამეკრიჭა ის უწმინდური.

— ნიქოზის საეპისკოპოსოს სახელი გაუთქვია ყოვლადუგვანო წიგნების გადაწერით. მე ხელთა მაქვს ერთი წიგნი ვიღაც თადეოზ ბერმონაზონის გადაწერილი. რა გინდათ, რომ ამ წიგნში არ ამოიკითხოთ. სამეფო კარიდან განდევნილ საათნავას ბიწიერი ლექსები, ორთა დიდებულთა სახუმარო და უწმაწური გაბაასება, ესეც ლექსად, ვიღაც აფრიამას თავგადასავალი ციხიას ქვრივთან და ვინ მოსთვლის, რამდენი ასეთი ამბავია ამ ყოვლადუგვან წიგნში...

— თადეოზ ბერმონაზონიო? — გაიკვირვა ნიქოზის ეპისკოპოსმა ათანასემ, — მე ჩემს სამწყსოში ასეთი არავინ არა მყავს. ღმერთო, შენ მიხსენ...

— ესეც ახალი უბედურება, — მკაცრად გადახედა ანტონმა ეპისკოპოსს, — მღვდელმთავარმა არ იცის თავის ხელქვეითად ვინა ჰყავს და ვინ არა...

— თქვენო უწმინდესობავ, თქვენ დავით ამილახვარზე ბრძანებთ, ეს ის გახლავთ, ვითომ ბერად შედგა და თადეოზი დაირქვა. აბა რა ვქნა, ბრწყინვალე თავადს ვით შევკადრო...

— ღვთის საყდარსა შიგან არა არს თავადი და გლეხი. რუსთავის არქიეპისკოპოსს ალბად სასახელოდ მიაჩნია შოთა რუსთაველის ყოვლადუგვანო ვეფხის ტყაოსანის გადაწერა...

— არც არაოდეს მიფიქრია, თქვენო უწმინდესობავ, — აკანკალებული ხმით წამოიძახა საოცრად გამხდარმა და თვალებჩაცვივნულმა არქიეპისკოპოსმა სტეფანემ.

— შენ არ გიფიქრია, მაგრამ შენი მღვდლები სჩადიან ამას. არავის ეგონოს, რომ ეს წიგნი რაკი დიდებულთა და მეფეთა სასახლეებშიაც კი მრავლად მოიპოება, მის წაკითხვას ვნება არ მოჰქონდეს. ყოველი ბოროტება, რაც კი ამ ქვეყნად დაბადებულა, ამ წიგნის ბრალია. ქალნი და ვაჟნი ჰბაძავენ ნესტანთა და ტარიელთა, ერთმანეთს ემიჯნურებიან, სატრფიალო უსტარს უგზავნიან. ქალნი, რათა შვენებით ნესტანს დაემგვანონ, სახეს ფერუმარილით იღებავენ, წარბთა და წამწამთა მურით ისვრიან, ხოლო მკვდართა თმათა მოკვეთენ და თავიანთ თმებში ჩაიწნავენ, რათა ნაწნავნი კოჭებამდე დაიგრძელონ. აღარ დაგიდევენ, რომ

ქორწინებით შეუღლებულნი არიან და ქმრიანი ცოლიანს ემიჯნურება, ქვრივი ჭაბუკს და მთელი ქვეყანა ლამის არის სამეძაო სახლად იქცეს. ესე ბოროტი გავლენა ამა წიგნისა იმდენად დიდია, რომ ჩვენ განვიზრახეთ, რათა რაც კი რაშ მოიპოება საქართველოში წიგნი ესე ბოროტი და მსგავსი ყოველივე ამისა, აღვკვეთოთ, მოვაგროვოთ და მივსცეთ ცეცხლს, ხოლო ნაცვლად ამისა განვავრცელოთ წიგნნი წმინდა ცნებათა მღაღადებელნი. ჭეშმარიტად თქმულა ფსალმუნში: „ცანი უთხრობენ დიდებასა ღვთისასა და ქმნულთა ხელთა მისთასა მოუთხრობს სამყარო. დღე დღესა აუწყებს სიტყვასა და ღამე ღამესა ᲨᲘუთხრობს მეცნიერებასა. არა არიან თქმულ არცა სიტყვაᲐ, რომელთა იგი არა ესმა ხმა მათი... სჯული უფლისა უბიწო არს და მოაქცევს სულთა, წამებანი უფლისანი სარწმუნო არიან და გონიერ ჰყვნიან ყრმანი. სიმართლენი უფლისანი წრფელ არიან და ახარებენ გულსა, მცნებაᲐ უფლისა ბრწყინვალე არს და განმანათლებელ თვალთა“...

არსენ თბილელმა წვერებზე ხელი მოივლო, თითქოს ჩამოიწურა და კათალიკოსს ჰკითხა:

— ბოროტ წიგნებს მოვაგროვებთ და დავწვავთ, ეგ ადვილი საქმეა, მაგრაშ სამეფო კარის მგოსანს რას ვუზამთ, ყოველდღე ახალახალ ლექსებს რომა სთხზავს და მთელ ქალაქში ავრცელებს. ამასწინათ ნაქეიფარ ხალხს ეკლესიაშიაც კი წამოეწყოთ მაგის ლექსის სიმღერა.

— მაგას ვის შესახებ ბრძანებთ?

— ზაქარია მოძღვრის ვაჟზე, ბესიკზე...

კათალიკოსმა ერთ ხანს დაჟინებით უცქირა თბილელს, მაგრამ პასუხი არ გასცა. შემდეგ ნელა მოიხედა, მამათა კრებას მიუბრუნდა და თავისი შეწყვეტილი სიტყვა განაგრძო. განაგრძო, მაგრამ გარეგნულად ეტყობოდა, რომ ის სადღაც აზროვნების კუნჭულში მაინც ფიქრობდა ბესიკის შესახებ და კარგახანს ვერ გამოვიდა ამ ფიქრებიდან. რამდენჯერმე კიდევაც შედგა და დააპირა თბილელისთვის ეთქვა რაღაც, მაგრამ გადაიფიქრა და ისევ თავის სიტყვა განაგრძო...

მამათა თათბირი გაჭიანურდა. მართალია, გარეგნულად წიგნების საქმე მოგვარდა, წმინდა მამებმა თავს იდვეს ხელი შეეწყოთ სტამბაში დაგროვილ სასულიერო წიგნთა გავრცელებისათვის, მაგრამ ახლა თითონაც მოხსნეს გუდას თავი და კათალიკოსს თავიანთი გაჭირვება უამბეს. ეკლესიები გავერანებული იყო, არა მარტო წიგნები, ბევრ ტაძარში არც ხატი იყო, არც ჯვარი და ბარძიმ-ფეშხუმზე ხომ ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. მღვდლებს შესამოსელი არა ჰქონდათ, გაღატაკებული მრევლი მათ ვერაფერს აძლევდა და მშივრები იძულებულნი იყვნენ თითონ მოეხნათ იჯარით აღებული ერთი-ორი დღიური, თითონვე მოემკათ პური, გაელეწნათ და მთელ რიგ სოფლებში მღვდელს გლეხიკაცისაგან ვერცკი გაარჩევდით. ასეთ პირობებში საკვირველიც არ იყო, რომ რომელიმე მღვდელს გასართობი წიგნი გადაეწერნა გასასყიდად, რომ ერთი-ორი გროში მაინც აეღო და ცოლშვილი როგორმე დაერჩინა.

ანტონმა მშვიდად მოუსმინა ყველას, კიდევაც დააპირა პასუხის გაცემა, რომ ამ დროს მორჩილმა მოახსენა მეფის მობრძანება.

ყველანი წამოიშალნენ და მოწიწებით შეეგებნენ მეფეს. ერეკლე სათითაოდ მოეხვია ყველას, ხელზე ეამბორა და ლოცვა-კურთხევა მიიღო. შემდეგ კათალიკოსის გვერდით დაჯდა და სთხოვა კრება განეგრძოთ. კათალიკოსმა დააპირა კიდევაც მამათა საჩივარზე პასუხი გაეცა, მაგრამ სანამ რამეს იტყოდა, ბოდბელმა მიტროპოლიტმა მეფის შინაურობა მოიკითხა, ბოდბელს წილკნელი მიჰყვა და ამ

ერთმანეთის მოკითხვაში საუბარმა უნებურად შინაურული ხასიათი მიიღო. ამ საუბრის დროს ერეკლე სწრაფად მოუბრუნდა ანტონს და, თითქოს შემთხვევით გახსენებოდეს, უამბო სომეხთა ეპისკოპოსის თხოვნა და თან რჩევა ჰკითხა, როგორ მოქცეულიყო...

ანტონი უხერხულად შეიშმუშნა და დაბნეულად გადახედა თავის სამწყსოს. მისთვის ახლა შეუძლებელი იყო ერჩია მეფისათვის უარი შეეთვალნა სომეხთა ეპისკოპოსისათვის. ერთ დროს ზაქარია მოძღვარი სწორედ კათოლიკედ მოქცევაში სდებდა ბრალს ანტონს და ახლა თუ კი კათოლიკე მისიონერთა სასარგებლო აზრს გამოსთქვამდა, მთელი კრება მას მართლა დააბრალებდა კათოლიკობას. ამავე დროს ანტონს დასტურის მიცემაც უჭირდა, რადგან ის სასტიკად ებრძოდა ქართველთა მიერ გრეგორიანობის მიღებას, ხოლო კათოლიკეთა განდევნა კი იმას მოასწავებდა, რომ მრავალი ქართველი, უმთავრესად ქალაქში თავშეფარებული გლეხის შვილები, ოსტატთა შეგირდები ან მოვაჭრედ გახდომის მოსურნენი გრეგორიანებად მოინათლებოდნენ.

— ღმერთო, შევიდეს წარმართნი სამკვიდრებელსა შენსა, და შეაგინეს ტაძარი წმინდა შენი, — ანტონმა პირჯვარი გადაისახა და მძიმედ ჩაჰკიდა თავი; კარგა ხანს მდუმარებდა ასე და ბოლოს მშვიდი, მაგრამ ოდნავი გაბოროტებით უთხრა ერეკლეს,—მესმის ქვეყნის გაჭირვება, შვილო ჩემო, ისიც ვიცი, რომ სამეფო სალარო და ხაზინა თუ სავსე არ არის, ისე ქვეყანას ვერ აღაშენებ, მაგრამ უწესობად ვრაცხ სასულიერო საქმეების ანგარებით გადაჭრას. ეჯმიაწინის სომეხთ პატრიარქი ეკლესიებში წასაკითხავად უწყვეტლივ კონდაკებს იწერება, რათა ხალხი აღამხედროს კათოლიკეთა წინააღმდეგ და ყოველ გრეგორიანს კათოლიკეთათვის სალამის მიცემასაც კი უკრძალავს. რად ამხედრებულა სომეხი პატრიარქი კათოლიკეთა წინააღმდეგ...

— იმად, რომ ისიც ანგარებით მოქმედებს, — შეაწყვეტინა ერეკლემ ანტონს, — თავის მღვდლებისათვის ზრუნავს, ეშინიან მრევლი არ მოაკლდეს და შემოსავალი არ შეუმცირდეს.

— მართალსა ბრძანებთ, მეფევ, მაგრამ მაშინ ჩვენმა მღვდელმა რაღა დააშავა. აბა ერთი მოუსმინეთ, როგორ გაჭირვებას მოგახსენებენ...

— ეგ განა მე თვით არ ვიცი, თქვენო უწმინდესობავ, სწორედ მაგისთვის, ქვეყნის კეთილდღეობისათვის...

— გრეგორიანებს სული უნდა მივყიდოთ? — წამოიძახა მოულოდნელად თბილელმა, რომელიც საერთოდ ცნობილი იყო დაურიდებელი ლაპარაკით.— ?აშინ რაღას ვერჩოდით ზაქარია გაბაშვილს, რომელიც დღედაღამ იმას გაიძახოდა — კათოლიკენი განდევნეთ ჩვენი ქვეყნიდანო და თვით ის უბედური კი განდევნეთ აქედან...

— თუ ეს ზაქარიას მოწყობილი საქმე არ იქნება, შემაჩვენოს მაშინ უფალმა, — სულელურად ჩაიწრიპინა ბოდბელმა და თვით ანტონსაც კი ღიმილი მოჰგვარა ამ სისულელის წამოროშვით.

— ზაქარია აქ არაფერ შუაშია, — სთქვა ანტონმა, — და არც სულს მივყიდით გრეგორიანთა ეპისკოპოსს, თუ ნებას დავრთავთ ჩვენს მეფეს, რომ აუკრძალოს ფრანგ მისიონერებს სომეხთა მოქცევა კათოლიკებად.

— აგრეთვე ქართველთა! — დასძინა თბილელმა.

— აგრეთვე ქართველთა! — დაუდასტურა ანტონმა. — მაგრამ ჩვენ სხვა უფრო ბევრი რამ გვაქვს საზრუნავი. მრავალი ბოროტებაა აღმოსაფხვრელი. სახლი ჩვენი უპყრიეს ეშმას და მალე წმიდა რწმენა სრულიად განიდევნება ჩვენს შვილთა გულიდან, თუ დროზე არ აღვკვეთეთ ბოროტება...

ერეკლე ოდნავ გაოცებით შესცქეროდა ანტონს, რადგან ვერ გაეგო, რის შესახებ ლაპარაკობდა ან რას გულისხმობდა კათალიკოსი. ბოლოს, როგორც იქნა, ამ მიკიბულ-მოკიბულ ლაპარაკში მიხვდა, რომ ანტონი საერო წიგნების წინააღმდეგ ილაშქრებდა და მოითხოვდა მათ განადგურებას, მათ შორის „ვეფხის-ტყაოსანისაც“...

მეფემ კვლავ შეხედა ანტონს და მარცხენა მხარი აუთამაშდა.

— პირველად მესმის, რომ რუსთველის ამ დიდებულ წიგნს ყოველგვარი უმსგავსი ცოდვების გამომწვევად რაცხდნენ. მაშ, ჩვენი დიდებულნი წინაპარნი ბრმანი ყოფილან!

— არ ყოფილან ბრმანი, მეფეო... დიდებული თამარის დროს წიგნი ესე განდევნილ იყო და სრულიად მოსპობილ. სახელი რუსთველისა აღმოხოცილ ყოველთა მატიანეთაგან. მხოლოდ ვიღაც განდგომილს შეუნახავს პირი ამ წიგნისა და ოდეს ჩვენს ქვეყანას თათართა ურდოები დაეპატრონენ და უსჯულობამ დაისადგურა საქართველოს სამეფო სახლსა შინა, ეს წიგნი კვლავ აღმოცენდა, ვინაიდგან ნახა იგი ნიადაგი მსუყე ფრიად... ხოლო ამჟამად სიბილწეს ამა წიგნისას კვლავ შეურყვნია სიწმიდე ქრისტიანული. ქალნი უსირცხვილოდ იფერადებენ სახეს საღებავებით, ხოლო ვაჟნი ყოვლადუგვანო სატრფიალო ლექსებს უსირცხვილოდ უმღერიან შორიახლოდან თავიანთ მიჯნურებს. თვით თქვენი კარის მგოსანი ქვრივებს სამიჯნურო ლექსებს მიუძღვნის...

ერეკლეს ეგონა, რომ ქვრივში ანტონი ანას ჰგულისხმობდა და საუბარი რომ სწრაფად შეეწყვიტნა, ფეხზე წამოდგა. ანტონი კი ბესიკის ლექსს „მე შენი მგონე“-ს ჰგულისხმობდა, რომელიც მან ქვრივ მალალას მიუძღვნა. ამ ლექსს მთელი თბილისი მღეროდა და ანტონმა მას ძალაუნებურად მიაქცია ყურადღება. მორჩილს დაავალა, რომ ჩაეწერნა და მისთვის ეჩვენებინა. მართალია ეს ლექსი დიდად ერ ეანსხვავდებოდა ყველა სხვა სატრფიალო სამიჯნურო ლექსთაგან, რომელთაც ყოველ ფეხისნაბიჯზე მღეროდნენ აშუღები და, მაშინ ანტონს დიდად არ მიუქცევია მისთვის ყურადღება, მაგრამ ახლა შემთხვევით მოაგონდა და ასევე შემთხვევით სიტყვას მოაყოლა.

ერეკლეს კი ტყვიასავით ეცა გულზე ეს აზბავი. ჯერ თვით კათალიკოსზე გაბრაზდა, რომელმაც მისი აზრით, მართალია, პირდაპირ არა, მაგრამ გადაკვრით მაინც შეურაცხყო მისი ქვრივი დაჲ ანა და მერე ბესიკის თავხედობამ აღაშფოთა.

— იყოს ნება თქვენი, თქვენო უწმინდესობავ, — უთხრა ერეკლემ ანტონს და თან შეეცადა მარცხენა მხარის თამაში შეეჩერებინა; სახის დაძაბვაზე ეტყობოდა, რომ თავს ძალას ატანდა, მაგრამ ვერ შეიძლო.—წიგნნი საერონი უნდა განქიქებულ იქნას სასულიერო საბჭოს მიერ და უგვანნი უნდა დაიწვას. ამქვეყნად ყოველივე ღვთის ნებაა, ხოლო აღმასრულებლად ნებისა ღვთისა თქვენ გვეევლინებით...

ერეკლემ მძიმედ დაუკრა თავი ყველას, სწრაფად გამოვიდა აივანზე და ქეშიკი იხმო:

— წადი, მანდატურთუხუცესს მოახსენე ჩვენი ბრძანება: ახლავე შეიპყროს ბესიკი და დილეგში შეაგდოს. მსაჯული თეიმურაზ ციციშვილი კი ჩვენ გვეახლოს...

*
* *

ანა დბანისში აპირებდა გაბრუნებას, მაგრამ, რადგან დილიდანვე წვიმა დაიწყო, იძულებული გახდა წასვლა გამოდარებამდე გადაედო. ანას სურდა სოფელში ყოველგვარი საქმეები დაემთავრებინა და საზამთროდ თბილისში გადმობარგებულიყო. მარტოობით თავგაბეზრებულს ახლა უკვე შიშის ზარს

გვრიდა ზამთრის მოსაწყენი დღეების დბანისში გატარება. აქამდე მოლოდინი მაინც ასულდგმულებდა და ახლა აღარც ეს მოლოდინი იყო. წიგნებიც აღარ ჰქონდა ისეთი, რომელიც სათითაოდ ერთი-ათჯერ მაინც არ წაეკითხნა. თბილისში სხვა გასართობიც რომ არაფერი ყოფილიყო, ახალ წიგნებს მაინც იშოვიდა. გარდა ამისა ერეკლემ სთხოვა ანას თბილისში დარჩენა, ვინაიდან დარეჯანი ფეხმძიმობის გამო ამ ზამთარს თელავს უნდა დარჩენილიყო, სასახლეში კი უფროსი მანდილოსანი არავინ იყო ისეთი, რომელსაც შეეძლო დედოფალი შეეცვალნა და დიასახლისობა გაეწია. ანა მიხვდა, რომ ერეკლეს სხვა მოსაზრებებიც ჰქონდა, როდესაც ცდილობდა თავისი დაჲ ასე დაეახლოვებინა. მას ორბელიანთა მდიდარ მამულებზე ეჭირა თვალი, რომელსაც ახლა პირდაპირი მემკვიდრე აღარ გააჩნდა და მომავალში, ცხადია, თუ კი ანა მოისურვებდა, ეს თვალუწვდენელი მამულები ერეკლეს ერთერთი მემკვიდრის საკუთრება გახდებოდა. ახლაც ანას თითქმის მთელი თავისი შემოსავალი ერეკლეს ბეღლებში და საწყობებში მოჰქონდა და არასოდეს არ უკითხავს, სად რამდენი იხარჯებოდა, ყველაფერს მეფის სახლთუხუცესი განაგებდა.

გაიღვიძა თუ არა და ფანჯრიდან დაინახა, რომ წვიმდა, ანა კარგახანს აღარ ამდგარა ლოგინიდან, ფიქრებში წასული გარინდული იწვა და ჭერს შეჰყურებდა. წინაღამით მან ანიკოს აღსარება ათქმევინა და მოულოდნელად ისეთი ამბავი გაიგო, რომ რისხვის ნაცვლად მთელი ღამე ცრემლად დადნა. ანიკომ გულახდილად უამბო ანას თავისი ქმრის შანკიერება. უამბო, რომ უფლისწული ქორწინების შემდეგ მთელი წლის განმავლობაში არ მიჰკარებოდა თავის მეუღლეს, ხოლო ბოლოს გამოირკვა, რომ მთლად რეგვენი ყოფილიყო და მის სიგიჟეს თურმე ცემით მკურნალობდნენ.

მართალია, ეს ყოველივე ადრევე ჰქონდა გაგონილი ანას, ოღონდ კიდევ მანამდე, სანამ ანიკოს დავითზე ლაპარაკობენ, ეგონა, ახლა, როდესაც დარწმუნდა, რომ ყოველივე ეს სინამდვილე ყოფილიყო, როდესაც დაინახა, რომ მისი შვილიშვილისათვის ნებსით ისეთივე გატანჯული ცხოვრება შეექმნა, როგორიც ბედს თითონ მისთვის უნებლიედ ერგუნებინა, სინდისის ქეჯნა იგრძნო.

— ერთადერთ ნუგეშად ისღა დამრჩენია, — უთხრა ანიკომ ანას, — რომ ასეთი მორჩილი ქმარი არავის არ ეყოლება ქვეყანაზე. რაც არ უნდა ვუბრძანო, ყველაფერს ამისრულებს. წყალში გადავარდი-მეთქი, რომ ვუთხრა, მაშინვე—ჰა, რაი? წყალში გადავვარდე? ახლავე, ჩემო მბრძანებელო, — და თუ ხელი არ სტაცე, მაშინვე გადავარდება. რაც არ უნდა ჩავიდინო, ყველაფერი კანონიერად მიაჩნია. ამასწინათ ვკითხე, სხვა კაცთან რომ მოხვეული მნახო, რას იზამ მეთქი? რასაც შენ მეტყვი, იმას ვიზამო. საცოდავი!

— თუ ბედმა მაგას იმერეთის ტახტზე ასვლა არგუნა, მაშინვე შენ უნდა იქნე ქვეყნის მფარველი და ბატონ-პატრონი. იქნებ განგებას სურდა, შვილო, ეს ხვედრი ერგუნებინა შენთვის. — ანამ ცრემლები მოიწმინდა და ანიკოს გამაშხნევებლად გაუღიმა.—ამიტომ ახლავე გმართებს თავდაჭერა. ყველას უნდა აგრძნობინო, რომ მართლა სადედოფლო ხარ და ქვეყნის ბედიღბალს შეგიძლია უხელმძღვანელო. შენი ქმარის მანკიერება მარტო მე და შენ ვიცით და კიდევ ერთმა თუ ორმა. დანარჩენთათვის დავითი მარტოოდენ სათნო ხასიათის უწყინარი კაცი იქნება. რაკი დაინახავენ, რომ ქმარი მონამორჩილი ყოფილა შენი, კიდევაც რომ არ გსურდეს, მთელს ძალაუფლებას შენს ხელში შეკრებენ. უშენოდ არაფერი არც გაკეთდება, არც გადაწყდება.

ნამდვილი დედოფალი იქნები და მბრძანებელი.

— მართლა? — გაუბრწყინდა თვალები ანიკოს და გუნებაში გაიფიქრა:—„ეს რა კარგია! რასაც მე ვბრძანებ, ყველაფერს აბისრულებენ!“

ორივენი თითქოს დამშვიდდნენ, ანიკომ სასახლის ამბები უამბო ანას, რაც კი რამ გაეგონა ჭორი და მართალი, შემდეგ, როდესაც კარგად მოიქანცნენ, ორივენი თავიანთ ოთახებში წავიდნენ დასაძინებლად. ანამ კარგა ხანს ვერ მოახერხა დაძინება. ათასი ფიქრი არ ასვენებდა და უნებლიედ შენატროდა თავის მოახლეს, რომელიც ნებიერად ხვრინავდა მეორე ოთახში, ხანდახან რაღაცას წაიბურტყუნებდა ძილში, მხარს იცვლიდა და მიჩუმდებოდა; ცოტახნის შემდეგ ისევ დაიწყებდა ნელ ფშვინვას, მერე ხვრინვას, უცბად დაიძახებდა „ხაფ“, გაჩუმდებოდა და ისევ იცვლიდა მხარს.

გათენებისას ჩაეძინა ანას, მაგრამ დილით მაინც ადრე გაეღვიძა და დაინახა თუ არა, რომ წვიმდა, ადგომა დაეზარა, მუხლებში ოდნავ სტეხდა.

მოახლე უკვე ამდგარიყო და მეორე ოთახში ფათურობდა. გარეთ რაღაც შრიალებდა, წვიმა თუ ქარი—ვერ გაარჩევდით. კარგა ხანს იწვა ასე ანა, გარინდული და ყურს უგდებდა გამუდმებულ ყრუ ხმაურს, მერე საათს შეხედა და გაუკვირდა: უკვე თორმეტი საათი შესრულებულიყო. უნებურად გაახსენდა წინადღით გაჯავრებულ გუნებაზე რომ შეუთვალა ბესიკს, მე თითონ მოვალ და შენს ცხედარს ვინახულებო. გაახსენდა და სინანულის გრძნობამ შეიპყრო. თუმცა თავს აჯერებდა, ვითომ ბესიკი სამუდამოდ მოეძულებინა, მაგრამ გულის კუნჭულში მაინც არ ჰკარგავდა იმედს, რომ ბესიკი მაინც მისი ერთგული მიჯნური იქნებოდა. ახლა უცბად შეშინდა, ვაი თუ ასეთი რამე რომ შევუთვალე, მართლა სამუდამოდ დამკარგოსო. მას შემდეგ, რაც ანამ ვერაფერი აღმოაჩინა ისეთი, რაც მის ეჭვებს გაამართლებდა, ვერც მიჯნურნი მიისწრო ერთად, ვერც ანიკოს შეატყო ვერაფერი, არც მსტოვართ უთქვამთ რამე, ხოლო ბესიკი „ამინვე, როგორც კი გაიგო ანას მოსვლა, თითონ მოვიდა მასთან, ანას წარსულის ამბები ყოველივე დაავიწყდა. აქამდე, რაც კი ეჭვებს აღუძრავდა, ყოველივეს გამართლებას უძებნიდა. ანა ახლა ყველაფერში ამართლებდა ბესიკს. დბანისში არ მოინახულა? მერე რა! განა აგრე ადვილი იყო ბატონიშვილის მსახური მიჯნურის სანახავად წასულიყო. მერე როგორი მიჯნურის სანახავად, რომლის სახელს ის სიზმარშიაც კი უშიშრად ვერ ახსენებდა. წერილი არ მიწერა? განა ანამ არ უნდა იცოდეს, რომ ბესიკი მას სამიჯნურო წერილს თუ მიწერდა, შეიძლება ეს ბარათი ორივესათვის სასიკვდილო განაჩენად გადაქცეულიყო! ანიკოს ეტრფოდა? იქნებ ქვეყნის თვალის ასახვევად იქცეოდა ასე ბესიკი, თორემ ნუ თუ გაბედავდა ჭაბუკი ასე მოპყრობოდა ანას, რომლის მზეს ფიცულობდა და ბეხურვალე ამბორით მთლად უპირებდა დაწვას, მთლად, მის თვალებს, მხრებს, მკლავებს, მუხლებს.

ანა ფეხზე წამოიჭრა და მოახლეს უბრძანა ჩაეცმია. მერე დიდხანს იჯდა სარკესთან და თავს ილამაზებდა. უმარილით გულმოდგინედ ისე გაითეთრა სახე, რომ ნაოჭები სრულიად დაიფარა. ბერე კურდღლის თათით ვარდისფერად აიტკეცა ლოყები. წარბებზე ლახუსტაკი გადაისვა და მთელი ეს მისი მორთვა-მოკაზმვა სამ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. უკვე სამხრობის დრო იყო, როდესაც საბოლოოდ მორთულმა ანამ თავის აბრეშუმის გრძელი კაბის კალთები შეისწორა და სარკეში კიდევ ერთხელ შეათვალიერა თავი. ამასობაში ანიკო რამდენჯერმე მოვიდა და აღტაცებული ეხვეოდა,—შენ გენაცვალე, რა ლამაზი ხარ, სულ ვარსკვლავივით ბრწყინავო. თან აჩქარიდა, რადგან თამართან უნდა წასულიყვნენ.

— ბესიკს მოვეწონები? — თითქოს უცაბედად ჩახმახი დასხლეტოდეს, ისე წამოსცდა სარკეში თვალიერებით გართულ ანას და შეკრთა.

ამ კითხვამ თითონ ანაზე მოახდინა ისეთი შთაბეჭდილება, როგორიც ემართება ადამიანს, რომელსაც შემთხვევით გაუვარდება დამბაჩა და შეშინებული მიმოიხედავს, ხომ არავის მოხვედრიაო ანამ თავის შვილიშვილს შეხედა.

სხვა დროს ასეთი კითხვა შეიძლება სრულიად დაებნევდა ანიკოს, ან მას პირდაპირი მნიშვნელობით გაიგებდა, მაგრამ ახლა სულ სხვაგვარად გაიგო; წინაღამით გულახდილი საუბრის და იმ დიდი თანაგრძნობის შემდეგ, რომელიც ანამ გამოიჩინა ანიკოს მიმართ, ახლა ეს კითხვა ანიკოს ისე მოეჩვენა, თითქოს ანა ჰგულისხმობდა: შე ეშმაკო, მე ვიცი რომ ბესიკი შენი სატრფოა, ამისათვის არ გტუქსავ და ახლა, როგორც შენ მოსწონხარ, მეც თუ ისე მოვეწონებიო. ამიტომ ანიკომ ისე უპასუხა, როგორც ეს სჩვევიათ თავიანთი სატრფოებით უკვე თავმობეზრებულ ადამიანებს:

— ბესიკს! ჰი! ისეთ გლახაკს თუ მოეწონე, დიდი საქმეა... დაიკარგოს აქედან!

ორივემ საწვიმარები წამოისხეს და ოთახიდან გავიდნენ. სასახლის ზედა დერეფანში რომ მიდიოდნენ, ქანდარიდან დაინახეს, რომ დიდ დარბაზში სუფრას აწყობდნენ.

— ეს ყარაბაღის ხანი აღარ უნდა წავიდეს? — მხიარულად სთქვა ანამ, — ყოველდღე ნადიმი გაგონილა?

— მეფეებს ასე შეჰფერით. აი მე იმერეთის დედოფალი რომ ვიქნები და შენ მეწვევი, მე მთელი წლის განმავლობაში ყოველდღე ნადიმს გაგიმართავ...

— იჰ! ნეტავ შენ დედოფლობას ვეღირსებოდე და ყოველდღე მე გაგიმართავ ნადიმს.

ბებია და შვილიშვილი საბოლოოდ შერიგდნენ. ჩქარი ნაბიჯებით ჩაირბინეს კიბეები, გადასჭრეს სასახლის წინა მოედანი და თამარის სასახლეს მიაშურეს. ანას ეგონა, რომ თამარი მარტო დაუხვდებოდა შინ და გაოცებული შედგა, როდესაც მათ დარბაზში აუარებელი ხალხი დაუხვდა, ისიც სულ მამაკაცები.

მანდილოსნების დანახვაზე ყველანი ფეხზე წამოიშალნენ და მოწიწებით მიესალმნენ ახლადმოსულებს. ანამ სწრაფად მიმოავლო თვალი ყველას. დარბაზის კუთხეში ბესიკი დაინახა. ჭაბუკი მგოსანი ოდნავ გაფითრებული უცქეროდა მას.

— დავით თქვენ როდის მობრძანდით?—მიმართა სახლთუხუცესს ანამ.

— ეს-ეს არის ახლა გეახელი, თქვენო ბრწყინვალებავ! — უთხრა დავითმა და ანას სავარძელზე მიუთითა.—დაბრძანდით...

— არა, მე მგონია ხელი შეგიშალეთ. თამარის სანახავად მოველ. ხომ შინა ბრძანდება?..

— შინ გახლავთ. ახლავე გეახლებათ...

— ანავ, თქვენა ბრძანდებით? — გაისმა თამარის ხმა.

კარი გაიღო და მდიდრულად მორთული, მთლად მარგალიტებით აბრწყინვებული თამარი მამიდას შეეგება. მოეხვია, მერე ანიკოსაც აკოცა და ორივე თავის ოთახში წაიყვანა.

— აქ მოდით, — უთხრა თამარმა ანას, — ეგენი თავიანთ საქმეებზე საუბრობენ და ჩვენ ხელს შევუშლით. მერე, ალბათ, ნადიმზე წავლენ, მაშინ კი სასახლეში მარტო დავრჩებით და თუ გნებავთ ქალების ნადიმი აქ გავმართოთ.

სამივენი დასხდნენ და უდარდელი მუსაიფი გააბეს. ბუხარში ცეცხლი საამურად გუზგუზებდა. ანამ მიუშვირა ხელები ცეცხლს.

— იჰ, გენაცვალეთ, ეს ჩვენებური ბუხარი მართლაც კარგი რამეა, —

სთქვა ანამ, — ამ რუსულ კედლის ფეჩს ვერა გავუგერა, ჩემმა ძმამ რომ გააკეთებინა სასახლეში. ოთახი კი კარგა თბება, მაგრამ სულ მუდამ ვცივდებით და სურდო გვეშართება. მერე და თუ ცეცხლს თვალით ვერა ვხედავ, არ შემიძლია... ანე მგონია მაინც ცივა-მეთქი.

— რუსულზე გამახსენდა. ისეთი კარგი ქოლგები ჩამოუტანია რუსეთიდან ვართანა სოვდაგარს, თითოს სამ მინალთუნს აფასებს.

— მართლა? მე ჯერ არა ვყოფილვარ ქარვასლებში. კიდევ რა მოუტანიათ?

— რუსული ტილოები, — ჩაერია ანიკოც საუბარში, — ისეთი კარგი ტილო, ისეთი კარგი, რომ ჯერ იმის მსგავსი არ მინახავს... თეთრეულისათვის აბრეშუმს სჯობიან...

— უჰ, ეგ კარგი ბითხარი... სხვა კიდევ რა? აღა იბრეიმს არა მოუტანია რა?

— აღა ახლა აპირებს გამგზავრებას უცხოეთში, — უპასუხა თამარმა, — რას მოიტანს, ვინ იცის, ჯერ ძველიც ვერ გაუსაღებია.

დიდ დარბაზიდან რაღაც უცნაური ჩოჩქოლი მოისმა. ქალებმა უნებურად მიაქციეს ყურადღება. თამარი ადგა და ამბის გასაგებად დარბაზში გავიდა. ანამ და ანიკომ მას თვალი გააყოლეს და კარისაკენ დაძაბული ყურადღებით იცქირებოდნენ.. ჩოჩქოლი თითქოს ბიწყნარდა, მაგრამ თამარი მობრუნებას აგვიანებდა.

— ნეტავ რა მოხდა? — სთქვა ანამ. ანიკო ფეხზე წამოიჭრა.

— წავიდე, გავიგო.

პასუხს არც კი დაელოდა და ისიც დარბაზში გავარდა.. კარი ღია დასტოვა და ანამ აშკარად გაიგონა თამარის ხმა:

— ჰო, მაგრამ არა სთქვეს — რისთვისაო?...

თამარს რამდენიმემ უპასუხა ერთად და არეულ ხმებში ანამ ვერაფერი გაარჩია. უნებურად ახლა თითონაც ადგა და დარბაზს ბიაშურა. გულმა უგრძნო, რომ რაღაც უბედურება უხდა მოხდარიყო.

გავიდა თუ არა დარბაზში, დაინახა, რომ ყველანი ფეხზე იდგნენ და დაბნეულები შესცქეროდნენ ერთმანეთს. დავითი წარბებშეკრული იცქირებოდა აივნისაკენ და ყურადღებას არ აქცევდა თამარს, რომელიც რაღაცას ეკითხებოდა.

— რა მოხდა? — ჰკითხა ანამ თავის შვილიშვილს, რომელიც საოცრად შეწუხებული სახით შეეგება მას.

— ბესიკი შეუპყრიათ.

— ბესიკი? — გაფითრდა ანა. — რისთვის?

— არ ვიცი. — თავი გაიქნია ანიკომ და ტუჩებზე მუშტში მომუჭნული ხელსახოცი მიიჭირა, რომ ქვითინი არ ასტეხოდა.

ანამ უნებურად გაიხედა იმ კუთხისაკენ, სადაც პირველად მოსვლის დროს [illegible] ლაინახა. მერე ისევ მოუბრუნდა ანიკოს, უნდოდა კიდევ ეკითხნა რაღაც, მაგრამ გადაიფიქრა და დავითს მიუახლოვდა.

— რა მოხდა, დავით? — ჰკითხა ანამ მას.

დავითი თუ აქამდე თავისი მეუღლის კითხვებს ყურადღებას არ აქცევდა, ახლა უცბად მოუბრუნდა ანას და ჯავრით აღსავსე ხმით უთხრა:

— რა მოხდა და ჩვენი შერცხვენა და თავსლაფის დასხმა, მეტი არაფერი. რა მოხდა და ჩვენი... აღარ... აღარ ვიცი რა ვთქვა, — ხელები გაშალა დავითმა, — ასეთი ამბავი შეიძლება? ეს რა მოგვდის. როგორც იქნა დავწყნარდით, ქვეყანას თითქოს ჭრილობები მოვუშუშეთ, ჯარი შევქმენით, შვიდობა დავამყარეთ და უცბად ჭაობად ვიქეცით. შურის, ბოროტების, გესლის, ენატანიაობისა და მაბეზღრობის წუმპეში ვიღრჩობით. ქვეყანას ჭრილობები მო-

ვუშუშეთ, მაგრამ ქეცი კი შეგვეყარა. ხქნებ გვიჯობდა ისევ გამუდმებული ომები გვქონოდა. ქვეყანა, მართალია, სისხლიდან იცლებოდა, მაგრამ ხშლით დაკოდილი სხეული უფრო ადვილად იკურნება, ვიდრე კეთრი, რომელსაც მხოლოდ სიკვდილი თუ განკურნავს და მეტი არაფერი. ცრუმაბეზღრობა რომ არ იყოს, რად უნდა შეეპყრო ბატონს ბესიკი, ვის რას უშავებდა?! სასახლის კარზე ერთი ყარიბი მგოსანი საამოდ სასმენელ ლექსებსა სთხზავდა და მეტი არაფერი.

— რისთვის შეუპყრიათ? — ჰკითხა გაფითრებულმა ანამ.

— აბა რა ვიცი, რისთვის!

— გენაცვალეთ, ლეონი ეტყვის ბატონს და გამააშვებინებს, — სთქვა ვითომ უდარდელად თამარმა, მაგრამ ხმაში ეტყობოდა, რომ თითონვე არა სჯეროდა თავისი სიტყვები.

— რაო? — დამცინავად დახედა დავითმა მეუღლეს, — ეგმაშვებინებს! იქნებ დღეს ნადიმზედაც მიიწვიოს და ამღეროს...

ანა მაშინვე გამოეთხოვა თამარს და, მიუხედავად იმისა, რომ სამხრად ეპატიჟებოდნენ, შინისაკენ გაემართა. არც ანიკო გაიყოლა, უბრძანა—თამართან დარჩენილიყო; თითონ კი მივიდა თავის ოთახში, კარები ჩაიკეტა, დაეცა ტახტზე, ბალიშებში თავი ჩარგო და აქვითინდა...

კარგა ხანს იყო ასე. მერე სწრაფად წამოიჭრა ფეხზე და ოთახში საქმიანად აფუსფუსდა.

მან გადასწყვიტა თითონ მოლაპარაკებოდა ძმას და ბესიკის თავი გამოეთხოვა.

— დაე, რაც მოხდება, მოხდეს!—თავისთვის იმეორებდა ანა.—დაე, რაც მოხდება, მოხდეს!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვიქტორ გოლცევი

სინათლე

★

1. წარსულიდან

წალკა! მაღალი ზეგანი, პირქუში მთებით გარშემორტყმული. ირგვლივ პაპანაქება დგას, მაგრამ მწვერვალებზე ციალებს თოვლი, გაჯიუტებულა ის, არ აპირებს გადნობას. როგორც კი მზე თავს შერგავს სქელ ღრუბლებში, — დაუშენს სეტყვა და ყვითელ-მწვანე დამრეცი იალაღები იმ მწვერვალებივით გადათეთრდება. აქ არ არის არც ტყე, არც ბუჩქნარი, თვალს რომ ახარებდეს. მხოლოდ მაღლობის ქიმთან, ფლატეზე, ობლად სდგას ერთი ხე, გაუშლია მრუდე, ქარდაკრული ტოტები. შორიდან მისი დანახვა კურთხეულად მიაჩნდათ. დიდი იმედი იყო უშვილო ქალებისათვის ეს ხე.

შორს გაშლილა ცხვრის ფარა. თითქოს მიმობნეული ქვებიაო ამ ცისა და მიწის დასალიერზე. მაგრამ სად არიან ადამიანები? ბრტყელი ბორცვების ახლოს მოძრაობს ჩია ქალი. მას თალხი კაბა აცვია, სახე გაქვავებული აქვს. მიდის და... უცბად იკარგება—დაიხარეთ, და დაინახავთ ქალამნების კვალს ტალახში. კვალი ბრტყელ სახურავიან მიწურთან მიგიძღვებათ. მას შამბი და ეკალ-ბარდები მოდებია. ის ძლივს ასცილებია მიწის ზედაპირს. ესაა ადამიანის საცხოვრებელი. მიმოიხედეთ და მიხვდებით, რომ დგეხართ მომცრო მიწურებით გარშემორტყმულ ქუჩაში. მათ შიგნით კი დღისით, მზისით, საშინელი წყვდიადია, ისმის ლაპარაკი არაქართულ ენაზე. აქ, ყრუ სოფელ ბარმაქსიზში, ცხოვრობენ ბერძნები. ისინი თურქებმა გამორეკეს აქ სამხრეთ საქართველოში მათი ბატონობის დროს.

ნამდვილი გზის სახსენებელიც კი არ არის აქ. ბარმაქსიზიდან თბილისამდე 120 კილომეტრია პირდაპირი გზით. ურმით აქ ამოღოღებას მთელი კვირეები უნდება. თუ წახვალთ მიტოვებული ბილიკით და ახვალთ იქვე შიშველ ბორცვზე, — თქვენს წინ გადაიშლება ვრცელი ღარტაფი, რომელსაც გარს აკრავს იგივე უტყეო, თრიალეთის ლეგა მთები. აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ სჭრის მას ზანტად მომდინარე ხრამი, ცივი და ანკარა, როგორც ყველა მთის მდინარე. გვერდით ჩაუვლის ბერძნების ღარიბ სოფლებს, ყორექვისაგან აგებულ მომცრო საყდარს, უძველეს სამარხთა ყურგანებს, რომლებიც არავინ იცის, თუ რაზე მოგვითხრობენ. მარჯვნიდან ხრამს უახლოვდება მისი ტყუპი — აგრიჩაი. შეიყრებიან ხეობის ყელთან, მიეალერსებიან, მიეფერებიან ერთმანეთს და შემდეგ ერთად იწყებენ ხტუნვას ქვიდან ქვაზე, ლოდიდან ლოდზე, სულ ქვევით

და ღრმად, გვერდზე იტოვებენ წალკის ზეგანს. მერე მდინარე სასურველ ტყეს აღწევს, დაპროწიალდება, აქაფდება მწვანე ლაბირინტში და, ბოლოს, გაივაკებს ველზე, რათა საქართველოსა და აზერბაიჯანის ახლანდელს საზღვართან შეუერთდეს მტკვარს.

ხოლო წალკაში ყოველწლიურად არნახულად სწრაფად ჩამოდის მთებიდან ზამთარი. მძიმე თოვლი ამოქოლავს ყველაფერს ირგვლივ: ზეგანს, ხეობას, იალაღებს, მიწურებს. ქარი ღმუის და უსტვენს. ის ყველაფერს დააქცევდა თავის გზაზე, მაგრამ დააქცევი აღარაფერია ამ თეთრ უდაბნოში. ცოცხალი არსება აქ ვერ გაივლის, ვერ იბოგინებს, ვერ გაიხარებს. როცა დროებით ჩადგება ბუქი, ჰორიზონტამდე ჩახჩახებს ყინულიანი მზე. თოვლი სქელდება და მაგრდება. მკაფიოდ მოსჩანს ყამირზე გათამამებულ ტყიურთა ნაკვალევი. აი ასეთია წალკა!

2. განსაცდელი

თუმცა ყველაფერ ამას ახლა ვერ დაინახავთ. ეს იყო წინათ, ახლო წარსულში. მაგრამ ერთხელ, ზაფხულზე, წალკაში გამოჩნდნენ ადგილობრივ მცხოვრებთათვის უცნობი ადამიანები — საქმიანი ახალგაზრდული სახეებით. მათ გაშალეს ბრეზენტის კარვები, საქმიანად დააბიჯებდნენ წინდაუკან ხრამის ღარტაფში, დახოხავდნენ ფლატეებზე, ზომავდნენ ირგვლივ მიწის ყოველ მტკაველს. შემდეგ ისევე უეცრად გაქრნენ, როგორც გამოჩნდნენ.

ერთი წლის შემდეგ ახალი ადამიანები კვლავ მოვიდნენ. ეს ინი უფრო ბლომად იყვნენ და ყველაფრიდან სჩანდა, რომ მათ გადაეწყვიტნათ ღრმად მოედგათ აქ ფეხი. გზებზე ყანყალისაგან დანჯღრეულ მოღრეიალე საბარგულებით მათ მოახერხეს უამრავი ყოველგვარი მასალის ამოტანა და განცვიფრებულ მცხოვრებლებს განუცხადეს:

— აქ აიგება დიდი ჰიდროელსადგური. ავაგებთ კაშხალს, მდინარეს მოვამწყვდევთ ღარტაფში, წყალგამტარს გავიყვანთ მთელი ზეგანის გასწვრივ, ხოლო ქვემოთ, ხეობაში, იქ, სადაც იწყება ტყეები, ავაგებთ ჰიდროელსადგურის შენობას. დასაწყისისათვის წალკიდან მანგლისამდე გავიყვანთ გზას, ასე რომ გაუჭირვებლად შეგეძლებათ თბილისს მოგზაურობა. რამდენიმე სოფლის აღება კი მოგვიხდება ამ ღარტაფში. მათ ნაცვლად ავაგებთ ახალ, ნამდვილ, უფრო მაღალ სახლებს. მოგცემთ ელექტრონის სინათლეს, ახალ და საუკეთესო მიწებს გამოგიყოფთ, ვისაც გსურთ მშენებლობაზე მუშაობა, გზა ხსნილია, აბა მობრძანდით!

ძნელი დრო იყო მაშინ წალკაში, სამაგიეროდ—რა წარმტაცი! საჭირო იყო მრავალი საქმის დაწყება. ყველაფერი — ერთბაშად. ყველაფერი — დაუყოვნებლივ. ყველაფერი — სარეკორდო ვადებში. ახმაურდნენ ნაჯახები, ახრიალდნენ ხერხები, — დაიწყეს მშენებლობისათვის ახალი ბინების აგება. დაიწყო ადამიანის ბრძოლა ბუნებასთან. მანგლისის ზემოთ, მთებში, ისმოდა აფეთქებათა გრიალი, უზარმაზარი ლოდები მიჰფრენდნენ ზეცისკენ, იმსხვრეოდნენ, მოცვივოდნენ ქვის წვიმად. ძირიანად ითხრებოდნენ საუკუნოვანი ხეები, თითო მეტრობით გაჰყავდათ საავტომობილო გზა უდაბურ ხეობაში. იგებოდა ხიდები. ბარმაქსიზის ახლოს კი, მომცრო რუსთან, აფეთქების ტალღა განსაკუთრებული სისასტიკით ეცემოდა სალ კლდეებს. სამუშაოდ დაქირავებული ადგილობრივი ბერძნები ყოველ

აფეთქებაზე პირველყოფილი შიშით შეპყრობილი გარბოდნენ და ანგარიშის გასწორებას ითხოვდნენ. მაგრამ უზარმაზარი ხრამჰესის ასაგებად საჭირო იყო ჯერ მომცრო ტაშბაშჰესის აგება—თორემ სად იშოვნიდნენ მშენებლები ენერგიას ამ უდაბურ ადგილას? საჭირო იყო ცემენტის ქარხნის აგება—ცხრამთის იქიდან ხომ არ მოიტანდნენ ცემენტს? საჭირო იყო წყაროს წყალის გამოყვანა — მშენებლებს დალევა უნდოდათ. საჭირო იყო... ყველაფერს ვერ ჩამოვთვლი! ზევით, წალკის ზეგანიდან მუშათა უბნამდე, რომელსაც „მოლოტოვო" დაარქვეს, ბაზალტებსა და ანდეზიტებში დაიწყეს ღრმა შახტების ბურღვა, რათა ორივე მხარეს გაეყვანათ წყალგამტარის გრანდიოზული გვირაბი. სთხრიდნენ მაგარ მიწას, მოქმედებდნენ სწრაფი ტემპით. წყალგამტარის სიგრძე შვიდნახევარი კილომეტრი იყო.

ხრამჰესის მშენებელთა შორის მალე გამოჩნდა ირაკლი ობოლაძე. მის ფართო მხარბეჭს იქით დარჩნენ ტყიბულის ქვანახშირის მაღაროები, წითელი არმიის ყაზარმები და ბანაკები, რიონჰესის მშენებლობა, სადაც მის დამბეტონებელთა კომკავშირულ ბრიგადას მტკიცედ ეჭირა გარდამავალი დროშა. ის ყურადღებით ათვალიერებდა გარშემო ყველაფერს თავისი რუხი თვალებით, თან ისწორებდა ქარისაგან აწეწილ იმდროებში ჯერ კიდევ ხშირ თმას. ახალი ადამიანის შემოქმედებითი აღტყინებით შეუდგა იგი ტონობით ბეტონის ჩაწყობას ტაშბაშჰესში. ყველას აოცებდა ბოლშევიკი ობოლაძე, მაგალითს იღებდნენ მისგან. მან თავი ისახელა შემდეგაც, როცა მას დაავალეს პირველი გვირაბის გაყვანის წარმოება. ერთხელ არამყარ თიხნარ უბანში იწყეს გვირაბის დაბალი თაღების გაფართოება. უეცრად გაისმა საშინელი ჯახუნი, რაც გრიალად გადაიქცა. ჩამოწვა ზვავი და ამოკეტა შესასვლელში-შინებული ადამიანები [illegible]

— არაფერია, ამხანაგებო! წესრიგი მალე იქნება აღდგენილი, — ისეთი დამაჯერებლობითა და ძლიერებით წარმოსთქვა ეს სიტყვები მაშინ ირაკლი ობოლაძემ, რომ ყველამ დაიჯერა, დაშოშმინდნენ და სული მოითქვეს. მემაღაროელის ფანარით ხელში ობოლაძე ფრთხილად გაემართა წინ. ყველამ შვებით ამოისუნთქა, როცა უვნებლად გავიდნენ გაუწმენდელი გვირაბის მეორე მხარეს.

მშენებლობაზე თავი ისახელა ლავრენტი სპირიდონის-ძე გელაშვილმაც, რომელიც აგრეთვე რიონჰესის დამთავრების შემდეგ მოვიდა აქ. მას დამმაგრებლის ბრიგადის ხელმძღვანელის ძნელი საქმე დაეკისრა. უბანზე მუშების უმრავლესობა შერჩეულ იქნა გამოუცდელი ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან. ხე-ტყე შორიდან მოჰქონდათ. გელაშვილი ყოველთვის ამჯობინებდა ფიჭვს, ფრთხილად და მტკიცედ აკეთებდა სამაგრებს გვირაბში. მას ყველაფერი გამოუდიოდა ხელიდან, მუშაობის ტემპები ჩქარდებოდა.

აი პირველ უბანში, სადაც გამაგრება სუსტი აღმოჩნდა, ერთხელ უბედურება მოხდა. ამის შესახებ შემდეგ თვით გელაშვილმა მიამბო:

— ღამის ცვლის შემდეგ მეძინა. უცბად გაისმა ყვირილი, ხმაურობა. იქ, სადაც გვირაბში თიხნარი იყო, ჩამოწვა ზვავი და სამაგრებმა ვერ გაუძლეს. მრავალი მუშა ჩაიმარხა. თვრამეტ საათს სწრაფად ვთხრიდით. ოთხი კაცი მაინც დაიღუპა: ერთი ქართველი, ერთი რუსი, ერთი ბერძენი, ერთი თათარი. დანარჩენები გადარჩნენ. ვინ არის დამნაშავე?—ძველი ხელმძღვანელობა. სათანადო ყურადღებას არ აქცევდა დაცვის საქმეს. თუმცა, მართალია, — დაუმატა

ლავრენტი გელაშვილმა, მეტსახელად „თხუნელამ“, — ეს შემთხვევა ერთადერთი იყო.

სხვა უბნებზეც მიმდინარეობდა მუშაობა. იქ, სადაც ხრამი აგრიჩაისთან ერთად შმაგად ეხეთქებოდა ვიწრო ხეობას, უნდა აგებულიყო 42 მეტრი სიმაღლის მთავარი კაშხალი. თავი რომ დაეცვათ წყლის მოძალებისაგან, მშენებლებს მოუხდათ ორივე მხრიდან გაეხვრიტათ კლდე. დროებითი ამქცევი გვირაბის მეშვეობით დაწყებული კაშხალის გვერდით გაატარეს მთელი მდინარის წყალი.

ქვემოთ, მწვანე ხეობის სიღრმეში, რომელიც გათვალისწინებული იყო ჰესის შენობისათვის, განსაკუთრებით ხელს უშლიდა ხრამი, რომელიც გაგულისებული ეხეთქებოდა მარჯვენა ნაპირს. საჭირო იყო მარცხენა ნაპირთან გაეთხარათ მთელი არხი, გადაეგდოთ შიგ მდინარე და გაეთავისუფლებინათ სააღმშენებლო მოედანი; მანამდე უნდა გაეყვანათ გზა ზეგანიდან, გაეჩეხნათ ჯაგნარი, ამოეძირკვათ ხეები, გაევაკებინათ ციცაბი ბილიკი ნახევარი კილომეტრის სიღრმეზე.

აქ განსაკუთრებით თავი გამოიჩინა ნიკოლოზ გაბრიელის-ძე ტელეჟენკომ, რომელმაც ობოლაძისა და გელაშვილის მსგავსად კარგი სკოლა გაიარა რიონჰეს-ში. იგი ოსტატურად მართავდა თავის ექსკავატორს, ხვეული გზებით შეუპოვრად მიდიოდა ქვემოთ მოლოტოვოდან ხრამის ხეობის მწვანე სიღრმეში. კიდევ კარგი, რომ მიწის ქანი აქ საკმაოდ რბილი იყო და მას თითქმის ყოველთვის ერეოდა ექსკავატორი. ხეებთან ერთად კლდეებს ამონალით არღვევდნენ. ნიკოლოზ ტელეჟენკოს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ემუქრებოდა ხიფათი, მაგრამ იგი ყოველთვის ფხიზლად იყო.

— ხდებოდა ხშირად, როგორც ამოვიღებდი ქამჩით მიწის ქანს, დავინახავდი, რომ უზარმაზარი ქვა მოგორავს, — მომითხრობდა შემდეგ ეს მშვიდი და სანდომიანი უკრაინელი. — ერთბაშად უკან ვიხევდი. ცხვირწინ ჩამიქროლებდა ვეებერთელა ზვავი...

ახალი ყალიბის შესანიშნავი ადამიანები იზრდებოდნენ მშენებლობაზე. მაგრამ ბევრი რამ არ ეწყობოდა. არ იყვნენ საკმაოდ სხვადასხვა პროფესიის ოსტატები. ბუნება ყოველ ფეხის ნაბიჯზე წინააღმდეგობდა, მოცვივოდა ქვები, ამსხვრევდა მანქანებს, ემუქრებოდა შრომის ქარცეცხლში ჩაბმულ ადამიანებს. დაზამთრებამდე ადრე იწყებოდა თოშიანი ქარიშხალი, ხელს უშლიდა მუშაობას. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც გაიძახოდნენ: „შეუძლებელია... ამ წყეული ხრამჰესიდან არაფერი გამოვაო“.

იმდენი სიძნელე დაგროვდა, რომ მათი დაძლევა მხოლოდ ენთუზიასტებს, მხოლოდ შემოქმედებს, მხოლოდ ბოლშევიკებს შეეძლოთ. მშენებლობის უფროსად დანიშნეს ვახტანგ ლავრენტის-ძე ჭანკოტაძე. ყველგან ხედავდნენ მის ჯმუხ, მოძრავ ფიგურას. მთავარ ინჟინერ ა. მ. გინდინთან, ბესარიონ ერისთავთან, ვ. ყურბანოვთან და სხვებთან ერთად მან გადაწყვიტა მოეპოვებინა სრული გამარჯვება — განეხორციელებინა ახალი მშენებლობის გეგმა.

მართლაც მალე გაჩაღდა მუშაობა. დააწესეს ზუსტი გრაფიკები, მშენებლობის დამთავრების მტკიცე ვადები. ააგეს ტაშბაშჰესი, მისცეს დენი მთელს მშენებლობაზე და მუშათა უბანს. ბარმაქსიზის ახალ სახლებში ჭრაქების ნაცვლად აელვარდნენ ელექტრონათურები. უფრო საამური გახდა ცხოვრებაც და შრომაც. თითქოს ყველაფერი კარგად მიმდინარეობდა. მაგრამ ორმოცდაერთი წლის 22 ივნისს იქუხა დიდმა სამამულო ომმა. ხრამჰესის მშენებლობა შეჩერ-

და ისე, როგორც მარჯვე მხედარი შეაოკებს გაჭენებულ ცხენს.

რა სამწუხარო ამბავი იყო ეს! რა სავალალო იყო გონებისა და ხელების ამ დიადი ნამოქმედარის ერთ წერტილზე გაყინვა! მშენებლები წავიდ-წამოვიდნენ — ჯიბეში საგზურებით, ანდა სამობილიზაციო უწყებებით. იცლებოდა ბინები. არცერთი აფეთქება არ ახმაურებდა წალკის უძველეს სივრცეებს.

3. გაანახლება

ვახტანგ ლავრენტის-ძე ჭანკოტაძე ნელნელა და მძიმედ ადგამდა ნაბიჯებს. მის ხშირ თმაში აღარ დარჩა არცერთი ღერი შავი თმა, შუბლი უდროოდ დაეღარა ნაჭებით. იღუშებოდა იგი, ყურადღებითა და სევდით აცქერდებოდა მიტოვებული მშენებლობის ყოველ დეტალს, თითქოს დიდიხნის უნახავი მეგობრის დაბერებული სახის ნაკვთებიაო. მღვრიე წყალს ამოევსო დაუმთავრებელი ქვაბულები, ნაპირები ჩამოცვენოდა, მიწის აუღებელი ზვინები შამბს დაეფარა. „ბევრი რამ ისევ თავიდან უნდა დავიწყოთ“, — ფიქრობდა მშენებლობის უფროსი, — „რას იზამ, თუნდ სიკვდილამდე იდარდე: რამდენი საუცხოო ნაშრომი დაგვიღუპა ამ ომმა!“.

მოაგონდა შავბნელი დღეები, როცა მტრები თვით კავკასიონის კარიბჭეებს მოადგნენ, იგი კი ამხანაგებიანად სასწრაფოდ ბურღავდა და ხვრეტდა კლდეებს, აკეთებდა — ელექტროსადგურს კი არა, — ძელმიწურ-საცეცხლე წერტებს ხეობებში.

„ხვალვე განვაახლებთ მუშაობას. ხალხი არ გვყოფნის, მრავალი შეიწირა ომმა, — ესაა ყველაზე ცუდი, მაგრამ ცენტრალური კომიტეტი დაგვპირდა უზრუნველყოს მშენებლობა ადამიანებითა და ყველა უსაჭიროესით. ჩვენ აქაც გავიმარჯვებთ“.

მალე წალკაში ყველაფერი ძველავ თავბრუდამხვევი სიჩქარით ამოძრავდა. კაცს არ შეუძლია აღწეროს მშენებელთა მიერ დაძლეული მრავალი და ძლიერი დაბრკოლება, მათი საუცხოო შრომითი თავდადება. მთავარ უბანში წამოიჯგიმა ფართო მიწაყრილი კაშხალი. წინ მას ბეტონი შემოარტყეს, ზევით კი მოაპირკეთეს დაუჟანგავი ფოლადის გიგანტური ეკრანით. გაასწორეს მომავალი წყალსაცავის ფსკერი, აიღეს ღარტაფში მდგარი ქოხმახები, გორაკზე წამოდგეს ახალი საცხოვრებელი სახლები, თხრიდნენ არხებს და გაჰყავდათ წყალგამტარი, აწყობდნენ მთისოდენა ბეტონს. გვირაბის გაყვანილ უბნებში, რომელსაც ჯერ კიდევ სუსტად ანათებდნენ წითლად მოციმციმე ელნათურები, მიაგორებდნენ ვაგონეტებს, აწარმოებდნენ მძიმე სატორკრეტო სამუშაოებს. ერთის შეხედვით გეგონებოდათ: რა სისულელეა გვირაბის შიდა კედლების მოპირკეთება და ისიც ძლიერი დაწოლისასო. მაგრამ ამით ისინი უფრო გამძლე და წყალშეუვალი ხდებიან, — ესაა მთავარი.

ადამიანები ღელავდნენ, გატაცებით უზიარებდნენ ერთმანეთს შემოქმედებით გამოცდილებას, შემოჰქონდათ რაციონალიზატორული წინადადებები, ამექანიზირებდნენ სამუშაოს. ისინი თავს არ იზოგავდნენ და მიეშურებოდნენ წინ, თითქოს მაღლა ატყორცნილი სასიგნალო რაკეტი დაინახეს და მტრის სიმაგრეზე გადამწყვეტი იერიში მიიტანესო.

ვეტერანივით დაუბრუნდა მშობლიურ მშენებლობას ირაკლი ობოლაძე. ომის დროს იგი მიუდგომელ ძელმიწურებს აფეთქებდა ხეობებში. ჩრდილო კავკასიიდან გერმანელების

განდევნის შემდეგ მან დიდი შრომა გასწია ბაქსანჰესის კაშხალის აღსადგენად. ახლა კი მიეშურებოდა ძველ სამუშაოზე: თავისი დამბეტონებლებით კვლავ შეძვრა გვირაბში. როცა კაშხალთან კლდის ქვეშ აღმოაჩინეს მაცდური თიხნარი ფენა, ზუსტად აბეტონებდა ნაპრალებს, რომ მათში არ გამოეჟონა ხრამის წყლის არცერთ წვეთს.

ნიკოლოზ ტელეჟენკოც აგრეთვე დაბრუნდა და მთელის ძალღონით ჩაება მუშაობაში. მისი ექსკავატორი ქშენითა და ღრჭიალით მიიწევდა უბნიდან უბანში. დიდი შრომა და ჯაფა დასჭირდა მთავარი კაშხალის დამატებით მშენებლობას. მშენებლები ბრანსბოიტებით გულდასმით რეცხდნენ ყველა ქვას, რომ მათ შორის არ დარჩენილიყო ტალახი და ჭუჭყი, რაც ხელს შეუწყობდა კაშხალის დაწევასა და თითქმის დაშლასაც კი.

ბრიგადირი — მეარმატურე ივანე ეფიმის-ძე ზიაბკინი არ ჩამორჩებოდა სხვებს ომში. აქაც არავის ჩამორჩა. მაგრამ ყველა მისი ხელქვეითი როდი დაბრუნდა ომიდან. მას მოუხდა ახლად შეგროვება ადამიანებისა, რომლებსაც ეშინოდათ გვირაბში შეხედვის, და შეასწავლა მათ საარმატურო საქმე. ზიაბკინს გამოაჩნდა უნარი მეთაურისა—შეესწავლა ადამიანები და გაენაწილებინა ისინი სამუშაოებზე მათი პირადი თვისებების შესაბამისად. მისი წინამძღოლობით კარგი მეარმატურე გახდა ადგილობრივი ბერძენი რომან კარაკეზოვი. სხვა ადამიანებიც გაიზარდნენ. იაკობ ნიკოლოზის-ძე ფედერიკოვმა მოისაზრა და გვირაბში ხის სამაგრთა ნაცვლად მისი წინადადებით აღმართეს რკინის რგოლები, რაც საარმატურო საამქროში დაამზადა მან ზიაბკინთან ერთად.

ასევე იზრდებოდნენ მშენებლობის სხვა დევგმირები. ისინი დღისითა და ღამით დაუცხრომელი მუშაობით მიიწევდნენ წინ და ახალახალი მიღწევებითა და წარმატებებით წინ მიჰყავდათ გიგანტის მშენებლობის საქმე.

წალკის მიწაწყლის გარდაქმნის ბუმბერაზული გეგმა საბოლოოდ ჩამოყალიბდა და კიდევ უფრო წარმტაცი გახდა. ხრამისა და აგრიჩაის წყლების შეერთება ჰქმნის ახალ ტბას. მდინარე გაივლის წალკის პლატოს მიწისქვეშ შვიდნახევარ კილომეტრს და ფოლადის სამი მილით გადაეშვება საშინელ უფსკრულში, რომელიც რვანახევარჯერ უღრმესია ნიაგარის ჩანჩქერზე. წყალი მთელის ძლიერებით დაატრიალებს ახალი ტიპის ტურბინებს. მთებსა და ხეობებში გაყვანილი მავთულებით დენი გაემართება თბილისისაკენ, შეუერთდება საქართველოს ელექტროსადგურების ერთიან ოჯახს. ზამთარში, როცა მტკვარი და რიონი იღლებიან და წყალი აკლდებათ, ისინი არასაკმაოდ ჰკვებავენ ზაჰესსა და რიონჰესს; მაშინ ხრამჰესი შეავსებს ენერგიის ნაკლებობას.

თუ შევადარებთ ხრამჰეს უზარმაზარ დნეპროჰესს, შემდეგ სურათს დავინახავთ: აგრიჩაისთან ერთად ხრამის წყლების საშუალო წლიური ხარჯვა წამში სულ 10 კუბმეტრს შეადგენს. ასეთია მშენებელთა ბიერ შექმნილი საქართველოს მთის მდინარის გასაოცარი ძალა!

ახალი ტბა რამდენიმედ გარდაქმნის წალკის ჰავის სიმკაცრეს, გახდის

მას უფრო ტენიანსა და თბილს. გრილ წყალში გაშენდება ძვირფასი ჯიშის თევზი. იახტები და მოტორიანი ნავები ისრიალებენ მის ცისფერ ზედაპირზე.

4. სასწაული

მიჰქროდნენ 1946 წლის მაისის უკანასკნელი დღეები. თრიალეთის მთებზე გაწოლილიყო სქელი თოვლი. ის უფრო გასპეტაკებული სჩანდა, მაშასადამე, ახლად ჩამოთოვა. ღამღამობით საგრძნობი გახდა სიცივე. ხრამჰესის მშენებელნი აღტაცებული არიან. ისინი მიმოდიან, თითქოს მოღუშულნი, მაგრამ ვერ იმაგრებენ ბედნიერების ღიმილს. ამაოდ ხომ არ იმუშავეს მათ ასეთი მგზნებარებით, ასეთი დაძაბულობით! თუმცა ჯერ კიდევ არა სჩანს ელექტროდენი, მაგრამ ახლა თვალნათლივ, როგორც მათი შრომის შედეგები, გამოჩნდება რაღაც ხილული და სავსებით რეალური. იწყება მშენებლობის იდეის გახორციელება.

მშობლიური წარმოების კოხტა „ვილისით“ ჩვენ მივქრით ხრამის ვრცელი ღარტაფის გასწვრივ. ეს ჯერ კიდევ შეიძლება. მაგრამ ხვალ აქ ნავით თუ გასცურავ. ხრამი ზლაზვნით უახლოვდება აღმართულ კაშხალს, რომელიც თითქმის თხემამდე მოპირკეთებულია დაუჟანგავი ფოლადით. აი წალკის ცნობილი ყურგანების ნაშთები, რომელიც ოსტატურად გათხარეს პროფ. ბ. ა. კუფტინის ხელმძღვანელობით. რა არ ამოიღეს აქ ქართველმა არქეოლოგებმა მრავალი ეპოქის მძიმე დაფენებიდან: ოქროსაგან, ბრინჯაოსა და ვერცხლისაგან გაკეთებული მხატვრული ნაწარმები, ლამაზი ორნამენტებიანი თიხის დოქები, თასები და... ოთხთვლიანი ეტლიც კი. საქართველოს მუზეუმში არაერთხელ მინახავს ბაჯაღლო ოქროსაგან გაკეთებული, ძვირფასი თვლებით შემკული თასი. ამ თასით სამამდნენ ადამიანები სამსახურეკარი ათასი წლის წინათ. ახლა კი დაცარიელებულ აკლდამებს სამუდამოდ დაჰფარავს წყალი.

გასაოცარი ამბავია: მილიონი წლის წინათ, კაინოძოური ერის მესამეულ პერიოდში, როცა წარმოიშვა კავკასიონის მთაგრეხილი, წალკის ამ ღარტაფს ავსებდა ტბა. ტბის წყალი ეხლებოდა და აწვებოდა კლდეებს. შემდეგ გაარღვიეს ისინი და დაეშვნენ ძირს, ხეობისაკენ. ათასწლეულები ერთი საათივით მიქროდნენ. იღველფებოდნენ ვულკანები, მომთაგორობდა ლავის ნიაღვარი, აღმადაღმა ტორტმანებდა დედამიწა. მეოთხეულ პერიოდში, როცა უკვე ცხოვრობდა პალეოლითის ადამიანი, წალკის ღარტაფიდან გამოსავალი კვლავ გადაღობილი აღმოჩნდა. კვლავ გადაიჭიმა ტბა. მან იარსება იმ დრომდე, სანამ მოუსვენარმა ტალღებმა მეორედ არ გაღრღნეს გასავალი. ახლა კი, სოციალისტური სახელმწიფოს სასარგებლოდ, წალკის თასი მესამეჯერ აივსება წყალით. ოთხი მილიონი წლის უკან — და ამავე დროს — წინ!

ციცაბოვანი ფლატეს კიდეზე იქ, სადაც წითელ დროშებს აფრიალებს ქარი, უკვე შეკრებილან საზეიმოდ გამოწყობილი ადამიანები. ამქცევი გვირაბის ბეტონის უზარმაზარ კარებს ზემოთ, რომლებიც ჯერ კიდევ ატარებენ მდინარის წყალს, ამართულა ფოლადის მოელვარე ფარი. მშენებლობის ხელმძღვანელებით გარშემოხვეული, დროებით ბოგაზე დგას მშვიდი და ძლიერი კაცი. ესაა საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელი კანდიდ ნესტორის ძე ჩარკვიანი. ყველაფერი ზედმეტი ზეიმურობის გარეშე, უმუსიკოდ, უსიტყვებოდ ტარდება, მაგრამ ამით ხაზი

აქვს გასმული მომხდარი ფაქტის მნიშვნელობას. აი მისცეს ნიშანი და ფარი ოდნავ შესამჩნევად ეშვება უზარმაზარი სიმაღლიდან. ადამიანებმა ხმა გაკმიდეს, თვალმოუშორებლად უმზერენ ყოველი მხრიდან და ასე გეჩვენება, თითქოს ყველა გაქვავდა. მაგრამ ფარის ქვედა ძგიდე ეხება წყალს, წყალი თრთის მოულოდნელობისაგან. აი ფარი ეშვება ფსკერზე და მხოლოდ ზედა ნაწილია ამოჩრილი წყლიდან. წყალი მცირე ხნით შედგა, გაკეთა მძლავრი ნახტომი და კვლავ თავისუფლად გაინავარდა. მაგრამ აქეთ-იქით აწყდებიან და გაჰკივიან ფრინველები, რომლებმაც თითქოს საიმედო ბუდე გაიკეთეს ბეტონის ხვრელებში,—მათ ხიფათი მიადგათ კარზე.

აი მეორე ფარი — ისეთივე ლამაზი — ეშვება მდინარეში. ის მტკიცედ ეკვრის პირველს. აი აქ წარმოიშვა ფანტასტიკა. ხრამის და აგრიჩაის შეერთებული წყლები მიაწყდნენ დაბრკოლებას, ყალყზე შედგნენ, მაგრამ ვეღარ დაძლიეს. ნახევარი საათიც არ გასულა, რომ მდინარესთან მდგარი ხალხი შეინძრა. ალაგმული მდინარე მიმოიფანტა გარშემო, დაფარა მიდამო. აი წარმოიშვა მწვანე, ზურმუხტოვანი ნახევარკუნძული. აი ვიწროვდება მისი ყელი თანდათან, ქრება მოულოდნელად. ნახევარკუნძული იქცევა კუნძულად, ყოველი მხრიდან აწვება მას წყალი. გავიხედე განზე და დავინახე, რომ აგრიჩაი უკვე აღარ შეერთვის ხრამს — ორივე მდინარე ცალ-ცალკე შედის ტბაში. მოვბრუნდი და გამიკვირდა: მწვანე კუნძული მთლად გამქრალიყო. ტექნიკურად ამას „სასინჯი დატბორვა“ ეწოდება, ხოლო მომხდარის ნამდვილი სახელი — სასწაულია.

დასაშვებად ამზადებენ მეორე და მესამე ფარს. ესაა მხოლოდ დროებით, შემდეგ ყველაფერს სამუდამოდ ამოლესავენ ბეტონით.

საღამოვდება. გროვდებიან ბაგი ღრუბლები. ღამით დაუშვებს წვიმას. მერე რა? ახლა კი ვეღარაფერს დაუშლის მშენებლობას, — მხოლოდ გაზრდის ხრამის წყალს, სამჯერ მეტად დააჩქარებს წყალსაცავის გავსებას საჭირო დონემდე.

და მართლაც ის ღამე წალკაში მძაფრი იყო. მშენებლებმა გვიან მიაღწიეს ლოგინებამდე. ისინი დასველდნენ, გაითოშნენ, მაგრამ უბედნიერეს ადამიანებად მიაჩნდათ თავი. დილით კი ქარი ამთავრებდა ახლადდაბადებული ტბის დიდებულ სივრცეს.

5. ზეიმის წინ

1947 წლის ზაფხულია. ხრამჰესის მშენებლებს კვლავ მტკიცედ უჭირავთ ხელში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი დროშა. კვლავ ღებულობენ ისინი პირველ პრემიას სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. დადგა ამუშავების წინაპერიოდი — ყველაზე გადამწყვეტი და პასუხსაგები. იმდენად დიდია აქ ყველაფრის, — თვით ბუნების, ადამიანთა ხასიათის, ზრახვებისა და შრომის გაქანება, რომ აღარ განცვიფრებს განცდილი. ხანდახან დიდი მცირედ გეჩვენება. გული გევსება სიამაყით ჩვენი ხალხის გმირობისადმი. არ შეიძლება არ აღელდე, როცა უცქერ უბრალო საბჭოთა ადამიანებს — სინამდვილის გარდამქმნელებს.

ჩვენ მოვედით აქ დამთავრებული ახალი გზით, რომელიც გაიყვანეს ხრამჰესის მშენებლებმა ტყიან მთებში, სადაც წინათ არავითარი უღელტეხილი არ არსებობდა. და აი, ჩვენ ფრიალო კლდიდან, ფლატესთან მდგარნი, ვსტკბებით ხრამის ლურჯი მშვიდი ტბის მზერით. რა პატარა იყო ის ერთი წლის წინათ, ახლა კი რა დიდებული გამხდარა, როგორ გა-

დაშლილა, გაფართოვებულა და თრიალეთის მთები ისე მოსჩანან მის სარკეში, თითქოს ასე იყოს ყოველთვის. თექვსმეტი მეტრი სიღრმე, ეს ხუმრობა როდია. მალე კი ოცდაათს მიაღწევს. კაშხალი თხემამდე დაუჟანგავი ფოლადითაა შეჯავშნული. იგი გულდასმით შეღებეს არა სილამაზისათვის,—სიმტკიცისათვის, მაგრამ თვალს უნებურად ახარებს ესთეტიკასთან მიზანშეწონილობის შეთავსება. კაშხალზე წინდაუკან მიმოქრიან ვაგონეტები. შორიახლო, ბორცვზე, რამდენიმე კაცი რაღაცას აკეთებს.

— მოვშორდეთ აქაურობას. ისინი ახლავე დაიმალებიან, კლდე უნდა ააფეთქონ, — გვეუბნება პირველი უბნის უფროსი ინჟინერი გ. ს. მაევსკი, ჯმუხი და მზისაგან შერუჯული. წინათ იგი დნეპროჰესს აგებდა, ახლა აქ მოსულა და ქართული აქცენტით უქცევს ლაპარაკში.

მართლაც, გორაკთან ერთიმეორეზე აბოლდნენ ღრუბლის მსგავსი ბურთები. მოგვიანებით გაისმა აფეთქების გრიალი და ჩვენს ახლოს ტბაზე აეშვნენ შადრევნები.

— ჩვენ ხრეშს ვამზადებთ. ბუნებრივი ხრეში წალკაში არაა. ამიტომ ქვები უნდა დავაქუცმაცოთ...

სადაც არ გაიხედავ, გაფრთოვანებს განმაახლებელი შრომის რომანტიკა. იგი ულამაზესია ყოველგვარ განყენებულ რომანტიკაზე. აქ ყველაფერი გამსჭვალულია გმირობით, და თითქმის მელოდიურად ჩაგესმის აფეთქებათა გრიალი ან სასიგნალო სტვენა. ჩვენი ნაცნობი წარჩინებული ბრიგადირი ობოლაძე განაგრძობს თავის გამოჩენას. მარტო პირველ უბანზე 25 ათასი კუბმეტრი კარგი ბეტონია ჩაწყობილი. ჩასაწყობი დარჩა სულ მცირე 200 კუბმეტრი. როცა ირაკლი ონისიმეს-ძე გაისწორებს შეჭაღარავებულ თმებს, გამოეწყობა საპარადოდ — მის მკერდზე ბრწყინავს შრომის წითელი დროშისა და საპატიო ნიშნის ორდენები, ორი მედალი და წარჩინებულის ნიშანი. ბევრი რამ გაკვირვებია — მან და მისმა ამხანაგებმა უკანასკნელ ნამთარში. თერმომეტრში სინდიყი 26 გრადუსამდე დაეშვა — საქართველოსათვის ეს სასტიკი სიცივეა. მაგრამ მუშაობა მაინც გრაფიკის მიხედვით წარმოებდა. ქარი მძვინვარებდა, ტონობით თოვლს ზვინავდა გარშემო. წყალგამტარის ღია ნაწილს ბრეზენტში ხვევდნენ, თივას აფენდნენ. იყინებოდა წყალი. ბეტონისათვის ათბობდნენ წყალსა და ხრეშს, ითბობდნენ გალურჯებულ ხელებს. ყოველთვის მხიარული ნიკოლოზ ტელეჟენკო იძლეოდა ორთქლს ექსკავატორიდან.

ამქცევ გვირაბში ყრუდ დახურული ფარებით ცდილობდნენ მეორე რიგის შესაკეთებელი სამუშაოების დამთავრებას. ახლოვდებოდა მთის ნამქერი, წყალდიდობა. მარტოდენ ნახევარი მეტრი-ღა უკლდა, რომ გადაშვებულიყო გვირაბში და წაეღო ყველაფერი — ადამიანები, სამაგრები, მოწყობილობანი, და დაეშალა გაუცივებელი ბეტონი. მაშინ აღარ მოხერხდებოდა სადგურის დროზე ამუშავება — ყველაფერი თავიდან უნდა დაწყებულიყო. მშენებლები გრძნობდნენ საშინელ ხიფათს — მუშაობდნენ დაუღალავად, თავდადებულად, დაუზოგავად. დაამთავრეს ყველაფერი, სული მოითქვეს. ათი დღის შემდეგ დაიწყო წყალდიდობა, მაგრამ მისი აღარავის ეშინოდა.

— რას აკეთებენ იქ ისინი? — განცვიფრებული ვკითხულობ, როცა ვხედავ, რომ ერთ ადგილას მუშები კი არ აგებენ, არამედ არღვევენ ხის მომცრო შენობებს.

ზუსტ პასუხს მაძლევს მთავარი ინჟინრის მოადგილე ბესარიონ სარდიონის-ძე ერისთავი:

— ეს ბარაკები უკვე აღარ გვჭირდება. ისინი სამგორში გადააქვთ. იქ იწყება ირის ირიგაციულ-ენერგეტი-

კული სისტემის მშენებლობა. მალე იქით გავგზავნით არა თუ დაშლილ ბარაკებსა და მოწყობილობათა ნაწილებს,—ბევრი მუშა ემზადება იქ წასასვლელად. ჩვენს ძალებს დაეკისრა აგრეთვე ბაღნარის ჰიდროელსადგურის აგება გაგრასთან.

როგორ ნათელია და უბრალო ყველაფერი! კვლავ ვიმსჭვალები ჩვენს ქვეყანაში განუწყვეტელი შემოქმედებითი შრომის სიდიადის შეგნებით. ესესაა სტალინური გეგმით დაამთავრეს ერთი ახალმშენებლობა, — ზრუნავენ მეორისათვის, სახეში შეჰყურებენ მომავალს.

ვათვალიერებთ წყალგამტარს. მთელი შვიდნახევარი კილომეტრი თითქმის დამთავრებულია. მაგონდება, რომ ერთი წლის წინათ ინჟინერმა ნიკოლოზ ვასილის-ძე პოლოსინმა ჩამიყვანა მიწისქვეშ. ნახევარი კილომეტრი ვიარეთ დაუმთავრებელ გვირაბში, რომელშიც მდინარე მალე დაიწყებდა თავის დაუღალავ გადარბენას. ინჟინრის მაღლააწეულ ხელში ციალებდა მაღაროელის ნათურას სინათლე. მე მივტყაპუნებდი წყალში, თავით ვეხლებოდი აულაგებელ სამაგრებლებს, ერთ ადგილას კი შევსვი წყაროს გემრიელი წყალი, რომელიც კონტრაბანდის გზით გვერდიდან შემოპარულიყო. შემდეგ ფრთხილად ჩავიჭვრიტეთ „ხვრელში“, ბნელ მიწისქვეშა უფსკრულში, სადაც ჩაიკარგება წყალი. მაშინ აქ კიდევ პირველყოფილი ქაოსი სუფევდა. ახლა კი მოწესრიგებულია ყველაფერი. ბათქაშითაა შელესილი ორივე „თანამასწორი კამერა“, საცხოვრებლად გამოდგება.

წარჩინებით შესრულებული მოვალეობის შეგნებით „თხუნელა“ ლავრენტი სპირიდონის-ძე გელაშვილი ხელს იცაცუნებს ჭაღარა წვერებზე, ისწორებს ულვაშებს და მეუბნება:

— მრავალი სიძნელე შეგვხვდა ხრამჰესში, მაგრამ არაფერია. ყველაფერი მალე დამთავრდება.

შესახედავად ღირს ფრდენოსან ივანე ეფიმის-ძე ზიაბკინის ბრგე ფიგურაც. თავისი მეარმატურეებით ბევრ რამეს მიაღწია მან, როცა რკინის კარკასებით შეცვალა ხის სამაგრები. წინათ ერთ რგოლს სამ ცვლაში რვა კაცი აკეთებდა. იწყეს ერთ ცვლაში კეთება,—სამჯერ უფრო სწრაფად გამოვიდა. ხოლო, იცით თუ არა, როგორი შრომის ნაყოფიერება აქვთ მეარმატურეებს? ნორმის 140 პროცენტზე ნაკლებს ისინი არასოდეს არ გამოიმუშავებენ.

ბევრი წარმტაცისა და გასაოცარი ამბების მოთხრობა შეიძლება მშენებელთა ნოვატორობაზე, მაგრამ ახლა მივიდეთ მშენებლობის სულ დასასრულთან — ხრამის ხეობის ფსკერთან. შარშან დაღმართზე ერთმანეთს ჩახვეოდნენ გარეული ბუჩქნარები, აღმართულიყვნენ ხეები, ახლა კი აქ ლამაზად მოსჩანს ბეტონირებული სარეცელი წყალსაწნევი მილებისათვის. ამჟამად მიმდინარეობს ამ ფოლადის გიგანტთა მონტაჟი. ჰესის შენობისაკენ ზევით და ქვევით მალე ივლიან ფუნიკულიორის პატარა ვაგონები. ეს ფუნიკულიორი ორჯერ უფრო გრძელი იქნება თბილისის ფუნიკულიორზე, ჯერჯერობით კი გვიხდება თავქვე სვლა ციცაბოვანი ხვეულებით.

რამდენი ცვლილება მომხდარა ხეობის სიღრმეშიც! კვლავ ვართმევ ხელს მირიან სილოვანის-ძე ებრალიძეს. ხმელხმელი და მაღალი, შეჭაღარავებული საფეთქლებითა და წვერით, კარგი მასპინძლის თავაზიანობით მიჩვენებს თავის უბანს — ხრამჰესის გულს.

მართლაც საოცარია: შარშან საამშენებლო ქაოსში შეიძლებოდა მხოლოდ ჰესის შენობის საძირკვლის დანახვა. ახლა კი ბეტონის მზა ბლოკებით ივსება მისი 27 მეტრი სიმაღლის კარკა-

სი. და იგი მაინც არ მოსჩანს. განსაკუთრებით მაღალი — ასობით მეტრიანი ციცაბოები აღმართულან გარშემო. ხალხი შედარებით აქ მცირე მუშაობს. თითქმის ყველაფერი მექანიზირებულია.

ჯერჯერობით კიდევ არის შესაძლებლობა დავინახოთ ის, რაც მალე დაიფარება ადამიანის თვალისაგან: ტურბინების მუცელი. აი ერთერთი მათგანის საოცარი „კრატერი“, რომელიც გათვალისწინებულია ზევიდან წამოსული ხრამის წყალის მისაღებად. თითქმის ეშმაკის ხიდის მსგავსი ბოგირით მივყვებით ქვემოთ ებრალიძეს. იქ იტრიალებს ტურბინის ჩამჩებიანი ბორბალი. მივდივარ კიდევ ქვემოთ — გამომყვან კამერაში და ვდგევარ იქ, სადაც განუწყვეტელ თქეშად დაედინება უკვე ტურბინებში განვლილი და დაღლილი წყალი. შემდეგ სჩანს ხახადაფჩენილი უფსკრული. იქ ადამიანის ბრძანებით ჩაძვრება ხრამი, შემდეგ ამოიჭვრეტს დედამიწაზე და ბუნებრივი კალაპოტით გაეშურება მტკვრის შესახვედრად.

— აი ის,—ახალი სტალინური ბუნწლედი მოქმედებაში! კანონიერი სიამაყის ნაპერწკლებით ევსება თვალები მირიან ებრალიძეს. რამდენი უძილო ღამეები უნახავს ამ თვალებს!

როცა ვათვალიერებთ ელექტროგადამცემის მძლავრ საყრდენებს, რომლებიც ჰგვანან უელსის მარსიელთა ფანტასტიკურ ოჩოფეხებს, სწრაფად გვიახლოვდება მშენებლობის უფროსი.

— როგორაა საქმე? ყველაფერი დაათვალიერეთ? როგორი შთაბეჭდილებები გაქვთ? — მხიარული ღიმილით კითხულობს ჭანკოტაძე.

მდუმარე აღტაცებით ჩვენ მხოლოდ ხელებს ვშლით.

— იცით, რომ „ხრამი“ ხევს, ღრანტე ადგილს ნიშნავს?! არ მოგვწონს ეს სახელი. გვინდა სახელი შევუცვალოთ მდინარეს. იგი ჩვენს ქვეყანას სინათლეს მისცემს, დაე, ეწოდოს მას ს ი ნ ა თ ლ ე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბესარიონ ჭლენგი

რაჟდენ გვეტაძის მხატვრული პროზა*

★

განუყოფელი კავშირი ცოცხალ სინამდვილესთან, საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენების ასახვა მათს განუწყვეტელს მოძრაობასა და განვითარებაში, ამ მოვლენათა გაშუქება ჩვენი ეპოქის დიადი რევოლუციური იდეების თვალსაზრისით,—ასეთია ძირითადი თავისებურება საბჭოთა ლიტერატურისა, იმ ახალი ტიპის ლიტერატურისა, რომელსაც გასული საუკუნის 90-იან წლებში საფუძველი ჩაუყარა მ. გორკიმ და რომელმაც ოქტომბრის დიდი რევოლუციის ეპოქაში თავისი აღმავლობის ისეთი გზა განვლო, რომ დღეს მოწინავე ადგილი უჭირავს მსოფლიო ლიტერატურაში.

საბჭოთა ლიტერატურის ცენტრში სდგას დადებითი გმირი,—ტიპიური სახე ჩვენი დროის მოწინავე ადამიანისა, რომელიც თავის მოქმედებაში, აზროვნებაში, განცდებსა და განწყობილებებში განასახიერებს ახალი ცხოვრების მშენებელი საბჭოთა ხალხის საუკეთესო თვისებებს. ამ ადამიანის მდიდარი და კეთილშობილური სულიერი სამყაროს გამოხატვა, მისი ფორმირების, ზრდისა და ყალიბობის პროცესის ჩვენება შეადგენს ჩვენი მწერლობის ძირითად შემოქმედებითს ამოცანას, რადგან მხოლოდ ასეთ მხატვრულ სახეთა მეშვეობით არის შესაძლებელი საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების უპირატესობათა შთამაგონებლად გამოხატვა.

საბჭოთა მწერლის ყოველი წიგნის ღირსებანი თუ ნაკლოვანებანი სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა შეფასდეს და განიზომოს, თუ რამდენად განხორციელებულია მასში სოციალისტური ლიტერატურის ეს ძირითადი თვისებანი, თუ რაოდენი სიმართლით და დამარწმუნებელი ძალით არის მასში ასახული ჩვენი გმირული ეპოქის დამახასიათებელი მოვლენები და ტიპიური ადამიანები.

სწორედ ამ მხრივ იმსახურებს ყურადღებას რაჟდენ გვეტაძის ბელეტრისტულ ნაწარმოებთა სქელტანიანი ერთტომეული, რომელიც უეჭველად უნდა მიჩნეულ იქნას საბჭოთა ეპოქის ქართული მხატვრული პროზის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაპოვრად. ეს წიგნი უახლოესი ქართული ლიტერატურის იმ საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს, რომელთაც განსაზღვრეს და განამტკიცეს ჩვენი ლიტერატურის განვითარების მაგისტრალური გზა სოციალისტური რეალიზმის სტალინური მეთოდის საფუძველზე.

თანაბარის ძალით ფლობს რაჟდენ გვეტაძე პოეტური მეტყველების ხელოვნებასაც და მხატვრული პროზის ოსტატობასაც. თუ თავის ყველაზე და-

---

* რაჟდენ გვეტაძე, „პროზა", გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი", 1946 წ.

მახასიათებელ ლექსებში იგი წრფელი ლირიკული გზნებით გადმოგვცემს საბჭოთა ადამიანის უწმინდეს გრძნობებსა და მისწრაფებებს, თავის რომანებსა, მოთხრობებსა და ნოველებში მწერალი ეპიური მომთხრობელობის ფორმებში ხატავს ჩვენი ეპოქის ძირითად შინაარსს—ძველისა და ახალის იმ განუწყვეტელ და შეურიგებელ ჭიდილს, რომელიც ახალის ტრიუმფით გვირგვინდება და რომლის პროცესშიც იწრთობა თანამედროვე კაცობრიობის მოწინავე ძალა—საბჭოთა ადამიანი, თავისი მაღალი იდეალებით, გმირული და ვაჟკაცური სულით, კეთილშობილური გრძნობებით.

მხატვრული პროზის დარგში მოღვაწეობა რაჟდენ გვეტაძემ მაშინ დაიწყო, როდესაც იგი, როგორც პოეტი, შემოქმედებითს სიმწიფესა და დავაჟკაცებას იყო მიღწეული. ამასთანავე ამ ეროისათვის მას უკვე განვლილი და გადალახული ჰქონდა საკუთარი შემოქმედებითი ბიოგრაფიის პირველ პერიოდში აღნიშნული ბურჟუაზიულ-დეკადენტური სამწერლო ტრადიციების აშკარა ზეგავლენა. საჭიროა გავიხსენოთ, რომ რაჟდენ გვეტაძემ ერთმა პირველთაგანმა ქართველ სიმბოლისტთა სკოლიდან დაჰგმო დეკადენტური ლიტერატურის გზა და წრფელად და თანმიმდევრულად დაადგა საბჭოთა მწერლობის იდეურ-შემოქმედებითს პოზიციაზე.

ამიტომ გასაგებია, რომ რ. გვეტაძის ბელეტრისტულ თხზულებებში ვერც ლიტერატურული ვარჯიშისა და წრთვნის კვალს ვამჩნევთ და ვერც იმ იდეური ევოლუციის ანარეკლს, რომელმაც მწერალი სიმბოლისტური პოეზიის პრინციპებიდან სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებამდე მიიყვანა. პირველივე მისი ნაწარმოები მხატვრული პროზის ჟანრში დაწერილია თანამედროვეობის დიადი იდეებით შთაგონებული და რეალისტური ხელოვნების ოსტატობას დაუფლებული მწერლის კალმით.

პოეტურ მოღვაწეობას ... საჩინო კვალი დაუჩნევია რ. გვეტაძის მხატვრული პროზისათვის. აქ ბევრი რამ არის „პოეზიისმიერი". ეპიური თხრობის ხელოვნება აქ მგზნებარე ლირიზმითაა განაყოფიერებული, რომანებისა და ნოველების ენობრივი ქსოვილი დამუშავებულია სიტყვის პოეტური განცდით, ფრაზის დახვეწილობით და რიტმის გამახვილებული გრძნობით.

მძაფრი კოლიზიები, დრამატიული დაძაბულობით აღბეჭდილი სიტუაციები შეადგენენ რაჟდენ გვეტაძის ბელეტრისტულ ქმნილებათა სუჟეტის საფუძველს. მოულოდნელი შემთხვევებით არის აღსავსე მისი პერსონაჟების თავგადასავალი. ეს გარემოება მიმზიდველობის ცხოველმყოფელობას მატებს მის თხრობას და ამავე დროს არასოდეს არ არღვევს ბუნებრივობისა, ტიპიურობისა და დამაჯერებლობის მოთხოვნას.

ფართოა და მრავალმხრივი მწერლის თემატიური დიაპაზონი. ნოველებში „გზაზე" და „სოუკ-სუ" მოთხრობილია ეპიზოდები დიდი სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის იმ პერიოდიდან, როდესაც საქართველოსა და ამიერ-კავკასიის პროლეტარიატის ახალგაზრდა ბელადი კლასობრივი ბრძოლების ლენინურ-ისკრული პოზიციების გარშემო რაზმავდა ჭიათურელ მაღაროელებს და ბათუმელ მუშებს,—საქართველოსა და ამიერ-კავკასიის მთელ მშრომელ ხალხს.

„ბელორუსული ნოველების" ციკლში მწერალი ასახავს მოძმე ბელორუსი ხალხის საუკეთესო შვილთა თავგანწირულ ბრძოლას სოციალური მონობისა და ტირანიის წინააღმდეგ. ნოველაში „მახრა" სამოქალაქო ომის მძაფრი და მრისხანე დღეებია ასახული, ხოლო „სკირგაილო" მოგვითხ-

რობს ბელორუსი ხალხის ქედუხრელი ბრძოლის შესახებ, მისი ისტორიის შორეულ წარსულში—ფეოდალური ტირანიის ეპოქაში.

ყველა ამ ნაწარმოებში რ. გვეტაძე ნოველის ჟანრის დახელოვნებულ ოსტატად გვევლინება. სუბიექტური კომპოზიციის იშვიათ უნართან ერთად მწერალი იჩენს ადამიანური ხასიათების მკაფიოდ გამოკვეთისა და ყოფაცხოვრებითი სურათების კოლორიტულად დახატვის ძალასაც. ასეთივე ღირსებებით ხასიათდება ნოველები „ბოთე“ და „შემთხვევა კოჯრის გზაზე“.

მაგრამ ქართული საბჭოთა მხატვრული პროზის განვითარებაში რ. გვეტაძის ადგილი და როლი მისი ოთხი ძირითადი ნაწარმოებით განისაზღვრება, ესენი არიან რომანები „თეო“, „ჭიაკოკონა“ და „ლაშაური საღამოები“ და ნოველების წიგნი „მართალი ნოველები“.

*
* *

რომანი „თეო“ რ. გვეტაძემ ჩვენი საუკუნის ოცდაათიანი წლების დასაწყისში დასწერა. ეს ის დრო იყო, როდესაც ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის წარმატებათა ნიადაგზე სამწერლო ინტელიგენციის სასიცოცხლო ძალები, დარწმუნებულნი რევოლუციის საქმის სიმართლესა და ძლევამოსილებაში, ერთსულოვნად ირაზმებოდნენ პარტიის პოზიციების გარშემო და აქტიურად ებმებოდნენ სოციალისტური კულტურის განმტკიცებისათვის ბრძოლაში. იწყებოდა საბჭოთა ლიტერატურის ახალი შემოქმედებითი აღმავლობა, მწერლობაში მკვიდრდებოდა სოციალისტური სინამდვილის კონკრეტული თემატიკა. რ. გვეტაძის „თეო“ ამ პროცესის მომასწავებელი ერთი პირველი წიგნთაგანი იყო ქართულ ლიტერატურაში.

რომანი ასახავს საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებასა და სოციალისტური აღმშენებლობის პირველ პერიოდს, მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ ამ განახლების დიად ეპოქაში როგორის გარდაუვალი განწირულებით დაქანებულა უფსკრულისაკენ რეაქციული სამყარო (პერსონიფიცირებული ყოფილი მეშამულის ყაფლანის სახეში) და ამავე დროს როგორი სისწრაფით და მძლავრი ტემპით ამოდიან ცხოვრების ზედაპირზე ხალხის წიაღიდან გამოსული ადამიანები,— ახალი ცხოვრების ღირსეული მესვეურები და მესაჭენი.

რომანის საექსპოზიციო ნაწილი მოიცავს რევოლუციის წინა პერიოდს— რეაქციის მძვინვარების წლებიდან დაწყებული. მკითხველის თვალწინ გაივლის პირველი იმპერიალისტური ომისა და თებერვლის რევოლუციის სურათები, შემდეგ კონტრრევოლუციური მენშევიზმის დიქტატურის ხანა და ქართველი ხალხის გმირული რევოლუციური ბრძოლა ხალხის იმ მოსისხლე მტრების ბატონობის დამხობისათვის, საბჭოთა წყობილების დამყარებისათვის. რომანის შემდეგი ძირითადი ნაწილი უკვე უშუალოდ საბჭოთა საქართველოს ზრდის პირველ პერიოდს გამოხატავს.

ჩვენი საუკუნის ამ ღრმად მნიშვნელოვანი სოციალური მოვლენების ფონზე გაავითარებს ავტორი რომანში ზოთხრობილ ამბავს, ამ მოვლენებთან დაკავშირებით გვიჩვენებს იგი თავის გმირთა თავგადასავალს, რომელშიც სოციალურ ფენათა, წოდებათა, კლასთა ურთიერთობის ისტორიაა განსახიერებული.

ახალგაზრდა თავადი ყაფლანი, დიდი მემამულის შვილი, უცხოეთში განათლებამიღებული, სამშობლოს დაუბრუნდა იმ განზრახვით, რომ პროგრესისა და განათლების შუქი შეეტანა ქართლის სოფელში, შეემსუბუქებია ხალხის მძიმე და დუხჭირი ხვედრი.

მაგრამ საკუთარი მამულის მოვლა-პატრონობით გართულმა ყაფლანმა მალე დაივიწყა თავისი ჭაბუკური გატაცებანი. მან ცოლად შეირთო თავადის ასული, მშვენიერი თინათინი, დასახლდა მამაპაპისეულ მდიდრულ სასახლეში და ხელი მიჰყო ჩვეულებრივს მემამულურ ცხოვრებას, რომელიც უზრუნველ ხელგაშლილობასა და ღრეობასთან ერთად მშრომელი ხალხისადმი ვერაგული დაუნდობლობით ხასიათდება. ფეოდალური წოდების უკანასკნელი მოდგმის ამგვარი ცხოვრების მკვეთრ სურათს წარმოადგენს რომანში მოთხრობილი ეპიზოდი ყაფლანის მიერ თავისი ასულის თეოს ნათლობის მეორე დღეს მთიანი ბუნების წიაღში გამართული მდიდრული ლხინისა, რომლის დროსაც შეზარხოშებულმა ყაფლანმა, სტუმრების წინაშე თავის მოწონების მიზნით, ხმლის ერთი მოქნევით თავი წააგდებია მოზვერს, რომელზეც თავისი არსებობის მთელ იმედსა და სასოებას ამყარებდა ღარიბი გლეხის, გიორგის ოჯახი.

მაგრამ სოფელი და გლეხობა ამ დროისათვის უკვე ისეთი აღარ არის, როგორიც ოდესღაც ყოფილა. ხალხის თავზე უკვე გადაუვლია რუსეთის პირველი რევოლუციის ქარიშხალს, რომელსაც ღრმა კვალი დაუტოვებია ხალხის გულსა და შეგნებაში. რომანში მოქმედებს რკინიგზელი მუშა თანდილა, რომელიც რევოლუციურ აზრსა და სულისკვეთებას ნერგავს გლეხობაში; თვით ღარიბი ახალგაზრდა გლეხი გიორგი უკვე თავისი ბატონის წინაშე ქედმოხრილი მონა როდიღა არის. ყაფლანის ვერაგობით გაცოფებული, იგი უშიშრად მიეჭრა ზვიად თავადს, სტუმრების თანდასწრებით მკაცრად ამხილა მისი გაუმაძღრობა და ვერაგობა და ხელდახელ დააპირა შებმა უსაზღვროდ საძულველ ფეოდალთან. მართალია, ყაფლანმა დასძლია უიარაღო გიორგი, ხმლით თავი მოჰკვეთა მას, მაგრამ, ეს შემთხვევა ძვირად დაუჯდა თავადის ოჯახსაც: ამ საბედისწერო ორთაბრძოლამ ისეთი ძიძაურავი შთაბეჭდილება მოახდინა ყაფლანის ახალგაზრდა შეუღლე თინათინზე, რომ ეს უკანასკნელი განუკურნებლად დაავადმყოფდა და მალე გარდაიცვალა კიდეც.

მთელი ეს ამბავი ღრმა სიმართლით განასახიერებს სოციალურ ურთიერთობათა იმ სირთულესა და გამწვავებას, რომლითაც ხასიათდებოდა სოფლის ცხოვრება ჩვენი საუკუნის პირველ ათეულ წლებში სოციალისტური რევოლუციის წინა პერიოდში.

ასეთ საზოგადოებრივ გარემოცვაში ყალიბდებოდა რომანის ერთერთი მთავარი გმირის — მირზას შეგნება და ხასიათი. მირზა აჭარელი ღარიბი გლეხის ბიჭი შინაყმის მდგომარეობაში ცხოვრობდა და იზრდებოდა ჯერ თინათინის მშობლების ოჯახში, შემდეგ ყაფლანის სასახლეში. იგი ბავშვობიდანვე თანშეზრდილი იყო ყაფლანის ერთადერთ ასულ თეოსთან; თეო და მირზა წრფელ ურთიერთ თანაგრძნობით გაიმსჭვალნენ. ეს ურთიერთობა შემდეგში სპეტაკ სიყვარულის გრძნობად გადაიზარდა, თუმცა ამ გრძნობის განვითარებას წინ ეღობებოდა ის წოდებრივი და სოციალური უფსკრული, რომელიც ქალ-ვაჟს შორის არსებობდა. წამოზრდილი მირზა, რომელსაც ბატონის ნახირის მწყემსობა დაეკისრა, ადვილად მოექცა თანდილას რევოლუციურ განწყობილებათა ზეგავლენაში. მალე თანდილას მეშვეობით მირზა მოწინავე მუშათა არალეგალურ რევოლუციურ ორგანიზაციას დაუკავშირდა და გატაცებით ჩაება მის საქმიანობაში. პირველმა იმპერიალისტურმა ომმა, რომელმაც აუწერელი საშინელება დაატრიალა ხალხის თავზე, გამოიწვია მშრომელთა რევოლუციური შეგნების ზრდა და მირზაც უფრო მეტის გაბედულებით და პირდაპირო-

ბით გაჰყვა რევოლუციური ბრძოლის გზას — ერთ დღეს, როცა მთელი სოფელი ფრონტზე მიმავალ ჯარისკაცებს მიაცილებდა და რკინიგზის სადგურზე შეკრებილი ხალხის გულსაკლავი გოდება გაისმოდა, მირზამ თავისი სალამურით მარსელიოზის ჰანგი ააჟღერა და ძლივძლივობით დაუძვრა ხელიდან გააფთრებულ ჟანდარმებს.

ომს მოჰყვა თებერვლის რევოლუცია. მალე საქართველოს კონტრრევოლუციური მენშევიკური ხელისუფლება დაეპატრონა. გადაჭარბებული ვამოდგა რევოლუციის პირველი დღეებით აღძრული როგორც ხალხის აღტაცება და სიხარული, ისე ყაფლანის შიში. მენშევიკურ წყობილებას არსებითად არაფერი შეუცვლია სოციალურ ძალთა ურთიერთობაში. საქართველო უცხოელ დამპყრობელთა სათარეშო ასპარეზად იქცა, მემამულეები და სპეკულანტები კვლავ გაბატონებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მშრომელი ხალხი აუტანელ ჩაგვრასა და ექსპლოატაციას განიცდიდა. ესკიზურად, მაგრამ მკვეთრი შტრიხებით დახატული სურათებით გადმოგვცემს მწერალი მენშევიკების ბატონობის წლებში ქართველი ხალხის ცხოვრების ნამდვილ ვითარებას: კინომატოგრაფიული სისწრაფით გაივლის ჩვენს თვალწინ გლეხობის, მუშათა კლასის, თავადაზნაურობის, ბურჟუაზიულ სპეკულანტური წრეების, ინტელიგენციის სხვადასხვა ფენათა ყოფისა და მდგომარეობის დამახასიათებელი სურათებისაგან შედგენილი პანორამა. ბოლშევიკური პარტია მეთაურობს ხალხის მოწინავე ნაწილის ბრძოლას თავისი სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის. მირზა ბოლშევიკთა რიგებში იბრძვის. ბაქოდან პარტიული დავალებით თბილისს ჩამოსული იგი შეხვდა გიმნაზიელ თეოს. მათ გულში არ ჩამქრალა ადრინდელი წრფელი ურთიერთ მისწრაფება, მაგრამ ჯერ კიდევ ცხოვრების მდინარება სხვა და სხვა მიმართულებით მიაქანებს მათ. მირზა ერთგულად მიჰყვება თავის მიერ არჩეულ გზას. პატიმრობა, გადასახლება, კვლავ თავდადებული რევოლუციური მუშაობა — ასეთია მისი ცხოვრება მენშევიზმის ბატონობის წლებში.

ღრმავდება და ძლიერდება ხალხის აქტივობა ცხოვრების გარდაქმნისა და განახლებისათვის. მენშევიკური გვარდია უძლურია შეაჩეროს ისტორიის კანონზომიერი მსვლელობა. ბრძოლა მთავრდება მენშევიკური მთავრობის უცხოეთში გახიზვნით, ჩვენ სამშობლოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით. ამ დღიდან ძირფესვიანად იცვლება ქვეყნის ცხოვრება და მაშასადამე სოციალურ ძალთა ურთიერთობაც — მათი ბედიც.

განახლებულ საბჭოთა სოფელში ნიადაგი ეცლება პარაზიტ-მემამულეთა ცხოვრებას. ყაფლანი იძულებულია თავისი ასულით ქალაქს მიაშუროს და იქ მცხოვრებ ნათესავების ოჯახს შეაფაროს თავი. მაგრამ რევოლუციური სინამდვილე აღარ უტოვებს ყაფლანის ტიპის ადამიანებს არცერთ მშვიდობიან და მყუდრო თავშესაფარს... თავისი უახლოესი ადამიანის, ღვიძლი დის ოჯახშიც კი ყაფლანი მწვავე წინააღმდეგობას წააწყდება; ყაფლანის დისწული, პატიოსანი და გონიერი ახალგაზრდა ინტელიგენტი ირაკლი საბჭოთა ხელისუფლებას და ბოლშევიკურ პარტიას მიმხრობია. ბიძა-ძმისწულს შორის შეხედულებათა სხვაობა თავს იჩენს ოჯახური ცხოვრების ყოველდღიურობაშიც. ყაფლანი იძულებულია გაექცეს ამ ოჯახსაც და თავის ასულთან ერთად თავი შეაფაროს ავლაბრის ბაზრის კუთხეში დაქირავებულ ბნელსა და ნესტიან სარდაფს. ამ სარდაფში თეოს თავის ფიზიკურ დაუძლურებასთან ერთად განადგურებაც მოელოდა. ის კინაღამ

მსხვერპლი შეიქნა ყასაბ ტიგრანის ცხოველური ზრახვებისა. დასაღუპავად განწირული თეო გაექცა ამ საშინელ სოროს და კვლავ მამიდის ოჯახს დაუბრუნდა. ყაფლანი კი ჯიუტად გაჰყვა თავის გზას, რომელიც მას კიდევ მეტი დამცირებისა და დაკნინებისაკენ მიაქანებდა.

და რაც უფრო დაბლა ეშვება ყაფლანი და მისი მზგავსი ადამიანების სამყარო, მით უფრო წინაურდება და მაღლა მიიწევს მირზა — ასეთია რევოლუციური ეპოქის საზოგადოებრივი განვითარების ლოგიკა.

მორიგ პარტიულ ყრილობაზე ირაკლი შეხვდა მირზას. ეს უკანასკნელი პარტიის ხელმძღვანელ სამუშაოზე გაუგზავნია საბჭოთა აჭარას. მირზა თავდადებით მუშაობს მშობლიური აჭარის ხალხის ცხოვრების გარდაქმნისა და განათლებისათვის. ამ მუშაობაში დრომოჭმული ადათ-ჩვეულებისა და რეაქციული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლაში კიდევ უფრო დაეაქ�ებულა და გამოწრთობილა მირზა. იგი ახლა ახალი საქართველოს მშენებელთა და მესვეურთა რიგებში სდგას. ირაკლიმ შინ მიიპატიჟა მირზა. მოულოდნელი იყო მირზას შეხვედრა თეოსთან. მათ შორის მალე გაიღვიძა დიდი ხნით გულში ნატარებმა გრძნობამ, ისინი საბოლოოდ დაუკავშირდნენ ერთმანეთს.

ყაფლანი ვერ შეურიგდა იმგვარ „დამცირებას“, რომ მისი ასული ცოლად გაჰყვა მისვე ნამოჯაბაგირალს. ყოფილმა თავადმა არჩია გამხდარიყო ბალდახინის გამყოლად. მის ნამოსახლარზე კი ახალი ცხოვრება გაჩაღდა. სოფლად ჩამოყალიბებულმა კოლმეურნეობამ სკოლა, კლუბი, კოოპერატივი და სხვა სასოფლო-საზოგადოებრივი დაწესებულებანი მოათავსა ყაფლანისეულ სასახლეში.

ასე დამთავრდა რომანში ასახული ჭიდილი და ბრძოლა ორი სამყაროსი. როგორც ვხედავთ, ნაწარმოები ფრიად არის გამსჭვალული ძველი, რეაქციული სამყაროს, სასიკვდილო განწირულების რწმენით, ახალი ქვეყნის ახალი ცხოვრების და მის შემოქმედ ადამიანთა ძლევამოსილების იდეით. ამ იდეას მწერალმა ხორცი შეასხა ჩვენი ცხოვრების სინამდვილიდან აღებული კონკრეტული ყოფითი მასალით, რომელიც რეალისტი მწერლის ბახვილი თვალით არის დანახული და ბუნებრივი თხრობისა, დამაინტერესებელი სუჟეტური კომპოზიციისა და ცხოვლად მეტყველ აღწერილობათა ოსტატის კალმით არის დახატული.

*

* *

„თეოში“ ასახულ საზოგადოებრივ მოვლენათა ფონზეა გაშლილი აგრეთვე რომანი „ჭიაკოკონა“. ეს ორი ნაწარმოები თავიანთი თემატიკით და იდეური მიზანდასახულობით დიდად უახლოვდება ერთმანეთს, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ „ჭიაკოკონა“ დასავლეთ საქართველოს, კერძოდ იმერეთის სოფლის ყოფაცხოვრებითს მასალაზეა აგებული და ამასთანავე აქ არა მაღალი ფეოდალური წრის ადამიანები, არამედ გლეხები, გაღატაკებული აზნაურები, სამღვდელოებისა და ჩარჩ-ვაჭრული ფენების წარმომადგენლები მოქმედებენ.

კიდევ უფრო ღრმად და მეტის სიმახვილით გვიხატავს მწერალი „ჭიაკოკონაში“ რევოლუციამდელი სოფლის სოციალურ დიფერენციაციას, იმ წინააღმდეგობებს, რომლებიც თანდათანობით მწვავდებოდა სოფლად მოქმედ სხვადასხვა საზოგადოებრივ ფენათა შორის პირველი იმპერიალისტური ომისა და თებერვლის რევოლუციის წინა წლებში.

ძმების — თეოფილესა და ხოსროს ურთიერთობა, რომელიც ნაჩვენებია რომანის პირველსავე სურათში, ტიპიური გამოხატულებაა გლეხობის სოციალური დიფერენციაციის პროცესისა. ერთის მხრივ, პატიოსანი მშრომელი, ღარიბი გლეხი თეოფილე, რომელიც გარდა მიწის მუშაობისა, ხშირად მიმართავს ხოლმე ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებსაც, ხოლო, მეორეს მხრივ, — თავიდანვე ქალაქს შეკედლებული, ვაჭრობა-მიკიტნობით გამდიდრებული და ახლა პარაზიტულ და მზაკვრულ ძალად სოფელს მოვლენილი ხოსრო. ამ ორ მკაფიოდ დაპირისპირებულ ადამიანურ ხასიათში პერსონიფიცირებულია გლეხობის წიაღში აღმოცენებულ ბოწინააღმდეგე სოციალურ ფენათა ბუნება. ხოსროს გარშემო იკრიბებიან სოფლის რეაქციული ელემენტები. მისი სიმამრი — გაღატაკებული აზნაური მირიან მხეიძე, მოწამეთის არქიმანდრიტი ესტატე, თვითმპყრობელური რეჟიმისა და შემდეგ მენშევიკური წყობილების ბოხელეები, ოფიცრები, გვარდიელები და სხვ. თეოფილეს ოჯახთან კი დაკავშირებული არიან მშრომელი ხალხის ღვიძლი შვილები, თადეოზ მორჩაძე, როინ ზაუტაშვილი, ბოჩი გვეტაძე და სხვ. ამ ორი ურთიერთმოწინააღმდეგე სამყაროს ისტორიული ბედია გამოხატული რომანში ჩვენი ეპოქის ისეთ ისტორიულ მოვლენათა ვითარებაში, როგორიც იყო პირველი იმპერიალისტური ომი, თებერვლის რევოლუცია, მენშევიკური დიქტატურის დასამხობად ჩვენი ხალხის ბიერ წარმოებული თავდადებული ბრძოლა და ამ ბრძოლის დიდებული შედეგი — საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარება.

მწერალს არა მარტო უნარი შესწევს სწორი და მართალი გაშუქება მისცეს ესდენ რთულ სოციალურ მოვლენებს, არამედ ამასთანავე იგი იჩენს ძალას ეს მოვლენები კოლორიტულად დახატულ საყოფაცხოვრებო სურათების, ტიპიური სახეებისა და ინდივიდუალური ადამიანური ხასიათების, გონებამახვილურად მოფიქრებულ სუბიექტურ სიტუაციების მეშვეობით განასახიეროს.

რომანის რთული სუბიექტური კომპოზიციის ძირითად დასაყრდენს წარმოადგენს ახალგაზრდა გლეხი ქალის — ირმას ცხოვრების ისტორია. ირმას თავგადასავალის გარშემო იყრიან თავს ამ ნაწარმოების მრავალწახნაგოვანი სუბიექტის მამოძრავებელი კონფლიქტები.

ღარიბი გლეხის — თეოფილეს გოგონა ირმა ბავშვობაშივე იქცევდა ყურადღებას თავისი სიმკვირცხლით, კეთილი გულით, სილამაზით. მას შურით და ბრაზით შესცქეროდნენ სიმდიდრით გალაღებულნი, მაგრამ უშვილობით გაცოფებული ბიძა-ბიცოლა ხოსრო და კესო. ბავშვობაშივე დაუმეგობრდა ირმა თავის თანატოლ გლეხის ბიჭს როინ ზაუტაშვილს. ეს მეგობრობა მალე შეიცვალა სიყვარულის მგზნებარე გრძნობით, რომელსაც მრავალი გადაულახავი დაბრკოლება გადაეღობა.

როინი ახლო მეგობარი იყო თადეოზ მორჩაძისა. პირველი იმპერიალისტური ომის დაწყებისთანავე მორჩაძე ფრონტზე გაიწვიეს. ომიდან იგი გაბატონებულ კლასებისადმი ზიზღით გამსჭვალული დაბრუნდა, მაგრამ მისი ასეთი განწყობილება ნათელ რევოლუციურ შეგნებას როდი ემყარებოდა. იგი უფრო ბუნტარული მეამბოხე სულისკვეთების ადამიანი იყო. მენშევიკური წყობილების წლებში მორჩაძემ ოფიცერი მოკლა და ყაჩაღად გავარდა. ვინაიდან თადეოზი „არსენასავით“ მდიდრებს ერჩოდა, ხოლო ღარიბებს მფარველობით ეპყრობოდა, მენშევიკური რეჟიმით უკმაყოფილო გლეხობაც ფარავდა და ეხმარებოდა მორჩაძეს.

მთავრობა სასტიკად დევნიდა მორჩაძის დამფარველ ყოველ გლეხს და ასეთთა შორის შეპყრობილ იქნა როინ ზაუტაშვილის მამაც, რომელიც მენშევიკურ ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა სასტიკად სცემეს. შურისძიების გრძნობით შეპყრობილი როინი მორჩაძეს შეუერთდა და მალე მისი უახლოესი თანამებრძოლი გახდა. როინმა არა მარტო სამაგიერო გადაუხადა ყაჩაღ ძოწენიძეს, რომელმაც ხოსროს შთაგონებით მოღალატურად მოკლა მორჩაძე, არამედ სასტიკად იძია შური თვით ხოსროზეც — სახლკარი გადაუწვა მას და შემდეგ მოჰკლა კიდეც მენშევიკური წყობილების ბესვეურებთან შეხმატკბილებული, ხალხის მძარცველი და შენავიწროებელი ჩარჩი.

ვიდრე როინი ტყეს იყო შეფარებული, ირმა ... უყვარდა მასწავლებელს, ოქროპირს. ეს უკანასკნელი მღვდლის შვილი იყო. სიჭაბუკიდანვე იგი გატაცებული იყო სოციალური პრობლემებით და მარქსისტული მოძღვრებით. შემდეგ იგი მენშევიკებს მიეკედლა და ამ ანტიხალხური პარტიის დიქტატურის წლებში ქუთაისის გვარდიის შტაბის უფროსის პოსტიც მოიპოვა. ასეთი მდგომარეობის პატრონმა მან ადვილად შესძლო განეხორციელებია თავისი მისწრაფება ირმას ცოლად შერთვისა. ამ საქმეში მას დიდი სამსახური გაუწია ხოსრომ, რომელიც ფრიად დაინტერესებული იყო ნათესავად მოკიდებოდა მენშევიკური ხელისუფლების ამ ერთერთ ადგილობრივ ბურჯს. ქორწინების დღესვე როინ ზაუტაშვილმა გაიტაცა ირმა, მაგრამ მალე ცხადი გახდა, რომ ტყედ გავარდნილ კაცს არ შეეძლო თავის მძიმე და სახიფათო გზაზე გაეყოლებინა ახალგაზრდა ქალი. ირმა იძულებული გახდა ქმარს დაბრუნებოდა, თუმცა ოქროპირთან მისი ცხოვრება ამ შემთხვევის შემდეგ კიდევ უფრო აუტანელი უნდა ყოფილიყო. მართლაც ირმამ ვერ აიტანა მისთვის უცხო და შეუთვისებელი ოქროპირის მერქვეშ ცხოვრება და იძულებული გახდა გაქცეულიყო ქმრის ოჯახიდან. მრავალი ტანჯვითა და მწუხარებით გატეხილს, მას აღარსად ეგულებოდა მყუდრო და სასურველი თავშესაფარი. მას აღარაფერი ახარებდა ამქვეყნად და ამიტომაც ანგარიშმიუცემლად განწირულებით შეერთო მდინარის ტალღებს. დასახრჩობად განწირული ქალი შემთხვევით გადაარჩინა მეწისქვილე ბოჩი გვეტაძემ, რომელმაც დიდი მზრუნველობით მოასულიერა და შეიფარა ირმა.

ბოჩი გვეტაძეს თვითონ ჰქონდა განვლილი ცხოვრების არანაკლებ მძიმე გზა, მასაც მრავალი მწუხარება და ტანჯვა აგემა ცხოვრებამ. მას თვალწინ შემზარავად ტრაგიკულს ვითარებაში დაეღუპა თავისი უსაყვარლესი არსება ხათუნა. ამ შემთხვევამ ბოჩის გული ააყრევინა ცხოვრებაზე, დაუკარგა მას ხალისი და რწმენა ბედნიერების ძიებისა უსამართლო და უკეღმართ საზოგადოებრივ ვითარებაში და ბოლოს ამ წისქვილს შეაფარა თავი, რომელშიც მან დახრჩობისაგან გადარჩენილი ირმა შეიხიზნა.

ერთხანს ირმასა და ბოჩის შორის მხოლოდ წრფელი მეგობრული ურთიერთობა სუფევდა, მაგრამ ბოლოს ეს ორი თანაბარი ბედის ადამიანი ტრფიალების გრძნობამ დააკავშირა ერთმანეთთან. ეს ნათლად შენიშნა როინ ზაუტაშვილმა, რომელიც სრულიად მოულოდნელად მოევლინა ირმას გვეტაძის წისქვილში. სჩანს როინის გულში დაუცხრომელად ღვივოდა ირმასადმი სიყვარული და განუწყვეტლივ ეოელოდა ამ გრძნობის გამარჯვების შესაფერ შემთხვევას. როინმა უსიტყვოდ დატოვა ბოჩი გვეტაძის წისქვილი. აქ დაესვა წერტილი ირმასა და როინის ურთიერთობას. აქ მთავრდება რომანის ძირითადი ნაწილიც.

„ჭიაკოკონას“ გმირთა შემდგომ ბედს ჩვენ ეპილოგში ვტყობილობთ. ამ

დროისათვის საქართველო უკვე გათავისუფლებულია მენშევიკური დიქტატურის რეჟიმისაგან. ცხოველი რეალისტური ფერებით დახატულ სურათებში გადმოგვცემს მწერალი იმ უბადრუკობას, სრულს პოლიტიკურსა და მორალურ გაკოტრებას, რომელიც განიცადა ხალხისაგან უზომოდ შეზიზღებულმა და აშიტომაც დასაღუპავად განწირულმა მენშევიკურმა „ხელისუფლებამ“. ოქროპირიც სამშობლოდან გაძევებულ მენშევიკურ მთავრობას გაჰყვა უცხოეთში და მას შემდეგ მისი კვალი სამუდამოდ დაიკარგა.

სოფლად გაჩაღებულმა ახალმა ცხოვრებამ გამოაცოცხლა ირმა და ბოჩი. ისინი თეოფილეს ოჯახში გადასახლდნენ. გამრჯე, ჭკვიანმა და დიადი ადამიანური გულის მქონე ბოჩიმ მალე მოიხვეჭა ახალი მეზობლების სიყვარული და პატივისცემა. იგი განახლებული სოფლის ერთი მესვეურთაგანი გახდა და მალე რაიონულ ორგანოს ჩაუდგა სათავეში. როინ ზაუტაშვილი კი ახალი საქართველოს ინდუსტრიალიზაციის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ჟერის — რიონჰესის მშენებელთა მოწინავე რიგებში აღმოჩნდა, მათს ხელმძღვანელად და მეთაურად დაწინაურდა.

ყოფილი აზნაური მირიანი კი ამ დროს ქუთაისის ერთ მივარდნილ ქუჩაზე გახსნილ პატარა დუქანში წურბელებით ვაჭრობდა, ხოლო მისი დაქვრივებული ქალიშვილი, კესო, რომელიც ხოსროს სიკვდილის შემდეგ ყოფილ არქიმანდრიტს ესტატეს წაყოლია ცოლად, თავის ახალ ქმართან ერთად დასახლებულა ქალაქის ერთერთ სასაფლაოს კუთხეში. ესტატე ფოსტაში მოეწყო წერილების დამტარებლად და ამ საქმეშიც ახერხებდა წვრილმანი კომბინაციებისა და ბნელი საქმეების გაკეთებას, რის გამოც მან ბოლოს ციხეში ამოჰყო თავი.

ძნელი არ არის დავინახოთ, რომ რომანის გმირთა ესოდენი დრამატიზმით აღსავსე თავგადასავალში ავტორმა გამოხატა ის შეურიგებელი ბრძოლა ორ სამყაროს შორის, რომელმაც გაანსაზღვრა ჩვენი ეპოქის შინაარსი და რომელიც ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებით დაგვირგვინდა. როგორც „თეოს“, ისე „ჭიაკოკონას“ ძირითადი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ გვიჩვენოს, თუ როგორ დააქანა უფსკრულისაკენ ჩვენმა რევოლუციურმა თანამედროვეობამ რეაქციული სამყარო, ხოსროების, მირიანების, ოქროპირებისა და ესტატეების სამყარო, როგორ აამაღლა და ცხოვრების საჭესთან დააყენა ჩვენმა დიადმა დროებამ მრავალ ჩაგვრასა და დევნაში გამოწრთობილი შვილები მშრომელი ხალხისა: როინი, ბოჩი, ირმა და მათი მზგავსნი.

მწერალი არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, თუ რა გზით მივიდა ყაჩაღი მორჩაძის ყოფილი უახლოესი თანამებრძოლი როინ ზაუტაშვილი სოციალიზმის მშენებელ მოწინავე ადამიანთა მდგომარეობამდე. გმირის იდეური ზრდის ეს პროცესი არ გაუხდია „ჭიაკოკონას“ ავტორს თავისი თხრობის საგნად. ამასთანავე ბოჩის ცხოვრება და მოღვაწეობა საბჭოთა სოფლის სარბიელზე მხოლოდ გაკვრით არის ნანიშნები რომანში, ნაწარმოების ეპილოგში. ამრიგად, რომანის მთავარ გმირთა თავგადასავლის თხრობაში საგრძნობი ხარვეზია დატოვებული და ეს ხარვეზი ამ ადამიანთა ცხოვრების ისტორიის უაღრესად მნიშვნელოვან პერიოდს ფარავს ჩვენი თვალთახედვისაგან.

ამ ფრიად სერიოზული ხარვეზის მიუხედავად რომანი „ჭიაკოკონა“ ქართული საბჭოთა მხატვრული პროზის განვითარებაში ერთერთ საყურადღებო ნაწარმოებად უნდა იქნას მიჩნეული. მისი დადებითი იდეური ესთეტიური მნიშვნელობა სავსებით უდავოა და თვალსაჩინო.

*
* *

ფრიად ორიგინალური კომპოზიციური ხერხით არის აგებული რომანი „ლაშაური საღამოები“. იგი შეიცავს ისეთ ნოველათა წყებას, რომლებიც არც თემატიურად, არც იდეური კონცეპციით ერთმანეთთან არ არიან დაკავშირებულნი. ხანგრძლივად დაავადებულ ლაშას სანახავად ხშირად იკრიბებიან მისი უახლოესი მეგობრები და მოწყენილობის გასაფანტავად თითოეული მათგანი მოუთხრობს შეკრებილთ რაიმე ამბავს. აი ამ ნაამბობთა სახით არის ჩართული „ლაშაურ საღამოებში“ სრულიად სხვადასხვა ეპოქისა და სხვადასხვა სოციალური წრის ადამიანთა ცხოვრების ამსახველი ნოველები— „ზღვა და სიყვარული“, „უცნაური გასვენება“, „ჩაფხან დადეშქელიანი“, „ოქროს მამალი“, ხოლო უკანასკნელი ნოველა „ტატაშ ხვარი“ რომანის ერთ-ერთმა პერსონაჟმა რაიბულმა წაუკითხა უკვე ზღვისპირა აგარაკზე დასასვენებლად ჩასულ ლაშას.

თავისთავად ეს ნოველები, ყოველი მათგანი დამოუკიდებელ მხატვრულ ქმნილებებს წარმოადგენენ, რომელთაც ზემო მოხსენებულ კომპოზიციურ ხერხს გარდა საერთო სტილობრივი ნიშნები აერთიანებენ. ყოველი მათგანი დახვეწილი, პოეტურად ამაღლებული ენით არის დაწერილი, დინამიურად განვითარებული მათი სუჟეტი მთავრდება მოულოდნელი სიტუაციით. ცალკე აღებულს ყოველ მათგანს აქვს თავისი იდეური მიზანდასახულება, მათში ცხოვლად არის ასახული აღებული ეპოქის ხასიათი, პერსონაჟების პირადინდივიდუალური და სოციალური ბუნება.

ნოველა „ზღვა და სიყვარული“ მოგვითხრობს ძველი ფორმაციის ქართველი ინტელიგენტის — ილიას რომანტიულ თავგადასავალს. უცხოეთიდან დაბრუნებულს და ჰუმანური იდეალებით გატაცებულ ილიას შემთხვევა ნაბიჯი თავგანწირულად გადაეჩინა დასაფასებელ საგან, მძვინვარე ხანძრისათვის გამოეტაცნა მშვენიერი ვოგონა, მზევინარი. ამ შემთხვევის შემდეგ ილია დაუახლოვდა მზევინარის ოჯახს, მას მოეწონა და შეუყვარდა ქალი და ცოლად შეირთო იგი. მზევინარს კი სხვა ვაჟი უყვარდა და ბედნიერი არ იყო ილიასთან. ქალი თავისი პირველი სიყვარულის სევდამ შეიპყრო და დაასნეულა. ილიამ არ იცოდა ცოლის ასეთი მდგომარეობის მიზეზი. მან სამკურნალოდ და გასართობად უცხოეთს წაიყვანა მზევინარი, მაგრამ ქალს არაფერი ეშველა, იგი უცხოეთში გარდაიცვალა. ილიამ მოიწადინა საყვარელი არსების ცხედრის შენიღბულად წამოღება სამშობლოში. გემზე ცხედარი აღმოაჩინეს და დადგენილი წესის მიხედვით ზღვაში გადაისროლეს. საარაკო თავგანწირვით ილიამ ზღვის ტალღებს გამოსტაცა მზევინარის ცხედარი და იგი საკუთარ სოფელში დაასაფლავა, თვითონაც სოფლად დასახლდა, რათა მუდმივად ახლო ყოფილიყო მზევინარის სამარესთან. ერთ დღეს ილიას ვიღაც მათხოვარი მიადგა კარს. უცნობმა გაიგო, თუ სად იყო დაკრძალული მზევინარი, დაემხო მის საფლავზე და აქვითინდა. ეს ის ვაჟი იყო, რომელსაც ოდესღაც მზევინარი წმინდა ჭაბუკური გატაცებით უყვარდა და რომელიც ასე მოუტეხია და დაუძაბუნებია სიყვარულში განცდილ მარცხს. ილიამ მხოლოდ ახლა გაიგო მზევინარის სევდა, მისი დაავადებისა და დაღუპვის მიზეზი.

ასე სქემატურად გადმოცემული სუჟეტიც ამ ნოველის მკითხველს წარმოდგენას მისცემს „ლაშაურ საღამოებში“ ჩართული ნოველების ხასიათის შესახებ. როგორც ვთქვით ამ ნოველების თემატიკა სრულიად სხვადასხვაგვარია.

მათი სახით ჩვენს თვალწინ ხან რევოლუციამდელი ქუთაისის ლიტერატურული ბოჰემის ცხოვრების სურათი გადაგვეშლება თვალწინ, ხან ფეოდალური შთამომავლობის აფხაზის, ტატაშ ხვარის ოჯახში დატრიალებული უცნაური დრამის მოწამენი ვხდებით, ხან თბილისის მაღალი არისტოკრატიული წრის საკრებულოში მომხდარ საბედისწერო ინციდენტს ვტყობილობთ, ხან კიდევ საქართველოში საკოლმეურნეო სოფლის დამკვიდრების დამახასიათებელ ეპიზოდებს ვხედავთ.

ამ ნოველების უპირველესი სტილობრივი თავისებურება ის არის, რომ მათში მოთხრობილი ამბავი უცნაური და მოულოდნელი განვითარება-დაბოლოკების მიუხედავად ყოველთვის ტიპიურია და დამახასიათებელი იმ საზოგადოებრივი ფენისათვის, რომლის წარმომადგენლებიც შეადგენენ ნაწარმოების პერსონაჟებს.

მაგრამ ეს ნოველები, რომელთაც თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ „ლაშაურ საღამოებში“, მაინც არ განსაზღვრავენ რომანის ძირითად შინაარსს.

ამ ნაწარმოებში უმთავრესი მისი გმირი ქალის ზეინაბის სახეა, რომლის ცხოვრების ისტორიაც ორგანულად არის შერწყმული რომანის მთელ კომპოზიციასთან. ზეინაბი ახალი ცხოვრების მშენებელი ქალის, მოწინავე საბჭოთა ქალის პირველი მხატვრული სახე იყო ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში და მიუხედავად იმისა, რომ ეს სახე ღრმად გახსნილი და ყოველმხრივად გაშუქებული არ არის რომანში, იგი მაინც ერთერთი მკაფიო პორტრეტთაგანია ქართული მწერლობის მიერ დახატულ ახალ ადამიანთა გალერეაში.

ისე, როგორც „თეოსა“ და „ჭიაკოკონას“ მთავარ გმირთა ცხოვრების ისტორია, ზეინაბის თავგადასავალიც დამარწმუნებელი ძალით გვიხატავს რეაქციული სამყაროს სასიკვდილო განწირულებას და მისი რღვევისა და დაღუპვის ნიადაგზე ახალი ადამიანის ზრდასა და ზეიმს.

ობოლი და უპატრონო ზეინაბი მოახლედ მსახურებდა ვიღაც ყოფილ ადამიანის ნაღენერლარ კაციას ოჯახში. განახლებული ცხოვრების ფსკერზე მოქცეული კაცია ზეინაბსაც იმ წუმპესაკენ მიეზიდებოდა, რომელიც ისტორიამ კაციას მსგავს ადამიანებს განუმზადა, მაგრამ ზეინაბი გააფთრებით შეებრძოლა ამ საშიშროებას. იგი გაექცა კაციას ბუნაგს, თუმცა ამ ბუნაგიდან გამოყოფილი ჩირქი და წყლული შემდეგაც დიდად ართულებდა და აძნელებდა მისი ცხოვრების გზას. და თუ მაინც ზეინაბმა შესძლო საპატიო ადგილი მოეპოებინა ახალი ცხოვრების მშენებელთა შორის, ეს უნდა მიეწეროს პირველ ყოვლისა იმ ამაღორძინებელ და აშამაღლებელ ზეგავლენას, რომელსაც ახდენს ჩვენი გმირული სინამდვილე ძველი ცხოვრების კოშმარით გზაგამრუდებელ ადამიანზე.

ამ ნაწარმოებშიც მწერალი გვერდს უვლის იმ ამოცანას, რომ გვიჩვენოს თუ რა გზით და როგორ ამაღლდა ზეინაბი იმ მდგომარეობამდე, რომელშიაც იგი აღმოჩნდა ლაშას მეგობართა შორის მისი გამოჩენის დროს. ჩვენ მხოლოდ შედეგის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ ზეინაბის იმ იშვიათ სულიერ ღირსებათა შესახებ, რომელთა მეოხებითაც მას დაუძლევია მრავალი დაბრკოლება და ასეთ სიმაღლეზე,— ღირსეულ და მოწინავე საბჭოთა ადამიანის სიმაღლეზე ასულა.

* * *

რაჟდენ გვეტაძის „მართალი ნოველები“ სამამულო ომის პერიოდის ქართული მხატვრული პროზის ერთერთი საუკეთესო ნაწარმოებია. თორმეტი ნოველისაგან შედგენილი ეს ციკლი მთლიან მხატვრულ ქმნილებას წარმო-

ადგენს არამარტო პერსონაჟების ერთიანობის მეოხებით, არამედ იმიტომაც, რომ თითოეული ამ ნოველათაგანი თანმიმდევრულად განაგრძობს და ღრმა შინაგანი ლოგიკურობით განავითარებს მთელს ციკლში აღწერილ მოვლენებს, მასში მოთხრობილ ამბავს.

ამ ნაწარმოების მთავარ გმირებს უკვე საბჭოთა ადამიანები შეადგენენ, ადამიანები, რომლებიც სოციალისტური ცხოვრების ცხოველმყოფელ გარემოცვაში აღზრდილან და დავაჟკაცებულან, ისინი შესისხლხორცებიან მშობლიურ საბჭოთა ატმოსფეროს და, როგორც საბჭოთა ხალხის ღირსეული შვილები, მზად არიან საკუთარი სიცოცხლის ფასით დაიცვან თავიანთი სოციალისტური სამშობლოს ღირსება და თავისუფლება.

ამ ადამიანებს მწერალი გვიჩვენებს მათი ცხოვრებისა და საშობლოს ისტორიის ყველაზე მეტად დაძაბულსა და მრისხანე ვითარებაში,—დიდი სამამულო ომის ვითარებაში. ასეთ გარემოცვაში „მართალი ნოველების“ გმირები მთელი სისრულით გამოავლენენ თავიანთი ბუნებისა და ხასიათის დამახასიათებელ თვისებებს, რომლებშიც დიდი განზოგადოებითი ძალით არის განსახიერებული საბჭოთა ხალხის მაღალი სულიერი ღირსებანი: მისი უანგარო პატრიოტული თავგანწირულება, გმირობა და ვაჟკაცობა, მორალური სისპეტაკე და კეთილშობილება.

ნაწარმოების ცენტრში სდგას ახალგაზრდა საბჭოთა ადამიანის ტიპიური სახე — პოლკის უფროსი ექიმი ნოდარი. „მართალი ნოველების“ მანძილზე ჩვენ ვხედავთ ამ პერსონაჟს სხვადასხვა მდგომარეობაში და მისი ყოველი ახალი გამოჩენა, ყოველი ახალი ნაბიჯი, ყოველი სიტყვა, განცდა და ფიქრი სულ უფროდაუფრო სრულად წარმოგვიდგენს მას, როგორც დადებით საბჭოთა ადამიანის ბდიდარი და კეთილშობილური სულიერი სამყაროს ნორცშესხმულ განსახიერებას.

აი, ნოდარი საბჭოთა არმიის მიერ დაკავებულ ერთერთ უკრაინულ სოფელში პოლკის საექიმო პუნქტის მოწყობას ხელმძღვანელობს. დაკისრებული მოვალეობისა და პასუხისმგებლობის სრული შეგნებით, დასახული ამოცანის განხორციელების ურყევი ნებისყოფით არის გამსჭვალული მისი ყოველი განკარგულება, საბჭოთა პატრიოტის მაღალი შეგნებულებით მოქმედებს და სულდგმულებს იგი. დაჭრილი მებრძოლებისადმი მის მზრუნველ დამოკიდებულებაში, თანამშრომლებთან და თანამებრძოლებთან ურთიერთობაში, მოულოდნელად საექიმო პუნქტში მოსულ პარტიზან ქალთან — მარინასთან ნოდარის შეხვედრასა, გაცნობასა და განშორებაშიც, ყველაფერში ჩვენ ვგრძნობთ და ვხედავთ მაღალი ჰუმანიური გრძნობით აძგერებულ გულს, სპეტაკი მორალური შეგნებით, წრფელი გრძნობებით განათებულ ადამიანურ ხასიათს.

შემდეგ ჩვენ ვხედავთ ნოდარს ბრძოლის ქარცეცხლში გახვეულს, რომელიც ოცდაორჯერ ზედიზედ გადადის ტყვიების წვიმაში, რათა სიკვდილს გამოსტაცოს დაჭრილი საბჭოთა მებრძოლები და ოფიცრები. არაერთხელ პირისპირ შეხვედრია იგი სიკვდილის საფრთხეს, არა ერთხელ განუცდია მას უმძიმესი სულიერი ტკივილები, როცა ცეცხლიდან გამოსაყვანად მის მიერ ზურგზე აკიდებული საბჭოთა მებრძოლი გაუგმირავს მტრის ტყვიას და ყოველთვის ნოდარი რჩება უშიშროების, მომხიბლავი ფიზიკური და სულიერი გამძლეობის ცოცხალ განსახიერებად, საბჭოთა ხალხის ღირსეულ შვილად, რომელსაც ყოველი ახალი საშიშროება, მწუხარება და უბედურება კიდევ მეტი გმირული საქმეებისათვის, კიდევ მეტი თავგანწირულებისათვის აქეზებს და ამოძრავებს.

ბევრი რამ გადახდა თავს ნოდარს. მას

მოუხდა შეეცვალა მის თვალწინ დაღუპული მეგობარი უკრაინელი ოფიცერი პეტრო და მის მაგიერ წინ გაძღოლოდა ბრძოლის ცეცხლში ჩაბმულ სამხედრო შუნაურთს. ნოდარმა განვლო გერმანელ დამპყრობელთა ხელში ტყვეობის ჯოჯოხეთური საშინელება, განვლო ტყვეობიდან თავდაღწევისა და კვლავ მშობლიური საბჭოთა არმიის რიგებში დაბრუნების მრავალი ხიფათით აღსავსე გზა, განიცადა მძიმედ დაჭრით გამოწვეული ტკივილები და ბოლოს — მის თვალწინ მტრის ყუმბარამ ნაფლეთებად აქცია მისი უსაყვარლესი ადამიანი — მარინა.

მთელს ამ თავის მძიმე და ვრცელ საბრძოლო გზაზე ნოდარი მაღალი შეგნებით და გონიერებით, ნათელი რწმენით და დაუშრეტელი სულიერი ძლიერებით დაჯილდოვებულ ადამიანად მოსჩანს. მან იცის გულითადი მეგობრობა, წრფელი და რაინდული ტრფიალება. სამშობლოსადმი სიყვარულის ცეცხლი გიზგიზებს მის რაინდულ გულში და ამ უწმინდეს გრძნობის შარავანდედით არის განათებული მთელი მისი არსება.

„მართალ ნოველებში“ მოთხრობილი ნოდარის საბრძოლო თავგადასავალი მთავრდება მისი ბრწყინვალე გამარჯვებით: სარდლობამ ნოდარი ბრძოლაში გამოჩენილი თავდადებისა და მამაცობისათვის წითელი ვარსკვლავის ორდენით დააჯილდოვა. ეს სწორედ ნოდარის დაბადების დღეს დაემთხვა. ამ დღეს ნოდარს 24 წელიწადი შეუსრულდა. თავისი გმირის ამ პირად გამარჯვებასა და ბედნიერებაში მწერალმა განასახიერა ის დიდი ბედნიერება, რომელიც წილად ხვდა ჩვენს უძლეველ სამშობლოს, ჩვენს ხალხს უცხოელ დამპყრობელთა ურდოებზე მოპოებული ბრწყინვალე, საერთაშორისო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვების სახით.

მწერალმა დახატა სხვადასხვა ეროვნებისა და ასაკის, სხვადასხვა ინდივიდუალური ხასიათის დადებითი საბჭოთა ადამიანების სახეთა ფართოფერადოვანი გალერეა. დაუვიწყრად აღიბეჭდებიან მკითხველის მეხსიერებაში გმირულად დაღუპული ოფიცერი პეტრო, თავდადებული სანიტარი კორენკო, მესანგრეები სოლოვიოვი და დუმჩენკო, ქართველი ექიმი ალეკო ყიფიანი, სამხედრო საექიმო პუნქტის მზარეული, და მრავალი სხვ.

მწერალს შესწევს უნარი ყოველ პერსონაჟს თავისი დამახასიათებელი თვისება მოუნახოს, ცოცხალ, სისხლხორცით სავსე ადამიანებად დაგვიხატოს ისინი, იმგვარ ადამიანურ ხასიათებად, რომლებიც თავიანთი ინდივიდუალური ღირსებებით, თავისებური კუთხით აშუქებენ და განასახიერებენ საბჭოთა ხალხის ბუნებას, მის სწორუპოვარ ღირსებებსა და უპირატესობებს.

„მართალი ნოველები“ უმთავრესად სამამულო ომის საფრონტო ცხოვრების სურათებს ხატავს. მაგრამ ამ ნაწარმოებში ცხოვლად არის ასახული საბჭოთა ზურგის გმირული ბუნებაც, ხალხის განუზომელი სიძულვილი უცხოელი ოკუპანტების მიმართ, ხალხის ყველა ფენისა და ყველა თაობის ერთსულოვანი საბრძოლო დარაზმულობა.

ამ მხრივ, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ მწერლის მიერ კოლორიტული საღებავებით და წრფელად დახატული მოხუცი ცოლ-ქმარი, რომელთაც უკრაინის ერთერთ სოფელში მშობლიური მზრუნველობით შეიფარეს ტყვეობიდან გამოქცეული ნოდარი და მისი მეგობრები. მოხუცი მასპინძელი სამოქალაქო ომის გმირი აღმოჩნდა, იგი თურმე სახელგანთქმული კიკვიძის სარდლობით ანადგურებდა მაშინ გერმანელ ოკუპანტებს. მოხუცი ახლაც სასოებით ინახავს კიკვიძის მიერ ნაჩუქარ ხმალს, როგორც ძვირფას რელიკვიას, როგორც წმინდა და მარადიულ სიმბოლოს ჩვენი ხალხის გმირული საბრ-

ძოლო ტრადიციებისა, საბჭოთა ხალხების განუყოფელი ძმობისა და საბრძოლო თანამეგობრობისა.

საბჭოთა ადამიანის მორალური სიმაღლის, გმირობისა და ქედუხრელობის შესანიშნავ განსახიერებას წარმოადგენს საბჭოთა ქალიშვილის ვასილისას სახე. მან რაინდულად დაიცვა თავისი ღირსება და უმწიკვლოება, თავგანწირული წინააღმდეგობა გაუწია გამხეცებულ მტრის პირუტყვულ ზრახვებს, სასტიკად შური იძია გერმანელ ფაშისტ ოფიცერზე, რომელმაც განიზრახა ფეხქვეშ გაეთელნა საბჭოთა ქალიშვილის თავმოყვარეობა.

გაუგონარი და უბადლო მხეცობით აწამეს გერმანელებმა ვასილისა. „ყინულის ქანდაკებად“ ქცეული ამ შესანიშნავი საბჭოთა ქალიშვილის სახე გულის სიღრმემდე შემზარავი და თანაც მომხიბლავი გამოხატულებაა იმისა, თუ როგორის სიამაყით და უშიშროებით ეგებებოდნენ სიკვდილს საბჭოთა ადამიანები ჩვენი ხალხის, ჩვენი სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

„მართალი ნოველების“ პერსონაჟთა შორის განსაკუთრებით კდემამოსილებით გამოირჩევა პარტიზანი ქალიშვილის — მარინა რადუმცევას პორტრეტი, მისი გარეგანი მშვენიერება და სულიერი მომხიბლავობა შთამაგონებელი სიცხადით გვიჩვენებს, თუ რაოდენად ძვირფასი მსხვერპლის გაღებით მიუტანია ჩვენმა სამშობლომ თავისი დიადი გამარჯვება უცხოელ დამპყრობელთა ურდოებზე. მარინა ღირსეულად განასახიერებს ჩვენს წარმოდგენაში ჩვენი ხალხის იმ ერთგულ შვილებს, რომელთაც თავისი რაინდული სიკვდილით უზრუნველყვეს დედა-სამშობლოს ხიცოცხლე და უკვდავება.

* * *

განხილული რომანებისა და ნოველების ავტორი მხატვრული პროზის ოსტატობის ისეთ თვისებებს ფლობს, რომლებიც მას უფლებას აძლევენ და ავალებენ კიდევ უფრო გაბედულად და თანამიმდევრულად ასახოს ფართო ეპიურ ტილოებზე ჩვენი ეპოქის დიადი საქმეები, თანამედროვეობის დადებითი ადამიანები.

ეს თვისებებია: თანამედროვეობის გამახვილებული გრძნობა, ცოცხალი სინამდვილის დამახასიათებელ მოვლენათა გამორჩევისა და მათი ისტორიული სიმართლით გაშუქების უნარი, ტიპიურ ადამიანურ ხასიათის გამოკვეთის ძალა, მიმზიდველი და დამარწმუნებელი მომთხრობელობის ნიჭი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ფიფაძე

სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური ვითარება XVI საუკუნეში

„არცერთ ქვეყანას მსოფლიოში არ შეუძლია იმედი იქონიოს თავისი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა, სერიოზული სამეურნეო და კულტურული ზრდისა, თუ მან ვერ მოახერხა ფეოდალური დაქუცმაცებისა და მთავრების უთანხმოებათაგან განთავისუფლება. მხოლოდ ერთიან ცენტრალურ სახელმწიფოდ გაერთიანებულ ქვეყანას შეუძლია იქონიოს სერიოზული კულტურულ-სამეურნეო ზრდის შესაძლებლობის, თავისი დამოუკიდებლობის განმტკიცების შესაძლებლობის იმედი“.

ი. ბ. სტალინი.

★

ქართველი ხალხის განვითარების ისტორიაში მეთოთხმეტე საუკუნის მიწურული და მომდევნო საუკუნეებიც უაღრესად მტკივნეულს და მთელ რიგ შემთხვევაში საბედისწეროს წარმოადგენდა. დაწყებული 1386 წლიდან ვიდრე 1403 წლამდე, საქართველოს თითქმის ყოველი კუთხე მონღოლთა ურდოების სათარეშო ასპარეზად გახდა. თემურ-ლენგის შემოსევათა შედეგად საქართველოს ტერიტორია ამ მოკლე ხნის მანძილზე ექვსჯერ გაითელა ბარბაროსთაგან და ქართველი ხალხის შრომისმოყვარეობით საუკუნეების განმავლობაში შექმნილი კულტურა ცეცხლითა და მახვილით განადგურებულ იქმნა.

მარტო ის ფაქტი, რომ თემურ-ლენგს მრავალგზის დასჭირდა საქართველოზე გამოლაშქრების მოწყობა, ლაპარაკობს ქართველი ხალხის მედგარ წინააღმდეგობაზე და მის თავგანწირულ ბრძოლაზე სამშობლოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის. მსოფლიო ისტორიის არცერთი ფურცელი მანამდე, არ იყო აღმრიცხველი ისეთი საშინელი ველურობისა, რაც ოემურ-ლენგმა გამოიჩინა საქართველოს მიმართ. საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ფიზიკურად იქნა განადგურებული, მასობრივი ხოცვა-ჟლეტისა, დატყვევებისა და საკუთარ სამშობლოდან მისი გადასახლების საშუალებით.

„თემურ-ლენგის მრისხანებას საზღვარი აღარ ჰქონდა. მან თავის ჯარს უბრძანა, სადაც ხელი მიუწვდებოდათ, ვენახები, ბაღები, ბოსტნები გაეჩეხათ, ეკლესიები, სამლოცველოები, სასახლეები, სხვა შენობები, რის დანგრევაც შესაძლებელი იყო, დაენგრიათ. თვით თემურ-ლენგის ისტორიკოსის სიტყვით, თემურს ინდოეთშიაც არ დაუნგრევია იმდენი შენობა, რამდენიც საქართველოშიო“, ნათქვამია საქართველოს ისტორიაში.

საქართველოს პირობებში კატასტროფიული აღმოჩნდა თემურ-ლენგის ეს ბარბაროსული ღონისძიება, შეუბრალებლად გატარებული ეკონომიურ

სფეროში. საქართველოს სოფლის მეურნეობა და მისი მოსახლეობის მატერიალური დოვლათი უმთავრესად მაღალ კულტურებზე, მებაღეობასა, მევენახეობასა და მეღვინეობაზე იყო დამყარებული, რომლის ხელახალი აღდგენა და მისი ინტენსიფიკაცია ათეული წლობით მშვიდობიან დროს, მატერიალურ სახსრებსა და ცოცხალი სამუშაო ძალის დიდ რაოდენობას მოითხოვდა.

მეთხუთმეტე საუკუნე ახალი დაძაბული ბრძოლებითა და საერთაშორისო ურთიერთობის გამწვავებული პირობებით განისაზღვრა, რის გამოც ქართველ ხალხს თავის მეურნეობის ხელახლად აღდგენისათვის მინიმალური შესაძლებლობაც-კი აღარ მიეცა. სოფლის მეურნეობის დაქვეითებას მოჰყვა ვაჭრობისა და საერთოდ აღებმიცემობის შესუსტება. ქალაქების მოსახლეობამ თანდათან იკლო და ბევრი მათგანი გაუკაცრიელდა კიდეც. ამ გარემოებას არანაკლებად ხელი შეუწყო საერთაშორისო ვითარების რადიკალურმა შეცვლამაც. 1453 წელს დაეცა ყოფილი ბიზანტიის იმპერიის უკანასკნელი დასაყრდენი—„ოქროს ხიდი“ აღმოსავლეთთან ურთიერთობის საქმეში — კონსტანტინეპოლი.

ამიერიდან ოსმალებმა ხელში ჩაიგდეს და თავის საკუთრებად გადააქციეს იმ დროისათვის ვაჭრობის საქმეში უდიდესი მნიშვნელობის მქონე შავი ზღვა, რომლიდანაც სავაჭრო გზები, ამიერკავკასიაზე გავლით, კასპიის ზღვისაკენ და აღმოსავლეთისაკენ მიიმართებოდნენ. შავი ზღვის მნიშვნელობის შესახებ მარქსი აღნიშნავდა: „დუნაი და ვოლგა, ევროპის ეს ორი გიგანტური მდინარე, დნესტრი, დნეპრი და დონი—ყველა ერთად აღებული ჰქმნიან შინაგანი პროდუქტების ბუნებრივ არხებს შავ ზღვაზე გადაზიდვისათვის; ჩვენ ვამბობთ,—შავ ზღვაზე, რადგან კასპიის ზღვამდე მისვლაც შეიძლება მხოლოდ შავი ზღვის საშუალებითო“ [1]. შავი ზღვის ხელში ჩაგდებით ოსმალებმა ჩაჰკეტეს საქართველოს გზა ევროპიდან აღმოსავლეთისაკენ როგორც ჩრდილოეთის მიმართულებით, ისე სამხრეთის (ტრაპიზონის) მიმართულებით; ორი ზღვის შუა მდებარე საქართველო სავსებით მოწყდა ევროპას და, როგორც ევროპის ლევანტთან ვაჭრობის სატრანზიტო სფერო, ამიერიდან ფაქტიურად უკვე აღარ არსებობდა.

ყოველივე ამის შემდეგ საქართველოში ვაჭრობა დაეცა და ფულის ბრუნვაც უაღრესად შესუსტდა. მართალია, მეთხუთმეტე საუკუნის განმავლობაში ქართველი მეფეები განაგრძობდნენ საკუთარი ფულის მოჭრას, მაგრამ, ჯერ ერთი, ეს მცირე რაოდენობით ხდებოდა, და მეორეც—ამდროინდელი ვერცხლის ფული მეტად მდარე ხარისხისა და მცირე ზომისაც იყო. ფაქტებით დასტურდება, რომ ლითონის ფული მხოლოდ ქალაქებში მოიპოვებოდა. სხვა ადგილებში, განსაკუთრებით კი—მთებში, ვაჭრობა სულ არ ყოფილა, ანდა პრიმიტიული გაცვლა-გამოცვლის წესით უწარმოებიათ, ისიც უმნიშვნელო რაოდენობით [2]. ცხადია, რომ საქართველოს დაკნინებულ მეურნეობას საკუთარი პროდუქციით, საზოგადოებრივი შრომის შემდგომი დანაწილების სისუსტის გამო, აღარ შეეძლო ხელი შეეწყო ვაჭრობის გაცხოველებისათვის და საქართველოს ცალკეულ კუთხეთა შორის მჭიდრო ეკონომიური კავშირის დამყარებისათვის.

ამგვარად ვაჭრობის დაცემამ ხელახლად გამოიწვია ნატურალური მეურნეობის გაბატონება საქართველოში, რომელიც შემდეგ მთელი საუკუნეებით გრძელდებოდა. ეს თვალსაჩინოდ სჩანს

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч. т. IX, გვ. 382.

[2] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწილი I, გვ. 292, 1946 წ. გამოც.

თუნდაც იქიდან, რომ მეფე ვახტანგ მე-6-ის დროსაც იძულებულნი ყოფილან ხელფასის გაცემა, გადასახადების გაღება, ჯარიმების გადახდევინება, სისხლის გამოსყიდვა და სხვა ძირითადად ნატურალური სახით ეწარმოებინათ. ვახტანგის კანონებში ვკითხულობთ: „გლეხის კაცის სისხლში ძროხა იყო გაჩენილი... მაგრამ ჩვენ თეთრად დაგვიწერია. ქართლში მაგდენი თეთრი არ არის და ისევ გლეხის კაცისა ღა მსახურისა სისხლში ძროხა, ცხვარი, ცხენი, იარაღი, და სახლის სახმარი: რკინა, რვალი ყველა დაიჭირეისო“ [1].

ნატურალური მეურნეობის გაბატონების პირობებში უფრო მეტად გაიზარდა ცალკეული ფეოდალური მამულების კარჩაკეტილობა, რის გამოც საქართველოს სხვადასხვა ნაწილებს შორის მანამდე ცოტად თუ ბევრად არსებული ეკონომიური კავშირი შესუსტდა და კიდევაც შესწყდა. ამას მოჰყვა მთავრებისა და სხვა ფეოდალების უფრო მეტი მისწრაფება მათ განკარგულებაში მყოფ ფეოდალური მამულების დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის. თითოეული მათგანი თავის სამფლობელოში სცდილობდა გადაქცეულიყო აბსოლუტურ ბატონ-პატრონად და მოეწყვიტა ის ცენტრალური ხელისუფლების ყოველგვარი გავლენისაგან.

მაგრამ ფეოდალების დამღუპველი სეპარატიზმისაკენ მისწრაფება უფრო შორსაც მიდიოდა. თითოეული მათგანი, გათამამებული შექმნილი მდგომარეობით, ფიქრობდა გაძლიერებულიყო მეზობლების მოსპობით და მისი მამულის დატაცებით. ამან უფრო მეტად გაამწვავა საქართველოში ფეოდალური აღვირახსნილობა, რასაც შედეგად მოჰყვა გახშირებული თავდასხმები და მიხდომები ერთი მეორეზე. „Они,— ამბობს ამხანაგი სტალინი ქართველ ფეოდალებზე, — разбитый на целый ряд оторванных друг от друга княжеств, не могли жить общей экономической жизнью, веками вели между собой войны и разоряли друг друга, натравливая друг на друга персов и турок“ [1].

[1] დ. ჩუბინოვი. ქართული ქრესტომათია, ნაწილი პირველი, გვ. 401, 1846 წ. გამოც.

[1] И. Сталин. Марксизм и национально-колониальный вопрос, გვ. 5—6, 1937 წ. გამოც.

[2] იქვე, გვ. 6.

თავადებისა და აზნაურების მიერ წამოწყებული ქვეყნის რბევა და აწიოკება უმთავრესად მშრომელ მოსახლეობას თავს ატყდებოდა მძიმე უბედურებად და მას ფიზიკურადაც ანადგურებდა. საზოგადოების ამ საუკეთესო ნაწილს არამც თუ რაიმე შესაძლებლობა რჩებოდა მეურნეობის განვითარებისათვის, არამედ ყოვლად დაბეჩავებული და ყოველგვარ ღონეს გამოცლილი, იგი გულგრილად უყურებდა მეფეების ცდას ფეოდალების დამორჩილებისა და ქვეყნის გაერთიანების საქმეში. «Эфемерное и случайное объединение княжеств, которое иногда удавалось провести какому-нибудь удачнику-царю, в лучшем случае захватывало лишь поверхностно-административную сферу, быстро разбиваясь о капризы князей и равнодушие крестьян» [2].

იმ დროს, როცა დასავლეთ ევროპაში, კაპიტალიზმის განვითარების შედეგად, ცალკეულ სახელმწიფოებში ფეოდალური წარმომადგენლობითი მონარქია იცვლებოდა მმართველობის ახალი ფორმით—აბსოლუტური მონარქიით და ამით მტკიცდებოდა ფეოდალური სახელმწიფოებრივი აპარატი სხვადასხვა ახალი სოციალური ფენების გამოყენებით, საქართველოში ამ მხრივ საწინააღმდეგო მოვლენებს ჰქონდა ადგილი. სამეფო ცენტრალური

ხელისუფლება თანდათან სუსტდებოდა და ნატურალური მეურნეობის გაბატონებასთან ერთად იზრდებოდა ათაბაგების, მთავრების და სხვა ფეოდალების სამხედრო და პოლიტიკური მნიშვნელობა. ხშირად საქართველოს მეფეები სხვას არას წარმოადგენდნენ, თუ არა ამ ცალკეული ფეოდალების კაპრიზების განხორციელების იარაღს.

ამ გარემოებას აშკარად აღიარებს თვით მეფე ვახტანგ მე-6-ეც. თავის კანონმდებლობის შესავალში ის მოურიდებლად ააშკარავებს ზოგიერთ ქართველ მეფეთა ამ უსუსურ მდგომარეობას. ის სწერს: „საქართველოს მეფენი ბევრჯელ დიდად ამაღლებულნი და ნებისაებრ მათისა ბრძანებულან და ბევრჯელ ჟამთა და დროთა ცუალებით ასრე დამდაბლებულან, რომე ოდენ სახელი მეფე რქმევიათ, თორემ მართებული არა უქნევინებიათ რა, როგორც ყმათა სდომებიათ — ისრე უსამართლებიათ და ურიგებიათ. ამისი მომსწრეები თითონ მეცა ვარ და სხვანი მრავალნი ხნით ჩემზე უფროსნი არიან და ისინიცა ამგვარს დროს ბევრს შესწრებიან“ [1].

საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას არ შეეძლო რაიმე მნიშვნელოვან ღონისძიებათა მიღება მსხვილი ფეოდალების ასალაგმავად იმდენად, რამდენადაც მათ წინააღმდეგ ბრძოლაში მეფეს სერიოზული დამხმარე სოციალური ფენა იმ დროისათვის არ გააჩნდა. გლეხების შესახებ უნდა აღვნიშნოთ, რომ ისინი შექმნილი მდგომარეობით დაბეჩავებულნი და გაჩანაგების გზაზე დამდგარნი თითქოს უფრო ინერტულ მასას წარმოადგენდნენ. ვაჭართა ფენა „მესამე წოდების“ სახით საქართველოს სინამდვილეში ან სრულებით აღარ არსებობდა, ანდა უმნიშვნელო რაოდენობით წარმოდგენილი იყო არა ქართულ ეროვნებათაგან, რის გამოც მეფეების აზრით არც ის შეიძლებოდა გამხდარიყო ხელისუფლების მნიშვნელოვან და საიმედო დასაყრდენად.

ქართველ მეფეების ასეთი შეხედულება ვაჭრებზე კიდევ დიდ ხანს გრძელდებოდა საქართველოში. როგორც პლ. იოსელიანი აღნიშნავს, გიორგი XII-ეც კი უნდობლობით უყურებდა საზოგადოების ამ ფენას: „ვაჭარი მსყიდველი და გამყიდავი, ცრუ, მატყუარი, უპირო და უპურო. ერთგული მისი, ვისგანაც აქვს გამოსარჩენი და რომელიც მას შეისყიდვის ანუ ფულითა, ანუ პატივითა, (ანუ სხვითა საჩუქრითა“. ამიტომაც ვაჭარ-სომეხთა შესახებ გიორგი XII რუსეთის იმპერატორის ელჩს პ. კოვალენსკის არწმუნებდა, რომ ისინი „...ვითარცა ვაჭარნი, საჭირონი არიან და ვითარცა ქვეყნისა მცხოვრებნი დიდათ საშიშარნი და მოსარიდებელნიო“ [1].

ერთადერთი მნიშვნელოვანი მატერიალური და მაშასადამე პოლიტიკური ძალის შემცველი იყო საქართველოს ეკლესია და იმდროინდელი სასულიერო წოდება. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მეფის ხელისუფლებაზე უფრო ცენტრალიზირებული და თავის ორგანიზებულობით უფრო ძლიერი იმდროინდელი ეკლესია იყო. დიდი ხნის მანძილზე ის ინარჩუნებდა ორგანიზებულ მთლიანობას იმ დროსაც კი, როცა სამეფო ხელისუფლება ცალკე სათავადოების განდგომით და სამეფო ოჯახის წევრების შინაგანი დამღუპველი კინკლაობით ძალამიხდილი, გარდაუვალ დასუსტების გზას ადგა.

მაგრამ, სწორედ ამიტომ, ეკლესიის დახმარება ცენტრალურ ხელისუფლების გაძლიერების საქმეში ნაკლებად

[1] დ. ჩუბინოვი. ქართული ქრესტომატია, ნაწილი პირველი, გვ. 396, 1846 წ. გამოც.

[1] პ. გუგუშვილი. „საქ. და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება (1801 — 1820 წწ.)“.

იგრძნობოდა. რიგ შემთხვევაში ეკლესია სცდილობდა თვითონ გამხდარიყო მეფეების მსგავსად საერო ხელისუფლების მატარებელიც. და როდესაც ამას სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ახერხებდა, იგი მზად იყო დათანხმებოდა მსხვილი ფეოდალების განკერძოებით მოქმედებას, თუ კი ცალკეული მთავრების ხელყოფა მეფის ხელისუფლებაზე არ იქნებოდა წარმართული ეკლესიის საწინააღმდეგოდ. მთავრების განდგომა ცენტრალურ ხელისუფლებისაგან ეკლესიის მთლიანობის დაურღვევლად არც თუ ისე მიუღებელი მოჩანდა იმდროინდელი ეკლესიის მმართველი წრეებისათვის.

ამ რთულმა პირობებმა მეხუთმეტე საუკუნის მეორე ნახევრისათვის საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება საფუძვლიანად შეასუსტა და ოდესღაც პოლიტიკურად მთლიანი საქართველო პატარა ერთეულებად დააქუცმაცა. ამის შემდეგ საქართველოში წარმოიშვნენ ცალკე დამოუკიდებელი სამთავროები და სამეფოებიც კი. რა თქმა უნდა, მსხვილი ფეოდალების ეკონომიური და პოლიტიკური გაძლიერება დიდიხნით ადრე იყო დაწყებული, მაგრამ საქართველოს ცალკე სამეფოებად და სამთავროებად დანაწილების პროცესი თვალსაჩინო გახდა მთელი თავისი დამღუპველი შედეგებით მხოლოდ მის შემდეგ, როცა სამცხის ათაბაგმა ყვარყვარემ სამცხე-საათაბაგო სავსებით დამოუკიდებლად ჩასთვალა და დაიწყო ბრძოლები მეფის ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ.

სამცხე-საათაბაგოს შესახებ საქართველოს მუზეუმში შემონახულ ერთერთ ხელთნაწერში, რომელიც დასათაურებულია — „შემოკლებულად მოთხრობა ძველის საათაბაგოსათვის ვახუშტის ისტორიიდამ“ (A-1767) ვკითხულობთ: „ჟამსა საქართველოს სამეფოს ერთობისასა ამ ადგილის მეპატრონეთა ეწოდებოდა მთავარი. ხოლო მე-14 საუკუნეში ერთობის მეფემან გიორგი მეექვსემან, მაშინდელს მთავარსა სარგის ჯაყელსა [illegible] ხელი ათაბაგობისა, მთავრობა [illegible] და ამიერიდან სამთავროსა ამას ეწოდა საათაბაგო. ამას ამტკიცებს სამართალი დაწერილი ათაბაგის აღბუღასაგან, რომელიც ვახტანგ მეფეს შემოუტანია თავის სამართლის წიგნშიო“.

სამცხე-საათაბაგოს განკერძოების ტენდენცია უფრო ადრეც, მე-13 საუკუნეში შეიმჩნეოდა, მაგრამ ეს იყო დამოუკიდებელი სამცხე-საათაბაგოს წარმოქმნის პირველი და ისიც გაუბედავი ნაბიჯები. მაშინ მეფის ცენტრალური ხელისუფლება ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერი იყო იმისათვის, რომ ეს დამღუპველი ტენდენციები დასაწყისშივე შეეზღუდნა და თავიდან აეცილებინა მომავალი განსაცდელი. მაგრამ მე-15 საუკუნის ნახევარში ათაბაგების განკერძოებითი მოქმედება კვლავ გაძლიერდა, ხოლო აქედან იწყება საქართველოს ყველაზე უფრო გართულებული შინაპოლიტიკური და საერთაშორისო ვითარება. ოსმალეთისა და ირანელ დამპყრობელების ორმხრივი იერიშები საქართველოზე უფრო მწვავე და სასტიკ ხასიათს ღებულობს. საქართველოს დაძაბული ბრძოლები დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ორი ძლიერი მტრის წინააღმდეგ უფრო მედგარი და შეუპოვარი ხდება. დამპყრობელების წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში სამცხე-საათაბაგო, მიუხედავად საქართველოსაგან განდგომისა, არამც თუ ჩამორჩებოდა, არამედ მოწინავე ადგილსაც კი იკავებდა. მე-16 საუკუნის მეორე ნახევრიდან სამცხის ათაბაგები, ხან საქართველოს მეფეებთან ერთად, ხან სრულებით განცალკევებულად, აწარმოებდნენ ოსმალეთისა და ირანის წინააღმდეგ განუწყვეტელ და შეუპოვარ ბრძოლებს. ეს არა თანაბარი ბრძოლა ათაბაგებისა მტრებთან მომდევნო საუკუნეებშიც გრძელდებო-

და, მაგრამ ათაბაგების განკერძოებით მოქმედება, მიუხედავად მათი თავგანწირვისა, სამცხისათვის მაინც დამღუპველი აღმოჩნდა. მე-17 საუკუნის ნახევარში სამცხე-საათაბაგო იძულებული გახდა ოსმალ დამპყრობლების მძიმე უღელი ეკისრნა.

* * *

იმ დროს, როცა ბატონყმობის განვითარების საფუძველზე და მნიშვნელოვან გარეგან ფაქტორების ზეგავლენით ხდებოდა საქართველოს პოლიტიკური დაქუცმაცება და მისი შემდგომი დასუსტება, სამცხე-საათაბაგო XVI საუკუნის პირველ ნახევარში, როგორც დამოუკიდებელი ფეოდალური სამთავრო, თავისი განვითარების უმაღლესი მწვერვალისაკენ მიისწრაფოდა. „მე-16 საუკუნის პირველ ნახევარში სამცხის ათაბაგებმა გამარჯვებით დაასრულეს ხანგრძლივი ბრძოლა, რომელსაც ისინი საქართველოს მეფის ყმობისაგან განთავისუფლებისათვის აწარმოებდნენ“ [1], და თუ XVI საუკუნის მეორე ნახევარშიაც გრძელდებოდა ათაბაგების ბრძოლა საქართველოს მეფეებთან, ეს იყო ბრძოლა მხოლოდ მოპოებული დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის.

XVI საუკუნის დასაწყისი კვლავ აღინიშნა სამცხის ათაბაგების სისტემატური ცდებით თავიანთი უფლებების გაძლიერებისათვის. ათაბაგების ერთერთი მნიშვნელოვანი ბრძოლა საქართველოს მეფის ხელისუფლებასთან დამოუკიდებლობის მოსაპოებლად ჩატარდა ჯერ კიდევ 1483 წელს არადეთთან. ყვარყვარე ათაბაგმა ამ ბრძოლაში გამოიყენა ყველა საშუალება, დაწყებული შეიარაღებული ძალებიდან მეფე კონსტანტინეს ქვეშევრდომთა ცალკე ჯგუფების აჯანყებათა მოწყობით. საქმე ისაა, რომ 1477 წელს უზუნ-ჰასანი სამცხე-საათაბაგოს შემოესია, ააოხრა იგი, აწყურიც გასანადგურა და წაიღო აწყურის „სასწაულთმოქმედი“ ღვთისმშობლის ხატი, რომელსაც სახელი ჰქონდა განთქმული ცრუმორწმუნეთა შორის. ირანელების მიერ დარბევისა და აწიოკების შედეგად სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი ქართლს შეეხიზნა და შვიდი წლის განმავლობაში მესხნი „მწირობდნენ მუნ“ [1].

აღნიშნულ ხნის განვლის შემდეგ, როცა სამცხე-საათაბაგოს მდგომარეობა ხელახლად განმტკიცდა, „წარტყვენილი“ ხატი უკან დაბრუნებულ იქნა ადგილზე, რაც თავის მხრივ ნიშნავდა უზუნ-ჰასანთან კავშირის აღდგენას და, მაშასადამე, სტაბილური პოლიტიკური სიტუაციის შექმნას. სამცხიდან გახიზნულებმა მოისურვეს დაუყოვნებლივ თავიანთ მიწა-წყალზე უკან დაბრუნება, „ხოლო მეფე კონსტანტინე აყენებდა და არა უტევებდა წამოსვლასა“ იმის გამო, რომ ის საერთოდაც სცდილობდა ათაბაგების შესუსტებას და საათაბაგოს საბოლოო დამორჩილებას, ყვარყვარე სარგებლობდა ქართლში გადახვეწილ მესხთა უკმაყოფილებით, მათთან აგზავნიდა თავის კაცებს მეფის წინააღმდეგ მესხთა ასაჯანყებლად და სცდილობდა კონსტანტინეს პოლიტიკურ მდგომარეობის შერყევას. მეფეს ახსოვდა ათაბაგის მიერ წარსულში ურჩობის გამოჩენაც, როდესაც მან სთხოვა ყვარყვარეს დახმარება შეიარაღებულ ძალებით „თათარსა ზედა, არაძედ არა ინება ყვარყვარემ“.

ამგვარად მეფეცა და ყვარყვარეც ემზადებოდნენ მომავალი ომისათვის. ომის გამომწვევი მიზეზი ორივე მხარისათვის თვალსაჩინო იყო, მხოლოდ ათაბაგი დაეძებდა ხელსაყრელ საბაბს ბრძოლის დაწყებისათვის. როგორც

[1] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, გვ. 318, 1946 წ. გამოც.

[1] „ქართლის ცხოვრება“, გვ. 699, გამოც. ზ. ჭიჭინაძის მიერ 1899 წ.

ვახუშტი გადმოგვცემს[1], ეს საბაბიც გამოჩნდა. ერთერთი მესხი ვაჭარი, რომელიც აბრეშუმის სასყიდლად წასული იყო შაქში, იქიდან შეურაცხყოფილი და გაძარცული დაბრუნდა. ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ყვარყვარე დაძრულიყო მეფის წინააღმდეგ თავისი შეიარაღებული ძალებით. ათაბაგის შეიარაღებულ ძალებსა და მეფის ჯარის ნაწილებს შორის გაიმართა მწვავე ბრძოლა. „ქართლის ცხოვრება“ ამ ბრძოლის შედეგებს შემდეგნაირად აღწერს: „ქორონიკონსა 171 (=1483 წ.), თვესა აგვისტოსა 13, ათაბაგს და მესხთ გაემარჯვა და ესე ვითარი ძლევა აღადგინეს მესხთა ქართველთა ზედა, რომლისა მსგავსი არა სადა სმენილ არს და მოსრნეს მრავალი წარჩინებულნი მეფისანი. ხოლო მეფე ლტოლვილი მცირედითა მხედრითა განერა და უკუნ იქცა სახედ თვისად“[2].

„საქართველოს ცხოვრების“ მიხედვით გამოდის, რომ ამ ამბების გამომწვევი მიზეზი იყო მესხი ვაჭრისათვის შეურაცხყოფის მიყენება შაქში, რადგან არადეთის ბრძოლა უშუალოდ მოჰყვა მას; ამ ბრძოლის პირველი ინიციატორი მეფე უნდა ყოფილიყო, ვინაიდგან, როცა ათაბაგის რაზმი შაქიდან უკან ბრუნდებოდა სამცხისაკენ მეფის ტერიტორიაზე გავლით, მეფის ლაშქარი გადაეღობა ათაბაგს და მოსთხოვა მეფისადმი მორჩილების გამოცხადება. ათაბაგისადმი ამგვარ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ულტიმატუმის წამომყენებლად „საქართველოს ცხოვრებაში“ დასახელებულია მროველი ეპისკოპოსი, რომელმაც ათაბაგს შემდეგით მიმართა: „ანუ მოვედ და მორჩილ ექმენ მეფესა ჩვენსა, ვინადგან ხარ მკვიდრი, ახუ შეგიპყრობთ, რამეთუ ხელთა შინა ჩვენთა ხარ“. ამაზე ათაბაგის მხრით უარის მიღებისთანავე, მროველმა დასძინა: „არა უწყი, რამეთუ ხელთა ნავს აღმართსაო?!“

ასეთ გამოწვევას უშუალოდ მოჰყვა ბრძოლა მოწინააღმდეგეთა შორის. ავტორის თქმით „ამისათვის მიაქცივა ათაბაგ-მან მროველი ბრძოლისა პირსა ზედა, მაშინვე მოეტევნენ ქართველნი, და აქით ეკვეთნენ მესხნი არადეთის გორასა ზედა (რომელსა მიერ ჟამითგან ეწოდა ცეცხლის-ჯუარი ფიცხელ ძლიერისა ომისათვის), და იქნა ბრძოლა სასტიკი...“. ბრძოლის გამარჯვებით დამთავრებისას ათაბაგის ბანაკიდან, შეპყრობილ მროველს დაცინვით მიაძახეს: „უკეთუ ხნავს ძალი აღმართსა, ნებამ დაფარცხოს თავდაღმართი, ვინათგან არა ჰყო მღვდელთ-მთავარმან მშვიდობაო...“[1].

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით კი არადეთის ბრძოლა დაიწყო მას შემდეგ, როცა მესხებმა გადასწყვიტეს: „აღვსდგეთ და წარვიდეთ ქვეყანასა ჩვენსა; ხოლო მეფე კონსტანტინე აყენებდა და არა უტევებდა წამოსვლასა. და ვითარცა ჰპოვეს ჟამი მარჯვე, აღსდგეს ღამესა ერთსა და წარმოემართნეს ყოვლით სახლეულით მათითურთ. და ესმა მეფესა, ვითარმედ მესხნი წარვიდეს, აღიმხედრა ლაშქრითა თვისითა და დევნა უყო, ვითარცა იგი ოდესმე ფარაო ისრაილთა. და მოეწივნეს ადგილსა, რომელსა არადეთი ეწოდების. ხოლო მესხნი მობრუნდეს სახელსა ზედა ყოვლად-წმინდისა აწყურისა ღვთისმშობლისასა და განეწყვნეს ურთიერთას და შეიბნეს კონსტანტინე მეფე და ყვარყვარე ათაბაგი და მესხნი“[2].

უნდა ვიფიქროთ, რომ „ქართლის ცხოვრების“ ეს განმარტება ბრძოლის უშუალო დაწყებისა სინამდვილეს უნ-

[1] ვახუშტი, „საქართველოს ცხოვრება“, გვ. 239.

[2] „ქართლის ცხოვრება“, გვ. 702, გამოც. ზ. ჭიჭინაძის მიერ 1899 წ.

[1] ვახუშტი, „საქართველოს ცხოვრება“. გვ 240, 1913 წ. გამოც.

[2] „ქართლის ცხოვრება“, გვ. 702, გამოც. ზ. ჭიჭინაძის მიერ 1899 წ.

და შეეფერებოდეს, ხოლო „საქართველოს ცხოვრებაში“ მოთხრობილი ვაჭრის თავგადასავალი, როგორც ზევითაც იყო აღნიშნული, ამ ვითარების დამაგვირგვინებელი საბაბი უნდა ყოფილიყო.

ყვარყვარე ათაბაგი ერთის მხრივ თუ ებრძოდა მეფის ცენტრალიზებულ ხელისუფლებას, მეორეს მხრივ, შიგნით სამცხე-საათაბაგოში წვრილი და მსხვილი ფეოდალების დამორჩილების საშუალებით, მტკიცედ ატარებდა საკუთარი ხელისუფლების გაძლიერების პოლიტიკას. იმ ფეოდალების დიდი რაოდენობა, რომელთაც ადრევე მეფის ხელისუფლებისაგან ჰქონდათ მიღებული წყალობანი და მამულები და რომლებიც კვლავ გარკვევით ამჟღავნებდნენ მეფისადმი ერთგულებას, ან სიკვდილით დაისაჯა, ან მთლიანად გაძევებულ იქნა სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიიდან. მათი მამულებისა და უძრავი ქონების კონფისკაციით ათაბაგი ზრდიდა თავის ეკონომიურ ბაზას და საერთო შემოსავალს [1].

ამ საკითხში, როგორც სჩანს, ყვარყვარე არ დაკმაყოფილებულა მარტო საერო ფეოდალების ალაგმვით. აღსანიშნავია შემდეგი ეპიზოდი. იაღუბ ყაენის შეიარაღებული ძალები „ჩაუდგნენ და მოიცვეს სრულიად და იავარჰყვეს ქვეყანა სამცხისა და მერმე მოადგეს ციხესა და ქალაქსა ახალციხისასა. ჰბრძოდეს დიდხან და ვეღარა დაუდგნა სიმაგრემან. გატეხნეს ციხე და დაწვეს ქალაქი და დაიპყრეს ხელთა მესხნი დარბაისელნი ციხოვანნი. მერმე აიყარნეს და მოადგეს ციხესა და ქალაქსა აწყურისასა და მოწვეს აწყური და მოაოხრეს ქალაქი და ციხესა ვერ უძლეს ბრძოლითა აღებად და წარსულა ინებეს...“ [1]. მაშინ აწყურის ციხის დამცველთა შორის სასულიერო წოდების წარმომადგენელნი აღმოჩნდნენ გამბედავნი და მოღალატენი. მათი მოწვევითა და დახმარებით უკანდაბრუნებულმა იაღუბ ყაენის ჯარებმა დაიკავეს ციხე და აწყურიც ხელახლად ააოხრეს. ყვარყვარე მოღალატეებს სასტიკად გაუსწორდა. მან ეს საქციელი არ აპატია თვით მაწყვერელსაც კი. დამნაშავეთა დასჯის შემდეგ მაწყვერელის თანამდებობაზე მოიწვია ტრაპიზონიდან ბერძენი ეპისკოპოსი. ათაბაგი ფიქრობდა, რომ ბერძენი ეპისკოპოსის მოწვევით სამცხეში მეფე კონსტანტინეს სრულებით გამოეცლებოდა დასაყრდენი და საათაბაგო შეიქმნებოდა დამოუკიდებელი როგორც პოლიტიკურად, ისე საეკლესიო ხაზითაც.

ასეთ ღონისძიებათა მიღებით ყვარყვარეს მმართველობის პერიოდში საათაბაგოს შიგნით ათაბაგობის ხელისუფლება უფრო მეტად განმტკიცდა. დროებით აღიკვეთა ფეოდალების თავაშვებულება და როგორც იტყვიან — დამყარდა „წესრიგი“ და მშვიდობიანობა. ყვარყვარემ „დაიპყრა სრულიად საათაბაგო, რამეთუ იყო ესე მშვიდობის მოყვარე, გარნა მხნე, ახოვანი და შემმართებელი“ [2].

მეთექვსმეტე საუკუნე სამცხე-საათაბაგოსათვის დაიწყო ყვარყვარეს ძის ქაიხოსროს (პირველის) მმართველობით. ის განაგრძობდა ყვარყვარეს პოლიტიკას, რაც მიმართული იყო სამცხეში ათაბაგობის ხელისუფლების განმტკიცებისაკენ. სამცხე-საათაბაგოს ფეოდალები ათაბაგისადმი კვლავ მორჩილებას იჩენდნენ, თუმცა ზოგიერთ ადგილებში ქაიხოსროს მაინც დასჭირ-

[1] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, გვ. 318, 1946 წ. გამოც.

9. „მნათობი“, № 10.

[1] „ქართლის ცხოვრება“, გვ. 703, გამოც. ზ. ჭიჭინაძის მიერ, 1899 წ.

[2] ვახუშტი, „საქართველოს ცხოვრება“, გვ. 238 — 239, 1899 წ. გამოც.

და ცალკეული განდგომილი თავადების წინააღმდეგ ღონისძიებათა მიღება.

ქაიხოსრო ცდილობდა მეზობელ ფეოდალურ სამთავროებთან და მეფეებთან მეგობრული ურთიერთობა დაემყარებინა. „ამან ქაიხოსრომ იწყო მეგობრობა გარემოთა მისთა მეფეთა და დაიპყრა საათაბაგო და განაგებდა მორჩილებასა შინა თვისსაო“ — ვკითხულობთ „საქართველოს ცხოვრებაში“. მაგრამ, როგორც სჩანს, ამ დროს უკვე საგრძნობი გახდა არზრუმისა და ტრაპიზონის ფაშების აგრესიული პოლიტიკა სამცხე-საათაბაგოს საზღვრების მიმართ. განსაკუთრებით ეს ეხებოდა ჭანეთს, რომელზედაც არა ერთხელ სცადეს აღნიშნულმა ფაშებმა გალაშქრების მოწყობა, თუმცა მაშინ ვერაფერს გახდნენ. ქაიხოსროს ათაბაგობის დროს სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები სამცხე-საათაბაგოს ისტორიაში არ არის აღნიშნული; მისი ათაბაგობა ხანმოკლე დროით განისაზღვრა (1500 — 1502 წ. წ.) [1].

შედარებით უფრო მდიდარი ისტორიული მოვლენებით აღინიშნა მზეჭაბუკ დიდის (ქაიხოსროს-ძის) მმართველობის პერიოდი (1502—1516 წ.წ.). მზეჭაბუკი ჯერ კიდევ ათაბაგად დადგომამდე კარგად იცნობდა იმდროინდელ პოლიტიკურ ყოფა-ცხოვრებას და სათანადოდ იწრთობოდა ძალაუფლების აღებისათვის. ათაბაგად დადგომისთანავე მან სამოსამართლო აპარატის ცენტრალიზაციით უფრო მეტად განამტკიცა ფეოდალური წესრიგი, გადაიყენა უღირსი მოხელეები, აღკვეთა თავდასხმები სავაჭრო ქარავანებზე, სასტიკად დასაჯა ქურდები და მტაცებლები. „... ამას დიდს მზეჭაბუკს ამისათვის უწოდდნენ, რამეთუ დღეთა მისთა არა აღაფრინდა ქათამიცა უსამართლოდ საათაბაგოსა შინა და ცხოვრებდა თვისთა მეზობელთა თანა სიყვარულითა და მეგობრობითა“ [1].

მაგრამ საერთაშორისო ასპარეზზე ამ დროისათვის ურთულესი პირობები იქმნებოდა. ჯერ ერთი, საქართველოს მეფეები მე-16 საუკუნის პირველ ნახევარში კვლავ დაუღალავად განაგრძობდნენ ბრძოლას საქართველოსაგან განდგომილ საათაბაგოს უკანდაბრუნებისათვის, მეორეც—ამავე ხანებში ოსმალეთსა და ირანს შორის შექმნილი მტრული განწყობილება თანდათან უფრო სასტიკ ხასიათს ღებულობდა. ოსმალეთ-ირანის ბრძოლაში საბოლოოდ გაიმარჯვებდა ის, ვინც პირველი დაიკავებდა სამხედრო ოპერაციებისათვის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე საქართველოს ტერიტორიას, განსაკუთრებით კი მის სამხრეთ ნაწილს. ამ მხრივ „ათაბაგთა სამფლობელოს საქართველოს სხვა ნაწილებზე ნაკლებ ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა ჰქონდა. დასავლეთიდან მას ოსმალეთი მისდგომოდა, ხოლო სამხრეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ირანის ყაენის სამფლობელო ეკრა. სუსტ მეზობელს ორივე მტერი ჩასანთქავად უყურებდა“ [2].

ყოველივე ამან სამცხე-საათაბაგოს წინაშე წამოაყენა სამგვარი გზა: პირველი—შეერთება საქართველოსთან და მასთან ერთად ბრძოლა თურქ და ირანელ დამპყრობლების წინააღმდეგ, რაც თავის მხრივ გულისხმობდა სამცხე-საათაბაგოს დამოუკიდებლობის დაკარგვას საკუთარ ერთან გაერთიანების ანგარიშზე; მეორე — ირანდამპყრობელთათვის ყურმოჭრილ მონად გადაქცევა და ყოველგვარი ეროვნული სახის და-

[1] მ ა რ ი ბ რ ო ს ე, „საქართველოს ისტორია“, წიგ. I, გვ. 169, გამოც. 1855 წ. ათაბაგების მოღვაწეობის სხვა ქრონოლოგიაც მცირე შესწორებით აღებულია აქედან.

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, „საქართველოს ცხოვრება“, გვ. 242.

[2] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, მ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, გვ. 318 — 319.

კარგვა; მესამე—ოსმალეთის ყმობა, რაც აგრეთვე ეროვნული სახის დაკარგვას მოასწავებდა. მეთექვსმეტე საუკუნის პირველ ნახევრის დროის ათაბაგებს შეგნებული ჰქონდათ ის, რომ ზემოთ აღნიშნულიდან ყველაზე ნაკლებ „ბოროტებას“ წარმოადგენდა პირველი; მაგრამ საქართველოსთან გაერთიანება, ან უფრო სწორეთ, საქართველოს გაერთიანება თუ აუცილებელი იყო გარეშე მტერთან ბრძოლაში, ათაბაგების აზრით ეს უნდა მომხდარიყო საათაბაგოს ინიციატივით და არა საქართველოს რომელიმე სხვა ნაწილის მეთაურობით, რადგან ისინი თავიანთ თავს, შედარებით საქართველოს სხვა ფეოდალებთან და მეფეებთანაც კი, ძლიერად სთვლიდნენ და ამ საქმეში პირველობას ჩემულობდნენ.

ამის საუკეთესო მაჩვენებელია თუნდაც ის ფაქტი, რომ როცა ბასიანში მოვიდნენ არზრუმისა და დიარბექირის ფაშები თავიანთი შეიარაღებული ძალებით და მათსა და მეფეებს (ბაგრატი და ლუარსაბი) შორის უნდა დაწყებულიყო ცნობილი 1545 წლის სოხოისტას ბრძოლა, „... იქმნა რამე განზრახვა ქართველთა-შორის: თქვეს ქართველთა და აღირჩიეს მეწინავედ მისვლა; არამედ მესხთა არა თავს იდვეს, იტყოდეს: „ვითარმედ ძველთაგანვე მეწინაობად მისვლა მესხთათვის განწესებულ არს და აწცა ჯერ არს ჩვენდა მისვლაო და რამეთუ რიგი ესე და წესი ძველთაგანვე გვაქვსო“ [1].

ცხადია, რომ არსებულ რთულ პოლიტიკურ პირობებში, დაქუცმაცებული საქართველოს ცალკეული ნაწილების მმართველ პირებიდან ვინც უფრო აქტიურ პოლიტიკას გაატარებდა და დანარჩენთა შორის მეწინავეობას დაიჩემებდა, წარმატების შედეგებიც იმის განკარგულებაში უნდა ყოფილიყო; მაგრამ რაკი ათაბაგები, მიუხედავად თავიანთი ძლიერებისა, ვერ ახერხებდნენ გაერთიანების საკითხის თავიანთ სასარგებლოდ მოგვარებას, ამიტომ მათ მეტი აღარა დარჩენოდათ რა, თუ არა მოქნილი დიპლომატიის გამოყენება საერთაშორისო ურთიერთობაში, მხარეთა შორის არსებულ წინააღმდეგობათა გამოყენება თავიანთ სასარგებლოდ და ხელის შეწყობა ყოველივე იმ პოლიტიკურ მოვლენებისა, რაც დაასუსტებდა საათაბაგოს მეზობელ ქართველ ფეოდალებს და მეფეებს.

ოსმალებმა საათაბაგოს განაპირა რაიონებზე „კირთება“ დაიწყეს ჯერ კიდევ ქაიხოსროს ათაბაგობის დროს. შემდეგ, როდესაც „თრიაქის-მჭამელის, სისხლისმსმელისა და გალუცინატ პოეტის“ სულთან სელიმის ჯარები დაიძრნენ თავიანთი სერასკერის ხელმძღვანელობით „გეორგიის დასაპყრობად“ და ირანზე გასალაშქრებლად, მათ გამოიყოლეს თან ოსმალეთიდან დიდი რაოდენობით საბრძოლო საჭურველი და მძიმე ზარბაზნები. მაგრამ გზა, რომელიც უნდა გაევლოთ ოსმალთა ჯარებს ასეთი მძიმე საჭურველით, სრულიადაც არ აღმოჩნდა საამისოდ გამოსადეგი, რის შედეგადაც თურქების მნიშვნელოვანი რაოდენობა გზაშივე განადგურდა. ამ გარემოებას დაემატა ისიც, რომ მოადგნენ თუ არა ოსმალნი სამცხე-საათაბაგოს საზღვრებს, შემოაკლდათ სურსათ-სანოვაგე. ოსმალთა ჯარებში, სიმშილის შედეგად, თანდათან დაიწყო უკმაყოფილების გამწვავება, რაც შემდეგ ცალკეულ ჯარის ნაწილების ამბოხებაშიც კი გადაიზარდა.

საათაბაგოს საზღვრებთან ოსმალთა მოახლოება მზეჭაბუკმა დროულად შეიტყო. მან გადაწყვიტა მოლაპარაკებით შეთანხმება ოსმალებთან; იგი ფიქრობდა ამის საშუალებით გადაერჩინა სამცხე-საათაბაგო ოსმალთა მიერ აოხრებისაგან და გარდა ამისა ოსმალთავვ

[1] „ქართლის ცხოვრება“, გვ. 722—723, გამ. ზ. ჭიჭინაძის მიერ 1899 წ.

დახმარებით ჩამოერთმია გურიელისათვის აჭარა და ჭანეთი, რომელთაც ათაბაგები სამცხე-საათაბაგოს კუთვნილებად სთვლიდნენ. აღსანიშნავია ამასთან, რომ მზეჭაბუკი არ გამორიცხავდა ოსმალებთან დიპლომატიური მოლაპარაკების ჩაშლის შესაძლებლობასაც; სწორედ ამიტომ, და კიდევ იმის გამო, რომ მოლაპარაკების დროს მესხთა წარმომადგენელს მისცემოდა მეტი გავლენა და ავტორიტეტი, მან მოლაპარაკების დაწყებამდე „განამაგრნა ციხენი და სიმაგრენი და დახიზნა ხიზანნი და თვით განზრახვითა მესხთათა ეზრახა სარასკარსა და მივიდა წინაშე მისსა“.

მზეჭაბუკმა მართლაც მოხერხებულად გამოიყენა შექმნილი ხელსაყრელი სიტუაცია. სურსათ-სანოვაგეს მოკლებული სერასკერი, რომელმაც გაითვალისწინა სამცხე-საათაბაგოს მზადყოფნა ოსმალთაგან თავდაცვისათვის და ათაბაგთან მოსალოდნელი ომის სიძნელენი, დასთანხმდა მზეჭაბუკს სამცხის უვნებლობაზე იმ პირობით, რომ მზეჭაბუკისაგან მიიღებდა საკმაო რაოდენობის სურსათ-სანოვაგეს, რაც სერასკერს მისცემდა შესაძლებლობას სამხედრო ექსპედიციის გაგრძელებისათვის ირანის წინააღმდეგ[1]; ამავე დროს სერასკერმა მოითხოვა მზეჭაბუკისაგან „ყოლაუზობა იმერეთსა ზედა“. ამგვარად მზეჭაბუკმა თავის ორივე მიზანს მოხერხებულად მიაღწია. მან, ოსმალთა დახმარებით, ბრძოლით ჩამოართვა გურიელს აჭარა და ჭანეთი, ამას კი მცირე მნიშვნელობა როდი ჰქონდა სამცხე-საათაბაგოს განმტკიცებისათვის. ოსმალებმაც, ამ შემთხვევაში, რატომღაც შეასრულეს თავის დაპირება სამცხის უვნებლობაზე და არც პირველად მოსვლისას და არც ჩალდირანის ომის დამთავრების შემდეგ (1514 წ.) სამცხეზე გამოვლისას, მისთვის ზიანი არ მიუყენებიათ.

მაგრამ ჭანეთისა და აჭარის შემომტკიცება მარტო ოსმალეთთან კავშირით ვერ იქნებოდა უზრუნველყოფილი, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ეს კავშირი არ იყო მყარი და მას შემდეგში ოსმალნი წამდაუწუმ არღვევდნენ, და მეორეც, იმის გამო, რომ შემოერთებულ მხარეებში როგორც აჭარის, ისე ჭანეთის ზოგიერთი ფეოდალები გურიელის ორიენტაციას ირჩევდნენ. თვით გურიელი კი, ამ ადგილების უკან დაბრუნებისათვის, თავის მხრივ დაეძებდა მოკავშირეებს მზეჭაბუკის წინააღმდეგ და ამისათვის ეძებდა ხელსაყრელ მომენტს. გურიელმა ასეთი შესაძლებლობა კიდევაც ნახა ყვარყვარე მეოთხის ათაბაგობის დროს, რაზედაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. ეს გარემოება კარგად გაითვალისწინა მზეჭაბუკმა და ამიტომ მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა დაამყარა დავით მეფესთან[1]. ამგვარად მზეჭაბუკის მოხერხებულმა საგარეო პოლიტიკამ სამცხე-საათაბაგო მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისისათვის გადაარჩინა ოსმალთა დამონებისაგან და შესძლო მისი დამოუკიდებლობის დაცვა.

მზეჭაბუკის შემდეგ ათაბაგობდა მისი ძე ყვარყვარე IV (1516—1535 წ.წ.), რომელმაც განაგრძო მამის პოლიტიკა მეფე დავითთან კავშირის დამყარების საკითხში. ათაბაგის მიერ მტკიცე კავშირის დამყარება მეფესთან არ აღმოჩნდა მისაღები ოსმალთათვის, რადგან ეს გარემოება ასე თუ ისე აძლიერებდა ათაბაგს და ამით დამოუკიდებლად ხდიდა მას ოსმალთაგან. გარდა ამისა, დავითი პირველ ხანებში კარგ დამოკიდებულებაში იყო ირანთან და ამგვარად

[1] Лавис и Рамбо, Всеобщая история, გვ. 653. სერასკერისა და ათაბაგის მოლაპარაკების აღნიშვნისას, ავტორი ათაბაგს შეცდომით ჯანიკს უწოდებს.

[1] ვახუშტი, „საქართველოს ცხოვრება“, გვ. 242.

ირანის შაჰს, დავითის საშუალებით, შეეძლო გავლენა მოეხდინა სამცხე-საათაბაგოზე, რაც ოსმალეთისათვის ასევე მიუღებელი იყო. ყოველივე ამის გამო, ყვარყვარე ათაბაგის დასასჯელად ოსმალეთის ჯარები კვლავ მოადგნენ სამცხე-საათაბაგოს საზღვრებს.

მაგრამ ყვარყვარემ მოასწრო სათანადო სამზადისის ჩატარება. საათაბაგოს მოსახლეობა საშიშ ადგილებიდან დროულად გაიხიზნა. საათაბაგოში არსებული ყველა მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრეების გარნიზონები შევსებულ იქნენ, რის გამოც ოსმალდამპყრობლებმა ეს სიმაგრეები ველარ დაიკავეს. უფრო მეტიც—საათაბაგოს მშვიდობიანი მოსახლეობის დარბევაც კი მათთვის შეუძლებელი გახდა ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა მიღების შედეგად. „მაშინ ოსმალთა რა ვერღა-რა რაი ჰპოვეს სამცხეს, გარდავლეს სამცხე და შთავიდნენ თრიალეთს და მერმე ქართლს და მუნ მოსწყვიტა დავით მეფემან და ლტოლვილთა გამოვლეს კვალად საათაბაგო“ [1].

ყვარყვარე ამის შემდეგაც შეეცადა ოსმალეთის გულისმოგებას, რათა შემდგომი მოლაპარაკებისათვის შეემზადებინა ნიადაგი. როდესაც ქართლიდან ლტოლვილი ოსმალები გავიდნენ კვლავ საათაბაგოს ტერიტორიაზე, მათთვის წინააღმდეგობის გაწევის ნაცვლად ყვარყვარემ მათ სურსათ-საზოვაგე მიაწოდა. ამასთან ყვარყვარე კვლავ განაგრძობდა მეფე დავითისადმი დახმარების გაწევას; აღსანიშნავია, რომ ეს დახმარება უკვე ოსმალთათვისაც საესურველი იყო, რადგან ათაბაგისა და მეფე დავითის შეიარაღებული ძალები ამჯერად ბრძოლას აწარმოებდნენ შაჰ ისმაილის წინააღმდეგ, რომელიც მოსდგომოდა თბილისს. ამიტომ შაჰმა გაღასწყვიტა „მდევარ-მარბიელნი“ გაეგზავნა საათაბაგოს დასარბევად. ყვარყვარეს ღონისძიებანი მათ წინააღმდეგ უშედეგოდ დარჩა, რადგან ირანელებმა სწრაფად მოახდინეს სამცხეს დარბევა და უკუიქცნენ.

ყვარყვარემ კიდევ ერთხელ მონახა შესაძლებლობა სულთანისათვის თავის ერთგულების დამტკიცებისა. როცა სულთან სელიმი აწარმოებდა მზადებას ეგვიპტისა და სირია-პალესტინის დასაპყრობად, მაშინ ოსმალეთმა დახმარების თხოვნით გამოგზავნა თავისი წარმომადგენელი საქართველოშიც. როგორც ვახუშტი მოგვითხრობს, „ამანვე ყვარყვარემ, ოდეს მოვიდა მაწვეველი ხონთქრისა მეფეთა თანა, დაპყრობად იერუსალიმისად, აღირჩია ქართველთა მეფე გიორგი და მივიდა მის-თანა სპითა თვისითა, მიჰყვა მას იერუსალიმს და მოიქცა მისთანვე გამარჯვებულიო“ [1].

ვახუშტისაგანვე ვტყობილობთ, რომ ოსმალთა ამ მიწვევაში მონაწილეობა მიუღია აგრეთვე იმერეთის მეფე ბაგრატსაც, მაგრამ ყვარყვარე, როგორც განხილულ ამონაწერიდანაც სჩანს, თავისი ლაშქრით გაჰყოლია დამხმარედ არა ბაგრატს, არამედ მეფე გიორგის. ეს ამბავი და კიდევ ის გარემოება, რომ ოდესღაც ყვარყვარეს მამა მზეჭაბუკი გახდა ოსმალებისათვის გზის მაჩვენებლად იმერეთზე გალაშქრებაში, მიზეზად გადაიქცა იმისათვის, რომ იმერეთის მეფე ბაგრატს „შური ეძივნა“ სამცხეზე და დაემორჩილებინა საათაბაგო თავის ბატონობისათვის.

რადგან მეფე ბაგრატისათვის მარტო შებმა ათაბაგთან სახიფათო იყო, ამიტომ მან დაიწყო მოკავშირეების ძებნა. ბუნებრივია, რომ ამ შემთხვევაში მის მოკავშირედ უნდა ყოფილიყო გურიელი, რომელიც, როგორც უკვე აღნიშნული იყო, დიდხანს ელოდა ასეთ ხელ-

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, „საქართველოს ცხოვრება“, გვ. 242.

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, „საქართველოს ცხოვრება“, გვ 242.

საყრელ შემთხვევას აჭარისა და ჭანეთის უკანდაბრუნებისათვის. რა თქმა უნდა, ის სიხარულით გამოეხმაურა ბაგრატის წინადადებას და თავისი შეიარაღებული ძალებით შეუერთდა მას სამცხეზე გასალაშქრებლად. მიუხედავად ამისა, თუმცაღა საათაბაგო დასუსტებული იყო ირანელების დარბევის შემდეგ, ბაგრატმა მაინც ვერ გაბედა სამხედრო ოპერაციების დაწყება მანამდე, სანამ დადიანსაც ამ საქმეში არ გაიხდიდა თავის მოკავშირედ.

როგორც ვახუშტის ცნობებიდან სჩანს, გურიელი სიამოვნებით შეუერთდა ბაგრატს, „ხოლო დადიანი უნებლიეთ, შიშისათვის, მოერთო იგიცა ბაგრატს". მაგრამ დადიანის არაგულწრფელი დამოკიდებულება ბაგრატისადმი უფრო მეტად გამომჟღავნდა ათაბაგთან ბრძოლის დამთავრების შემდეგ.

გაერთიანებული ძალებით 1535 წლის 12 აგვისტოს ბაგრატ მეფე თავს დაესხა სამცხე-საათაბაგოს. სასტიკი ბრძოლა მოხდა ათაბაგსა და მოკავშირეებს შორის ახალქალაქის ახლოს მურჯახეთთან. ამის შესახებ „ქართლის ცხოვრებაში" (გვ. 721) ვკითხულობთ: „ქორონიკონსა 223 (=1535 წ.)... მუჯახეთს შეიბნეს აგვისტოს 13, დღესა ხუთშაბათსა, შეება მეფეთმეფე ბაგრატ და ათაბაგი ყვარყვარე ახალ-ქალაქს და დაიხოცნეს მრავალნი კაცნი და გაემარჯვა მეფეს, ხოლო—დარჩა ყვარყვარე, და მისნი ლაშქარნი და დაიპყრა სრულიად საათაბაგო ძემან ალექსანდრესა-მან".

ამგვარად ომში „მოსწყდნენ ორგნითვე ურიცხვნი". ათაბაგი ყვარყვარე ბაგრატთან ტყვეობაში გარდაიცვალა. სამცხე-საათაბაგო დროებით შეუერთდა იმერეთის სამეფოს. საათაბაგოს ნაწილი—აჭარა და ჭანეთი, თანახმად წინასწარი მოლაპარაკებისა, დაიკავა გურიელმა. ლევან დადიანმა კი, გამარჯვების შემდეგ, ბაგრატისაგან ვერაფერი მიიღო. უფრო მეტიც,—გურიელის გაძლიერება აჭარისა და ჭანეთის მისთვის გადაცემით დადიანისათვის, ხრულებითაც არ იყო სასურველი. „ამაში დადიანმა თავისთვის საფრთხე დაინახა და განდგომა გადასწყვიტა. თავისი განდგომა ლევან დადიანმა მაშინ გამოამჟღავნა, როცა ოსმალთა დიდი ჯარი სამცხეში შემოიჭრა—დადიანმა უარი უთხრა მეფეს ლაშქრით მოშველებაზე"[1].

მურჯახეთის ომიდან დაწყებული ვიდრე 1545 წლამდე სამცხე-საათაბაგომ დროებით შესწყვიტა თავისი დამოუკიდებლობა და საქართველოს შეუერთდა. მაგრამ ამ ათი წლის განმავლობაში საათაბაგოს ზოგიერთი მსხვილი ფეოდალი მაინც სცდილობდა მეფე ბაგრატისათვის წინააღმდეგობის გაწევას. სეპარატისტული მოძრაობა განსაკუთრებით გაძლიერდა მაშინ, როცა ამას სათავეში ჩაუდგა შალიკაშვილების გვარი. ამ გვარის ერთერთი წარმომადგენელი აქტიურად მოქმედებდა ყვარყვარე III ბრძოლის დროს მეფე კონსტანტინესთან.

ყვარყვარე IV-ის გარდაცვალების შემდეგ სამცხე-საათაბაგოს მთავარმა ოთარ შალიკაშვილმა თავის მომხრეებთან ერთად გადალახა სამცხის საზღვრები და ყვარყვარეს ძე ქაიხოსრო კონსტანტინეპოლში სულთან სულეიმანთან მიიყვანა შემწეობის სათხოვნელად. აქ მათ სამცხის დაკავება ბაგრატის მიერ ისე განუმარტეს სულთანს, როგორც ქართველ მეფის შურისძიება მზეჭაბუკ ათაბაგის საქციელზედ, რომელიც მან მოიმოქმედა ოსმალთა სასარგებლოდ იმერეთის დარბევის საქმეში. სულთანი უამისოდაც მზად იყო ხელი შეეშალა საქართველოს გაერთიანებისათვის, ამიტომ მან „წარმოატა-

[1] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, გვ. 317.

ნა მუსტაფა ფაშა სპითა დიდითა და ზარბაზნებითა დიდ-დიდითა".

მუსტაფა ფაშამ დაიკავა ტაო და დაარბია მისი მოსახლეობა. ტაოელების მხოლოდ ნაწილმა თავს უშველა მიუვალ ადგილებში გახიზვნით. დამპყრობლებმა სოფლების მნიშვნელოვანი რაოდენობა დასწვეს და ააოხრეს. ბაგრატ მეფემ, რომელმაც ვერ მიიღო რაიმე დახმარება შაჰ-თამაზისაგან, მოიხმო ოსმალებთან ბრძოლისათვის თავისი მოკავშირე გურიელი. შეერთებული ძალებით ოსმალ დამპყრობლებს „მოუხდა ბაგრატ მეფე და უწყვნეს ურთიერთარს, იქმნა ბრძოლა ძლიერი, მისცა ღმერთმან გამარჯვება ბაგრატს და იოტნეს ოსმალნი, მოსრნეს მრავალნი პირთა მახვილისათა. მაშინ მოკლეს თვით მუსტაფა ფაშა და სხვანი ილტოდეს ოსმალნი, და იშოვნეს მრავალნი საგანძური და დაიპყრო მტკიცედ საათაბაგო" [1].

მიუხედავად ამისა, მეფე ბაგრატის მმართველობა სამცხე-საათაბაგოში ამის შემდეგ დიდხანს აღარ გაგრძელებულა, იგი აღკვეთა 1545 წელს წარმოებულმა სოხოისტას ბრძოლამ, რომელიც მოხდა ოსმალებსა და ქართველთ შორის. „ქართლის ცხოვრების" მიხედვით ოსმალეთის მხრივ ამ ომში მონაწილეობას ღებულობდნენ არზრუმისა და დიარბექირის ფაშები, ხოლო ქართველთა მხრით — იმერეთის მეფე ბაგრატი, ქართლის მეფე ლუარსაბი და ათაბაგი ქაიხოსრო. „და შეიბნეს სოხოისტზედ იმერელ მეფე ბაგრატ და ქართლის მეფე ლუარსაბ და ათაბაგი პატრონი ქაიხოსრო. და სრულიად საქართველო იყო და ორი ფაშა იყო და მეფენი მეოტ იქმნეს" [2].

ვახუშტის მიხედვით ათაბაგი ქაიხოსრო და ოთარ შალიკაშვილი სულთანმა სულეიმანმა თავის ჯარებს გამოაყოლა [1]. მაშასადამე სოხოისტას ბრძოლაში ქაიხოსრო ათაბაგი ქართველ მეფეთა მხარეზე ვერ მიიღებდა მონაწილეობას, თუნდაც ომის დასაწყისში. ამ წინააღმდეგობის გამოსარკვევად ჩვენ სხვა წყაროები არ მოგვეპოვება. თუ დავუშვებთ იმას, რომ „ქართლის ცხოვრების" მონაცემები ათაბაგის მონაწილეობაზე ქართველებთან სინამდვილეს შეეფერება, მაშინ ოსმალეთის სამცხე-საათაბაგოზე გამოლაშქრებისათვის სხვა მიზეზი უნდა იქნეს აღიარებული და არა ქაიხოსროს სულთანთან მისვლა და მისგან დახმარების მიღება, რაც აუცილებლად იგულისხმებდა ათაბაგის ყოფნას ოსმალთა მხარეზე. ოსმალთა ამ მეორე გამოლაშქრებას კი თვით „ქართლის ცხოვრება" უშუალოდ უკავშირებს ათაბაგისა და შალიკაშვილის წასვლას კონსტანტინეპოლში სულთან სულეიმანთან.

„ქართლის ცხოვრებაში" (გვ. 722) გარკვევით აღნიშნულია, რომ „ამისა შემდგომად (მუსტაფა ფაშის დამარცხების შემდეგ, გ. ტ.) კვალად წარვიდა ხვანთქარ-თანა ოთარი შალიკაშვილი და ქაიხოსრო, ძე ათაბაგისა. ესმა რა ხვანთქარსა, დაუმძიმდა ფრიად და კვალად წარმოავლინა არზრუმისა ფაშა და დიარბექირის და სხვაგანიცა მრავალნი, და შეკრბა სპათა სიმრავლე ურიცხვი და ესრეთ წარმოემართა სამცხესა ზედა". ვახუშტიც ოსმალეთის ჯარების ამ მეორე გამოლაშქრებასაც ქაიხოსროს სულთანთან წასვლას უკავშირებს და, როგორც ზევით აღვნიშნეთ, დასძენს: „... და წარმოავლინა არზრუმი და დიარბექირის ფაშანი სპითა რუაზს აქათითა და ქაიხოსრო და ოთარი მათთანავე"...

ამგვარად ოსმალთა ჯარების მოსვლა სამცხეში, ორივე წყაროს მიხედ-

[1] „ქართლის ცხოვრება", გვ. 722, გამ. ზ. ჭიჭინაძის მიერ 1899 წ.

[2] იქვე, გვ. 723.

[1] ვახუშტი, „საქართველოს ცხოვრება", გვ. 244.

ვით, უშუალოდ დაკავშირებულია ქაიხოსროს მოქმედებასთან — თხოვნასთან დახმარების გაწევაზე (თუმცა თვით სულთანს, ცხადია, ამოძრავებდა სულ სხვა მიზნები). ამის გამო შეუძლებელია, რომ ამ შემთხვევაში ქაიხოსრო აღმოჩენილიყო ქართველ მეფეთა მხარეზე ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში. გარდა ამისა, მესხმა თავადებმა უღალატეს მეფეების ჯარებს და შუა ომიდან გასცილდნენ ბრძოლის ველს, ხოლო არსად არაა აღნიშნული, რომ ისინი გადავიდნენ ოსმალთა მხარეზე და ქართველთა წინააღმდეგ აქტიურად მოქმედებდნენ. როგორც სჩანს, მათ ნეიტრალური პოზიცია დაიკავეს. ასეთ პირობებში, თუ ათაბაგი ქაიხოსრო თავდაპირველად მეფეთა მხარეზე მოქმედებდა და მხოლოდ შემდეგ მიემხრო ოსმალეთს, ამ გარემოებით გამწყარალი სულთანი ქაიხოსროს მაინც არ დასვამდა ათაბაგად სოხოისტას ომის წარმატებით დამთავრების შემდეგ, როგორც ოსმალეთისათვის საეჭვო და მიუღებელ პიროვნებას. უნდა ვიფიქროთ, რომ თავდაპირველადვე, როგორც ვახუშტი აღნიშნავს, ქაიხოსრო მოქმედებდა ოსმალთა მხარეზე და სწორედ ამიტომ იყო, რომ ქაიხოსროს მომხრე მესხმა თავადებმა მოიმიზეზეს მეწინაეობის პრეტენზია, დარწმუნებულნი იმაში, რომ მეფეები მათ, როგორც საეჭვო პირებს, ბრძოლის ველზე საპასუხო ფრონტს არ დაუთმობდნენ[1].

სოხოისტას ომის შემდეგ ოსმალებმა, როგორც აღვნიშნეთ, ათაბაგად ყვარყვარეს ძე ქაიხოსრო მეორე (1545 — 1573 წ. წ.) დასტოვეს. ხოლო დამპყრობლების მთავარ მიზანს შემდეგი წარმოადგენდა: ოსმალეთი ირანთან ომისათვის ემზადებოდა, ხოლო ირანთან მომავალი ბრძოლა ოსმალეთისათვის წარმატებით ჩატარდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამიერკავკასია, და განსაკუთრებით კი მასში შესავალი კარი — სამცხე-საათაბაგო, ოსმალეთის სრულ მორჩილებაში იქნებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ოსმალთა კომუნიკაციები ზურგიდან განადგურდებოდა და ამდენად სამცხე-საათაბაგოში დამოუკიდებელი ქართული მართვა-გამგეობის არსებობა ოსმალთათვის დიდ საშიშროებას ჰქმნიდა.

ოსმალეთისათვის ეს გარემოება აუცილებლად ხდიდა ათაბაგობის გაუქმებას, სამცხის მთლიანად შემოერთებას, მასში ქრისტიანობის მოსპობას, ქართული ზნე-ჩვეულებისა და კულტურის განადგურებას, თურქულ სამხედრო-ფეოდალური წესების დამყარებას და საერთოდ ოსმალეთის ახალ საფაშალიკოს ჩამოყალიბებას სამხრეთ საქართველოში საათაბაგოს ნაცვლად. ამიტომ იყო, რომ სოხოისტას ომისათვის, რომელსაც ოსმალებმა თავიდგანვე დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს, არ დაზოგეს არავითარი ძალები. ოსმალთ ეგონათ, რომ ამ ომის წარმატებით დამთავრების შემდეგ სამცხე-საათაბაგო ერთი ხელის დაკვრით დამონებული აღმოჩნდებოდა. სოხოისტას ომის დამთავრებისთანავე ოსმალებმა ნელნელა, მაგრამ მეთოდიურად იწყეს საათაბაგოს ცალკე ნაწილების უშუალო დაქვემდებარება ოსმალეთისათვის. „ქორონიკონსა 238 (=1550 წ.) — ნათქვამია „ქართლის ცხოვრებაში“,—ტაოს ქვეყანა დაიჭირეს თათართა ურუმთა. ქორონიკონსა 241 (=1553 წ.) არტანუჯი წაგვართვეს ურუმთა და არსიანამდის დაიჭირეს, ფარნაკანი და სრულ არტანი დაიჭირეს და ფარნაკანი ააშენეს“. ხოლო იმის გამო, რომ ქაიხოსრო ოსმალთა ამ შემოტევას თავგამოდებით ეწინააღმდეგებოდა, ოსმალნი ვეღარ გასცილდნენ ზემოხსენებულ ადგილებს და „... სამცხეს ვერ გადმოვიდეს“.

[1] „ქართლის ცხოვრება“, გვ. 723—724.

მაგრამ საათაბაგოს შინაგანი მდგომარეობაც თანდათან რთულდებოდა. ჯავახეთის გავლენიანი თავადები იჯუ შერმაზანის, ვახუშტი დიასამიძის და ამაონის მეთაურობით აძლიერებდნენ ოპოზიციას ათაბაგის წინააღმდეგ. ისინი ფარულად კავშირს ამყარებდნენ მეფე ლუარსაბთან, რომლის დახმარებითაც იმდენად გაძლიერდნენ, რომ ვარძია, ვანის ქვაბი, თმოგვისა, ასპინძისა და ვარნეთის ციხეები მათი მომხრეების ხელში აღმოჩნდა. გარდა ამისა, იმ დროს, როცა ქაიხოსრო ათაბაგი და სამცხის მთავარი ოთარ შალიკაშვილი თავის ძალებს ანდომებდნენ ოსმალების შეკავებას, ბაგრატ მეფე კვლავ დაესხა თავს საათაბაგოს, თუმც ის დიდს ვერაფერს გახდა, გარდა იმისა, რომ წარიტაცა აწყურის „ღვთისმშობლის“ ხატი.

ყველა ამის შემდეგ სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური სიტუაცია ძალზე დაჭიმული აღმოჩნდა. ცხადი იყო, რომ მარტო საკუთარი ძალებით საათაბაგოს არ შეეძლო თავდაცვა ყოველმხრივ მომდგარ საშიშროებისაგან. ერთადერთი გამოსავალი დარჩენილიყო — მოქნილი და მოხერხებული დიპლომატიის გამოყენება. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ქაიხოსრო ათაბაგს საკმაო ნიჭი და უნარი აღმოაჩნდა. როცა ოსმალეთმა დაიკავა საათაბაგოს ნაწილი, ქაიხოსრომ კარგად იცოდა, რომ ოსმალთა ეს შემოჭრა და მათ მიერ სტრატეგიული პუნქტების გამაგრება სამცხე-საათაბაგოში არც ირანის შაჰისათვის იქნებოდა სასურველი; ამას გარდა, მეფე ლუარსაბი არ იყო შაჰთან კარგ დამოკიდებულებაში, ხოლო ჯავახეთის ფეოდალების მომხრობა მეფისადმი გააძლიერებდა მეფის გავლენას, რაც ასევე არ იყო ხელსაყრელი ირანისათვის.

ქაიხოსრომ სცადა ამ წინააღმდეგობათა გამოყენება თავის სასარგებლოდ. მან შაჰ-თამაზს გაუგზავნა თავისი წარმომადგენლები და სთხოვა დახმარება. როგორც მოსალოდნელი იყო, შაჰმა ეს არ დააყოვნა. ირანის შეიარაღებული ძალები მოადგნენ საათაბაგოს ახალქალაქის მიმართულებით. მათ ხელში ჩაიგდეს ათაბაგისაგან ყველა გამდგარი თავადი, ვახუშტი დიასამიძე და ათაბაგისადმი შექმნილ ოპოზიციის სხვა მონაწილენი დახოცეს, ხოლო ამ ოპოზიციის ერთერთი ხელმძღვანელი ამაონი, ათაბაგის შთაგონებით დატყვევებული, წაიყვანეს ირანში. ვარძია, თმოგვი, ვანის ქვაბი, ვარნეთისა და სხვა ციხე-სიმაგრეები კვლავ დაუბრუნეს ქაიხოსროს, შემდეგ დაარბიეს ქართლი და უკან გაბრუნდნენ. ასეთი მოხერხებულობით ქაიხოსრომ დროებით მიზანს მიაღწია, სამცხე-საათაბაგოს ამჯერადაც ასცდა მოსალოდნელი განადგურება.

მალე მდგომარეობა კვლავ არახელსაყრელად შეიცვალა სამცხე-საათაბაგოსათვის. ჯავახეთის დასჯილი თავადების ნათესავებს ჯერ კიდევ არ დაემთავრებინათ გლოვა, როცა სულთან სულეიმანის შეიარაღებული ძალები დიდი რაოდენობით დაიძრნენ სამცხესაკენ ირანის მხარეზე გადასულ და მოღალატე ათაბაგის დასასჯელად. ფეოდალების უკმაყოფილო ნაწილმა კვლავ დაიწყო განდგომა და ოსმალეთის მხარეზე გადასვლა. სამცხე-საათაბაგო ამჯერად უფრო მეტად განწირული აღმოჩნდა, ვინაიდან ოსმალეთის ასეთი დიდი შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ შაჰ-თამაზი ვეღარას გახდებოდა. მართლაც, როცა ქაიხოსროს წარმომადგენლები ეწვიენ შაჰს დახმარების სათხოვნელად ოსმალთა წინააღმდეგ, შაჰმა უარი განაცხადა შეიარაღებული დახმარების გაწევაზე.

მაშინ ქაიხოსროს მითითებით, საათაბაგოს წარმომადგენლებმა სთხოვეს შაჰს მიეწერა ქაიხოსროსათვის „მუქარის“ წერილი იმაზე, თითქოს ქაიხოსრო ღალატობდეს შაჰს, იკავებდეს ოსმალე-

თის ორიენტაციასა და ნებაყოფლობით უთმობდეს ოსმალეთს ირანისაკენ გასასვლელ გზებს. როგორც „ქართლის ცხოვრება“ გადმოგვცემს, შაჰმა, როცა გაიგო ამ წერილის მიზან-დანიშნულება, სიამოვნებით შეასრულა ეს თხოვნა. შაჰის მიერ გამოგზავნილ წერილში ნათქვამი იყო: „ვინაიდან მიეც ქვეყანა ჩემი ოსმალთა, ამისათვის მოვიდე და მოვსრა ქვეყანა შენი და შენცა ვერავინ განგარინოს ხელთაგან ჩემთა, მოგკვეთო თავი და მივსცე მძორი შენი ძაღლთა“ [1]. ქაიხოსროზე მოჩვენებითი განრისხების დემონსტრაციისათვის ირანის შეიარაღებული ძალების ნაწილები თითქოს დაიძრნენ კიდეც საათაბაგოსაკენ.

მოხერხებულმა დიპლომატიამ გასჭრა. შაჰის აღნიშნული წერილი საათაბაგოს წარმომადგენლებმა გაიყოლიეს სულთანთან და ამით დაუდასტურეს სულთანს, რომ ქაიხოსრო ათაბაგი არამც თუ წინააღმდეგია ოსმალეთისა, არამედ ის, შეძლებისდაგვარად, კიდეც იბრძვის ოსმალეთის მტრის—ირანელების წინააღმდეგ. სულთანმა შაჰის წერილი დამაჯერებლად ჩასთვალა. გარდა ამისა გამოირკვა ისიც, რომ ოსმალეთსაც, მაინცდამაინც, ამჯერზე არ სურდა ურთიერთობის გამწვავება ირანთან. სულთანმა გასცა განკარგულება სამცხე-საათაბაგოში მყოფ მოლაშქრე ჯარის უკანდაბრუნების შესახებ, რაც დაუყოვნებლივ შესრულებული იქნა. ქაიხოსრომ ამ შემთხვევაში დაუჯერებელი რამ მოახდინა; შეიძლება ითქვას, რომ დიპლომატიის ისტორიაში იშვიათ მოვლენას წარმოადგენს ასეთი მაგალითი, როგორიც იყო ქაიხოსროს მიერ ასე მოხერხებულად საფრთხის აცილება.

ქაიხოსრო ათაბაგი სხვა მიმართულებითაც აქტიურ მოქმედებას ამჟღავნებდა. მისთვის არანაკლებ ჩამაფიქრებელ მოვლენას წარმოადგენდა ეზოობლად მყოფი თავადების ურთიერთდამოკიდებულება და ზოგიერთი პოლიტიკური წარმატებების მქონე იმერეთის მეფე ბაგრატის პოზიცია, რომელმაც რამდენიმეჯერ აშკარად გამოამჟღავნა თავისი მტრული დამოკიდებულება სამცხე-საათაბაგოს მიმართ. ბაგრატის განდიდება ქაიხოსროსათვის არც თუ ისე ხელსაყრელი იყო. ხოლო ბაგრატს, როგორც გამოირკვა, გადაწყვეტილი ჰქონდა დაემორჩილებინა თავისათვის გურია და ოდიში. ბაგრატმა გაიხსენა ის გარემოება, რომ, როცა ის აწარმოებდა ბრძოლას ოსმალეთთან, დადიანმა უარი განაცხადა თავისი რაზმით გამოსულიყო მეფის დასახმარებლად. ბაგრატმა მოტყუებით მოიწვია ლევან დადიანი ხონის ჭალაში „და ღალატად შეიპყრო იგი ბაგრატ მპყრობელმან იმერეთისამან და პატიმარჰყო“.

დადიანის სამფლობელოს დაპყრობისა და შემომტკიცებისათვის მან მოკავშირედ მოიწვია გურიელი, დაჰპირდა მას ოდიშის ნახევრის გადაცემას და გურიელს კიდევაც მოუწოდა ამ საქმის განსახორციელებლად. გურიელი, როგორც სჩანს, მიუხვდა ბაგრატის ზრახვებს. მან გაითვალისწინა, რომ ოდიშის დაპყრობით მნიშვნელოვანი ძალა შეემატებოდა იმერეთის სამეფოს და უამისოდაც მისთვის საშიში მეფე ბაგრატი ისეთსავე ხვედრს მოუმზადებდა გურიელს, როგორც ეს წილად ხვდა ლევან დადიანს. ამიტომ გურიელმა უარით უპასუხა მეფეს ასეთ წინადადებაზე. მაშინ ბაგრატმა გადასწყვიტა ლევან დადიანის თავიდან მოცილება—მისთვის თვალების დაწვა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბაგრატის გაძლიერება არც ქაიხოსრო ათაბაგისათვის იყო სასურველი, ამიტომ მან დაიწყო აქტიურად ამ სამთავროების შინაურ საქმეებში ჩარევა. ქაიხოსრომ

[1] ვახუშტი, „საქართველოს ცხოვრება“, გვ. 245.

მოისყიდა ვინმე ჩხაიძე ხოფილანდრე, რომელსაც დაავალა ლევან დადიანის სატუსაღოდან გაპარება. ჩხაიძემ ეს დავალება მოხერხებულად შეასრულა და ლევან დადიანი გადმოიყვანა სამცხე-საათაბაგოში. ქაიხოსრომ გურიელის დახმარებით დადიანს უკან დაუბრუნა თავისი სამფლობელო. ამგვარად, როგორც იტყვიან—ათაბაგმა ერთი გასროლით ორი კურდღელი მოჰკლა. ჯერ ერთი, რომ ბაგრატმა თავის სამეფოს ვერაფერი შეჰმატა და მეორეც—ამიერიდან ლევან დადიანი ქაიხოსრო ათაბაგის კარგ და საიმედო მეგობრად გადაიქცა. დადიანთან ეს მეგობრობა ქაიხოსრომ განამტკიცა დამოყვრების საშუალებითაც. „შემდგომად წარავლინა ქაიხოსრო ათაბაგმან ყვარყვარე ძე თვისი ოდიშს. მოსცა ლევან დადიანმან ასული თვისი მარეხ და იქორწინა მუნვე“ [1].

მეფე ლუარსაბი კვლავ განაგრძობდა ირანელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლას. მან ამ საქმეში დაიკავშირა კახეთის მფლობელი ლევანიც, ხოლო როცა ირანში დაიწყო ფეოდალური ამბოხებანი და განდგომანი შირვანის მფლობელის ჰასან ბეგის შვილის დევრიშ მაჰმადისა და სხვების მეთაურობით, ქაიხოსრო ათაბაგიც შეუერთდა ლუარსაბისა და ლევანის კავშირს. „ჟამსა მას შინა,—ნათქვამია „ქართლის ცხოვრებაში“,—შეითქვნეს მეფე ქართლისა ლუარსაბ, მპყრობელი კახეთისა ლევან და ათაბაგი ქაიხოსრო, ამათ შეკრეს პირობა და დაუწყეს რბევა და ოხრება ქვეყანასა ყიზილბაშისასა...“ [2]. ქაიხოსროს ასეთი საქციელი, რა თქმა უნდა, ნიშნავდა ათაბაგის აშკარა განდგომას შაჰ-თამაზისაგან. ამის გამო შაჰის ნდობაც ქაიხოსროს მიმართ შეირყა.

[1] ვახუშტი, „საქართველოს ცხოვრება“, გვ. 247.

[2] „ქართლის ცხოვრება“, გვ. 728.

შაჰ-თამაზმა მალე მოახერხა აჯანყებათა ჩახშობა. მან დიდი საჩუქრებითა და დაპირებებით გადმოიბირა კახეთის მფლობელი ლევანი, რომელიც ჩამოსცილდა მეფე ლუარსაბს და გამოცხადდა ირანში შაჰის სამხედრო ექსპედიციებში მონაწილეობის მისაღებად. შაჰმა იგი დიდი ჯარებით გაგზავნა დევრიშ მაჰმადის წინააღმდეგ, რომელიც ლევანმა სასტიკად დაამარცხა. შაჰ-თამაზი ყარაბაღში „წესრიგის“ დამყარების შემდეგ გამოეშურა საქართველოსაკენ. მან აიღო თბილისი და მის ციხეში თავისი გარნიზონი ჩააყენა, ქვეყანა დაარბია და აოხრა, თუმცა ლუარსაბი ხელში მაინც ვერ ჩაიგდო.

შაჰს უნდოდა აეოხრებინა საათაბაგოც, მაგრამ გაითვალისწინა რა ქაიხოსროს უნარიანობა და საათაბაგოს სტრატეგიული მნიშვნელობა ოსმალეთთან მომავალ ბრძოლებში, არჩია სამცხე-საათაბაგო არ გადაეკიდებინა მტრად, თუმცა ათაბაგის ერთგულების გარანტია, ზემოთთქმული ამბების შემდეგ, მაინც საჭიროდ მიიჩნია. „მაშინ შაჰ-თამაზ ინება მოყვრობა ქაიხოსრო ათაბაგისა, და არა ჰყვანდა ასული ათაბაგსა; მაშინ ოთარს შალიკაშვილს გამოართვა ასული, რომელი იყო მოყვასი ათაბაგისა და მის წილად წარუგზავნა შაჰ-თამაზს და მან შეირთო იგი ცოლად...“ [1].

შეიძლება ითქვას, რომ ერთის შეხედვით არც თუ ისე დიდი მნიშვნელობის დამოყვრების ეს ფაქტი შემდეგში საათაბაგოსათვის თითქმის საბედისწერო მოვლენად გადაიქცა. იგი გახდა ხელისშემწყობ პირობად შალიკაშვილების განდიდებისა და ათაბაგობის მდგომარეობის შერყევისა. შაჰის დამოყვრებით წაქეზებული შალიკაშვილის გვარის წარმომადგენელნი ჯერ კიდევ ქაიხოსროს ათაბაგობის დროს იწყებენ

[1] „ქართლის ცხოვრება“, გვ. 729—730.

თავის გარშემო შემოკრებას ყველა იმ თავადისას, რომელიც კი უკმაყოფილო იყო ათაბაგის ცენტრალური ხელისუფლებით. ქაიხოსროს სიცოცხლის დროს ეს წინააღმდეგობა ისე ძლიერად თავს არ იჩენდა, თუმცა თვით ქაიხოსროსაც კი მოუხდა ზოგიერთი მათგანის საწინააღმდეგოდ სათანადო ღონისძიებათა მიღება. ხოლო ქაიხოსროს გარდაცვალების შემდეგ შალიკაშვილები აქტიურად და აშკარად გამოდიან ათაბაგის წინააღმდეგ.

დამოყვრების ამ ფაქტმა საგარეო ურთიერთობაზედაც იქონია მნიშვნელოვანი გავლენა. მეფე ლუარსაბმა, რომელიც განაგრძობდა ირანისადმი წინააღმდეგობის გაწევას, ათაბაგის შაჰთან დამოყვრების საქმეში დაინახა საშიშროება, რადგან ამიერიდან მოსალოდნელი იყო შაჰისა და ათაბაგის ორმხრივი შემოსევა მეფის სამფლობელოში. რათა მოსალოდნელი ამბებისათვის თვითონ დაესწრო, მეფემ შეაგროვა ყველა თავისი შეიარაღებული ნაწილები და სრულებით მოულოდნელად შეუსია სამცხე-საათაბაგოს „და წარუღო თემნი და დაბანი მრავალნი და ააოხრა და წარმოვიდა გამარჯვებული“.

XVI საუკუნის 70-იან წლებში სამცხე-საათაბაგოს მდგომარეობა უფრო მეტად გართულდა. საქმე იმაშია, რომ სულთან სელიმ მეორემდე ოსმალეთის სახელმწიფოს ხელმძღვანელი პირები, ირანის საწინააღმდეგოდ მიმართულ სამხედრო ოპერაციებს ყოველთვის ამიერკავკასიის მიმართულებით ატარებდნენ, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ 1514—1518 წლებში ოსმალებმა დაიკავეს ქურთისტანი, ამიერკავკასიის ნაწილი და დაღესტანი, ცნობილი ჩალდირანის ბრძოლის შემდეგაც კი ირანის წინააღმდეგ ამ მიმართულებით ვერაფერს გახდნენ. სელიმ მეორეს აზრით, ირანის საბოლოო დამარცხება მოხდებოდა მხოლოდ მაშინ, თუ ოსმალეთი ახალ ომს დაიწყებდა ირანის ზღვის მიმართულებით, საიდანაც ირანელები მას სრულებითაც არ ელოდებოდნენ. ეს ომი, სელიმის აზრით, საზღვაო უნდა ყოფილიყო, მიუხედავად იმისა, რომ აზოვის ზღვა (საიდანაც უნდა დაძრულიყო ოსმალთა საზღვაო ფლოტი), მდინარე დონი და შემდეგ ვოლგა, რომელსაც შეეძლო აზოვი დაეკავშირებინა კასპიის ზღვისათვის, ერთი მეორესთან არაფრით იყო დაკავშირებული. სულთანის ბრძანებით სასწრაფოდ დაიწყო ამ ორი მდინარის გაერთიანებისათვის არხის გათხრა. ამ სამუშაოებზე უამრავი სახსრები დაიხარჯა, მაგრამ იმდროინდელი ჩამორჩენილი ტექნიკის საშუალებით ამისი განხორციელება, ცხადია, შეუძლებელი იყო. ამრიგად ეს ფანტასტური გეგმა ჩაიშალა და ოსმალეთმა კვლავ განაახლა ირანზე იერიშები ისევ ამიერკავკასიის მიმართულებით.

ასეთ პირობებში სამცხე-საათაბაგოდან შაჰის მიერ საცოლეს წაყვანა, რაც თავისთავად გულისხმობდა შაჰის გადაწყვეტილებას — ამიერიდან მტკიცედ მოეკიდნა ფეხი სამხრეთ საქართველოში, ოსმალეთს სრულებითაც არ გამოეპარა მხედველობიდან. სამცხე-საათაბაგოს საზღვრებზე კვლავ ამოძრავდნენ ოსმალი დამპყრობლები. მიუხედავად მესხთა თავგანწირული ბრძოლისა, ოსმალებმა მოახერხეს საათაბაგოში მთელი რიგი ციხე-სიმაგრეების დაკავება. ათაბაგი ქაიხოსრო, რომელიც ატყობდა გამოუვალ მდგომარეობას, 1570 წელს კვლავ წავიდა ირანში შაჰთან დახმარების სათხოვნელად. შაჰმა იგი პატივისცემითა და არაფრისმომცემ დაპირებებით დაიტოვა ყაზმინში, სადაც ქაიხოსრო გარდაიცვალა 1573 წელს.

სანამდე გადავიდოდეთ ქაიხოსროს სიკვდილის შემდეგ სამცხე-საათაბაგოში მომხდარ ამბების უშუალო განხილვაზე, საჭიროდ მიგვაჩნია ზოგადად შე-

ვეხოთ ათაბაგ ქაიხოსროს ოჯახურ ვითარებას, რომელსაც შემდგომი ამბების მსვლელობაში გარკვეული ადგილი უკავია. ამ შემთხვევაში ჩვენს ყურადღებას, პირველ ყოვლისა, იპყრობს ის გარემოება, რომ არსებული საბუთების მიხედვით, მეთექვსმეტე საუკუნის 70-იან წლებში ქალაქი ახალციხე არსად არ არის მოხსენებული, როგორც ათაბაგების რეზიდენცია, ან და ისეთი ცენტრი, რომელსაც წამყვანი როლი ჰქონებოდა ამ დროინდელ სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ზოგიერთ დოკუმენტში ქ. ახალციხე ნახსენებია მხოლოდ, როგორც ციხე-სიმაგრე და სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ადგილი. უნებლიედ იბადება კითხვა — მაშ სად უნდა ვეძიოთ ამ დროინდელი ათაბაგების რეზიდენცია ანუ საათაბაგოს პოლიტიკური ცენტრი?

დასმულ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემა მოსახერხებელი ხდება თომა მინადოის ცნობების მიხედვით. თომა მინადოიმ იმოგზაურა აღმოსავლეთის ქვეყნებში XVI საუკუნის 80-იან წლებში. შვიდი წლის განმავლობაში ამ ადგილებში ყოფნის დროს მას ჰქონდა ფართო შესაძლებლობა ამ მხარის და აქ მომხდარ პოლიტიკურ მოვლენების ღრმა შესწავლისათვის, მით უმეტეს, რომ მან შესძლო კავშირის დამყარება აღმოსავლეთ ქვეყნების მთელ რიგ დიპლომატიურ წარმომადგენლებთან. მის შრომაში—„ისტორია ომისა ოსმალთა და სპარსელთა შორის ოთხ წიგნად აღწერილი“ (გამოცემული ტურინში 1588 წელს), დედისიმედის (ქაიხოსროს ცოლის) ადგილსამყოფოს შესახებ ნათქვამია:

„იგი (ქვრივი) განაგებს მრავალ დაბას..... მისი მიწა-წყალი, რომელიც დასავლეთით ყარსის[1] საზღვრებზე მდებარეობს, ხოლო აღმოსავლეთით ძმათა სიმონისა და დავითის მამულს აკავშირებს, არაქსის მიერ მორწყულია. ამა მფლობელობის ბინაა ალთუნ ყალა, თურქულად ასე წოდებული, რაც ჩვენებურად ოქროს დაბას ნიშნავს... იგი თბილისისა და ყარსის მხრით პერიარდოს სიმკაცრით და დაბურულ ტყეების საშინელებით გარემოცულია. სასახლე საცბიეროდ და ყოველის მხრივ მარჯვე ლაშქრებისათვის სავნოდ არის აგებული. თვით ალთუნ ყალა მდებარეობს მოხერხებულად ბუნების მიერ დაცულ ადგილზე“[2].

ამ ალთუნ-ყალას ზოგადი აღწერა მოცემული აქვს აგრეთვე დონ ხუან სპარსელს თავის შრომაში—„Relaciones de don ivan de Persia“, რომელიც გამოცემულია ვალიადოლიდში 1604 წელს. ავტორი ამ შრომაში სწერს: „... უმცროს ძმის ალექსანდრეს სამფლობელოს დასავლეთით ყარსი აკრავს, აღმოსავლეთით დავითისა და სიმონის მიწები, რომელთაც არაქსი ჩამოუდის. მათი დედაქალაქი არის ალთუნ ყალა, ანუ ოქროს სიმაგრე, რომელიც თბილისსა და ყარსს შორის მდებარეობს და რომელსაც მაგარი გალავანი აქვს შემოზღუდულ-შემოსალტულიო“. ამგვარად მინადოისა და დონ ხუან სპარსელის მონაცემები ერთმანეთს ემთხვევიან და ჩვენ არა გვაქვს რაიმე საფუძველი არ დავუჯეროთ ამ ორ ავტორს, რომლებიც ალთუნ-ყალას აღიარებენ ათაბაგების რეზიდენციად და, მაშასადამე, პოლიტიკურ ცენტრადაც.

აღნიშნული ალთუნ-ყალა დღესაც ცნობილია იმავე სახელწოდებით. იგი

[1] ყარსი და მისი დასავლეთი მხარე, რომელიც ადრევე სამცხე-საათაბაგოს ეკუთვნოდა, ამ დროისათვის უკვე ოსმალებს ჰქონდათ დაპყრობილი.

[2] T. Minadoi, Historia della gverra fra Turchi et Persiani, გვ. 34 — 35.

მდებარეობს ადიგენის რაიონში, ზარზმასა და აბასთუმნის შორის. მეათე საუკუნეში ალთუნ-ყალას მიდამოებში მდებარეობდა ცნობილი სოფელი ჩორჩანი, საიდანაც იყვნენ წარმოშობით სამცხის ერისთავნი ჩორჩანელნი. ამგვარად ალთუნ-ყალას ციხე-სიმაგრე თავისი მნიშვნელობით ადრევე იყო ცნობილი. მაგრამ პოლიტიკური ცენტრის ახალციხიდან ალთუნ-ყალაში გადატანის კონკრეტული დრო და მიზეზი, სათანადო საბუთების უქონლობის გამო, გაურკვეველი რჩება. უნდა ვიფიქროთ, რომ მეთექვსმეტე საუკუნის ნახევარში საქართველოს მეფეებისა და თავადების ხშირი თავდასხმა სამცხე-საათაბაგოზე აწყურის მიმართულებით აიძულებდა ათაბაგებს ახალციხიდან თავიანთი რეზიდენციის გადატანას ალთუნ-ყალაში, რომელიც შედარებით ახალციხესთან ტერიტორიულად აწყურიდან შორს მდებარეობდა და უფრო მიუდგომელიც იყო ბუნებრივი სიმაგრეების არსებობის გამო.

ამგვარად ათაბაგების რეზიდენციას წარმოადგენდა ალთუნ-ყალა და, მაშასადამე, ქაიხოსროს ოჯახიც აქ იმყოფებოდა.

მას შემდეგ, რაც სოხოისტას ომი ოსმალთა წარმატებით დამთავრდა და ოსმალთა დახმარებით ათაბაგად დადგენილ იქმნა ქაიხოსრო, ხოლო ირანმა მტრული პოზიცია დაიკავა სამცხე-საათაბაგოს მიმართ, ქაიხოსრომ არ ჩასთვალა საკმარისად ოსმალთა მხარდაჭერა; რათა ირანის მოსალოდნელ თავდასხმებისათვის წინააღმდეგობის გაწევაში დამატებითი დამხმარე ჰყოლებოდა ქართველ მეზობელ თავადებიდანაც, ქაიხოსრომ გადასწყვიტა რომელიმე მათგანთან დამოყვრება. ვახუშტი ამის შესახებ გადმოგვცემს: „არამედ ამცნეს ათაბაგსა მტერობა ყიზილბაშთა, ხოლო ქაიხოსრო ათაბაგი ესიძა ვახტანგს მუხრანის ბატონსა და მოიყვანა დაი მისი დედისიმედი და იქორწინა მის-თანაო“ [1].

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა აღინიშნოს, რომ როგორც „ქართლის ცხოვრება“ და ვახუშტის „საქართველოს ცხოვრება“, ისე სხვა ისტორიული დოკუმენტი, რომლის დასათაურებაა: „საათაბაგოს დაპყრობა ოსმალთა მიერ“ [2]—დედისიმედს სრულებით უარყოფითად ახასიათებენ. მაგალითად, „ქართლის ცხოვრებაში“ მის შესახებ ნათქვამია: „ხოლო ათაბაგი ქაიხოსრო დაემოყვრა მპყრობელსა მუხრანისასა ბაგრატს, მოიყვანა ცოლად ასული ბაგრატისა დედისიმედი და იქორწინა, და იყო ქალი იგი ლაღ და ამპარტავან-გლისპი და არა მოშიში ღუთისა“. ვახუშტიც დედისიმედის ასეთივე დახასიათებას იძლევა: „ესე დედისიმედი იყო ამაყი, გლისპი, მრისხანე და გაუსინჯავი“.

სინამდვილეში, როგორც ამას ჩვენ ქვევითაც დავინახავთ, და როგორც ამას დედისიმედის საქმიანობის განხილვა გვიჩვენებს, დედისიმედი ენერგიული, მოხერხებული და სწორი პოლიტიკური ალღოს მქონე პიროვნება ყოფილა. დედისიმედის ზემოთგანხილული დახასიათება როგორც „ქართლის ცხოვრებისა“, ისე სხვებისა, იმდენად იდენტიურია, რომ ცხადი ხდება ყველა მათგანის ერთი წყაროდან მომდინარეობა და ტენდენციური ხასიათი. ეს იქიდანაც სჩანს, რომ „ქართლის ცხოვრების“ ერთი ნაწილის პირველწყარო, ეგრეთწოდებული „მესხური დავითნის“ ქრონიკა, სრულებითაც არ იძლევა დედისიმედის ამგვარ დახასიათებას. სჩანს ამ ნაწილის გადმომტანმა „ქართლის

---

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, „საქართველოს ცხოვრება“, გვ. 244.

[2] საქართველოს მუზეუმი, ფონდი A, № 1764. ხელთნაწერი დასათაურებულია — „საათაბაგოს დაპყრობა ოსმალთა მიერ“. მასზე არ არის აღნიშნული დაწერის თარიღი და არც ავტორია ნახსენები. ვფიქრობთ, რომ ესეც ვახუშტი ბატონიშვილს უნდა ეკუთვნოდეს.

ცხოვრებაში“ მე-16 საუკუნის ისტორიულ ქრონიკას თავისი შეხედულება დაურთო, ხოლო ვახუშტიმ იგი უნებლიედ განიმეორა.

ლოგიკურადაც დაუშვებელი იქნებოდა გვეფიქრა, რომ დედისიმედის ასეთი უარყოფითი დახასიათება მოცემული ყოფილიყო „მესხური დავითნის“ ქრონიკის ავტორის მიერ, ვინაიდან, როგორც ეს საფუძვლიანად დაამტკიცა ე. თაყაიშვილმა, „მესხური დავითნის“ ქრონიკის ავტორი უნდა ყოფილიყო ათაბაგ ქაიხოსროს ოჯახის ერთერთი წევრთაგანი და, მაშასადამე, ოფიციალური პირიც, რომელსაც ათაბაგობის ფაქტიური ძალაუფლების მატარებლის დედისიმედის ასეთი უარყოფითი დახასიათების მოცემა არ შეეძლო იმ შემთხვევაშიც კი, თუნდაც ეს გამომდინარე ყოფილიყო „მწარე სინამდვილიდან“ [1].

რაც შეეხება ქაიხოსრო ათაბაგის ოჯახის შემადგენელ დანარჩენ წევრებს (მხედველობაში გვყავს ქაიხოსროს შვილები), მათი ვინაობის შესახებაც მთლიანი გარკვეულობა არ არსებობს, თუ ანგარიშს გავუწევთ ზოგიერთ უცხოელ მწერალთა მონაცემებს, კერძოდ მინადოისა და დონ ხუან სპარსელის ცნობებს ამ საკითხზე. „ქართლის ცხოვრება“ და ვახუშტის „საქართველოს ცხოვრება“ ქაიხოსროს ოჯახის წევრებიდან იხსენიებენ მხოლოდ ყვარყვარეს და მანუჩარს, როგორც ათაბაგის შვილებს. უფრო ვრცელი ცნობა ქაიხოსროს შვილებზე მოცემული აქვს ე. თაყაიშვილს თავისი შრომის — „სამი ისტორიული ქრონიკის“ შესავალში. ავტორი აქ განიხილავს იმ წარწერას, რომელიც აღმოჩენილი იქნა სოფელ ვალის ეკლესიაში და რომელიც ასე იკითხვის:

„წმ. ნებითა ღვთისათა მე ღვთივ გვირგვინოსნის იესიან დავითიან—სოლომონიან ბაგრატონიანისა ქართველთ მეფეთ მეფის კონსტანტინეს შვილის შვილმან, მეფის ბაგრატის ასულმან, ათაბაგ ამირ-სპასალარის სახლის რძალმან, დედისიმედმან—მეორედ აღვაშენე წმინდა ესე ეკლესია შენ ცათა მობაძვისა ვალისა ღუთის მშობლისა, რათა მცველ-მფარველი გვექმნა აქა და მერმესა მას საუკუნესა მე და თანამეცხედრესა ჩემსა ათაბაგსა ქაიხოსროს, და ძენი ჩვენნი—ყვარყვარე, მზეჭაბუკ, მანუჩარ, თუალშვენიერ ივანე და თამარი დღეგრძელობით დაიცვენ, ამინ. დასა მათს ელენეს სასუფეველი დაუმკვიდრე“. ამას თაყაიშვილი დასძენს, რომ წარწერა არ იხსენიებს ბასილს და ბექას, სჩანს ისინი მაშინ დაბადებულნი არ ყოფილანო [1].

ამგვარად წარწერიდან აშკარავდება, რომ ქაიხოსროს ყავდა შვილები: ყვარყვარე, რომელიც ათაბაგის უფროსი ვაჟი იყო და რომელიც, თანახმად არსებული ქართული წესებისა, უნდა ყოფილიყო მამის მემკვიდრე; მანუჩარი, რომელმაც გაცილებით მეტი ენერგია და ინიციატივა გამოიჩინა იმდროინდელ სამცხე-საათაბაგოს აბობოქრებულ პოლიტიკურ ვითარებაში, ვინემ მისმა ძმამ ყვარყვარემ; მზეჭაბუკი და თვალშვენიერი, რომელთაც აქტიური ბრძოლა აწარმოეს განდგომილ თავადებთან და ირანელებთანაც; ივანე, თამარი; გარდაცვალებული ელენე; ბასილი და ბექა. როგორც ზემონათქვამით დასტურდება, სხვა რომელიმე შვილი ქაიხოსროს არ ჰყოლებია.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ თომა მინადოი თავის შრომაში სწერს:

„ამ ქვეყანაში ცხოვრობენ სხვადასხვა კონტები, დუკები და სინიორები, როგორც ბარში და დამუშავებულ მხარეში, ისე მთიანსა და დაუმუშავებელ-

[1] იხ. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი — „სამი ისტორიული ქრონიკა“.

[1] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, „სამი ისტორიული ქრონიკა“, გვ. XXXIX, 1890 წ.

ში. უმეტესი ნაწილი მცხოვრებლებისა ქრისტიანები არიან, ბერძნული წესის ღვთისმსახურებას და სქიზმატიკოსობას მისდევენ. ტანით მაგარნი და ღონიერნი არიან და აზრებით ჯიუტნი. ამ ქვეყნის უმთავრესი მთავარნი (სხვა მთავართ გარდა, რომელნიც სარგებლობენ სათავადო და სხვა მამულებით) არიან: ქვრივი თავის შვილებით მანუჩარითა და ალექსანდრეთი".

ავტორს აქ არ ჰყავს დასახელებული ქაიხოსროს შვილი ყვარყვარე, სამაგიეროდ ასახელებს ახალ პიროვნებას — ალექსანდრეს, როგორც დედისიმედის, ე. ი. ქაიხოსროს შვილს. ისმება კითხვა — მინადოი ყვარყვარეს შეცდომით ალექსანდრეს ხომ არ უწოდებს? ან არა და, იქნებ მას შემთხვევით ერთხელ აქვს ნახსენები სახელი „ალექსანდრე" ყვარყვარეს ნაცვლად? მაგრამ, არა, თავის შრომის სხვა ადგილასაც ავტორი ამ სახელს კვლავ იხსენიებს. იგი სწერს: „ქვრივს აწ ჰყავს უმცროსი შვილი სახელად მანუჩარი, ის, რომელზედაც ითქვა, რომ მოვიდა მუსტაფასთან მორჩილების გამოსაცხადებლად; და სხვა უფროსი, წოდებული ალექსანდრე, რომელზეც საკმაოდ ვიტყვით, როდესაც იქნება აღწერილი მისი სისაწყლეო"[1]. და მართლაც მინადოის ძიერ მოთხრობილი შემდგომი ამბებიდანაც სჩანს, რომ იგი ალექსანდრეს უწოდებს ქაიხოსროს უფროს შვილს ყვარყვარეს. რაც შეეხება დონ ხუან სპარსელს, ის იმეორებს მინადოის მიერ ნახმარ სახელწოდებას.

ქაიხოსროს გარდაცვალების შემდეგ ათაბაგად დადგენილ იქმნა მისი უფროსი შვილი ყვარყვარე მეხუთე, მაგრამ „... დროსა ამისა ათაბაგობისა ესე დედისიმედი და ვარაზ ოთარ შალიკაშვილის ძე იყვნეს მოქმედ და განმგებელ ყოველსავე საქმისა მუნებურისა"[1]. მაშასადამე, ამ ამონაწერის მიხედვით ფაქტიური ძალაუფლება გადასულა დედისიმედის და ვარაზ შალიკაშვილის ხელში. ქაიხოსროს გარდაცვალებამდე შალიკაშვილების გვარის წარმომადგენლებს, როგორც ზევითაც გვქონდა აღნიშნული, სამცხე-საათაბაგოში წამყვანი და საპასუხისმგებლო თანამდებობანი ეკავათ. ვარაზის მამა ოთარ შალიკაშვილიც საათაბაგოს მთავარი იყო. ახლა კი, ვარაზი, დედისიმედთან ერთად, ქვეყნის უშუალო მმართველიც გახდა თავისი მოყვარის შაჰ-თამაზის დახმარებით.

როგორც შემდეგ დავინახავთ, ამით იწყება სამცხე-საათაბაგოს დიდი განსაცდელის პერიოდი, რომელიც ხასიათდება შალიკაშვილებისა და საათაბაგოს სხვა განდგომილ ფეოდალების ხანგრძლივი ბრძოლებითა და ქვეყნის აოხრებით. საქართველოს ისტორიის კურსში საათაბაგოში შექმნილი ვითარება შემდეგნაირად არის დახასიათებული: „კიდევ უფრო რთულ პირობებში მოექცა ქაიხოსრო ათაბაგის ძე ყვარყვარე. მას მტრად აღუდგა მისი თავადების დიდი ჯგუფი შალიკაშვილთა მეთაურობით. გაიმართა დაუსრულებელი ფეოდალური ომი: ექვს წელიწადს არბევდნენ და ანგრევდნენ ერთიმეორის ციხე-ქალაქებს, სოფლებს და ერთმანეთის წინააღმდეგ დახმარებას ირანსა და ოსმალეთში ეძებდნენ"[2].

საქმე იმაშია, რომ შაჰ-თამაზის მიერ შალიკაშვილებისათვის ასეთი დიდი უფლებების მინიჭება გულისხმობდა შაჰის ვერაგული ზრახვების განხორციელებას. სამცხე-საათაბაგოს შინაურ საქმეებში ჩარევით მას სურდა აემხედრებინა ფეოდალები ათაბაგის წინააღმდეგ (მით უმეტეს, რომ ყვარყვარე, რო-

[1] T. Minadoi, Historia della gverra fra Turchi et Persiani, გვ. 40, 1588 წლის გამოც.

[1] „საათაბაგოს დაპყრობა ოსმალთა მიერ", გვ. 2. ხელთნაწერი.

[2] აღნიშნული შრომა, გვ. 319.

გორც პოლიტიკური მოღვაწე, სუსტი პიროვნება იყო და ამ განზრახვის შესრულება არც თუ ისე ძნელი მოსჩანდა), ქვეყნად შემოეტანა შფოთი და უბედურება და ამგვარად დაუძლურებული მხარე ადვილად დაემორჩილებინა. მაგრამ შაჰი თავის ანგარიშებში მოსტყუვდა, ის თავის საბოლოო მიზნის განხორციელებას ვეღარ მოესწრო. დედისიმედმა დაუყოვნებლივ და ენერგიულად მოჰკიდა ხელი განდგომილი თავადების წინააღმდეგ ბრძოლას.

თავადებთან ბრძოლაში ათაბაგს ხელს უწყობდა მთელი რიგი პირობები. ამ ხანებში ეტყობა, რომ ეკლესია ათაბაგის მხარეზე იხრებოდა. გლეხები, რომელნიც ხშირად აწიოკებული იყვნენ ფეოდალების აღვირახსნილობით, ათაბაგის ცენტრალური ხელისუფლების მომხრეებად გამოვიდნენ და ამით ათაბაგის ხელისუფლების დასაყრდენი სოციალური ბაზაც გაფართოვდა. წვრილი აზნაურობაც რიგ შემთხვევაში გადადიოდა ათაბაგის მხარეზე და თავის უშუალო ბატონს (სენიორს) აღარ ემორჩილებოდა.

მაგრამ, რადგან აჯანყებული ფეოდალები მაინც დიდ ძალას წარმოადგენდნენ და ამასთან ერთად მათ ეკავათ მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრეები, როგორიც იყო ზედათმოგვი, თმოგვი, ვანის - ქვაბი, თეთრი-ციხე, ოლთისი, ქაჯის ციხე და სხვანი, ამიტომ ათაბაგისათვის საჭირო გახდა მთელი ძალების დაჭიმვა. დედისიმედმა ამ შემთხვევაში დამხმარედ გამოიყენა აგრეთვე მუხრანბატონის შეიარაღებული ძალები, რომელსაც უშუალოდ მუხრანბატონის არჩილის შვილი ერეკლე ხელმძღვანელობდა. დედისიმედის მომხრეები თავდაპირველად გაუბედავად მოქმედებდნენ, რადგან ვარაზ შალიკაშვილი დიდი გავლენით და შაჰის მხარდაჭერით სარგებლობდა. დედისიმედმა სწორად გაითვალისწინა აღნიშნული გარემოება და ყოველგვარი დაყოვნების გარეშე ირანის ორიენტაციის მქონე ვარაზ შალიკაშვილი მოაკვლევინა[1].

[1] „ქართლის ცხოვრების“ ცნობით ვარაზ შალიკაშვილის მოკვლასთან დაკავშირებულია შაჰ-თამაზის შემოჭრა სამცხე-საათაბაგოში და მისი საშინელი დარბევა. ამ ცნობების მიხედვით კახეთის მფლობლის ალექსანდრეს შვილი ერეკლე „ურჩ ექმნა მამასა თვისსა ალექსანდრეს და წარვიდა სტამბოლს“. შაჰ-თამაზმა ერეკლეს ეს საქციელი მიიჩნია კახთა ბატონის — ალექსანდრეს განდგომად და დიდი ჯარებით მოვიდა ყარაბაღს. კახეთის სახლთუხუცესი ჩოლოყაშვილი დაჰპირდა კახეთის ხელისუფალთ, რომ ის ააცდენდა კახეთს შაჰ-თამაზის რისხვას, ოღონდ კახეთის დიდებულებს მისთვის მხარი დაეჭირათ. „ხოლო მისცეს ყოველთავე დიდებულთა კახეთისათა ხელით-წერილიო“, ნათქვამია „ქართლის ცხოვრებაში“. ამის შემდეგ ჩოლოყაშვილმა თითქოს წერილი გაუგზავნა დედისიმედს, რომლითაც საათაბაგოს ფაქტიური მმართველი დაარწმუნა, რომ ვარაზ შალიკაშვილი, ნათესავი შაჰ-თამაზისა, აპირებს ძალაუფლების ხელში ჩაგდებას და მისი შვილის მოკვლას.

რადგან „...ესე დედისიმედი იყო ჭკუით სულელი და უღთო“, ამიტომ მიიღო თუ არა ჩოლოყაშვილის მზაკვრული ცნობა, მისი ყოველგვარი შემოწმებისა და გამოძიების გარეშე, მოჰკლა შაჰ-თამაზის ცოლის ძმა ვარაზ შალიკაშვილი და „...დასთხია სისხლი უბრალო...“. ეს ამბავი შეიტყო ყარაბაღში მყოფმა შაჰ-თამაზმა, რომელმაც თავისი პირვანდელი გეგმა კახეთის მპყრობლის ალექსანდრეს დასჯისა შესცვალა და კახეთს გზა აუქცია. „...ჟამსა მას გარდაცვალებული იყო ქაიხოსრო ათაბაგი და იპყრობდა ძე მისი მცირე მანუჩარ“, „...მივიდა რისხვითა საშინელითა საძცხეს, ამოსწყვიტა სრულიად საათაბაგო და ქმნა მრავალი ბოროტი და წარავლინა კაცი ხვანთქართან და ინებეს მშვიდობითა ყოფა ურთიერთარს და განიყვეს ქვეყანა ჟამსა ამასა და შერიგდნენ“ („ქართლის ცხოვრება“, გვ. 742).

სამცხე-საათაბაგოში შაჰ-თამაზის შემოსევის ამ მიზეზს იმეორებს ვახუშტიც (იხ. „საქართველოს ცხოვრება“ და „საათაბაგოს დაპყრობა ოსმალთა მიერ“). მაგრამ „მესხურ დავითნის“ ქრონიკაში არაფერია ნათქვამი დედისიმედის ძიერ ჩოლოყაშვილისაგან წერილის მიღებაზე და შაჰ-თამაზის შემოსევაზე საათაბაგოში ვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ განდგომილი სამცხის თავადები ამით მთლად არ დაიბნენ. მათ თავიანთ ხელმძღვანელად გამოჰყვეს ვარაზის შვილი კოკოლა, რომელთანაც ერთად მოქმედებდნენ—მისი ძმა ლაშქარა, მისი ბიძა გურგაქი, დიასამიძეები ავთანდილ და შერმაზანი, აბდუყაფარი, როსტომი და სხვები. მათ შეიტყვეს, რომ ყვარყვარე, მანუჩარი და მუხრანბატონის შვილი ერეკლე წასულიყვნენ სამწუბში და აქ თათბირზე იხილავდნენ ელჩების ყაენთან გაგზავნის საკითხს და რომ მათი მცველები სამწუბში მცირე და უმნიშვნელო შეიარაღებული ძალებისაგან შესდგებოდა. ხუთასი შეიარაღებული კაცის თანხლებით კოკოლა გაემგზავრა მათზე უცაბედი თავდასხმის მოსაწყობად. მაგრამ შეთქმულებთან მყოფი ყანდურალი საიდუმლოდ ჩამოსცილდა შეთქმულებს და სასწრაფოდ გაეშურა სამწუბისაკენ. მამლის ყივილის დროს მან კიდევაც მიაღწია დანიშნულ ადგილს და გააფრთხილა ათაბაგი მომავალი თავდასხმის შესახებ.

ყვარყვარემ და მისმა თანმხლებლებმა სასწრაფოდ იცვალეს ადგილსამყოფო და გადმოვიდნენ სოფ. ოხერის ციხე-სიმაგრეში, რის გამოც კოკოლას თავდასხმა უშედეგოდ დამთავრდა, ისე, რომ მას „სხვა“ აღარ დახვდა-რა, თუხარლიანთ კარავი და ბარგი დახვდა და ის დაიფორიაქეს“. ათაბაგმა და მისმა მომხრეებმა მოხერხებულად გამოიყენეს მოგებული დრო. დედისიმედმა სწრაფად დააგზავნა თავისი კაცები ლაშქრის შესაგროვებლად. საკმაო ძალების თავმოყრის შემდეგ ყვარყვარე, მანუჩარ და ერეკლე დაუყოვნებლივ გაემართნენ აჯანყებულთა მნიშვნელოვანი დასაყრდენის—თმოგვის ქალაქის დასარბევად.

მთელი რიგი ბრძოლების ჩატარების შემდეგ თმოგვი, ფეოდალთა ეს დასაყრდენი, დაეცა. ამის შემდეგ ჯერი მიდგა არანაკლებ მნიშვნელობის მქონე ციხე-სიმაგრეზე, რომელიც ზედათმოგვში იყო აშენებული და სადაც თავი მოეყარა აჯანყებულთა შეიარაღებულ მომხრეების დიდ ძალას. თუ რამდენად რთული და საპასუხისმგებლო იყო ზედათმოგვის სამხედრო ოპერაციები, იქიდანაც სჩანს, რომ ამ ბრძოლებში უშუალო მონაწილეობა მიიღო თვით დედისიმედმა. დაეცა აჯანყებულთა ისეთი კერებიც, როგორიც იყვნენ: ვანის-ქვაბი, ოლადის-ქვაბი, კარწახი; ათაბაგის დამსჯელ რაზმებმა მთლიანად გადასწვეს თეთრი-ციხის გარშემო მდებარე ალაბუთი და ქამარიანი, ხოლო თვით თეთრი-ციხე აუღებელი დარჩა. შემდეგში აჯანყებულებმა მოახერხეს აგრეთვე უკან დაებრუნებინათ „მათივე ნაქონები ოლთისის ციხე“ [1].

ფეოდალების აშლილობისა და მათი ბრძოლის მეორე ეტაპის დასაწყისი თითქოს კვლავ აჯანყებულთა აქტივობით ვითარდებოდა. კოკოლამ კვლავ მოახერხა გაძლიერება და ახჩიის ქვაბის ბრძოლით დამორჩილება, თუმცა

რაზის სიკვდილის შედეგად. შეუძლებელია, რომ ასეთი დიდი მნიშვნელობის ფაქტი უგულებელყოფილიყო „მესხური დავითნის“ ქრონიკის ავტორის მიერ. ყოველ შემთხვევაში მარტო ვარაზის სიკვდილი არ უნდა გამხდარიყო მიზეზად ირანის ოსმალეთთან შერიგებისა და სამცხე-საათაბაგოს ურთიერთ შორის დანაწილებისა. გარდა ამისა, ვარაზის სიკვდილი და შაჰ-თამაზის შემოსევა სამცხე-საათაბაგოში, როგორც ეს „ქართლის ცხოვრებიდანაც“ სჩანს, მომხდარა დედისიმედის უმცროსი შვილის მანუჩარის და არა ყვარყვარეს ათაბაგობის დროს; სამცხე-საათაბაგოს ფეოდალების ხელისუფლების წინააღმდეგ მოძრაობა კი იწყება თვით ყვარყვარეს ათაბაგობის ხანაში (იხ. ზემომოყვანილი ამონაწერი „საქართველოს ისტორიიდან“). მაშასადამე, დედისიმედის თვალსაზრისით, მის მიერ შალიკაშვილის დანთხეული სისხლი არც თუ ისე „უბრალო“ უნდა ყოფილიყო.

[1] „ქართლის ცხოვრება“, გვ. 744. გამოც. ზ. ჭიჭინაძის მიერ 1899 წ.

იგი დიდხანს არ ყოფილა აჯანყებულთა ხელში. შემდეგი ბრძოლების პროცესში საქმე იქამდე მივიდა, რომ აჯანყებულმა გურგაქმა, დაატყო რა ძალის გადახრა ათაბაგის მხარეზე, განუდგა კოკოლას და ერთგულება შეჰფიცა დედისიმედს, თუმცა მალე გამოირკვა, რომ ეს გურგაქის მხრით მხოლოდ ტაქტიკური მანევრი იყო.

აჯანყებული ფეოდალების დათრგუნვა საერთოდ არც ისე ადვილი საქმე იყო, რადგან ჯერ ერთი, მათი ძირითადი დასაყრდენი ქაჯის-ციხე უვნებელი რჩებოდა, მიუხედავად ათაბაგის რაზმების მიერ მასზე მიტანილი ხშირი იერიშებისა (თუმცა ერთხანს მასთან ახლოს მდებარე ველი, ურთის ციხესაყდარი და სხვა ადგილები აღებულ იქნა ათაბაგის მოლაშქრეების მიერ); მეორეს მხრივ—აჯანყებულები დახმარებას ღებულობდნენ ირანისაგან, ხოლო შაჰ-თამაზის გარდაცვალების შემდეგ—ოსმალეთისაგან. როგორც ქვევით დავინახავთ, ოსმალეთის შეიარაღებული ძალები, ირანთან ომის გამოცხადების შემდეგ, უკვე დაიძრნენ სამცხე-საათაბაგოს საზღვრებისაკენ და აჯანყებულებს ამით მიეცა ოსმალთაგან რეალური დახმარების მიღების შესაძლებლობა.

ირანთან ოსმალეთის ახალი დიდი ომის წამოწყება სულთანმა გადასწყვიტა იმის გამო, რომ ამ დროისათვის შექმნილი ვითარება როგორც სამცხე-საათაბაგოში, ისე ირანში, თითქოს ოსმალეთის სასარგებლოდ ლაპარაკობდა. მართლაც 1576—1587 წლებში ფეოდალური ირანი მნიშვნელოვან სიძნელეებს განიცდიდა. ირანის ამდროინდელი პოლიტიკური კრიზისი სეფიანთა დინასტიის წარმომადგენლების ხშირი ცვლით და ირანის ქვეშევრდომ პროვინციების მძაფრი აჯანყებებით ხასიათდება. ირანის მდგომარეობა უფრო მეტად გაართულა ოზბეგების შემოსევამ, რამაც ირანის სახელმწიფო მნიშვნელოვანი საშიშროების წინაშე დააყენა[1].

სულთანის განკარგულებით დიდძალი ჯარი ოსმალებისა დაიძრა ირანისაკენ და ახალი დიდი ომი დაიწყო.

ოსმალეთის მიერ ირანთან ახალი ომის წამოწყების მიზეზი და ამ ომის შედეგად მოსალოდნელი საქართველოს დაპყრობა ოსმალეთის ოფიციალური წრეების მიერ ცინიკური მოტივებით იყო განმარტებული. თვით მუსტაფა ლალა-ფაშა ირანის შაჰისადმი მიწერილ წერილში[2] ამ ომის მიზეზს შემდეგნაირად ხსნიდა:

„დიდად ბრწყინვალე სპარსეთის შაჰო! მე, მუსტაფა ფაშა, სულთან მურადის ვეზირი და ოტომანების იმპერატორის მთელი ჯარების მთავარ-სარდალი, გაცნობებთ, რომ აქ მოსული ვარ ურიცხვი ქვეითი ჯარით, სამასი ათასი ცხენოსნით და ექვსასი ქვემეხით, ექვსი ათასი იენიჩარით და შაშხანოსნებით, რომ დავსაჯო ისინი, ვინც თქვენი ძმის ისმაილის მოწამვლაში დამნაშავენი არიან და ამისათვის ქრისტიან ქართველების ქვეყანა უნდა დავიკავო. ხოლო თუ თქვენი აღმატებულება გზას გადამიღობავს და ამ ხალხის დაცვას შეეცდება, მაშინ ჩემი ბატონის მითითების თანახმად, იძულებული ვიქნები აგრეთვე თქვენ შეგებრძოლოთ! ეს არაფერი სახელი იქნება ჩემთვის, თუ კი თურქეთის დიდი სულთანის მონა თქვენ, როგორც სპარსეთის მეფეს, დაგატყვევებდით; ხოლო საწინააღმდეგო რომ მომხდარიყო, უსაზღვრო სახელს მოიხვეჭდით მთელ ქვეყანაზე, თუ კი ისეთ კაცს, როგორიც მე ვარ, ტყვედ ჩაიგდებდა თქვენნაირი მეფე. გნებავთ ამაზე მი-

[1] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, გვ. 319—320, 1946 წ.

[2] A chronicle of the carmelites in Persia, 1939.

პასუხეთ, მანამდე შირვანს მივადგებოდე და ამ ხალხს დავსჯიდე".

მინადოის თქმით ოსმალეთის მიერ ამ ომის წამოწყების საქმეში „თურამ სიძნელეები წამოყენებული იქნენ, ორი მხოლოდ დიდად მოჩანდა: პირველი—სიშორე და უფრო ადგილების სისასტიკე, რომელზედაც უნდა გაეყვანათ ცხენები, აქლემები, არტილერია და ჯარისკაცები, რადგან იცოდნენ, რომ საქართველოს არტყია მკაცრი მთები და დაბურული ტყეები, სადაც მტრები ადვილად იჭერდნენ და მახეს უგებდნენ გამვლელებს. მეორე—ფული"[1]. მაგრამ რადგან სამცხე-საათაბაგოს ზემოთაღწერილი ფეოდალური აშლილობის გამო ოსმალთა მხარე ეჭირა საათაბაგოს თავადების ერთ ნაწილს, ამიტომ, თურქების აზრით, ეს სიძნელეც ოსმალთა ჯარებისათვის ადვილი გადასალახავი უნდა გამხდარიყო.

მიუხედავად ამისა, ოსმალეთმა მაინც ყოველივე შემთხვევისათვის მუსტაფა ლალა-ფაშას ხელმძღვანელობით დიდ ძალებს მოუყარა თავი. დონ ხუან სპარსელის თქმით ლალა-ფაშის ჯარის რაოდენობა 200.000 კაცამდე აღწევდა. მასში მონაწილეობას ღებულობდნენ ფრიგიელები, პალესტინელები, იუდეველები, პონტოელები, ეგვიპტელები, უნგრელები, აფრიკელები, ურუმები (ბერძნები) და სხვ. აქედან ასიათასი ჯარისკაცი იმ დროისათვის კარგად იყო შეჭურვილი. ჯარის ნაწილებს თან ახლდათ ხუთასამდე სხვადასხვა ყალიბის ზარბაზანი. ამ ჯარის სურსათსანოვაგის დიდი ნაწილი მუსტაფამ გალერებით ტრაპიზონის ნავთსადგურისაკენ გააგზავნა, საიდანაც შემდეგში ყოველივე ეს გადატანილი უნდა ყოფილიყო არზრუმში[2].

[1] T. Minadoi, Historia della gverra fra Turchi et Persiani, გვ. 15, გამოც. 1588.

[2] Relaciones De Don ivan de Persia, გვ. 67, 1604 წ. გამოც.

მუსტაფ ლალა-ფაშა, მიუხედავად ზამთრის არახელსაყრელი პირობებისა, დაიძრა არზრუმის და ყარსის მიმართულებით. მან მალე გადმოლახა სამცხე-საათაბაგოს საზღვრები და საქართველოს სამხრეთ დასავლეთ ნაწილს, როგორც დონ ხუან სპარსელი ამბობს, ოთხი სხვადასხვა მიმართულებით შეესია. მანამდე, სანამ ირანელების შეიარაღებული ძალების ძირითადი ნაწილი წამოვიდოდა ოსმალთა წინააღმდეგ, დედისიმედმა გადასწყვიტა წინააღმდეგობის გაწევა ოსმალ დამპყრობლებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ საათაბაგოში მძვინვარებდა შინაგანი ფეოდალური ბრძოლები.

როგორც „ქართლის ცხოვრება" მოგვითხრობს, ოსმალეთს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს იმ ადგილებში, რომლის მმართველი ფეოდალები ათაბაგის ერთგულნი იყვნენ. მიუხედავად შემოსეული მტრის დიდი სიმრავლისა, მესხებმა შესძლეს ზოგიერთი სიმაგრეებიდან უკუექციათ იმ დროისათვის საზელგანთქმული იენიჩართა რაზმები. მესხთა დარტყმებით განსაკუთრებით მწვავე მარცხს განიცდიდნენ ოსმალთა ჯარის ის ნაწილები, რომლებიც უმთავრესად შედგენილი იყო ურუმებისაგან. მაინც ძალთა თანაფარდობა, ირანელ ჯარის მოწინავე ნაწილების მოსვლის შემდეგაც-კი, ოსმალთა სასარგებლოდ იხრებოდა. ბრძოლების მსვლელობას თანდათან უფრო სასტიკი და მძაფრი ხასიათი ეძლეოდა.

მოვიყვანთ „მესხურ დავითნის" ქრონიკიდან ამ ბრძოლების დამახასიათებელ ადგილს: „... ხვანთქრის ლაშქარი და ლალა-ფაშა მგელ-ციხის ციხეს მიადგეს, შეიბნეს, სამშაბათამდის ყოველ დღეთ ომში იყვნეს; ციხოვანი გოგორიშვილი როინ და მისი ძმა ბერი ერუშნელი და მისი ძმის-წული ზურაბ იყვნეს მათის ყმითა, და ღვთის შეწევნით უკუ ეყარნეს და ციხე ჩვენვე დაგვრჩა, ჩვენთა გაემარჯვა. პარას-

ქევს დღესა, 8 მარიამობის თუჩსა, ქაჯის-ციხე, ველი და თეთრი-ციხე წაგვართვეს ურუმთა და ქაჯის-ციხის მეციხოვნენი სრულად შემოეხოცნეს"...[1]

როგორც უკვე აღნიშნული იყო, მესხთა მდგომარეობა უფრო მეტად იმ გარემოებამ გაართულა, რომ შალიკაშვილის ჯგუფის წარმომადგენლები ახლა ოსმალთა მხარეს გადადიოდნენ და მოითხოვდნენ უკანასკნელთაგან დახმარების გაწევას ათაბაგის საწინააღმდეგოდ. „მესხურ დავითნის" ქრონიკაში იქვე ვკითხულობთ: „... ამილა-ხორიშვილი ქოიარ მიეგება არტანს და ორი ციხე მან შესძღვნა ლალა-ფაშას მარიამობის თვესა ორსა. აგრეთვე არფაქსად ჰბირებოდა უქვსით ციხითა მას წინათ და ხერთვისისა და ხუთი ციხე მას შეუძღვნა, და პატრონს მანუჩართან მიჰყუა; იმ წამს გამოჰგვარეს, ციხეები გამოართვეს და ხახული სანჯახოდ მისცეს... ახალქალაქი უწინ წაართვეს, კოკოლას მეციხოვნე იდგა და იქიდან მისცა, თმოგვი გაიარეს..."

ბოლოს, როგორც იქნა, ირანის შეიარაღებული ძალების ძირითადი ნაწილი სარდალ თოჰმა-ხანის ხელმძღვანელობით წამოვიდა ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ირანელები „უკვე. მიღწეული იყვნენ ჩილდირთან ახლოს ერთი დღით, როდესაც გადასწყვიტეს გაეგზავნათ ჩქარი და სანდო მგზავრები, რათა მოეტანათ მტკიცე და ნამდვილი ცნობა თურქების იარაღის, მდგომარეობისა და ჯარის რიცხვის შესახებ"[2]. როგორც შემდეგში გამოირკვა, მოტანილი ცნობები სრულებითაც არ შეეფერებოდა სინამდვილეს. ირანელებმა, რომლებიც დაიმედებულნი იყვნენ იმაში, რომ ლალა-ფაშას ორმოცი ათასი მეომრის მეტი არ ეყოლებოდა, დაუყოვნებლივ იერიშები მიიტანეს ოსმალთა წინააღმდეგ 1578 წლის 10 აგვისტოს ჩილდირში, სადაც გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა.

მაგრამ თოჰმა-ხანს ჯერ პირველი შეტაკება ძლივს დაეწყო, რომ მუსტაფამ მარჯვენა ფრთიდან სამოცი ათასზე მეტი მხედრით მედგრად შეუტია: თოჰმა-ხანისათვის ორ რამეს რომ არ ეშველა,—გამოცდილებას და ღამეს, რომელიც ახლოვდებოდა, ცოცხალი ერთი სპარსელიც არ დარჩებოდა. თოჰმა-ხანი მიხვდა, თუ რა სახიფათო მდგომარეობაშიაც იყო ჩაყენებული და ამიტომ მთიან ადგილებისაკენ დაიხია; თავისდასაღწევად ათასი ხერხი იხმარა, მაგრამ მნიშვნელოვანი მსხვერპლი მაინც გაიღო: შვიდი ათასი ირანელი დაიხოცა და სამი ათასი კი ოსმალთ ტყვედ ჩაუვარდათ[1].

ამ მნიშვნელოვან გამარჯვების შესახებ მუსტაფამ კონსტანტინეპოლში სულთან მურადს აცნობა, რომლისაგანაც მიიღო განკარგულება თავები დაეჭრათ ყველა სამი ათასი ტყვე ირანელისათვის და ამ თავებისაგან აეშენებინათ კოშკის მაგვარი რამ, რომლის ჰიზანდანიშნულებაც უნდა ყოფილიყო დაშინება ირანელებისა და ყველა იმათი, რომელნიც წინააღმდეგობას გაუწევდნენ ოსმალებს დაპყრობის საქმეში. ავიწყდებოდა რა თვით ირანელების სიმხეცე, დონ ხუან სპარსელი ამ ამბის შესახებ აღშფოთებით აღნიშნავდა: „ასეთი მხეცობა და სისასტიკე არც ერთ მეფეს არ ჩაუდენია. ასეთმა საშინელმა მომხდარმა ამბავმა სპარსეთის შაჰის მხარეზე მყოფი მთავრები შეაძრწუნა და ამურატეს მომხრეობა არჩევინაო".

მომხდარი ამბების შესახებ მოთხრობას მინადოი თავის მხრივ დასძენდა:

---

[1] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, „სამი ისტორიული ქრონიკა", გვ. 98, 1890 წ.

[2] დონ ხუან სპარსელის აღნიშნული შრომა, გვ. 71.

[1] Relaciones De Don ivan de Persia, გვ. 73, 1604 წ.

„ამ დღეს, როდესაც თურქების წინამძღოლი ასეთ ბარბაროსულ და მტარვალს საქმეს ადგა, რამდენიმე კაცი მოვიდა ქართველი Dedesmit (დედისიმედად) წოდებული ქვრივის უმცროსი შვილის მანუჩარის (Manuchiar) სახელით, რომელნიც კარავში მიიწვიეს, მოსულებმა მოახსენეს, რომ მუსტაფას წყალობით მათი ბატონი მანუჩარი სალამის მისაცემად მოდიოდა, რათა მისთვის მორჩილება და ერთგულობა განეცხადებინა“ [1].

როგორც უკვე ნათქვამი იყო, ოსმალეთი დიდ მნიშვნელობას აძლევდა ათაბაგის მიერ ოსმალეთისათვის მხარდაჭერას ირანელების საწინააღმდეგოდ; გასაგებია, რომ მუსტაფა ლალა-ფაშისათვის დედისიმედის წარმომადგენლის მანუჩარის მოსვლა მის ბანაკში მორჩილების გამოსაცხადებლად, არა ნაკლები წარმატება იყო, ვინემ ჩილდირში მუსტაფას მიერ მოპოებული გამარჯვება 50.000-მდე შეიარაღებულ ირანელ მხედრობაზე. დონ ხუან სპარსელი, რომელიც ომებში პირადად ღებულობდა მონაწილეობას, აღნიშნავს, რომ თურქების გენერალმა მანუჩარი დიდი ალერსით მიიღო და ამაზე სულთანს აცნობა, როგორც უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ, როგორც მომავალი დიდი ამბების დასაწყისის კარგი მაჩვენებლის შესახებ.

მინადოის თქმით, მანუჩარის წარმომადგენლების მოსვლამ ოსმალთა ბანაკში გააორკეცა მუსტაფას სიხარული. მან ბრძანა, რომ ყოველი ფაშა და ჯარის ნაწილების სხვა მეთაურები სრული წესრიგით, დიდი ზეიმის მოწყობით, საყვირების დაკვრით, არტილერიის სროლითა და „ყველა უდიდესი სასიხარულო მიღების ნიშნებით მიგებებოდნენ ნათქვამ მანუჩარს და მას წინ გასძღოლოდნენ“ მანამდე, სანამ მანუჩარი მოვიდოდა ლალა-ფაშის კარავში. როცა მანუჩარი გამოცხადდა მუსტაფასთან, ამ უკანასკნელმა თავის მხრივ „მეორეჯერ შეასრულებინა არტილერიისა და თოფების სროლა და განამეორებინა საყვირებისა და დაფდაფების ხმაურობა“ [1].

როგორც ქვევით დავინახავთ, მუსტაფა ლალა-ფაშის ეს დიდი სიხარული ნაადრევი, ან, უფრო სწორად—უადგილო იყო. ოსმალეთმა სრულებითაც ვერ მოახერხა მანუჩარის თავის მხარეზე გადაბირება, მიუხედავად იმისა, რომ მანუჩარმა მუსლიმანობა მიიღო და ლალა-ფაშას საპატიოდ მუსტაფას სახელიც კი დაირქვა. ლალა-ფაშა არ შესცდა მხოლოდ იმაში, რომ მანუჩარი წარმოიდგინა ძლიერ პიროვნებად—როგორც პოლიტიკური მოღვაწე, გავლენიანი, მოხერხებული და უშიშარი მეომარი. მანუჩარმა თავისი საქმიანობით მართლაც არაერთხელ დაუმტკიცა ოსმალთ თავისი შეუდრეკელობა, მტრებისადმი მედგარი წინააღმდეგობის გაწევის უნარი და მედგარი დაუშრეტელი ენერგიის შემცველობა.

მანუჩარის ათაბაგად დადგენა და ამ თანამდებობიდან ყვარყვარეს გადაყენება დედისიმედმა გადასწყვიტა ჩილდირში მომხდარი ამბების შემდეგ. მანუჩარის ლალა-ფაშასთან ყოფნის დროს აშკარად გამოირკვა, რომ სულთანი არ მოისურვებდა ათაბაგად იმ პიროვნების დატოვებას, რომლის ხელმძღვანელობითაც ჩილდირის ამბებამდე ხდებოდა ოსმალთადმი წინააღმდეგობის გაწევა სამცხე-საათაბაგოს მიერ და რომელიც ირანის შაჰის თანხმობით ათაბაგობდა. გარდა ამისა, თვით დედისიმედი კარგად გრძნობდა მანუჩარის უპირატესობას ყვარყვარეს წინაშე იმ რთული პოლიტიკური

[1] T. Minadoi, Historia della gverra fra Turchi et Persiani, გვ. 36, 1588 წ. გამოც.

[1] იქვე.

ვითარების დროს, რომელიც ჩილდირის ამბებთან დაკავშირებით შეიქმნა. მართალია, ყვარყვარე, როგორც სამხედრო საქმის მცოდნე და მეომარი, მანუჩარს არ ჩამოუვარდებოდა, მაგრამ მოქნილი დიპლომატობა, რაც ასეთ ვითარებაში აუცილებელი იყო, ყვარყვარეს არ ეხერხებოდა მისი ჯიუტი ხასიათისა და პირდაპირობის გამო.

ამ მხრივ მინადოი მთლად არ უნდა იყოს სწორი, როცა ამბობს: „... დასვარა (დედისიმედმა) მამულზე თავისი უფროსი შვილი და მას მიანდო ზრუნვა, ის შემდეგ ცბიერობითა ამურადისა და ძმა მანუჩარის მიერ ჩამორთმეული იქნაო“. მართალია მანუჩარის ათაბაგად დანიშვნა დედისიმედი აიძულა სულთანის სურვილების გათვალისწინებამ და შექმნილმა ახალმა ვითარებამ, მაგრამ მანუჩარი სრულებითაც არ მიისწრაფოდა ძმის ძალით გადაყენებისა და ძალაუფლების პირადად ხელში ჩაგდებისაკენ. ეს რომ ასე იყო, აშკარად სჩანს შემდეგიდან.

როცა მუსტაფა ლალა-ფაშა საქართველოდან უკან ბრუნდებოდა, მას თან ახლდა ირანელებთან ჩატარებულ ბრძოლების უშუალო მონაწილე მანუჩარი, რომელსაც მინადოის თქმით — „გამოეჩინა ვაჟკაცური ნიშანი და სამხედრო ძალის ნაირობა გამოექვეყნებინა“. სამცხე-საათაბაგოში მისვლისას ლალა-ფაშამ კონსტანტინეპოლში გაიყოლია აგრეთვე მანუჩარის ძმა ალექსანდრე (როგორც უკვე თავის ადგილზე აღნიშნული იყო, მინადოი ყვარყვარეს ალექსანდრეს უწოდებს). ცხადია, რომ ორივე ძმის ერთად წაყვანა კონსტანტინეპოლში სულთანის მოთხოვნით უნდა მომხდარიყო. რადგანაც სულთანმა ორივე ძმა უკან დააბრუნა სამშობლოში, უნდა ვიფიქროთ, რომ სულთან მურად მეორე ყვარყვარეს სტოვებდა უვნებლად იმისათვის, რომ მანუჩარის განდგომის შემთხვევაში სულთანი ძმის კონკურენტს—ყვარყვარეს დასვამდა ... ცალავ ათაბაგად. სხვანაირად, რომ ვსთქვათ, ძმების ურთიერთქიშპობით სულთანს სურდა საბოლოოდ დაემონებინა სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობა.

მინადოი შემდეგ მოგვითხრობს, რომ როცა სულთანი ძმებს შეეკითხა, თუ რომელ მათგანს სურს ისლამის მიღება, მანუჩარმა თანხმობა განაცხადა, ხოლო ალექსანდრემ უარით უპასუხაო. ყვარყვარე სრულებითაც არ წასულა წინააღმდეგი მანუჩარის მიერ ისლამის მიღების საკითხში და თითონ გამოუთქვამს სურვილი ათაბაგობიდან გადადგომაზე, იმ პირობით, თუ მას ცოცხალს დასტოვებდნენ და დააბრუნებდნენ თავის სამშობლოში. საინტერესო ისაა, რომ მანუჩარიც არ წასულა ყვარყვარეს სამშობლოში დაბრუნების სურვილის წინააღმდეგ. გამოდის, რომ ძმები წინასწარ შეთანხმებით მოქმედებდნენ. და მართლაც თუ დაუშვებთ, რომ მანუჩარი მიისწრაფოდა ძმის გადაყენებისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდებისაკენ, ის არ უნდა დათანხმებულიყო ყვარყვარეს სამცხე-საათაბაგოში დაბრუნებაზე, რადგან სამშობლოში დაბრუნებული ყვარყვარე უზურპატორ ძმის წინააღმდეგ მეამბოხედ გადაიქცეოდა და შეჰქმნიდა მანუჩარისათვის საშიშროებას.

მიუხედავად ამისა „ინება სულთანმა, რომ ამაზე მანუჩარი დათანხმებულიყო... მანუჩარი ამაზე დათანხმდა, მზად იყო კიდეც დაეკმაყოფილებინა მისი სხვა სურვილებიც. მანუჩარს თავისი სამეფოს დაცვა და მასზე მზრუნველობა მოენდო. ამგვარად მანუჩარი წინდაცვეთილ იქნა და დაერქვა მუსტაფა, რომელსაც ფაშის წოდება ებოძა, ალთუნ-ყალისა, დედისიმედისა და ძმის მამულების გუბერნატორობაც მიენიჭა. სასახლეში ეს ამბავი იდღესასწაულეს და ასე თურქად გამხდარს თავის ძმა

ალექსანდრე ჩააბარეს და სამშობლოში დააბრუნეს“ [1].

დედისიმედის ხელმძღვანელობით ძმების შეთანხმებული მოქმედება აშკარა ხდება სხვა უფრო მნიშვნელოვან ფაქტებიდანაც. ჩილდირის ბრძოლების შემდეგ ოსმალების წინმსვლელობა ცოტა ხნით შეაჩერა მოულოდნელმა წვიმებმა. მხოლოდ ოთხი დღის განუწყვეტელი წვიმების შემდეგ მუსტაფას ბანაკი ჩილდირიდან დაიძრა თბილისისაკენ ახალქალაქის მიმართულებით და მალე მიუახლოვდა მას.

„მეორე დღეს თურქები ერთ მაღალსა და მიუვალ მთაზე ავიდნენ, რომელიც თბილისზეა აღმართული. შემდეგ დღეს ამ მთის მწვერვალიდან ჩამოვიდნენ და ქართველების ერთი დაბა დაიკავეს, თურქულად გურჯი-კალად წოდებული. ამ დაბიდან გასულებმა ერთ მინდორზე ცოტახანს შეისვენეს. მეორე დღეს, დილით ადრიან იმ მდინარის ახლოს მივიდნენ, რომელიც თბილისს ჩამოუდის. მაგრამ იმ ადგილიდან წასვლის შემდეგ, სადაც ველზე ჯარის დათვალიერება მოხდა, თბილისის მდინარემდე სხვადასხვა თავდასხმებს ჰქონდა ადგილი თურქების ჯარის იმ ნაწილებზე, რომლებიც თავის ლაშქარს ჩამოშორდნენ ჯარისა თუ პირუტყვისათვის სურსათ-სანოვაგის შოვნის მიზნით. რამდენიმე ქართველი მთავარი, როგორც იუსუფი, დაუთი და (როგორც ზოგნი ამბობენ) ქვრივის უფროსი შვილი ალექსანდრე, თავიანთ სოფლების მხედრებთან ერთად შეერთებულნი, თურქების ჯარს მუდამ ფარულად უკან მისდევდნენ და როგორც იმ ქვეყნის კარგი მცოდნენი, გზებზე უცდიდნენ, სადაც მესურსათეებს უნდა გაევლოთ. მათ მოულოდნელად ეკვეთებოდნენ და ერთსა და

[1] T. Minadoi, Historia della gverra fra Turchi et Persiani, გვ. 97, 1588 წ. გამოც.

იმავე დროს ნაძარცვ საქონელს ართმევდნენ და უსპობდნენ მათ სიცოცხლეს. ყოველივე ეს იმდენჯერ მეორდებოდა, რამდენჯერაც მიმშილით შეწუხებული თურქების ქვეითნი და ცხენოსანნი, თავიანთი ლაშქრიდან მალულად წასვლის გამო, გენერალს ვერ სთხოვდნენ დამცველი რაზმების გაყოლებას“ [1].

ამგვარად, თუ დედისიმედის ერთი შვილი—მანუჩარი ლალა-ფაშასთან ერთად მონაწილეობას ღებულობდა ირანელების წინააღმდეგ ჩატარებულ ბრძოლებში, ამავე დროს მეორე შვილი ყვარყვარე (უნდა ვიფიქროთ, რომ არა დედისიმედის ნებართვის გარეშე), როგორც ამონაწერიდანაც სჩანს, თავისი შეიარაღებული ძალებით მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა იმ პარტიზანთა რაზმებში, რომლებიც ფეხდაფეხ უკან მისდევდნენ ლალა-ფაშას ჯარებს და დიდ ზიანს აყენებდნენ მას. ამ პარტიზანთა რაზმების თავდასხმებმა განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღეს მაშინ, როცა ოსმალთა ჯარების ერთი ნაწილი უკანდაბრუნებისას მიუახლოვდა სამცხე-საათაბაგოს საზღვრებს.

ბრძოლა ქართველებისა, რომელთა შორის აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ყვარყვარე თავისი შეიარაღებული ძალებით, ოსმალების წინააღმდეგ, რომელთაც ხელმძღვანელობდა ნასრედდინ ჩელები, დამთავრდა ოსმალთა სასტიკი დამარცხებით სამცხე-საათაბაგოს საზღვრებთან. ქართველებმა ამ ბრძოლაში 1.500 მეტი თურქი გაანადგურეს. თვით ნასრედდინ ჩელებიმ თავს უშველა მხოლოდ გაქცევით. ამ ბრძოლის შესახებ მინადოი აღნიშნავს: „კარგა ხანს გასტანა ბრძოლამ, და ითმინეს რამდენადაც შე-

[1] T. Minadoi, Historia della gverra fra Turchi et Persiani, გვ. 52, 1588 წ. გამოც.

იძლებოდა მარჯვედ შეტევა; შაგრამ ხედავდნენ, რომ ქართველები გაცილებით სჯობნიდნენ და რაზმში აღარ იყო ძალა მტრების მრისხანების საწინააღმდეგოდ, სცადეს თავისი დაცვა გაქცევით, და თავიანთი დახსნა მიანდეს რაშების ჩქარ სირბილს. გაქცევით გაიზარდა ზარალი და იმატა ჟლეტამ ისე, რომ თითქმის ყველა გაწყდა იმ მცირეთა გარდა, რომელთაც გამოჩენილი რაშების გაქანებული ჭენებით თავი გადაირჩინეს. მათ შორის იყო ზემოთქმული ნასრედდინ ჩელები"[1].

ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში არანაკლებ თავი გამოიჩინა მანუჩარის ბიძაშვილმა ერეკლემ, რომელიც, როგორც უკვე აღნიშნული იყო, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ათაბაგის მხარეზე აჯანყებულ ფეოდალების წინააღმდეგ[2]. ოსმალებთან წინააღმდეგ ბრძოლებში მას არაერთხელ უჩვენებია მესხთა ლაშქრისათვის გმირული მაგალითები. „მესხური დავითნის" ქრონიკა მოგვითხრობს, რომ მას ოსმალებმა 16 ცხენი მოუკლეს ქვეშ, მის მუზარადს 40-მდე ისარი ჰქონდა ნაკრავი „და ვერც ჯაჭვი და ვერც მუზარადი ვერ გაეკვეთა; ერთი ხრმალი ხანჯარს სცემოდა და ხანჯრის ტარი ზედ დაეჭრა, ექუსი აზნაურიშვილი მძიმედ დაუჭრეს, დაუკოდეს, გამარჯვება ერეკლეს დარჩა, გამოიქცეს თათარნი, უფროსი ერთნი დახოცეს და ამოსწყვიტესო"[1].

მეორე მხრივ ოსმალდამპყრობელთა წინააღმდეგობის გაწევაში დიდი როლი შეასრულა მანუჩარმა, რომლის მოფიქრებული საქციელით სასტიკად განადგურებული იქნა მაჰმედ-ფაშის 20.000-იანი არმია ბორჯომის ვიწრო ხეობაში. ლალა-ფაშის ბრძოლების შემდეგ, რომელიც ფაქტიურად დამთავრდა 1579 წელს, სულთანმა გადასწყვიტა საქართველოს საბოლოო დასამორჩილებლად და ირანის საბოლოო დასამარცხებლად ბრძოლების განახლება. ამ მიზნისათვის ოსმალეთის ჯარების მთავარსარდლად დაინიშნა ახალი ხელმძღვანელი სინან-ფაშა, მაგრამ მან ვერ მოასწრო მნიშვნელოვან სამხედრო ოპერაციების ჩატარება იმის გამო, რომ ის მალე გაიწვიეს უკან უმაღლეს ვეზირის თანამდებობის დასაკავებლად.

ცხადია, რომ ამის შემდეგ ოსმალთა დიდი შეიარაღებული ნაწილების ფართო სამხედრო ოპერაციები აღმოსავლეთით ვეღარ განვითარდებოდა. საქართველოსათვის დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის მებრძოლი ყველაზე უფრო პოპულარული მეფე სიმონი ირანის ძალებთან ერთად შეეცადა ოსმალთა განდევნას საქართველოს ტერიტორიიდან. მან არაერთხელ მოახდინა საქართველოში მყოფ ოსმალთა ჯარების ცალკე ნაწილების სრული განადგურება და ამასთან იერიშების მიტანა ლალა-ფაშას მიერ თბილისში დატოვებულ მეციხოვნეებზე. ოსმალ მეციხოვნეთა მდგომარეობა კიდევ იმითი რთულდებოდა, რომ ციხის გარნიზონს თანდათან აკლდებოდა

[1] იხ. თ. მინადოის დასახელებული შრომა.

[2] „ქართლის ცხოვრების" მიხედვით, ერეკლე მონაწილეობდა აგრეთვე ათაბაგის იმ ლაშქრობაში, რომელიც მოეწყო ფოსოში მდგომ აჯანყებულ ფეოდალებზე. აქედან ათაბაგის შეიარაღებული ძალები ერეკლესთან ერთად გავიდნენ პალაკაციოში და, როგორც აღნიშნული იყო, დაარბიეს და დასწვეს ალაბუტი, ქამაროანთან ერთად. მანუჩარ და ერეკლე იბრძოდნენ „შალიკაანთ აზნაურიშვილებთან", მგელ-ციხეში, სადაც ფეოდალები დაშარცხდნენ და ერეკლემ ვაჟკაცური სახელი დაიმსახურა. შემდეგში ერეკლეს კვლავ ვხვდებით მანუჩართან ერთად ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლებში: „მანუჩარ და პატრონმა ერეკლემ ლაშქარი შეიყარეს, წავიდეს, ურუმთ ჰირს მოუდგეს" („ქართლის ცხოვრება", გვ. 746).

[1] „სამი ისტორიული ქრონიკა", გვ. 101, 1890 წ.

სურსათ-სანოვაგე და საერთო მომარაგება. ციხიდან გასვლა კი, სურსათ-სანოვაგის მოპოების მიზნით, მეციხოვნეთათვის სიმონის ენერგიული მოქმედების გამო შეუძლებელი იყო. ამიტომ საჭირო გახდა თბილისის გარნიზონისათვის დაუყოვნებლივ დახმარების მიწოდება ოსმალეთიდან.

თბილისის გარნიზონის გარდაუვალ დაღუპვისაგან გადარჩენის მიზნით, სულთანის განკარგულებით გამოიგზავნა ლალა-ფაშას ძმისწული მაჰმედ ფაშა. კარა-ემიტის ფაშას საჭურისს ჰასანს და მანუჩარ ათაბაგს დაევალათ თავიანთი ძალებით დახმარების გაწევა მაჰმედ ფაშისათვის. არზრუმის ყველა სანჯაღის მმართველები და ქურთების ტომების ხელმძღვანელებიც უნდა გამოცხადებულიყვნენ მაჰმედ ფაშის განკარგულებაში. „ყველა თქმულ ადგილებიდან მოგროვდნენ ოცი ათას სულამდე და მიეცათ თანხა, გარემოცული სიმაგრის მხედართათვის საკმაო“.

მაგრამ სანამდე მაჰმედ ფაშა შეუდგებოდა თავის წინაშე დასახული გეგმის პრაქტიკულ განხორციელებას და მოვიდოდა სამცხე-საათაბაგოში თავისი მარშრუტის შემდგომი გაგრძელებისათვის, მანუჩარი სწრაფად. და საიდუმლოდ დაუკავშირდა სიმონ მეფეს, რომელთაც ერთად შეადგინეს ოსმალთა წინააღმდეგ მოქმედების საერთო გეგმა. როგორც შემდეგში გამოირკვა, გეგმით გათვალისწინებული იყო ოსმალთა შემოტყუება ბორჯომის ხეობაში და მათთან ისეთ მოხერხებულ ადგილას დახვედრა, სადაც თავისთვის ნაკლები ზიანით გაანადგურებდნენ ოსმალთა ურდოებს. მანუჩარის მოქნილი მოქმედების შედეგად, როგორც მინადოის ქვემოთქმულიდან დავინახავთ, ეს ბრწყინვალედ იქნა შესრულებული.

მაჰმედ ფაშამ, მანუჩართან შეხვედრისას, მას „გაახსენა: ვინაიდან ის მორჩილი და ქვეშევრდომია ამურადისა, ვალდებულია მომზადებული მცველებით თბილისისაკენ გაუძღვეს მას და უჩვენოს ის გზა, რომელიც უფრო მოკლე, მოხერხებული და უხიფათო იქნება. ზოგის აზრით ასეთი უნდა ყოფილიყო ტომანისის (დმანისის) გზა, ზოგისა-კი — უფრო მოხერხებულად სჩანდა ის გზა, რომელიც მანუჩარის ქვეყანაზე გადის. დიდი მსჯელობის შემდეგ მუსტაფამ (მანუჩარმა) თამამად გადასწყვიტა, რომ მისი აზრით უფრო ადვილი და მოკლე იქნებოდა მის ქვეყანაზე გავლა და მასთან უფრო უხიფათოც. მაჰმედს მუსტაფას რჩევა მოეწონა და ის ჯარის წინამძღოლად აირჩია და მის რჩევას მიენდო. ამგვარად შეერთებულნი წავიდნენ თბილისისაკენ. გაიარეს ალთუნ-კალაზე და კარა-კალაზე, რომელიც ადრე მის ქვრივ დედას ეკუთვნოდა და სადაც ადამიანის ცხოვრებისათვის აუცილებელი რამ უხვად მოიპოება“ [1]. სვლის მიმართულება აღებული იყო გორისაკენ. ხეობის ერთ-ერთ ადგილზე (სამწუხაროდ მინადოის ეს ადგილი კონკრეტულად არა აქვს დასახელებული) მდინარე მტკვრის გაღმა ნაპირზე ოსმალებმა შეამჩნიეს ქართველთა შეიარაღებული ძალები, რის გამოც ოსმალები მყისვე შეჩერდნენ. „მოხდა ბჭობა მაჰმედისა და მუსტაფას (მანუჩარს) შორის იმის შესახებ, გასულიყვნენ იმ მდინარეზე, სანამ დაღამდებოდა, თუ მტკვრის აქეთ გაჩერებულიყვნენ დილამდის. ქართველი მუსტაფა ამჯობინებდა გაჩერებას და არა გადასვლას, რადგან ეშინოდა, რომ ისე ჩქარა მთლიანად და ერთად ვერ მოასწრებდნენ მდინარეზე გასვლას, რომ მტერს მათზე პირველი დარტყმა არ მოეხდინა და მთელი ბანაკი ამით არ არეულიყო, რის გამოც უდიდეს ზარალს ნახავდნენ. მიუხედა-

[1] T. Minadoi, Historia della gverra fra Turchi et Persiani, გვ. 157, 1588 წ. გამოც.

ვად ამისა მაჰმედს მუსტაფას შეხედულება არ მოეწონა, რადგან მტკიცედ დაასკვნა, რომ შესაძლებელია სპარსელებს და მუსტაფას შორის კავშირი და შეთანხმება არსებობდეს, რის გამოც ცბიერმა ქართველმა ამ გზაზე და არა დმანისზე გავლა ურჩია. მაჰმედმა იმის გამო, რომ ჩაეშალა მუსტაფასი და მტრის სტრატეგია და მოტყუება, არ მიიღო ქართველის რჩევა ღამით მდინარის აქეთა ნაპირზე დარჩენის შესახებ. ბრძანება გასცა, რომ ყოვლად დიდი სისწრაფით გასულიყვნენ მდინარეზე ხაზინითა და სამხედრო საჭურველით, იმ ანგარიშით, რომ სანამ დაღამდებოდა, მტრების გამოსაჯავრებლად, მდინარის გაღმა მოხერხებული ადგილი დაეკავებინათ. მაჰმედ ფაშის ქეკაია, გულადი და უშიშარი ჭაბუკი, პირველი იყო, რომელიც გავიდა მდინარეს. შემდეგ მას დიდი სისწრაფით მიჰყვა ფულისა და ხორბლის საპალნეები და მთელი ჯარი. მაგრამ ამით ისეთი არევდარევა მოხდა, რომ უმრავლესობა მდინარის ტალღებში ჩაიხრჩო, თუმცა უფრო მეტი განადგურება ცხენებისა და აქლემების გასრესამ გამოიწვია, ვიდრე წყლის სწრაფმა მდინარებამ და კალაპოტის სიღრმემ... ქართველებმა შეამჩნიეს თუ არა, რომ თურქები მდინარეს გადადიან, სანამ ისინი დაეწყობოდნენ საბრძოლო რიგში, განრისხებულნი სასწრაფოდ მიიჭრნენ მათთან და სწორედ იმ დროს ეკვეთნენ, როდესაც ჯერ კიდევ ყველანი არეულად იმყოფებოდნენ. ამის გამო თურქებმა ვერ მიიღეს შესაძლებლობა იერიშის დაწყებისათვის, თუმცა არც ისეთი სილაჩრე გამოიჩინეს, რომ მტერს არ შებრძოლებოდნენ. სულ მოკლე ხანში მდინარის ნაპირები მრავალ ადგილას თურქების სისხლით შეიღება და ორივე მხარეს გამოჩნდა თურქების მრავალი გვამი, იმ დროს, როდესაც ქართველებს ჯერ კიდევ არავითარი ზიანი არ მოსვლოდათ. მოკლულთა შორის იყვნენ ზოგიერთი სანჯაკები, ქურთნი და მესოპოტამელები. აშკარად სჩანდა, რომ თურქების რაზმები, დიდი მხნეობის გამოჩენის გარეშე, უბედურად უნდა განადგურებულიყვნენ. ამის შიშით, გადარჩენილმა სანჯაკებმა, ქურთებმა და მესოპოტამელებმა, რომელთაც თავისი განადგურება და სხვების ზარალი გაითვალისწინეს, ზურგი იბრუნეს და გაიქცნენ. მსგავსადვე მოიქცა კარაემიტთა დარჩენილი ნაწილი და მასთან ერთად თურქების მთელი ჯარი. ქართველებმა ეს გაქცევა წინასწარ შეამჩნიეს, დიდი ფრთა შეჰკრეს, დადგნენ ხმელეთზე და მტერს გაქცევის საშუალებას არ აძლევდნენ. ისინი სცდილობდნენ თურქები ჩაეყარათ მდინარეში. გზის უქონლობის გამო გაქცეულნი დიდად დაზარალდნენ. სირცხვილნაჭამნი ისინი გადაეშვნენ მდინარეში, რადგან ეს მიიჩნიეს უფრო ნაკლებ ბოროტებად, ფიქრობდნენ: ან გაჭირვებით მდინარეში ცოცხლად გასვლას, ან ტალღებში სასოწარკვეთილებით დახრჩობას. დიდი იყო შერცხვენა, დიდი არევდარევა და უდიდესი ზარალი, რადგან ბრძოლის გაჩაღებისას მეფის ფული და ხორბალი ქართველებს ... ნადავლად შერჩათ... ზოგნი გადარჩნენ უფრო ბედით და ცხენების სიმარდით, ვიდრე საკუთარი მხნეობით. ამგვარად დამარცხდნენ თურქები, რომელნიც დაჭრილნი, შერცხვენით შეურაცყოფილნი და ყოველგვარ მხნეობას მოკლებულნი მეორე დილას შეგროვდნენ და ყველა ერთად თავიანთ მეფეს, მარცხიან ბედს და ცასა ჰგმობდნენ. ემუქრებოდნენ გამაჰმადიანებულ ქართველს, როგორც ყველა ბოროტების და მარცხის გამომწვეველს თავისი გამცემლობით და მტერთან საიდუმლო შეთანხმებით“ [1].

---

[1] T. Minadoi, Historia della gverra fra Turchi et Persiani, გვ. 159—162.

მაგრამ მიუხედავად ასეთი დიდი მარცხისა, მაჰმედ ფაშამ მაშინვე ვერ გაბედა დაესაჯნა ამ მარცხის მთავარი მიზეზი—მანუჩარი, რადგან, ჯერ ერთი, რომ მას სულთანის დავალება—თბილისის მეციხოვნეთათვის დახმარების აღმოჩენისა შესრულებული არ ჰქონდა, და მეორეც—კარგად ესმოდა, რომ ამ დამარცხების შემდეგ გადარჩენილი მისი ჯარის ნაწილები სრულებითაც არ იყო საკმარისი მანუჩართან შებმისათვის... მან მანუჩარის ეს დასჯა გადასდო მანამდე, სანამ თბილისიდან უკან დაბრუნდებოდა სამცხე-საათაბაგოზე გავლით.

დამატებითი ძალების მიღების შემდეგ (1582 წ.) მაჰმედ ფაშამ მაინც მოახერხა გადაელახა სიმონ მეფის მიერ შექმნილი ყოველგვარი დაბრკოლებანი და მოეწოდებინა დახმარება თბილისში მყოფ თურქების გარნიზონისათვის. ამის შემდეგ თბილისიდან ის გაეშურა სამცხე-საათაბაგოსაკენ (თუმცა იენიჩარები მოითხოვდნენ დმანისზე წასვლას) მანუჩარზე შურისსაძიებლად. ამ ამბავთან დაკავშირებით „ქართლის ცხოვრება“ აღნიშნავს, რომ „ქორონიკონსა 170 (=1582 წ.) პატრონს მანუჩარს უღალატეს ურუმთა, პატრონი მორჩა, ორივ ფაშანი მძიმედ დაიკოდნენ და გაიქცეს და თემი ჩვენვე დაგვრჩა“ [1].

ადგილი, სადაც ოსმალებმა უღალატეს მანუჩარს, „ქართლის ცხოვრებაში“ არ არის დასახელებული. ვახუშტი კი ამ ადგილზე კონკრეტულად მიგვითითებს: „ამ წელს მანუჩარს აწყვერს მყოფს უღალატეს ოსმალთა. არამედ სძლო მანუჩარვე, ფაშები მძიმედ დაიკოდნენ, გააქცივნა და ალაფი, ქვეყანა დარჩა მანუჩარსვე უვნებლადო“ [2].

[1] „ქართლის ცხოვრება“, გვ. 754, გამოც. ზ. ჭიჭინაძის მიერ 1899 წ.

[2] ვახუშტი, „საქართველოს ცხოვრება“, გვ. 253.

ეს ამბავი ასევე მოკლედ აღწერილია „საათაბაგოს დაპყრობაშიც“ ოსმალთა მიერ“. აქაც ღალატის ადგილად მოხსენებულია აწყური.

მინადოი, რომელიც უფრო დეტალურად მოგვითხრობს მაჰმედ ფაშის ღალატის საქმეზე, ამ მოვლენის განვითარების ადგილად ალთუნ-ყალას ასახელებს და არა აწყურს. იგი სწერს, რომ მაჰმედ ფაშა თავისი ჯარებით მოვიდა და ალთუნ-ყალაში დაბანაკდა. მან მოტყუებით, ვითომდაც სულთანის ბრძანების გასაცნობად, მანუჩარი გამოიძახა თავის კარავში, სადაც ვერაგულად უნდა მოეკლათ მანუჩარი და მისი თანმხლებლები. მანუჩარის ასე ფარულად მოკვლა მაჰმედ ფაშამ ალბათ იმიტომ გადასწყვიტა, რომ საჯაროდ ამ განზრახვის შესრულება ამ შემთხვევაშიაც კი ვერ გაბედა. „მაშინ მაჰმედმა მოიწვია (ამბობს მინადოი) ზემოთთქმული დივანი და მასთან (მაჰმედთან) ერთად დაჯდნენ კარაემიტის საჭურისი ფაშა, არზრუმის იურისდიქციის რამდენიმე სანჯაკი, უმცროსი კაფუჯები და თვით მაჰმედის ქეკაია (Checaia), რომელთაც ფიცის ქვეშ განეზიარათ მაჰმედის მზაკვრული გეგმა. შემდეგ გამოუძახეს ქართველი მუსტაფა, რომელმაც იმის გამო, რომ პატივცემული იყო ზოგიერთის მიერ, ანდა ყოველგვარ სიფრთხილეს და წინდახედულობას იჩენდა, ანარადა იმის გამო, რომ თურქების სამარცხვინო განადგურების შემდეგ შექმნილი მითქმა-მოთქმისათვის ყური მოეკრა, მიხვდა, რომ ყველაფერი ეს განგებ მოწყობილი იყო, აგრეთვე იფიქრა, რომ ეს უფრო მეტად შეთქმულება უნდა ყოფილიყო მის წინააღმდეგ მოწყობილი. ამიტომ ისიც თავის მცველებით ფარულად მოემზადა. იმის გამო, რომ მას არ შეეძლო დივანში გამოცხადებაზე უარისთქმა, რადგან ამ შემთხვევაში მას ჯიუტობას დასწამებდნენ და იმ საშინელ დამარ-

ცხების დამნაშავედ გამოიყვანდნენ (რაც ფაქტიურად ასეც იყო), მან უხიფათო საშუალება გამონახა, რათა აეცდინა თურქების სასჯელი და მაჰმედის მოკვლით გამოეჩინა თავისი ძალისა და მხნეობის ნიმუში. მან თავის მხედრობაში ამოირჩია ორმოცდა ათი ერთგული მეომარი და დაავალა გაჰყოლოდნენ დივანში, რომელიც უკვე მომზადებული უნდა ყოფილიყო მაჰმედის კარავში. ისინი გააფრთხილა, რომ კარავთან მისვლისას ყველანი მზად და ფრთხილად ყოფილიყვნენ, რათა პირველივე დაძახებისთანავე, ვიდრე მას რაიმე ზიანს მიაყენებდნენ, იარაღით ხელში დაუყოვნებლივ ჰკვეთებოდნენ განურჩევლად ყველა თურქს. როგორც ბუნებრივად თურქების მოდგმის უდიდესი მტერნი, ადვილად მიხვდნენ, რასაც მანუჩარი მათ ავალებდა. ამიტომ თავის მხრივ მათაც მოიხმეს თავისი ერთგული და სანდო მეგობრები და ყველა ერთად მუსტაფას მაჰმედის კარავამდე მიჰყვა. მუსტაფა დივანში შევიდა და ფეხზე მდგარი მაჰმედს ელოდებოდა, რომ მას განეცხადებინა მუსტაფასათვის, რაც სათქმელი ჰქონდა. მაჰმედმა მაშინვე წააკითხა წინასწარ შეთხზული ბრძანება, რომელიც მან ყურადღებით მოისმინა. როდესაც სხვა სანჯაკები და ფაშები დასხდნენ (თურქეთში ჩვეულებაა რომ, როდესაც მეფის რომელიმე ბრძანება იკითხება, ფეხზე უნდა უსმენდნენ, სანამ წაკითხვა არ დამთავრდებოდეს), ქართველმაც დაჯდომის დასტური მიიღო და დაჰპირდა, რომ შეასრულებს მეფის არა მარტო ამ ბრძანებას, არამედ სხვებსაც, რაგინდ ძნელად შესასრულებელი არ უნდა იყოს. როდესაც კარავიდან გარეთ გასვლას აპირებდა, მას მაჰმედის ფაშის კაფუჯი ბაში (capigi bassi) მიუახლოვდა, მოსწია ყურთმაჯიდან და უთხრა (სიტყვას მოქმედებაც დააყოლა), რომ დამჯდარიყო. როდესაც მუსტაფამ იგრძნო მკლავის მოწევა, ხმამაღლა დაიყვირა და ამასთან ერთად ხმალი იძრო, რომლითაც ძის ერთ-პირ მდგომი მაჰმედის ქეკაია დასჭრა, მარცხენა ხელით თავიდან ფესი გადმოუგდო, მარჯვენით სასწრაფოდ და ყველას განსაცვიფრებლად ერთის დარტყმით სტომაქამდე გაუპო თავი, ყელი და მკერდი ორ ნაწილად, ისე რომ (—საკვირველი სანახაობა—) მოკვდა. მისი გაყოფილი მხრები ორივე საწინააღმდეგო მხარეს დაეკიდა. პირველ დარტყმას მან მეორეც მოაყოლა, რომელიც დამიზნებული ჰქონდა საჭურის ფაშის თავზე, მაგრამ რადგან ის დაცული იყო ჩალმის სახვევით, (ხმალი) დაექანა ქვევით ყურისაკენ და ჩალმის ერთი გვერდით ღაწვის ნაწილი და ყური ჩამოათალა. განრისხებულმა, მთლიანად გაცეცხლებულმა და შურისძიებას მოწყურებულმა შემდეგ მაჰმედ ფაშაზე იწია, რომელიც მთლად გადარეული ამ საშინელებით უკვე ფეხზე ამდგარიყო. მას ხუთი სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. მათ შორის ორმა უფრო ღრმად ჩასულმა სიკვდილის კიდემდე მიიყვანა, თუმცა შემდეგ მცოდნე ხელით განიკურნა. გამაჰმადიანებულის ყვირილზე მისი ყველა მეომარი შემოცვივდა. მუსტაფას მიერ ჩადენილი საშინელებით შექმნილ არეულობაში თურქების წასვლისათვის მზადყოფნის ბრძანება გამოცხადებულ იქნა. საზარელი ამბით შეშინებული თურქები სასწრაფოდ ყარსისაკენ გაეშურნენ“ [1].

მანუჩარის ეს არაჩვეულებრივი ვაჟკაცობა და სიმამაცე, გამოვლინებული ოსმალებთან ბრძოლაში, სავსებით დასტურდება აგრეთვე მეორე თანამედროვის დონ ხუან სპარსელის მიერაც. ეს უკანასკნელი მაჰმედის შესახებ

[1] T. Minadoi, Historia della gverra fra Turchi et Persiani, გვ. 167—170. 1588 წ. გამოც.

გადმოგვცემს, რომ მან საბჭო მოიწვია და მანუჩარის მოკვლა გადასწყვიტაო. მანუჩარს ეს ამბავი არ გამოეპარა, საიდუმლოდ შეიჭურვა და საბჭოს კარებთან ძალიან კარგად შეჭურვილი რამდენიმე ერთგული ქართველი ჯარისკაცი დასტოვა. თითონ შევიდა საბჭოში და მაჰმედს გამოუძახა, რომ მას გაეცნო მისთვის სულთან მურადის patente და გაიგო, რომ მისგან ნამდვილად მოითხოვდნენ კონსტანტინეპოლში წასვლას. მანუჩარმა მორჩილებით უპასუხა, რომ ახლავე წავა და შეასრულებს სულთანის ნება-სურვილს, რა გინდ ძნელიც არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ როცა მანუჩარმა მზაკვრობა შეამჩნია მაჰმედის საქციელში, ხელით სწვდა მის Gapigi ფაშას. მან თავისი ხმლით გამოფაშვა კაფუჯი, საჭურის ფაშას ერთი ყური მოაგდებინა და ღაწვის ერთი ნაწილი დაუშავა el turbante, თვით მაჰმედს კი ხუთი სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა [1].

ამგვარად მანუჩარ ათაბაგი თავისი ვაჟკაცური ბრძოლით ოსმალთა წინააღმდეგ ცნობილი გახდა არა მარტო საქართველოში, არამედ მეთექვსმეტე საუკუნის მეორე ნახევრის ევროპისათვისაც, რომელიც დიდად დაინტერესებული იყო საშიშ და მძლავრ მეზობელ ოსმალეთის ყოველგვარი საქმიანობით. ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოები სისტემატურად აგზავნიდნენ აღმოსავლეთში თავიანთ წარმომადგენლებს იმ დიდი ბრძოლების მსვლელობაზე თვალყურის სადევნებლად, რომელიც მიმდინარეობდა XVI საუკუნის მეორე ნახევარში ოსმალეთსა და ირანს შორის. ამ საქმეში განსაკუთრებით დიდ აქტივობას იჩენდა, როგორც ყველაზე უფრო მეტად დაინტერესებული, ვენეცია. ვენეციის სენატი თავის კონსულებს ყველა ქვეყანაში ავალებდა სისტემატური ყურადღების მიპყრობას ყველა იმ პოლიტიკურ მოვლენისადმი, რაც კი დაკავშირებული იქნებოდა ოსმალეთის ვითარებასთან.

1584 წლის 8 დეკემბერს ვენეციელი სირიის კონსული პიეტრო მიქელე ვენეციის სენატისადმი წარდგენილ თავის მოხსენებაში ათაბაგ მანუჩარის ოსმალთა წინააღმდეგ მოქმედების შესახებ აღნიშნავდა, რომ მან (მანუჩარმა) გორისაკენ მიმავალი ოსმალეთის ჯარის 15.000-მდე კაცი იმსხვერპლა, ხელში ჩაიგდო casna, რომელშიც აურაცხელი ვერცხლი და სიმდიდრე მოიპოვებოდა, ხოლო შემდეგში ყარსიდან ცოტა დაცილებით მიუხდა აზრუმის ფაშა Mohammet-ს, იგი სასიკვდილოდ დასჭრა და მისი chieccagia-ს Capigi ფაშა მოჰკლაო [1].

მანუჩარის ავტორიტეტი უფრო გაიზარდა როგორც შიგნით საქართველოში, ისე საზღვარგარეთელ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოღვაწეების წრეშიც. როცა დონ ხუან სპარსელი თავის შრომაში იხილავდა ქართველ მმართველ წრეების ვითარებას, სწერდა: „საქართველოს სხვადასხვა პროვინციებს მრავალი სენიორები ჰყავს, როგორც დუკები, მარკიზები და კონტები. მათში ყველაზე ძლიერია Lauarza, Mirza, Municher, ქვრივის შვილი“ [2].

ალთუნ-ყალის ამბების შემდეგ მანუჩარ ათაბაგმა გადასწყვიტა უფრო მჭიდროდ დაკავშირებოდა სიმონ მეფეს, რადგან მოელოდა ოსმალთა ხელახალ შემოსევებს შურისძიების მიზნით. როგორც ვახუშტი აღნიშნავს, 1582 წელს მანუჩარი მივიდა სიმონ მეფესთან და სთხოვა ცოლად მისი

[1] Relaciones De Don ivan de Persia, გვ 81.

[1] La Republica di Venezia e la Persia, par Guglielmo Berchet, con documente e tavole, Torino, Paravia, 1865. გვ. 94.

[2] Relaciones De Don ivan de Persia, გვ. 65.

ასული ელენე. სიმონი ამაზე დათანხმდა, მით უმეტეს, რომ მანუჩარი კვლავ უბრუნდებოდა ქრისტიანულ სარწმუნოებას. მათ შორის მოხდა დამოყვრება. შაჰაბაზმა, როცა შეიტყო სინან-ფაშის გადაყენება, მანუჩარის ბრძოლა ოსმალების წინააღმდეგ და ირანის ელჩის დატუსაღება ოსმალეთში, ოსმალეთთან ახალი ომების მომლოდინემ, გადასწყვიტა განემტკიცებინა კავშირი სიმონ მეფესა და მანუჩარის შორის. მანუჩარის ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის უფრო მეტად წაქეზების მიზნით მასთან დაამყარა მჭიდრო კავშირი. „განჯას მოვიდა და პატრონ მანუჩარს ჩალაბუთი მისცა და პატრონს დედისიმედს ხუთი დიდი სოფელი...“ [1].

ყველაფერი ეს მანუჩარის მიერ კეთდებოდა ისე მოხერხებულად და ისეთ ხელსაყრელ პირობებში, რომ ოსმალეთის ხელისუფალთ, მიუხედავად ყველა ჩვენ მიერ განხილული ფაქტებისა, მანუჩარის ერთგულებაში არც თუ ,ისე დიდად ეპარებოდათ ეჭვი. ყოველ შემთხვევაში, თუნდაც ის გარემოება, რომ ოსმალთ ჯერ კიდევ არ სურდათ გაემწვავებინათ ურთიერთობა მანუჩართან, უკანასკნელის დიდ წარმატებას ნიშნავდა. ამიტომ იყო, რომ მაჰმედ ფაშამ, ბორჯომის ხეობაში მომხდარი ამბებით და მანუჩარის მიერ მისთვის მიყენებული ჭრილობებით, ვერ დაარწმუნა სულთანის სასახლე მანუჩარის ღალატში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მაჰმედ ფაშა, როგორც ამაზე უკვე გვქონდა ლაპარაკი, გადაყენებულ მუსტაფა ლალა-ფაშის ძმისწული იყო, ხოლო ოსმალეთის ახალი უმაღლესი ვეზირი სინან-ფაშა, რომელიც მტრულად იყო განწყობილი ლალა-ფაშასთან, არც მის ძმისწულს უყურებდა კარგად. ამიტომაც სინან-ფაშამ მაჰმედ ფაშას ბრალი დასდო მოუქნელობაში და სიმხდალეში, ხოლო მანუჩარი გაამართლა.

უფრო მეტიც. მომხდარი ამბების შემდეგ სულთანმა მანუჩარს ახალი დავალება მისცა—პირადად წასულიყო თბილისის მეციხოვნეებთან და გადაეცა სულთანის მიერ მათთვის დასახმარებლად გამოგზავნილი სამი ათასი დუკატი. ეს თანხა მანუჩარს მოუტანა ორმა კაფუჯმა [1], რომელთაც თან ახლდათ სულთანის ორი კოლაუზი [2]. მაგრამ როდესაც ფერჰად-ფაშა ერევანში და მის მიდამოებში ციხე-სიმაგრეების აშენების შემდეგ 1583 წელს უკან დაბრუნდა ყარსში, მას აცნობეს არასასიამოვნო ამბავი იმის შესახებ, რომ „ქართველი მუსტაფა, რომელსაც კონსტანტინეპოლიდან ამურადმა ორი კაპიჯით და ორი თავისი კოლაუზით გაუგზავნა სამი ათასი დუკატი, რათა თავისი ყმების თანხლებით წაეღო თბილისში სიმაგრისმცველთა დახმარებისათვის, გაქცეულა და ოსმალეთის მეფის მეამბოხედ ქმნილს დაუტოვებია ის სიმაგრე ცხად განსაცდელში, რომ დაჰნებდეს, თუ სხვა საშუალებით არ მიეცა შემწეობა“.

მინადოი ამ ამბავს შემდეგნაირად გადმოგვცემს: ეს თანხა მანუჩარს მართლაც მოუტანა ორმა კაფუჯმა, რომელთაც თან ახლდათ სულთანის ორი კოლაუზი. მანუჩარმა სულთანის თანმხლებლებთან ერთად და ხუთასი ცხენოსნით თავისი ამალიდან იგი გაიყოლია თბილისისაკენ, მაგრამ გზაზე, თითქოს წინასწარ განზრახვითა და მეფესთან წინასწარ შეთანხმებით, ის შეეყარა სიმონის რაზმებს. დაიწყო მათ შორის მოჩვენებითი ბრძოლა, რომლის შედეგადაც, როგორც მოსალოდნელი იყო, ორივე მხრით მოკლულები აღმოჩნდნენ მხოლოდ სულთანის მოხე-

[1] „ქართლის ცხოვრება“, გვ. 754, გამოც. ზ. ჭიჭინაძის მიერ, 1899 წ.

[1] კაფუჯი — მეკარე, კარისკაცი.

[2] კოლაუზი — გზის მაჩვენებელი წინამძღვარი.

ლეები. სინამდვილეში კი, განაგრძობს მინადოი, „... მუსტაფამ (მანუჩარმა) დააჭერინა ორი კაფუჯი და ორი კოლაუზი, მაშინვე თავები მოაკვეთინა და სიმონთან ერთად, ნათესაობის გარდა, სამუდამო კავშირსა და მეგობრობაზე ფიცი დასდო. სიმონს გაუნაწილა გატაცებული თანხა, მიუბრუნდა გასავლელ გზებს იმათ სამტროდ, ვინც დააპირებდა ამ გზებით თბილისისათვის დახმარების მიწოდებას“ [1].

ამ ამონაწერიდან აშკარად სჩანს, რომ სულთანის მიერ თბილისში მყოფ ოსმალთა გარნიზონისათვის გამოგზავნილი თანხა აღარ გადაეცა დანიშნულებისამებრ, რითაც განწირული აღმოჩნდა თურქი მეციხოვნეები. რომ შემდეგშიაც ოსმალთ ვერ გაეწიათ მათთვის დახმარება, მანუჩარი გაბრუნდა თავისი ძალებით ყველა გასასვლელი გზების ჩასაკეტად.

ამის შემდეგ კი, რასაკვირველია, სულთანისათვის აშკარა გახდა მანუჩარის ღალატი, რის გამოც გადასწყვიტა სამცხე-საათაბაგოს დარბევა და საქართველოს სხვა ადგილების დაკავებაც. ოსმალეთში სინან-ფაშა გადააყენეს და მისი ადგილი ახლა ფერჰად-ფაშამ დაიკავა. როგორც უმაღლეს ვეზირს, სამხედრო ოპერაციების გეგმის შედგენაც მას დაევალა. რადგან სამცხე-საათაბაგო, როგორც საიმედო დასაყრდენი არ გამოდგებოდა, ამიტომ ამ გეგმით გათვალისწინებული იყო აგრეთვე მისი სრული დამორჩილება და ოსმანთა იმპერიის შემადგენელ ნაწილად გადაქცევა.

ფერჰად-ფაშის მიერ 1583 წელს წამოწყებულმა სამხედრო საქმიანობამ ამ მიმართულებით მაინცდამაინც დიდი ვერაფერი გააწყო, თუმცა ფერჰად-ფაშის ერთერთმა სარდალმა რეზვან-ფაშამ მოახერხა სამცხეში შემოჭრა და მისი ერთი ნაწილის დარბევა. 1584 წლისათვის ფერჰად-ფაშა ისევ ემზადებოდა ირანის წინააღმდეგ ომის დაწყებისათვის. მისი ჯარების ძირითადი ნაწილები მივიდნენ დმანისს. აქ მათ დახვდნენ სიმონ მეფისა და მანუჩარის გაერთიანებული ძალები. ბრძოლები გაჩაღდა მთელ რიგ ადგილებში სხვადასხვა მიმართულებით. მაგრამ მტერთან შედარებით, ქართველები გაცილებით ნაკლები იყვნენ. ერთერთ ბრძოლაში, რომელსაც ოსმალთა მხრივ რეზვან-ფაშა ხელმძღვანელობდა, ხოლო ქართველებს უშუალოდ მეფე სიმონი, ქართველ ლაშქარს მდგომარეობა გაურთულდა, რადგან მოწინააღმდეგე რამოდენიმეჯერ სჭარბობდა რიცხვობრივად. მიუხედავად ქართველების თავგამოდებული ბრძოლისა, ოსმალთა ალყა თანდათან მჭიდროვდებოდა. როგორც მინადოი ამბობს, სიმონი ჩამოვარდა ცხენიდან და საერთოდ ქართველები განწირულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენო.

მაგრამ ამ რთულ მდგომარეობიდანაც სიმონ მეფემ მოახერხა თავისი და თავისი შეიარაღებული ძალების გადარჩენა. ბრძოლის ველს ამ დროს უახლოვდებოდნენ ორი ფაშის შეიარაღებული ნაწილები, რომლებიც რეზვან-ფაშის დასახმარებლად იყვნენ წამოსული. ქართველებმა ყიჟინითა და ხმაურით შეჰქმნეს ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს მათ მოსდიოდათ დახმარება. რეზვანი შეცდომაში შევიდა—თურქების ჯარები ირანელებად წარმოიდგინა და ბრძანება მისცა თავის ნაწილებს უკან დაეხიათ. ქართველებმა ამით ისარგებლეს და სიმონ მეფე მოხერხებულად გაეცალა ბრძოლის ველს თავისი ჯარით.

ოსმალებმა სხვა ბრძოლებშიაც მხოლოდ ადგილობრივ წარმატებებს მიაღწიეს, საერთოდ კი ვერაფერს გახდნენ. ზამთრის მოახლოვების გამო და იმის

[1] T. Minadoi, Historia della gverra fra Turchi et Persiani, გვ. 197. 1588 წ. გამოც.

მიზეზით, რომ ქართველთა პარტიზანული მოქმედება ოსმალებს არ აძლევდა შესაძლებლობას სურსათ-სანოვაგის მომარაგებისათვის, ფერჰად-ფაშამ გადასწყვიტა უკან დაბრუნება, მხოლოდ ისე კი, რომ მანუჩარი მაინც დაესაჯა და სასტიკად აეოხრებინა მისი სამფლობელო.

ამ მიზნით ფერჰად - ფაშა, პირველ ყოვლისა, გაეშურა ჯავახეთისაკენ. ეგონა, რომ მისი მოსახლეობა ოსმალებს ქედს მოუხრიდა, სურსათ-სანოვაგესა და სხვა საჭირო დახმარებას ჯავახეთის თავადები გულუხვად გაიღებდნენ (როგორც ამას ადგილი ჰქონდა ყვარყვარეს ათაბაგობის დროს), ხოლო ამის შემდეგ წავიდოდა სამცხეში მის დასარბევად. მაგრამ იმედი არ გაუმართლდა. ჯავახეთისა და კერძოდ ახალქალაქის მოსახლეობას უკვე მოესწრო მთებში გახიზვნა. ჯავახეთის მთელი რიგი სოფლების აოხრების შემდეგ საკმაო რაოდენობის სურსათ-სანოვაგე ოსმალებმა მაინც ვერ ჩაიგდეს ხელში. ოსმალთა ჯარის ნაწილებში დაიწყო უკმაყოფილება შიმშილისა და დიდი თოვლის მოსვლასთან დაკავშირებით, რამაც ააჩქარა ფერჰად - ფაშა ოსმალეთში დაბრუნებულიყო.

როცა მისი ჯარის ნაწილები გადავიდნენ სამცხეში, ქართველთა თავდასხმები მათზე გახშირდა და მძვინვარე ხასიათი მიიღო. ახლა უკვე აღარ შეიძლებოდა რაიმე სერიოზულ ბრძოლებზე ფიქრი, მით უმეტეს, რომ ალთუნყალას მახლობლად იენიჩართა ზოგიერთი ნაწილები აშკარად აჯანყდნენ. ყველა ამის გამო ვეღარც სამცხე-საათაბაგოს დარბევა მოხერხდა. დაიწყო ოსმალთა ჯარების სწრაფი სვლა არტაანის მიმართულებით, რომელიც უფრო გაქცევას ჰგვანდა, ვინემ ორგანიზაციულად უკან გაბრუნებას. ამით ისარგებლეს მანუჩარის შეიარაღებულმა ნაწილებმა და ერთხელ კიდევ თავს დაესხნენ ოსმალთა ჯარს - არტაანის გზაუვალ ტყეებში და, როგორც მიხადი აღნიშნავს, ფერჰად-ფაშას [illegible] - ზარამხანა გაიტაცეს. ასეთი მარცხის შედეგად ფერჰად - ფაშა კონსტანტინეპოლში მისვლისას თავისი თანამდებობიდან გადაყენებულ იქნა.

ფერჰად-ფაშის სამცხე-საათაბაგოდან უკან დაბრუნების შესახებ დონ ხუან სპარსელიც აღნიშნავს, რომ სამცხეში გადასვლისას ფერჰადი შეეცადა ჯარში დისციპლინის განმტკიცებას და თავისი ძალების გადაჯგუფების შემდეგ შებრძოლვას ქართველების წინააღმდეგ; მაგრამ ოსმალთა ჯარში იღარავის სურდათ ახალი ბრძოლები და „გაიგეს თუ არა ფერჰადის გადაწყვეტილება, იმგვარად აჯანყდნენ, რომ მოისურვეს ფერჰადის მოკვლა. მდგომარეობა ისეთი შეიქმნა, რომ არდაგანში გასვლა გაჭირდა, სადაც ქართველები საჭურისებსა, ეტლებსა და ქალებს მიესივნენ და ყველაფერი გასძარცვეს. შეცდომა არ იქნება ითქვას, რომ აჯანყებულ იენიჩარებმაც იგივე მოიმოქმედეს. ამ მარცხის გამო ფერჰადმა კონსტანტინეპოლში ძლიერების რეპუტაცია დაკარგა“ [1].

ასეთი იყო ზოგადად მანუჩარის ოსმალ დამპყრობთა წინააღმდეგ ჩატარებული ბრძოლების ძირითადი ეპიზოდები. ამას უნდა დაემატოს აგრეთვე მანუჩარის სამხედრო საქმიანობა, რომელიც პარალელურად ვითარდებოდა ირანში შაჰაბაზის დავალებით. ანტუან დე გოვეას ცნობების [2] მიხედვით მანუჩარ ათაბაგი შაჰის სასახლეში ყოფნისას, მასთან, ე. ი. პორტუგალიის კონგრეგაციის მისიონერთან ანტუან დე გოვეასთან აწარმოებდა მოლაპარაკებას იმის შესახებ, რომ სამცხე-საათაბაგოში გამოეგზავნა ამ კონგრეგაციის

[1] Relaciones De Don ivan de Persia, გვ 87, 1604 წ. გამოც.

[2] Relacam, Antonio de Gauvea.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მღვდლები და მკურნალები. ამავე ცნობებით ვტყობილობთ, რომ შაჰაბაზის მამის მეფობის უკანასკნელ წლებში ირანელებს დარუბანდი წაართვა ოსმანფაშამ. შვიდი წლის განმავლობაში ეს ქალაქი ირანელებით გარემოცული იყო, მაგრამ მისი აღება უკანასკნელთ ვერ მოახერხეს. შაჰაბაზს თავისი ჯარების ხელმძღვანელად გაუგზავნია „თავშეუკავებელი მანუჩარ ბეგი“, რომლისთვისაც თან გაუყოლებია 500 მუშკეტერი, და ჩასვლისთანავე დარუბანდიც აუღია. ამის შემდეგ მანუჩარი გაუგზავნიათ შამახიის დასამორჩილებლად. მანუჩარს ეს დავალებაც წარმატებით შეუსრულებია. ბაქოს განმდგარი სარდალი მურად ბეგიც იძულებული გამხდარა მანუჩარს დამორჩილებოდა. სამწუხაროდ ყველა ამის შესახებ და მანუჩარის სხვა საქმიანობაზე ირანში არც „ქართლის ცხოვრებაში“ და არც სხვა ქართულ წყაროებში არაფერი მოგვეპოვება.

მეთექვსმეტე საუკუნის 90-იან წლებში სამცხე-საათაბაგოს საშინაო და საგარეო ვითარება კვლავ გართულდა. მსხვილმა ფეოდალებმა კვლავ თავი აიშვეს. თავიანთი ციხე-კოშკებიდან მათ განაახლეს ბრძოლა ათაბაგის წინააღმდეგ. მოღალატე თავადები ოსმალებს სთხოვდნენ დახმარებას, რის სამაგიეროდაც მათ ნებაყოფლობით უთმობდნენ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ციხე-სიმაგრეებს და თითონაც მათ მხარეზე გადასვლას ჰპირდებოდნენ. მდგომარეობა იმდენად გამწვავდა, რომ „მერმე მანუჩარიც მოღალატეთ გამო ვეღარ დადგა და ახალ-დაბას ჩავიდა, ღედისიმედი და ყვარყვარეს ძე ქაიხოსრო საკანაფის-ციხეში დადგნენ, დიასამიძე ელია დემოთის ციხეში საავალიშვილოს შეუყენეს, წაართვა ამან ციხე და განძი მრავალი და საფაროც დაიჭირა. გოგორისშვილმან ბეჟან-მან ჯვარის-ციხე ფაშას მისცა და ჩვენც ახალ-დაბას ჩამოვედითო“[1], დასძენს „მესხური დავითნის“ ქრონიკის ავტორი.

მეფე სიმონის დახმარებით მანუჩარმა კვლავ მოახერხა განდგომილი ფეოდალების დამორჩილება და სამცხე-საათაბაგოს ხელახლად დაკავება. მაგრამ ეს გამარჯვება მანუჩარს ძვირად დაუჯდა. იგი იძულებული გახდა ზავი დაედო ოსმალებთან, რომლის მიხედვითაც სამცხე-საათაბაგო ამიერიდან კისრულობდა მძიმე ხარკის გადახდას ოსმალეთის სასარგებლოდ. „და დასდვეს ხარკი (ნათქვამია „საათაბაგოს დაპყრობაში ოსმალთა მიერ“) სულზედ დრაჰკანი და ფულსა მოსავალსა ზედა ხილითურთ შვიდისთავ, ცხვარზედა ორი შაური, ძროხაზედ აბაზი, ცხენსა და კამეჩზედ ექვსი შაური, საფაშოდ ხარკი სხვა შესძინოს სულსა ზედა დრაჰკანის მესამედი, რომელ არს ათი შაურიო“. ამ ხარკის აკრეფის მიზნით ოსმალებმა 1587 წელს პირველად მოახდინეს სამცხე-საათაბაგოს აღწერა, რომლითაც შედგენილი იქნა ეგრეთწოდებული დავთარი ჯაბა.

სწორედ ეს გარემოება გახდა ოსმალ დამპყრობლების შემდგომი უფრო მწვავე თარეშის დასაწყისი. ყოველთვის, ხარკის აკრეფასთან ერთად, ისინი არბევდნენ სამცხე-საათაბაგოში იმ დროისათვის შექმნილ საუკეთესო კულტურას. დამპყრობელთა მძლავრობას საზღვარი აღარ უჩანდა. მანუჩარის ცდა დამპყრობელთათვის შემდგომი წინააღმდეგობის გაწევისა უდიდეს სიძნელეებს აწყდებოდა, ამიტომ, როდესაც შაჰაბაზი წავიდა ერევნის დასაპყრობად, მანუჩარი იძულებული გახდა ოსმალთა წინააღმდეგ დახმარების თხოვნით მისთვის მიემარ-

[1] ვ ა ხ უ შ ტ ი, „საქართველოს ცხოვრება“, გვ. 253.

თნა. ამის შედეგი იყო ის, რომ შაჰაბაზ-მა თავის ჯარის ნაწილები ხერთვისისა და სამცხე-საათაბაგოს ზოგიერთ სხვა ციხეებში შეაყენა, ხოლო იმისათვის, რომ მანუჩარის ერთგულობის გარანტია ჰქონებოდა, მანუჩარ ათაბაგის შვილი მანუჩარი ერევანში მძევლად გაიყოლია და თითონ კი ირანში გაბრუნდა.

ამავე ხანებში სამცხე-საათაბაგოს გართულებული მდგომარეობით მოხერ-ხებულად ისარგებლა მამია გურიელმა და აჭარა დაიპყრო. მანუჩარმა მოი-სურვა აჭარის ძალით უკან დაბრუნება, მაგრამ ახლა უკვე ეს აღემატებოდა მის შესაძლებლობას, მით უმეტეს, რომ სამ-ცხე-საათაბაგოში შეძლებულმა ფენამ თავადებისა და ზოგიერთ სხვა ფეოდა-ლების სახით თანდათან იწყეს ისლამის სარწმუნოების მიღება და ოსმალთა ქვეშევრდომებად თავიანთი თავის აღია-რება. ამით წათამამებულმა ოსმალებმა მთელ რიგ ადგილებში ძალით იწყეს თურქული წესების შემოღება და ბო-ლოს სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობის დიდი ნაწილი 1595 წელს შედგენილ „გურჯისტანის ვილაიეთის ვრცელ დავ-თარს“ დაუქვემდებარეს.

ამგვარად დაიწყო სამცხე-საათაბაგოს ყოველმხრივი დაპყრობა თურქული მი-წათმფლობელობისა და წეს-ჩვეულებე-ბის შემოღებით. მართალია, ყოველი-ვე ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა სამცხე-საათაბაგოს სრულ ოსმალიზაციას, მაგ-რამ ამით ქართული კულტურის მოს-პობას, ეროვნულ გადაგვარებას და სა-ქართველოს ერთი საუკეთესო კუთხის მშობლიურ მთლიან ორგანიზმიდან სა-ბოლოო მოწყვეტას საფუძვლები ჩაე-ყარა. „გურჯისტანის ვილაიეთის ვრცე-ლი დავთარი“ სამცხე-საათაბაგოს ისტო-რიაში შევა, როგორც დასაწყისი ახალი ვითარების წარმოქმნისა, რაც არ იყო მანამდე ქართული ფეოდალური ურთი-ერთობის დამახასიათებელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანა ღვინიაშვილი

არჩილ მეფის „საქართველოს ზნეობანისა“ და პეტრე I დროის „Юности честное зерцало“-ს ურთიერთობის საკითხისათვის *

★

თითოეული ერის საბავშვო ლიტერატურა განვითარებულა და აღორძინებულა კლასიკური ლიტერატურისა და პედაგოგიური აზროვნების ზეგავლენით.

ასეულმა მდარე საბავშვო წიგნმა როგორც რუსეთში, ისე უცხო ქვეყნებში, შექმნა მთელი წყება საბავშვო ლიტერატურის უარმყოფელებისა, ხოლო ორიოდე კარგმა, იდეურად და მხატვრულად გამართულმა საბავშვო წიგნმა შექმნა საბავშვო ლიტერატურის არა მარტო ე. წ. დამცველნი, თეორეტიკოსები და კრიტიკოსები (ბ. ბელინსკი, ნ. დობროლუბოვი, ნ. ჩერნიშევსკი, ლ. ტოლსტოი, ა. ჩეხოვი, მ. გორკი და მრავალი სხვ.), არამედ საბავშვო ლიტერატურის ისტორიკოს-მკვლევარნიც.

ჩვენში ცახელის ისტორიულ-პატრიოტული საბავშვო ლეგენდების: „მარინეს“, „ზაალის“, „გურგენ რაინდის“ (რომელნიც დღეს, სხვათა შორის, ცოტასღა ახსოვს) გარჩევაზე გამოიმუშავა თავისი კონცეფცია ჩვენმა საბავშვო ლიტერატურის მოამაგე იაკობ გოგებაშვილმა ბავშვებისათვის დაწერილი ისტორიული მოთხრობების მნიშვნელობის შესახებ.

საბავშვო ლიტერატურის ისტორიის შრომები მცირერიცხოვანია. საბავშვო ლიტერატურის მკვლევართა უმრავლესობა საბავშვო ლიტერატურის სათავედ უმეტეს შემთხვევაში ზღაპარს სთვლიან, ან ისეთ წიგნს მიიჩნევენ პირველ საბავშვო წიგნად (ანბანის სახელმძღვანელოების ჩაუთვლელად), რომლის ავტორს ეს აზრადაც არ მოსვლია. მაგრამ ამ განმტკიცებულ აზრსა და შეხედულებას დამაჯერებლად ვერ ხდის ის ფაქტიური მასალა, რასაც ურთავენ. ამიტომ კვლევა-ძიება სხვა მიმართულებით უნდა იქმნას წამართული.

თითოეული ერის საბავშვო ლიტერატურას თავისი სპეციფიკური მხარეები გააჩნია. ეს ხშირად აძნელებს მის შესწავლას. ამიტომაც მკვლევარი ხშირად მიმართავს შედარებითი მეთოდს, რაც როგორც ფოლკლორისტიკაში, ისე საბავშვო ლიტერატურის შესწავლის დროს აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. ხშირად არა ბავშვთათვის დაწერილი ესა თუ ის წიგნი საბავშვო ლიტერატურის კუთვნილებად ხდება. დიდაქტიკური ხასიათის ნაწერებზე რომ არაფერ-

* ერთი თავი წიგნიდან—„ქართული საბავშვო ლიტერატურის სათავეები“.

ვთქვათ, ავიღოთ თუნდაც დანიელ დეფოს „რობინზონ კრუზო“, სვიფტის „გულივერის მოგზაურობა ლილიპუტებისა და გოლიათების ქვეყნებში“, სერვანტესის „დონ-კიხოტიც“ კი, რომლებიც შემოკლებული სახით თითქმის ყოველწლიურად იბეჭდება მილიონიანი ტირაჟით როგორც საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, ისე უცხოეთში მხოლოდ და მხოლოდ ბავშვებისათვის. რით არის ეს გამოწვეული — ეს სპეციფიკური ძიებანი საბავშვო ლიტერატურის ისტორიაში უგულებელყოფილია.

ქართული საბავშვო ლიტერატურა ისტორიული თვალსაზრისით ჯერ არ შესწავლილა. ქართულ საბავშვო ლიტერატურას ფასდაუდებელი მემკვიდრეობა გააჩნია, მომდინარე შორეულ წარსულიდან. ძველი ქართული საბავშვო ლიტერატურის ტრადიციები განამტკიცეს და განავითარეს ჩვენმა კლასიკოსებმა. ქართული საბჭოთა საბავშვო ლიტერატურაც გაიზარდა და განმტკიცდა ქართული კლასიკური ლიტერატურის კეთილშობილ ტრადიციებზე.

*
* *

ქართული ძველი საბავშვო ლიტერატურის განვითარების გზები განსაზღვრა მხატვრულმა დიდაქტიკურმა ლიტერატურამ, რომლის ერთ-ერთი ფუძემდებელი ძველ ქართულ მწერლობაში არჩილ მეფე იყო.

ძველი ხანის ნორჩი თაობები ლიტერატურულ ნიმუშებს, როგორც თანამედროვეს, ისე მათთვის წარსულს, თავდაპირველად ეცნობოდნენ მხოლოდ თხრობის საშუალებით, შემდგომ სხვის მიერ წაკითხულით. მთხრობლისა და წამკითხველის როლს ასრულებდნენ ბავშვთან მიჩენილი ალბნელნი, ხშირად კი დედები.

ამ გავრცელებული საშუალებით არჩილ მეფის ნაწარმოებებს ფართო პოპულარობა ჰქონდა მოპოებული ძველ საქართველოში. აღსანიშნავია, რომ არჩილ მეფის ნაწარმოებებს არ დაუკარგავთ ეს პოპულარობა მე-19 საუკუნეშიაც.

ნ. ნიკოლაძე თავის „მოგონებაში“, აღნიშნავს რა თავის მამის მეგობრულ დამოკიდებულებასა და მისვლა-მოსვლას იმდროინდელ მწერლებთან, დრამატურგებთან და მსახიობებთან, დასძენს, რომ მათ ოჯახში „ყველა ახალი წიგნი მოდიოდა. მიღებისთანავე დედაჩემი მათ თავიდან ბოლომდე გადაგვიბულბულებდა, დიდს და პატარას, ქმარ-შვილს და მოსამსახურეს. გიორგი ერისთავის კომედიებიდან, ან არჩილ მეფის ლექსებიდან ბევრმა ჩვენგანმა ზეპირად დიდძალი ადგილები ვიცოდით. ეს კითხვა უკეთესი გასართობი იყო ჩვენს სახლში“ [1].

აქ შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ნ. ნიკოლაძე ბავშვობაში იცნობდა, ალბათ, არჩილ მეფის „ცხოვრება მეფის თეიმურაზ პირველისა“, რომელიც პირველად 1853 წ. გამოსცა პლატონ იოსელიანმა; მაგრამ იმ ქართველთა ოჯახებში, სადაც 1885 წლის ჟურნალი „ივერია“ შედიოდა და ხმამაღალი კითხვაც „უკეთესი გასართობი“ იყო, არ შეიძლება არჩილ მეფის „საქართველოს ზნეობანიც“ არა სცოდნოდათ და არ გამოეყენებინათ. ამას გვაფიქრებინებს „ივერიაში“ დაბეჭდილი „საქართველოს ზნეობანის“ სათაურის შესახებ შენიშვნაც: „ეს ლექსი დედანში ასეა დასახელებული: საქართველოს ზნეობა, რომელი ჯერ-არს ესე ვითარად წვრთილება კაცთა, რომელთა ჰნებავს, რათა

[1] იხ. ნ. ნიკოლაძე — თხზულებანი ტ. I, 1931, გვ. 23.

სრულ-იყოს საწუთროსა ამის ზნე კეთილობათა მიერ, ესე ყურად-იხვენ, და გულად მიიხვენ, რომელი ესე აღუწერია მეფესა არჩილს და ლექსად წარმოუთქვამს, რათა ყოველნი ერისკაცნი, ესრეთ იქცეოდენ: აჰა ისმინე ესე, მკითხველო".

ჩვენი საკითხის გარკვევისათვის მკითხველს ზოგადად უნდა გავახსენოთ არჩილ მეფის ცხოვრება და მოღვაწეობა.

*
* *

არჩილ მეფე დაიბადა 1647 წელს. იგი იყო ქართლის მეფის ვახტანგ V უფროსი შვილი.

მისი გარეგნული მიმზიდველობა აღწერილი აქვს ვახტანგ V კარის პოეტს, მეფისა და მისი ოჯახის მეხოტბეს ფეშანგს:

უფროსსა არჩილ უწოდეს, რომელი
ლომსა დარევდა;
ცისკარს უგვანდა ყელყური, გავსით
მთვარესა დარევდა;
ედემის მგზავსად შვენოდა, სურნელებათა
დარევდა;
რა მოიზარდა იგი ყმა, სულად თემზედა
დარევდა [1].

არჩილ მეფეს ფართე განათლება ჰქონდა მიღებული. აღსანიშნავია, რომ არჩილს პატარაობიდანვე ჰყვარებია საგმირო ამბების კითხვა და მოსმენა. ერთ თავის ნაწარმოებში სასოებით იგონებს ყრმობაში წაკითხულ ამბებს:

ოდეს ყრმა ვიყავ, მიკითხავს ამბავი მე
სააშისო,
უმჯობეს არვინ მსწავლიდა, მეგონა რამ
სააშისო [2].

[1] იხ. ფ ე შ ა ნ გ ი—შაჰნავაზიანი, გ. ლეონიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით, 1935 წ., გვ. 39.

[2] იხ. ა რ ჩ ი ლ ი ა ნ ი — ტ. I, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1936 წ., გვ. 103.

1661 წელს არჩილი, მამის დახმარებით, იმერეთს გამეფდა, ოღონდ 1663 წელს იძულებულ-ი[illegible]ა-რეთის სამეფო ტახტი დაეტოვებინა. არჩილი სპარსეთის ხელმწიფეს შაჰ-აბაზ მეორეს ეახლა. 1664 წელს შაჰ-აბაზმა არჩილი კახეთის ტახტზე დაამტკიცა. 1667 წელს არჩილმა ცოლად შეირთო თეიმურაზ პირველის შვილიშვილი ქეთევანი და სამეფო სასახლე თელავს გაიმართა. 1675 წელს არჩილი კვლავ იმერეთის სამეფო ტახტის დაბრუნებას შეუდგა. არჩილ მეფე ხუთჯერ იყო, სხვების კარნახით, იმერეთის სამეფო ტახტზე აყვანილი და გადმოყენებული. საერთოდ კი იმისთვის სამეფო ტახტი არ გამოდგა მყარი არც იმერეთში, არც კახეთში.

ამ გარემოებაში მყოფმა მეფემ იმედის თვალი რუსეთს მიაპყრო. 1680 წლიდან იწყება არჩილ მეფის მიერ ელჩების გზავნა რუსეთში. ის ითხოვდა რუსეთში ჩასვლის ნებართვას ან დახმარებას. პირველ ხანებში მას უარი მიუღია. მხოლოდ 1682 წელს მისცეს არჩილს ნებართვა თავისი ცოლშვილითა და ამალით რუსეთის სანაპიროზე, თერგის მხარეში ჩასულიყო. მოსკოვში ჩასვლაზე კი კვლავ უარი უთხრეს.

არჩილ მეფეს თერგის მხარეში ყოფნის დროსაც არ შეუწყვეტია ელჩებისა და წერილების გზავნა ხან იოანე და ხან ყრმა პეტრეს სახელზე და ითხოვდა მოსკოვში ჩასვლის ნებართვას. ბოლოს არჩილის თხოვნა დააკმაყოფილეს და 1685 წელს იგი ჩავიდა მოსკოვში. ამ დრომდე, 1682 წლიდან მოკიდებული, არჩილი ასტრახანში იმყოფებოდა.

არჩილს ამის შემდეგაც კიდევ მოუხდა საქართველოში დაბრუნება, ხოლო 1699 წლიდან საბოლოოდ დაბრუნდა მოსკოვს. ამ დროს რუსეთის სამეფო ტახტი უკვე ეპყრა პეტრე

პირველს. პეტრე პირველისათვის არჩილ მეფე არ იყო უცნობი პიროვნება. არჩილ მეფის უფროსი შვილი ალექსანდრე, რომელიც მამაზე გაცილებით ადრე იყო წასული მოსკოვს, პეტრე პირველის სამსახურში უკვე დაწინაურებული იყო. პეტრე პირველი ალექსანდრეს თავის მეგობრად სთვლიდა. ქართველი მეფისწული რუსეთის დიდ მეფეს საზღვარგარეთაც ახლდა. ალექსანდრე არჩილის-ძემ შეისწავლა საარტილერიო საქმე. ალექსანდრე თანმხლებელი იყო პეტრე პირველისა ყველა საომარ მოქმედებაში. ალექსანდრე იყო პირველი გენერალი, ფელდცეხმეისტერი რუსული არტილერიისა[1]. ამიტომაც არჩილ მეფე თავისი ოჯახით დიდ პატივში იყო პეტრე პირველის მხრივ[2]. მან დაუმკვიდრა დიდძალი, მდიდარი და უხვი შემოსავლიანი მამულები ნიჟეგოროდისა და მოსკოვის მაზრებში. არჩილ მეფემ საცხოვრებელ ადგილად ამოირჩია მყუდრო სოფელი ვსესვიატსკოე. აქ შესძლო მან მოსვენებაც. არჩილ მეფე გარდაიცვალა 1713 წლის 16 აპრილს. დასაფლავებულია თავის შვილებთან ერთად მოსკოვის დონის მონასტერში.

*
* *

არჩილი იყო შემომქმედი და კულტურული საქმიანობის ორგანიზატორი. ის იყო პოეტი, კრიტიკოსი, დიდაქტიკოსი, მორალისტი, მთარგმნელი, თავის დროის ახალი თაობის აღმზრდელი, მწერალთა და პოეტთა მიმღები, ქართული ლიტერატურული ძეგლების გამომცემელი. მან ახალი მიმართულება შეჰქმნა ქართულ მწერლობაში. მან პირველმა ჩაუყარა საფუძველი ქართულ სტამბას რუსეთში ცხოვრების დროს, პირველმა დაბეჭდა „დავითნი“, პირველმა დაამზადა გამოსაცემად ბიბლიის ქართული ტექსტი. არჩილი კარგად იცნობდა რუსულ სასულიერო და საერო ლიტერატურულ ძეგლებსაც და მთარგმნელიც იყო. მან გადმოთარგმნა ცნობილი საგმირო რომანი ალექსანდრე მაკედონელზე, „ალექსანდრიანად“ წოდებული[1]. ასე რომ არჩილ მეფის მოღვაწეობა ლიტერატურაში უფრო დიდი და თვალსაჩინოა, ვიდრე მისი მეფობა. ქართველ მწერალთათვის მცირე უწყების ავტორი არჩილ მეფის მეფობას მხოლოდ გაკვრით იხსენიებს და ამბობს, რომ ის „იყო კეთილად სწავლული და ფილოსოფოსი, ამან თარგმნა ბერძენთა მეფეთა ისტორია, ხრონოგრაფად წოდებული... სხვებრ არჩილ მეფე იყო უცხო მესტიხე და მრავალნიცა სტიხნი შეაწყო, ესე იყო უცხო მხედარი, ჩოგან-ისართა შინა მხმარებლად ქებული, ლხინთა და ჭირთა შინა კეთილ გამგებელი“[2]. საქართველოს ახალი ისტორიაც არჩილ მეფის მხოლოდ ლიტერატურულ მოღვაწეობას აძლევს შეფასებას: „არჩილის პოეზია იდეურობის ნიმუშია. დამპყრობელთა წინააღმდეგ შეუდრეკელი მებრძოლი არჩილი ირან-ოსმალეთის წამლეკავ გავლენას სულიერ სფეროშიაც ებრძოდა. ეს პოეზია სამშობლოს სიყვარულისა და მისთვის თავდადებული ბრძოლისაკენ მოწოდებაა... არჩილი

[1] იხ. ბ. ესაძე — Летопись Грузии, 1913. გვ 338.

[2] იხ. ვლ. ტატიშვილის წერილები — „ქართველები მოსკოვში“.

[1] „ალექსანდრიანის“ ბევრი პროზაული და ვალექსილი ხელნაწერი არსებობს გადმოქართულებული და თავისუფალი ნათარგმნი. ყველა ამათ ერთი სათავე აქვს. „ალექსანდრიანი“ მრავალნაირად იყო დამუშავებული რუსეთშიც და XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან საუკეთესო საკითხავ წიგნად იყო მიჩნეული ახალგაზრდობისათვის.

[2] იხ. საქართველოს სიძველენი, ტ. I, 1909 წ., 66 მუხლი.

პირველი მწერალია საქართველოში, რომელმაც საზოგადოებრივი საკითხები წამოაყენა პოეზიაში"[1].

*
* *

არჩილ მეფეს საკმაო რაოდენობის ლიტერატურული მემკვიდრეობა დარჩა. არჩილმა პირველმა გადააფასა ადრინდელი ლიტერატურული შეხედულებანი, დაამკვიდრა ახალი თემატიკა, დაუზოგავად ამხილა არისტოკრატიულ-ფეოდალური კლასის მორალური დაცემულობა და პოლიტიკური სიბეცე. არჩილი იყო პროგრესიული და რეალისტი მწერალი, საქართველოს ცხოვრების საუკეთესო მცოდნე.

არჩილი საქართველოს ცხოვრების მახინჯ მხარეებზე გულისტკივილით და ობიექტურობით მოგვითხრობს. ამასთან ის განსაკუთრებით არის დაინტერესებული ფეოდალურ-არისტოკრატიული წოდების ახალგაზრდობის ბედით. არჩილ მეფე მთელ თავის იმედებს ამყარებს საერთოდ სწავლა-აღზრდაზე, ყრმათა წვრთნაზე, მათში მაღალი მორალის დანერგვაზე, მათ სწორ გზაზე დაყენებაზე. სწორედ ამ მხრივ გვაინტერესებს მისი ნაწარმოები — „საქართველოს ზნეობანი", რომელიც პრაქტიკული და თეორიული აღზრდის საკითხებს ეხება.

არჩილ მეფეს „საქართველოს ზნეობანი" დაწერილი აქვს დაახლოებით 1684 წელს, ასტრახანში ყოფნის დროს. „ზნეობანი" ახალგაზრდობისათვის პრაქტიკული ქცევისა და აღზრდის სახელმძღვანელოა. ის მიზნად ისახავს თავადაზნაურთა წოდების მემკვიდრეებს მისცეს ეთიკისა და ზნეობის წესები. მართალია, არჩილი გლეხობასაც ერთგვარ ვალს უხდის და ამბობს: „თუ ამოსწყდა გლეხკაცი, საქართველო დაძაბუნდაო", მაგრამ როგორც ეს ზემოთ ციტირებულ ნაწერიდან ჩანს, „გლეხთა გამოსარჩლებამდე იგი ფეოდალური საქართველოს დაცვის ინტერესებმა მიიყვანა"[1].

ეროვნული ბიბლიოთეკა

[1] იხ. საქართველოს ისტორია. ნაწ. I, მეორე გამოცემა ს. ჯანაშიას რედაქციით. 1946 წ. გვ. 365.

[1] იხ. საქართველოს ისტორია, გვ. 367.

არჩილ მეფე თავისი წოდების ღირსების დამცველი იყო და სწორედ ის აწუხებდა, რომ ფეოდალების შვილებს თუმცა შესანიშნავი პირობები ჰქონდათ კეთილშობილური აღზრდისათვის, მაგრამ საქართველოში იმდროინდელი აღზრდის კულტურა არ იდგა დიდ სიმაღლეზე. ეს აშკარად ემჩნეოდათ ახალგაზრდა ფეოდალებს, რომელთაც დაკარგული ჰქონდათ რაინდული ღირსებანი და მხოლოდ ფუქსავატ ცხოვრებას მისდევდნენ, რასაც განსაკუთრებით ამეღავნებდნენ ირანულ-სპარსული ბატონობისა და გავლენის პერიოდებში. ამას სამშობლოს გარეთ მყოფი მეფე უკეთ ითვალისწინებდა. არჩილ მეფეს უნდოდა აღედგინა საქართველოში ძველად არსებული რაინდული თვისებები. არჩილი ამბობს, რომ საქართველოში მრავალი ზნეობა არსებობდა და უნდა იარსებოს კიდევაც. არჩილმა გაუკეთა რესტავრაცია სასულიერო, საშხედრო, მშვებლის, მოვაგლახარის, ლაშქრობის, ნადირობისა და სამსახურის „ზნეობებს". თვითეულ ამ ზნეობას ავტორი ცალ-ცალკე ავითარებს.

არჩილ მეფეს თავის მიერ აღდგენილი ზნეობანი წმინდა წყლის ქართულ ზნეობებად მიაჩნია. მისი რიცხვი, ავტორის თქმით, დიდია, სხვა ქვეყნების ზნეობებს არც შეედრება და არც ემსგავსება.

საქართველოში იტყვიან
სამას სამოცდა ხუთსაო,
ზნეობას, სხვას არ აგდებენ
ქვეყნისას, თუ არ მათსაო.

ავტორის რწმენით საქართველოს იმდენად აქვს გამომუშავებული საკუთარი ზნეობანი, რომ სხვა ქვეყანას არც მიჰბაძავს და არც მისგან გადმოიღებს. მხოლოდ ავტორს არ მიაჩნია სავალდებულოდ ქართული ზნეობების შეზღუდვა და ამბობს:

ეგება კიდევ სხვაც რამ ვთქვა,
სულ რუსთა ვნახო რა ცარი.

როგორც აღნიშნული გვქონდა, არჩილმა „საქართველოს ზნეობანი“ ასტრახანში დაწერა; არჩილი მოსკოვში აპირებდა ჩასვლას და მკითხველს ამიტომ ჰპირდება, ეგებ კიდევ სხვა რამ დავუმატო, როცა ვნახავ რუსეთსა და რუსთა ცარსო. მაგრამ მას „ზნეობანისათვის“ ამის შემდეგ არაფერი მიუმატებია და არც შეუცვლია.

არჩილს მრავალგვარი ზნეობა აქვს ჩამოთვლილი, რაც ყველა ბატონიშვილს უნდა გამოემუშავებინა წვრთნისა და აღზრდის საშუალებით. ავტორს არა აქვს გამოტოვებული არც ერთი წვრილმანი, რაც კი ესაჭიროება ახალგაზრდას საზოგადოებაში, სამსახურში, ოჯახში, სალაშქროდ თუ სანადიროდ ყოფნის დროს. არ ივიწყებს შრომასა და გართობასაც.

ავტორს ყველაზე მეტად აწუხებს ახალგაზრდის უსაქციელო ზნეობა, როდესაც ის საზოგადოებაში იმყოფება. სამხედრო ზნეობისათვის ავტორს გათვალისწინებული აქვს ყველა ის წვრილმანი, რაც კი მხედარს სამხედრო ბანაკში ესაჭიროება.

არჩილ მეფის აზრით, ვინც კი ზნეობის სწავლას მოინდომებს, მას, უპირველეს ყოვლისა, მწიგნობრობის ცოდნა ესაჭიროება, რადგან „სიბრძნე არის სამუდამო, სიკვდილამდის ვერ დააგდებო“. მაგრამ მოსწავლე მაშინ დასძლევს ამ სიბრძნეს, თუ მასწავლებელმა არ გაუძნელა და შესძლო მოსწავლის თანდათანობით გადაყვანა ადვილიდან ძნელ და რთულ ცნებებზე. [illegible] ახალგაზრდას ავალდებულებს — ბუცურის, მხედრულის ცოდნას, ღრმა სიტყვის ადვილ გამოთქმის, განსაკუთრებით კი უცხო ენებისა და წიგნის საფუძვლიან ცოდნას. ამასთან ჩვენი ავტორი ერთგვარ რჩევასაც იძლევა, რა ხასიათის ამბები უნდა მოისმინოს ან წაიკითხოს ახალგაზრდობამ, ან როგორ უნდა იკითხოს წიგნი, რათა წაკითხულმა წარუშლელი კვალი დატოვოს ყრმის მეხსიერებაში. ავტორი ახალგაზრდობას ურჩევს უფრო სიბრძნის წიგნების კითხვას, მაგრამ მისი შეთვისება იოლად არ მიაჩნია:

უნდა ბევრჯელ წაიკითხოს,
შეუიდეს შიგან შიგნი,
ღირღოვანი, ღრმად მეტყველი,
ეცადო რომ სულ შეიგნი,
მაშინ სიბრძნის გზა და კვალი
უსათუოდ მალ გაიგნი.

მაგრამ ეს საერთო განათლება და ღრმა ცოდნა არ იქნება სისრულით წარმართული, თუ ახალგაზრდას ესთეტიკური განათლებაც არ ექნება. აქ ავტორი ასახელებს სიმღერის, ცეკვის, სხვადასხვა თამაშობისა და უსულოს, ე. ი. მუსიკის, ცოდნას.

არჩილ მეფე თითქოს ნათლად ხედავს, რომ თავისდროინდელი ქართველი ფეოდალურ-არისტოკრატიული ახალგაზრდობა აცდენილი იყო სწორ და წესიერ აღზრდას, საზოგადოებასაც აკლდა აღზრდის მეთოდისა და ახალგაზრდობისათვის მისაცემი საჭირო „ზნეობების“ ცოდნა. შექმნა რა „საქართველოს ზნეობანი“, ამით არჩილი დარწმუნებულია, რომ საქართველოს ხალხს მისცა აღზრდის მთელი პროგრამა, ამით გააკეთა საშვილიშვილო საქმე და ერთგვარი სიამაყით აცხადებს:

ბევრი კაცი იმიზეზებს:
არა მყონდა მომვლელიო,
ზნეობა რამ დამესწავლა
ხარისხ-ხარისხ ამვლელიო,
ახლა რაღა პასუხი გაქვთ,
აი თქვენი მსწავლელიო!

ამგვარად ავტორს „საქართველოს ზნეობანი“ სავალდებულო სახელმძღვანელოდ მიაჩნია მსწავლელისა და მოსწავლისათვის.

*
* *

არჩილ მეფის „საქართველოს ზნეობანს“ ჩვენი მეცნიერნი დიდად აფასებენ და ამ ტრაქტატს სთვლიან ერთ-ერთ დოკუმენტად იმის შესახებ, თუ როგორი შეხედულება არსებობდა ფეოდალურ აღზრდასა, განათლებასა და მის წესებზე XVII საუკუნის საქართველოში.

არჩილის „საქართველოს ზნეობანის“ შესწავლის დროს ჩვენს მიერ შემჩნეულ იქნა ერთგვარი პარალელიზმი, რომელიც არსებობს არჩილის თხზულებისა და XVIII საუკუნის დასაწყისის ამავე ხასიათის ერთ რუსულ ნაწარმოებს შორის.

პეტრე პირველის ბრძანებით 1717 წელს გამოიცა წიგნი სახელწოდებით „Юности честное зерцало“. დასახელებული წიგნისა და არჩილის „საქართველოს ზნეობანის“ მიზანდასახულება და თვით ტექსტის ადგილები ისე ენათესავება და ემსგავსება ერთმანეთს, რომ ასეთი რამ უნდა აიხსნას შემდეგით: 1) ან იმით, რომ ფეოდალურ-არისტოკრატიული წრის აღზრდის საკითხზე ერთნაირი შეხედულებები არსებობდა არჩილისდროინდელ საქართველოში და პეტრესდროინდელ რუსეთში (უცხო ქვეყნებს ამ შემთხვევაში არ ვეხებით); 2) ან ორივე წიგნისათვის არსებობდა ერთი და იგივე დედანი; 3) ან ერთ ნაწარმოებს გავლენა მოუხდენია მეორეზე.

ვნახოთ როგორია საქმის ვითარება.

თუ რამდენად ფართო ხასიათს ატარებდა პეტრე I-ის მიერ სწავლა-აღზრდის საქმის გარდაქმნა რუსეთში, ეს განსაკუთრებით ნათელი გახდა საბჭოთა მეცნიერების მეოხებით, რომელთაც არა ერთი კაპიტალური შრომა მიუძღვნეს პეტრე პირველის ეპოქას. პეტრე პირველი განსაკუთრებით ზრუნავდა აღზრდა-განათლებაზე და მან ჩაუყარა მყარი საძირკველი რუსული საალმზრდელო წიგნების შედგენასა და გამოცემას. პეტრე პირველში დიდ უკმაყოფილებას იწვევდა, რომ «Знатные дворянские сынки, возвращаясь на родину, вывозили подчас из «чужих краёв» чисто внешний лоск, модные костюмы и причёски, светскую «политесс», что не мешало им оставаться грубыми и заядлыми крепостниками» [1].

პეტრე პირველის სურვილითა და მოთხოვნით ეს ახალგაზრდა მებატონენი გარეგნულ ფერისცვალებასთან ერთად სულიერადაც უნდა გარდაქმნილიყვნენ. ამიტომ იყო საჭირო კარგი ტონის მიმცემი წიგნის შექმნა, რომლის წესების ცოდნა და ცხოვრებაში გატარება მათთვის, ე. ი. ახალგაზრდობისათვის, სავალდებულო იქნებოდა. აი სწორედ ამ მიზნით დაუკვეთა პეტრე პირველმა აღნიშნული Зерцало-ს შედგენა (მის შედგენაზე რამდენიმე წელს მუშაობდნენ სწავლულნი). წიგნის მთლიანი ტიტული მე-5 გამოცემაში ასეთია: Юности честное зерцало или показание к житейскому обхождению, собранное от разных авторов. Повелением его императорского Вели-

[1] იხ. Проф. Д. Благой—История русской литературы XVIII века. 1946. стр. 19.

чества Государя Петра Великого блаженныя и вечнодостойныя памяти и ныне пятым тиснением напечатанное в Санкт-Петербурге при императорской Академии наук 1767 году. ეს ტიტული გვაუწყებს, რომ 1767 წელს მეხუთეჯერ გამოსულა. პირველად კი 100 ცალი 1717 წელს გამოვიდა, ე. ი. მაშინ, როდესაც არჩილს „ზნეობანი“ უკვე 30 წლით ადრე ჰქონდა დაწერილი და თვითონაც ოთხი წლის გარდაცვლილი იყო. ასე რომ დასახელებულ Зерцало-ს არჩილ მეფე არ იცნობდა არც ხელნაწერს და არც ნაბეჭდს.

შეიძლება არჩილ მეფეს სხვა ავტორთა წყაროები ჰქონდა, რომლებსაც Зерцало-ც იხსენიებს („სხვადასხვა ავტორთაგან შეკრებილიო“); მაგრამ არჩილის „ზნეობანი“ თავისი მწყობრი განვითარებით მომდინარეობს საქართველოს ყოფითი და ზნე-ჩვეულებათა სინამდვილიდან, ქართველ მოღვაწეთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ცოდნიდან. ამას, როგორც ზემოთ დავინახეთ, თვითონ არჩილი ადასტურებს. არჩილ მეფის ამ აზრს აკად. ს. ჯანაშია დიდ მნიშვნელობას აძლევს და ერთ წერილში აღნიშნავს: „...მაშასადამე ეს ზრდილობა (?) არჩილის აზრით, წმინდა ქართული ზრდილობაა და სხვა ქვეყნებთან მას კავშირი არა აქვს... ამ განცხადებას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ საკითხის გადასაწყვეტად, ჩვენ, რა თქმა უნდა, მხოლოდ მას ვერ დავემყარებით. ამისათვის სხვა წყაროების შეჯერებაა საჭირო“ [1].

შეიძლება მართლაც არსებობს სხვა წყარო, რომლისაგანაც ნასარგებლი აქვს ზოგი რამ არჩილს, მაგრამ „ზნეობანი“ რომ დამყნილია საქართველოს იმდროინდელი ცხოვრების სინამდვილეზე და ორიგინალური ნაწარმოებია, ამის შესახებ ეჭვიც კი არ მეუტანია არც ერთს ჩვენს მკვლევარს. „ქართველთა მწერალთათვის მცირე უწყების“ ავტორიც აღნიშნავს, რომ არჩილმა „...აღწერა კვალად ზნეობითი სწავლა ქართველთ ქცეულებისათვისო“ [1]. ამას გარდა არჩილ მეფე, როგორც ლიტერატორი, მეტად კეთილშობილი ღირსებებით არის შემკული. მას არ დაუმალავს, რომ რუსეთში თუ სხვა რამ ზნეობას ნახავდა, თავის მიერ აღწერილ ქართულ ზნეობებს დაუმატებდა. ესეც რომ არ ეთქვა, არჩილი, როდესაც მიბაძვით ან გაგონილით სარგებლობდა, მას უსათუოდ აღნიშნავდა ხოლმე. ერთგან ის განაგონის შესახებ ამბობს:

> ბრძენთ ლათინგთან გავიგონე
> ესე მათგან ბრძნულად თქმული,
> კაცი, მიწა და სხეული
> კვამლი არის აღგზნებული [2].

მაგრამ ჯერ ისევ Зерцало-ს დავუბრუნდეთ.

აღსანიშნავია, რომ Зерцало-ს მსგავსი წიგნების შედგენის ტრადიცია ყველა ერის ლიტერატურაში არსებობდა. რუსეთი პეტრე პირველამდის იცნობდა Великое зерцало-ს და Честное зерцало-ს. ორივე ამ წიგნს ასკეტური და სასულიერო მოძღვრების ხასიათი ჰქონია [3]. ცხადია, ამ ორ საეკლესიო ხასიათის წიგნს არავითარი საერთო არა ჰქონდა პეტრე პირველისდროინდელ Зерцало-სთან. ასე რომ აქ რაიმე სესხების შესაძლებლობა გამორიცხულია.

---

[1] იხ. სწავლა-აღზრდის ისტორია საქართველოში. მასალათა კრებული. 1937 წ., გვ. 33.

[1] იხ. დასახელებული საქართველოს სიძველენი. ტ. I, 1909 წ., 66 მუხლი.

[2] იხ. გ. ლეონიძის რედაქციით გამოცემული სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუის“ წინასიტყვაობა. 1928 წ.

[3] თეიმურაზ II-ის „სარკე თქმულთა“ სულ სხვა ხასიათისაა.

რას წარმოადგენს პეტრე პირველის ეპოქის პირმშო Зерцало? ეს არის საკითხავი და დასაზეპირებელი წიგნი ქცევის წესების შესახებ, რაც უნდა სცოდნოდა რუს ახალგაზრდა თავადს ყოველდღიურად დილიდან საღამომდის. წიგნი თავისი აღნაგობით წააგავს მე-17 საუკუნეში შედგენილ ანბანის სახელმძღვანელოებს. წიგნი იწყება ანბანით, რასაც 26 გვერდი უკავია. 27—91 გვერდი კი შესდგება ძირითადი განყოფილებისაგან, რომელიც თავებად იყოფა. ამ თავების სათაურთა ჩამოთვლაც კი საკმარისია წიგნის მიზანდასახულების გამოსარკვევად: „როგორ უნდა მოიქცეს ყრმა, როცა ის სხვასთან ზის სასაუბროდ?“, „როგორ უნდა მოიქცეს ყრმა უცხოთა შორის ყოფნის დროს?“, „ქალწულის პატიოსნებისა და სათნოების გვირგვინი“, „ქალწულის უმანკოება“, „ქალწულის მორჩილება“ და სხვ. წიგნის ბოლოში მოთავსებულია დარიგებითი ხასიათის ოგავები ზრდილობიან და თავაზიან ქცევაზე.

Зерцало არსებითად განსხვავდება საერთოდ მანამდე რუსეთში და ნაწილობრივ უცხო ქვეყნებში არსებული ზნეობისა და აღზრდის წიგნებისაგან არა მარტო იდეით და შინაარსით, არამედ საერთო ხასიათითაც. Зерцало-ში თავისუფალი მსჯელობაა აღზრდაზე. შესავალში დახასიათებულია პეტრეს დროის განათლებული პირები, რომელნიც სრულიად ჰგმობდნენ მონასტრული აღზრდის წესებს, უარყოფილია მლიქვნელობა, მონური ქედის მოხრა, მორჩილება, თანაც კარიერის მოპოვების ხერხებზედაც არის მითითება. იქვეა მოყვანილი ტატიშჩევის მოწოდება ახალგაზრდობისადმი: „არ მოემსახურო, არ ეძებო სახელი და დიდი თანამდებობა მლიქვნელობის გზით; არ მოიპოვო კეთილი და მსუყე ცხოვრება ამბისტანიობითა და მაბეზღარობით“ და სხვ.

რამდენად იყო მისაღებ[illegible] ... და ფუფუნებისმოყვარ[illegible] ... ახალგაზრდა თავადისათვის კეთილშობილი გზით მოპოვებული ცხოვრება, თქმა ძნელია, მაგრამ Зерцало, ყოველ შემთხვევაში, ამას ისახავდა მიზნად. ამავე დროს Зерцало ეხება აგრეთვე შინამოსამსახურეებსაც, რომლებისგანაც მოითხოვს ერთგულ სამსახურს და მორჩილებას, ბატონიშვილებს კი ურჩევს მათ თავი არ გაუყადრონ და მათი თანადასწრებისას არაფერი წასცდეთ.

საინტერესოა შეხედულება ქალზე. ქალი ქმრის მონა კი არ არის, არამედ ამხანაგი, თანაშემწე. ოღონდ ქალი უნდა იყოს თავდაჭერილი და მორცხვი.

Зерцало დაწერილია პროზით. ეტყობა საეკლესიო სტილის გავლენა. იკითხება ძნელად.

Зерцало-ს შემდგენელი თუ შემდგენელნი არ არიან ცნობილნი. თავის დროზე ამ წიგნს დიდად აფასებდა რუსეთის მოწინავე საზოგადოება, იგი ითვლებოდა ახალგაზრდობის ერთადერთ წიგნად, მას დიდი გავლენა ჰქონდა, იბეჭდებოდა ხშირად და უფლისწულებისათვის სავალდებულო საკითხავ წიგნად იყო მიჩნეული.

რუსეთში დღემდის საყოველთაოდ არის გავრცელებული ის აზრი, რომ Зерцало შედგენილია, როგორც სატიტულო ფურცლიდანაც ჩანს, უცხოური სხვადასხვა ავტორთა წიგნებიდან. რუსეთის წიგნების გამოცემათა მკვლევარი პ. პეკარსკი იმ აზრისაა, რომ Зерцало გერმანულიდან არის ნათარგმნი. ამ აზრს შემდეგში იმეორებს თითქმის ყველა მკვლევარი, ვისაც კი Зерцало-ზე დაუწერია რამე. მათ შორის გ. პლეხანოვიც, რომელიც ამბობს: «Не зная того немецкого подлинника — вернее, тех подлинников, — с

которого (которых) переведено было «Зерцало», невозможно проверить точность перевода»[1]. ამგვარად დღემდის ძიება სწარმოებს Зерцало-ს გერმანული დედნის მიმართულებით.

ჩვენც უნდა ვირწმუნოთ, რომ პეტრე პირველის მიერ შერჩეულ შემდგენელს, თუ შემდგენლებს, ხელთ ჰქონიათ რაღაც დედნები, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ვერც ერთ რუს მკვლევარს ვერ უპოვნია ერთი რომელიმე ცოტაოდნად მიმსგავსებული ნიმუშიც კი. Зерцало შედგენილია რუსი ავტორების მიერ სპეციალურად რუსი ფეოდალურ-არისტოკრატიული ახალგაზრდობისათვის. ვიცით რა პეტრე პირველისდროინდელ მოღვაწეთა პატრიოტული ტენდენციები, ყოვლად შეუძლებელია შემდგენლებს არ გამოეყენებიათ იმდროინდელი პროგრესიული ხასიათის რუსული სახელმძღვანელოები და წიგნი არ შეედგინათ რუსულ ზნე-ჩვეულებათა გათვალისწინების საფუძველზე. ან საიდან მტკიცდება Зерцало-ს თარგმანი? ტიტულზე ამის შესახებ არაფერია ნათქვამი, განა Собранное от разных авторов თარგმანს ნიშნავს, ისიც უცხოურ ქვეყნიდან?! იქნებ რუსული წყაროები და დედნები უფროა ნაგულისხმევი? სამწუხაროა, რომ რუსეთის ლიტერატურის ჩვენი დროის მკვლევარი, პროფ. გ. გუკოვსკიც ძველ აზრს იზიარებს და Зерцало-ს პირდაპირ თარგმანს უწოდებს, თუმცა მისი დედნის მოძებნას არ გამოჰკიდებია. დედნის პოვნა კი გაძნელებულია იმიტომ, რომ Зерцало არ არის ნათარგმნი ერთი რომელიმე წიგნიდან, ის შედგენილია რამდენიმე წიგნის მიხედვით და სწორედ ასეთ წიგნებშია საძებნელი Зерцало-სთან მიმსგავსებული ადგილები.

[1] იხ. Плеханов—Сочинения т. XXI, 1925, стр. 17.

პროფ. გ. გუკოვსკი Зерцало-ს მნიშვნელოვან შეფასებას აძლევს, რადგან ხსენებული წიგნი სრულიად არღვევდა „დომოსტროის“ დახავსებულ ტრადიციებს. გ. გუკოვსკი ამბობს: „ამ წიგნის ბევრი ელემენტარული მითითება და რჩევა ახალი და აუცილებელი იყო იმდროინდელი ახალგაზრდობისათვის. მაგრამ საქმე მარტო იმაში კი არ იყო, რომ აქ აღნიშნული იყო სწავლათ-წესები: არ შეიძლება გადაფურთხება, გულზემიდებული პურის დაჭრა, არ შეიძლება ჭამის დროს ღრაჭუნი და ხრამუნი,—არამედ ახალგაზრდას უნდა ჩანერგოდა ახალი იდეალი: ზრდილობიანი ჩვევები, საზოგადოებაში დინჯი და თავდაჭერილი ქცევა, უფროსებთან და მშობლებთან მოკრძალება, სხვა პირების პატივისცემა, კულტურული გართობის სიყვარული. ეს წიგნი ახალგაზრდობას უქადაგებდა ფაქიზი გრძნობების შესახებ, ადამიანობას, თავის პატივს და საზოგადოებრივ დისციპლინას... ამ წიგნით რუს ადამიანს პირველად უქადაგებდნენ მორალზე, დამყარებულს არა საეკლესიო წესებზე, არა უხეში ძალის მორჩილებაზე, არამედ ასწავლიდნენ და წარმოდგენას აძლევდნენ ადამიანურ დამოკიდებულებაზე; თუნდაც ეს ყოფილიყო თავადაზნაურული იდეალი, — მაგრამ მაინც ადამიანური იდეალი იყო“[1].

ამის შემდეგ გავარჩიოთ პეტრე დიდის ეპოქის Зерцало-სა და არჩილ მეფის „ზნეობანის“ მსგავსებანი. ამის ნათელსაყოფად მოვიტანოთ რამდენიმე ნიმუში:

[1] იხ. Г. Гуковский—Русская литература XVIII века. 1939 г., стр. 11—12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს ზნეობანი"

45. ორმან ტოლმან ამხანაგმა დაიწვიოს რა მესამე,
ორთავ თავს არ გარდუარო და ჩაუჯე შუა სამე,
ეს შენ კარგად ჩამოგართონ და იმათაც ორთავ ამე,
და უდროოდ და უალაგოდ ნურც იმღერი, ნურც ისამე!
47. წინ ჯდომით, უკან უკუხრით ზურგს ნუ მიჰყუდებ კედელსა,
ნურც თავს დაჰკიდებ, არ გვანდე .თვალნაკლებს ოქრომჭედელსა,
ცალს თეძოზედან არ დასჯდე, რად ეპვ ძნელს მოსადებელსა.
და ცხვირის გამოკრკნა არ წაგცდეს, ნუ ეძებ კბილის საჩრჩნელსა.
50. კულით და ყანწით, სხვებითაც, სასმელს ნუ აწრუწუნებსა,
ვინ კბილებითა ბატონთან თხილს ამსხვრევს, ალაწუნებსა,
მცოდინარესა მეფესა უთუოდ გაამგუნებსა.
და ავსაქციელი მარტვილი მამას მწვედ დააჭმუნებსა.
51. ბატონთან და უფროს კაცთან მჯდომი არას გარდეყუდო,
ზეზე მდგომი ფეხს ნუ იკავ, ნურც ბოძს ხელს ხვევ, თუ არ ცუდო,
ნურც იცინი, ნურას უბნობ, არც ვინ ჯოხს ჩამოეყუდო
და თუ ვინ ასრე არა ზრდილობ(ს) მაშ იქნება სვანი ყუდო.
57. ბატონ-ყმური ლაპარაკი სხვა არის და სხვისა სხვაა,
ჩამორთმა და მოხსენება, ზოგჯერ სიტყვის შენახვაა,
სწორ უმფროსულ-უმცროსულსა ქართულსაც აქვს დასახვაა;
და ვინცა იცის ყველა კაი ბევრის საქმის მონახვაა.
60. საქციელი და ზრდილობა, იცია, ბევრი სხვაცაა?
ნურავის გინდა ავადა გადუქვა, ცხვირის ხოცაა,
წინამავალს უკან მიჰყვე, ტალახი არ მოსცხოცაა,
და უცხო მდიდარი მის სადგომს მალ-მალე არ ნახოცაა.
62. სამსახურიც ბევრგვარია, საცოდნელადაც ძნელია,
ბატონს თავს მწვე შეაყვარებს, ვინც მისი მართლა მქნელია,
დაუზარლად და თამამად, ფიცხი უნდა, არ ნელია
და მალ ისმენდეს ბრძანებასა დღე იყოს თუ სიბნელია.
63. მღვიძარება და სიფრთხილე, სწრაფად აღდგომა ძილითა,
მალე ტანს ჩაცმა დილაზედ ზორტით ჰქონდეს თუ ღილითა.
ადგილზე მოდარბაზობა აამდეს მისი მისვლითა,
და წყნარი, მდაბალი, თამამიც შვენოდეს გაღიმილითა.
40. მუშაობაც კარგი ზნეა, ზედ-მდგომობა და სარქრობა,
ბარვა, წიდნვა, ხნვნა და თესვა, მკის და სთვლისა მის-მის დრობა.
კაცს შემატს და გაახარებს მოსავლის ბევრის მოსწრობა,
და ვის მუშა ჰყავთ, თვითონ შვრება, ურევია არზაქრობა.[1]

Юности честное зерцало.

2. Дети не имеют без имянного приказу родительского никого бранить, или поносительными словами попрекать; а ежели то надобно, и оное они должны учинить вежливо и учтиво.

7. Когда им говорить с людьми, то должно им благочинно, учтиво, вежливо, разумно, а не много говорить; потом слушать и других речи не перебивать, но дать все выговорить, и потом мнение свое, что достойно, пред'явить. Ежели случится дело и речь печальная, то надлежит при таких быть печальну и иметь сожаление. В радостном случае быть радостну, и являть себе весела

[1] იხ. „არჩილიანი". ტ. I, 1932 წ., გვ. 8, 9, 10.

с веселыми. А в прямом деле и в постоянном, быть постоянну, а других людей разсудков отнюдь не презирать и не отметать. Но ежели чье мнение достойно и годно, то похвалять, и в том соглашаться. Ежели же которое сумнительно, в том себя оговорить, что в том ему разсуждать не достойно. А ежели в чем оспорить можно, то учинить с учтивостию и вежливыми словами, и дать свое разсуждение на то, для чего. А еже кто совету пожелает, или что поверит, то надлежит советовать сколько можно и поверенное дело содержать тайно.

55. Также когда в беседе, или компании случится в кругу стоять или сидя при столе, или между собою разговаривая, или с кем танцуя, не надлежит никому неприличным образом в кругу плевать, но на сторону. А ежели в каморе, где много людей, то прими харкотины в платок, а так невежливым образом в каморе, или в церкве не мечи на пол, чтоб другим от того не згадить, или от'иди для того к стороне (или за окошко выброси), дабы никто не видал, и подотри ногами так чисто, как можно.

56. Никто честно воспитанный возгрей в нос не втягает, подобно как бы часы кто заводил, а потом гнусным образом оные вниз не глотает, но учтиво, как выше упомянуто, пристойным способом испражняет и вывергает.

57. Рычать, кашлять и подобные такие грубые действия в лице другого не чини, или чтоб другой дыхание и мокроту желудка, которая востанет мог чувствовать, но всегда либо рукой закрой, или отворотя рот на сторону, или скатертию, или полотенцем прикрой, чтоб никого не коснуться тем згадить.

58. И сия есть не малая гнусность, когда кто часто сморкает, яко бы в трубу трубит, или громко чхает, будто кричит, и тем в прибытии других людей, или в церкве детей малых пужает и устрашает.

59. Еще же дело непристойно, когда кто платком или перстом в носу чистит, яко бы мазь какую мазал, а особливо при других честных людей.

Когда прилучится тебе с другими за столом сидеть, то содержи себя в порядке по сему правилу.

1. В первых обрежь свои ногти, да не явится, яко бы оные бархатом обшиты. Умой руки и сиди благочинно, сиди прямо и не хватай первый в блюдо, не жри, как свинья и не дуй в ушное, чтоб везде брызгало, не сопи егда яси. Первой не пий, будь воздержан, и бегай п'янства, пий и яждь сколько тебе потребно, в блюде будь последний. Когда что тебе предложат, то возьми часть и того, прочее отдай другому, и возблагодари ему. Руки твои да не лежат долго на тарелке, ногами везде не мотай, когда тебе пить, не утирай (рта) губ рукою, но полотенцем, и не пий, пока еще пищи не проглотил. Не облизывай перстов, и не грызи костей, но обрежь ножем. Зубов ножем не чисти, но зубочисткою, и одною рукою прикрой рот, когда зубы чистишь, хлеба приложа к грудям не режь, ешь что перед тобою лежит, а инде не хватай. Ежели пред кого положить хочешь, не примай перстами, как некоторые народы ныне обыкли. Над яствою не чавкай, как свинья, и головы не чеши, не проглотя куска не говори, ибо так делают крестьяне. Часто чихать, сморкать и кашлять не пригоже.

12. Всегда время пробавляй в делах благочестных, а празден и без дела отнюдь не бывай; ибо от того случается, что некоторые живут лениво, не добро, а разум их затмится и утупится: потом из того добра никакого ожидать можно, кроме дряхлого тела и червоточины, которое с лености тучно бывает.

როგორც მოტანილი ტექსტებიდანაც ცხადია, მხატვრული თვალსაზრისით არჩილ მეფის „ზნეობანი“ მაღლა დგას Зерцало-ზე. არჩილ მეფის „ზნეობანში“ ლაკონიურად არის მსჯელობა თვითეული ქცევის წესზე, მის შესრულებაზე, მაშინ, როცა რუსული ტექსტი ერთი და იმავე ქცევის წესს რამდენჯერმე იმეორებს. ამავე დროს „ზნეობანი“ კონკრეტულიც არის და ზოგადიც. აქ ფართოდ არის წარმოდგენილი ის რაინდული ზნეობანი, ადათ-ჩვეულებანი, რაც საერთოდ ქართულ სინამდვილეში არსებულა, რაც ქართველ ფეოდალურ-არისტოკრატიას წარსულში გააჩნდა და რომლის აღდგენაც ასე სურდა არჩილ მეფეს.

ზოგიერთ ადგილას ეს ორი ტექსტი ერთმანეთს სცილდება იდეის მხრივ.

პირველი: Зерцало-ს შემდგენელი უცხო ენის ცოდნას ახალგაზრდის მიერ სხვა მიზნით საზღვრავს. Зерцало-ში ნათქვამია: „Младые отроки должны всегда между собою говорить иностранными языки дабы тем навыкнуть могли, а особливо когда им, что тайно говорить случится, чтоб слуги и служанки дознаться не могли, и чтоб можно их от других незнающих болванов распознать...“ [2].

ჩვენი ავტორი კი ამბობს:

ენა და წიგნი რამდენი
ვინც იცის, ესეც ამდენად
ჩავაგდოთ თვითო ზნეობად,
სხვის ქვეყნის ამბავ მოსმენად,
მაშ ერთად როგორ ვიტყოდეთ,
იკითხონ სხვადასხვა ენად
და ვინ სხვას ვერ ასმენს, ის ისმენს,
იქ დაიწყებენ მიდენად. [1]

ამგვარად არჩილს უცხო ენების ცოდნა საჭიროდ მიაჩნია სხვა ქვეყნების ამბების გასაცნობად, და არა საიდუმლოს სათქმელად, რაც საზოგადოებაში ავ საქციელადაც კი ითვლებოდა.

მეორე: Зерцало მშობლებისადმი ბრძა მორჩილებას მოითხოვს: „... и когда от родителей, что им приказано бывает, всегда шляпу в руках держать, а перед ними не вздевать, и возле их не садиться, и пережде оных не заседать“ [2]. არჩილი კი ახალგაზრდობის უფრო რაინდულ თვისებებს, სამხედრო საქმეში წვრთნას მოითხოვს, რადგან საქართველო მუდმივ სამხედრო ბანაკს წარმოადგენდა და ფეოდალურ ახალგაზრდობას ხშირად უხდებოდა მონაწილეობის მიღება ბრძოლებში; ამასთან არჩილ მეფე მოითხოვს საერისკაცო ეთიკის ცოდნას, ზრდილობიან ქცევას ბატონთან, უფროს კაცთან, მხოლოდ ზომიერების დაცვით:

უმცროსმან კაცმან უფროსი
არ უნდა დაიწვიოსო,
ადგეს სჯობს, ისრე მჯდომელმან
ქვემორე დაიწიოსო,
საჩოქეთ რა შეიყარნენ,
უწინ მან წაიწიოსო,
და არცა უხამსად დამდაბლდეს,
არც ბეწვად აიწიოსო. [3]

---

[1] ტექსტი აღებული გვაქვს: Хрестоматия по детской литературе, 1940 г. გვ. 128—130.

[2] იხ. დასახელებული ქრესტომათია, გვ. 129, § 27.

[1] იხ. არჩილიანი, I, გვ. 6.

[2] იხ. ქრესტ. გვ. 127, § 1.

[3] იხ. არჩილიანი, I, გვ. 8.

* * *

საკითხავია: საიდან დაემთხვა ამ ორი ნაწარმოების მსგავსება, რომლებიც ერთმანეთისაგან დაშორებულია სამი ათეული წლით? ნუთუ ამის საფუძველი მხოლოდ ფეოდალურ-არისტოკრატიის წრის ახალგაზრდობის აღზრდის საერთო სისტემაში უნდა ვეძიოთ, რომელიც გამოიმუშავა მე-17 საუკუნემ და მსგავსებით გავრცელდა ჩვენშიც, რუსეთშიც და უცხოეთშიც? იქნებ არჩილ მეფესაც ხელთ ჰქონდა მზა უცხოური, ასეთი აღზრდის რაიმე სახელმძღვანელო? ან რუსეთის მკვლევართა ძველი და ახალი თაობა რატომ არ ასახელებს მიმსგავსებულს რაიმე სახელმძღვანელოს? ნუთუ ასე უკვალოდ არის იგი დაკარგული, რომ უცხო ქვეყნების, კერძოდ გერმანიის მკვლევარნიც, არ ასახელებენ?

ჩვენ განმეორებით ვუსვამთ ხაზს: არჩილ მეფე არ დაფარავდა და ერთგან მაინც მოიხსენიებდა ან ერს, ან მწერალს, ვისი მიბაძვით ან გავლენით შექმნა მან თავისი „ზნეობანი“, თუკი ამას მართლაც ჰქონდა ადგილი. არა გვაქვს უფლება არ ვენდოთ მწერალს, რომელსაც „ზღაპარი და მოჭორილი“ ამბები არ უყვარდა, საქართველოს ცხოვრების ამბებსაც „კარგად და მართლა“ მოგვითხრობდა და გულახდილადაც ამბობდა, ეგებ კიდევ სხვაც დავუმატო ამ ზნეობას, როცა რუსთა ცარს ვნახავო.

ყველა ეს გარემოება ამ ორ ნაწარმოებთა მსგავსების შესაძლებლობის შესახებ სხვა რამეს გვაფიქრებინებს: Юности честное зерцало ხომ არის „собранное от разных авторов“, რაც სხვადასხვა ავტორთა ნაწერებიდან დასესხებაზე მიუთითებს. ხომ არ შედის არჩილიც, როგორც ერთ-ერთი ავტორთაგანი? ხომ არ არის აქ მისი „ზნეობანი“ უგულებელყენებული?

ამას გვაფიქრებინებს პეტრე პირველისა და არჩილის ოჯახის ახლო დამოკიდებულება (მოვიგონოთ პეტრე პირველის მზრუნველობა არჩილ მეფის ოჯახის წევრებისადმი, პეტრე პირველის მიერ სამემკვიდრეო მამულების ბოძება), არჩილ მეფის კულტურული, ლიტერატურული და საგამომცემლო მუშაობა მოსკოვს, დაბოლოს არჩილ მეფის სიკვდილის შემდეგ მისი ქალიშვილის — დარეჯანის მოღვაწეობა რუსეთში, სწორედ იმ დროს, როდესაც პეტრე პირველის დავალებით საფუძველი ჩაეყარა Зерцало-ს შექმნას.

რა ვიცით დარეჯანის შესახებ? ცნობები მის შესახებ ჯერჯერობით მცირე გაგვაჩნია, მაგრამ რაც ვიცით, ისიც დიდად მნიშვნელოვანია აქ აღძრულ საკითხებთან დაკავშირებით.

დარეჯანი მამის გარდაცვალების შემდეგ დედასთან ერთად მოსკოვში დარჩა. დარეჯანი ფრიად განათლებული ადამიანი ყოფილა, ზედმიწევნით სცოდნია რუსული ენა, მშობლიური და რუსული მხატვრული და პედაგოგიური ლიტერატურა. დარეჯანს დიდი დახმარება აღმოუჩენია ვახტანგ მე-6-სთვის. დარეჯანი თარგმნიდა ქართულიდან რუსულ ენაზე ვახტანგ მე-6-ის ყველა წერილს მიწერილს პეტრე პირველისადმი. დარეჯანი დაახლოებული ყოფილა პეტრე პირველის სამეფო კართან, მათ წრეში ქართველი მეფის ასული შინაურად გრძნობდა თავს.

ამასთანავე დარეჯანი დაინტერესებული ყოფილა მშობლიური ერის კულტურული და ლიტერატურული ცხოვრებით, სწავლა-აღზრდის საქმით და სურვილიც ჰქონია თავისი ქვეყანა

გაემდიდრებია სახელმძღვანელოებით. დარეჯანი გარდაცვლილა 1740 წელს[1].

არჩილ მეფის მიერ მოსკოვში დაარსებული ქართული სტამბის მუშაობისა და მისი ასულის—დარეჯანის მოღვაწეობის შესახებ საყურადღებო ცნობებს იძლევა ქ. შარაშიძის წერილი: „ქართული ნაბეჭდი სახელმძღვანელოები მე-18 საუკუნეში“.

„...ემიგრაციაში მყოფი ვახტანგის ინიციატივით დაწყებული მოსკოვის არჩილისეული ქართული სტამბის განახლების საქმე მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ განხორციელდა. საყურადღებოა, რომ პირველი წიგნი, რომელიც მოსკოვის განახლებულ ქართულ სტამბაში დაიბეჭდა, სასწავლო სახელმძღვანელო არის. მისი სათაურია: „პირველი სასწავლო ყრმათათვის“[2].

ეს პირველი წიგნი, გამოცემული 1732—37 წ., ჩვენთვის იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც ნათარგმნია რუსულიდან ბატონიშვილის დარეჯანის ინიციატივითა და დავალებით. წიგნი დაიბეჭდა დარეჯანის სასახლეში, „მისი და მისი ყრმათა შეწევნითა და ხელის მომართვით“.

„პირველი სასწავლო ყრმათათვის“ ავტორი არის პეტრე პირველის ახლო მრჩეველი ცნობილი მოღვაწე თეოფანე პროკოპოვიჩი (1681—1736). თ. პროკოპოვიჩი ცენტრალური ფიგურაა პეტრე I-ის ეპოქის რუსული მწერლობისა. რუსული ლიტერატურის ცნობილი მკვლევარი პროფ. დ. ბლაგოი სწერს: «Почти все памятники художественной литературы петровского времени, в которых так или иначе отразились новые начала, внесённые в русскую жизнь преобразовательной деятельностью Петра, дошли до нас, как мы видели, без имени автора. Первым и в сущности единственным известным нам автором, горячо ратовавшим за эти новые начала, осознанно и настойчиво проводившим их во всём, что он ни писал, был один из самых выдающихся государственных и культурных деятелей данной эпохи, основоположник просветительства и патриотической традиции в нашей литературе XVIII в., оратор и публицист, драматург, поэт и теоретик литературы — Феофан Прокопович»[1].

დაუღალავი ენერგიის პატრონი, მაღალი პატრიოტული გრძნობით აღჭურვილი თეოფანე პროკოპოვიჩი ყველა ახლადდასამზადებელ სახელმძღვანელოზე მუშაობის სულისჩამდგმელი იყო. ის ყველაზე ახლობელი და დაახლოებული იყო პეტრე პირველთან და მეფე დიდ ანგარიშს უწევდა მას. თ. პროკოპოვიჩი გაბედულად იბრძოდა საშუალო საუკუნეების სქოლასტიკის წინააღმდეგ და შედეგებსაც აღწევდა.

მის მიერ შედგენილი დასახელებული წიგნი შეიცავდა სწავლა-აღზრდის ახალ იდეებს, რაც სრულიად ეწინააღმდეგებოდა გაბატონებულს ძველ დახავსებულ სწავლების ადათებს. თეოფანე პროკოპოვიჩს ეს წიგნი პეტრე პირველის დავალებით შეუდგენია, რადგანაც მანამდის არსებული სახელმძღვანელოები, გაუგებარი ბუნდოვანი ენით შედგენილნი, ნამდვილ დახმარებას ვერ უწევდნენ იმდროინდელ ახალგაზრდობას. არა გვგონია Зерцало-ც თეოფანე პროკოპოვიჩის გარეშე შედგენილიყო. ეს წარმოუდგენელიც არის!

---

[1] იხ. ბ. ესაძე—Летопись Грузии, 1913, გვ. 343.

[2] იხ. დასახელებული კრებული, გვ. 40.

[1] იხ. Д. Благой — История русской литературы XVIII века, გვ. 56.

„პირველი სასწავლო ყრმათათვის“ ქართული თარგმანის ეკზემპლარი შემდეგნაირად აქვს აღწერილი ქ. შარაშიძეს: „მისი პირველი 12 გვერდი უჭირავს შესავალს, სადაც განმარტებულია კეთილი აღზრდის მნიშვნელობა... თეოფანე პროკოპოვიჩი ამტკიცებს, რომ ბავშვს წაკითხულის გაგებაც უნდა შეეძლოს. კეთილად აღზრდის საჭიროებას ავტორი ფსალმუნის მეასთვრამეტე მუხლით ასაბუთებს“ [1].

აღსანიშნავია, რომ პროკოპოვიჩის ეს მოსაზრებანი უდგება Зерцало-ს მთავარ დებულებებს.

მაგრამ განვაგრძოთ თარგმანის შესახებ: „ვრცელ წინასიტყვაობას მოსდევს საკითხავი სავარჯიშო. ქვევით ჩამოწერილია ქართული ანბანი. შემდეგ დაქარაგმული სიტყვებია ჩამოწერილი სავარჯიშოდ. მეოცე გვერდზე მოთავსებულია არაბული ციფრები 1 — 1000-მდე... ამის შემდეგ იწყება ათი მცნების განმარტება კითხვა-მიგების სახით... მიუხედავად ამისა,—ასკვნის წერილის ავტორი,—რომ ტექსტი ნათარგმნია, იგი იკითხება მსუბუქად და გამართული ორიგინალური ქართული ნაწარმოების შთაბეჭდილებას გვაძლევს. საყურადღებოა თარგმანის შესრულების წესი. მთარგმნელი არის დარეჯან არჩილის ასულის მოლარეთუხუცესი გაბრიელ ჩხეიძე, ხოლო სტილისტური რედაქცია ჩაუტარებია ტფილისის 1711 წლის სახელმძღვანელოს ავტორს, მღვდელმონაზონს გერმანეს, რომელიც იქ არქიმანდრიტად იხსენიება“ [2].

თ. პროკოპოვიჩის აღნიშნულმა წიგნმა რუსეთის რეაქციულ წრეებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. წიგნი იმდროისათვის დიდ მოვლენას წარმოადგენდა, როგორც ახალი სწავლების ახალი წესების შემომტანი.

რადგანაც ამ წიგნისათვის ბატონიშვილს დარეჯანს, რომელიც დაინტერესებული იყო სწავლა-აღზრდის საკითხებით, ყურადღება მიუქცევია და ქართულადაც გადმოუღია, ჩანს თ. პროკოპოვიჩის სწავლების ახალი იდეები მისთვის მისაღები ყოფილა. ბატონიშვილი დარეჯანი, აშკარაა, იზიარებდა თ. პროკოპოვიჩის სწავლების ახალ მეთოდებს და სდომებია მისი საქართველოშიც გადმონერგვა. თუ არა ამით, სხვანაირად არ აიხსნება თ. პროკოპოვიჩის წიგნის ქართველი ბავშვებისათვის სახელმძღვანელოდ მიწოდება. სწორედ ამ მიზნით ათარგმნინა დარეჯანმა თ. პროკოპოვიჩის „პირველი სასწავლო ყრმათათვის“. ეს იყო აზრიანად შერჩეული და არა შემთხვევით არჩეული.

ამასთან დარეჯანისა და თ. პროკოპოვიჩის დაახლოება პეტრე პირველის სამეფო კართან ერთ და იმავე პერიოდში იყო. არ შეიძლება დარეჯანს არა სცნობოდა წიგნის ავტორი ო. პროკოპოვიჩი და საერთოდ ახლო არ მდგარიყო საზოგადოება „მსწავლულთა ძმობასთან“, რომლის მეთაურიც თ. პროკოპოვიჩი იყო.

საზოგადოების მთელი საქმიანობა ხომ ახალი თაობის სწავლა-აღზრდის საკითხების დადგენაში გამოიხატებოდა? ხოლო დარეჯანიც ამავე საქმით იყო დაინტერესებული. საზოგადოება თავგამოდებით იბრძოდა მთელ რუსეთში სწავლა-განათლების დანერგვისათვის, ადგენდა სახელმძღვანელოებს, ბეჭდავდა სხვადასხვა წიგნებს. მან სწავლა-განათლება თითქმის სახელმწიფო საქმედ გადააქცია.

დარეჯანიც, როგორც სტამბის გამგებელი, სწავლა-აღზრდის საკითხები-

[1] იქვე, გვ. 41.

[2] იხ. დასახ. კრებული, გვ. 42. წერილის ავტორი ჰგულისხმობს 1711 წელს დაბეჭდილს პირველ ქართულ სახელმძღვანელოს, სათაურით: „სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა“.

თა და სახელმძღვანელოების თარგმანით დაინტერესებული, ცხადია, მოწყვეტილი არ იქნებოდა საზოგადოების საქმიანობას, პირიქით, მას საზოგადოების მთავარ წევრებთან შეხვედრის ყველა პირობა ჰქონდა. ვფიქრობთ დარეჯანი კურსში იქნებოდა Зерцало-ს შედგენის დავალების შესახებ. ეცოდინებოდა რა Зерцало-ს შედგენის მიზანი, იქნებ ერთ-ერთ შემდგენელთაგანს, თუ არა თვით თ. პროკოპოვიჩს, გაუზიარა აზრი თავის მამის—არჩილ მეფის „საქართველოს ზნეობანი"-ს შესახებ და უშუალო თარგმანის გზით გადასცა გასაცნობად და, ადვილი შესაძლებელია, სარგებლობისათვისაც, ვინაიდან „საქართველოს ზნეობანი" პირდაპირ უპასუხებდა Зерцало-ს შედგენის ითხოვნილებას.

თუ ამ ჩვენს მოსაზრებას დამატებ-ბა სხვა სანდო წყაროები, მასალები, რის მიგნებაც ძიების შემდეგ შესაძლებლად მიგვაჩნია, მაშინ არჩილ მეფის „საქართველოს ზნეობანი" ჩაითვლება არა მარტო ქართული მხატვრული დიდაქტიკური ლიტერატურის სათავედ და ნიმუშად, არამედ მისი ლიტერატურული მნიშვნელობა უფრო გაიზრდება, თუკი „საქართველოს ზნეობანი" გამოყენებული ყოფილა რუსეთის მე-XVII საუკუნის ფეოდალურ-არისტოკრატიული ახალგაზრდობის აღზრდისა და ზნეობის წვრთნის თვალსაჩინო და საუკეთესო წიგნისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფია

★

ქართული კლასიკური ლიტერატურული მეტყველების მნიშვნელოვანი ძეგლი

(**ბასილი დიდი, ეფუსთაელ დღეთაელ, გიორგი მთაწმიდლის** თარგმანი. ტექსტი [illegible] და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო **მ. კახაძემ.** თბილისი, **1947.** „**მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის**“, ნაკვეთი (25) აკად. **ივ. ჯავახიშვილის** სახელობის ისტორიის ინსტიტუტი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია).

ეს მესამე ძეგლია გამოქვეყნებული იმ მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობიდან, რომელიც დაგვიტოვა ათონის სკოლის გამოჩენილმა წარმომადგენელმა გიორგი მთაწმიდელმა. დიდი ხანი არ არის, რაც ქართველმა მკითხველმა მიიღო ამ ავტორის ორიგინალური თხზულების („ცხორება იოვანესი და ეფთიმესი“) აკადემიური გამოცემა (შესრულებული ივ. ჯავახიშვილისა და ა. შანიძის მიერ). ამჟამად ხელთა გვაქვს გ. მთაწმიდლის ერთ-ერთი ნათარგმნი თხზულების პუბლიკაცია. იგი 25-ე ნომრად გამოდის სერიაში — „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, რომელიც დაარსებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტში და 1937 წლიდან დღემდის გამოქვეყნებულია მნიშვნელოვანი დოკუმენტები და გამოკვლევები საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან (სერიის რედაქტორი — აკად. ს. ჯანაშია).

გიორგი მთაწმიდელი ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა, როგორც ქართული კლასიკური სალიტერატურო ენის საუკეთესო ტრადიციების წარმომადგენელი, უბადლო სტილისტი და კანონმდებელი ლიტერატურული ენის ნორმალიზაციისა. მკვლევრები ერთხმად აღიარებენ გ. მთაწმიდლის უდიდეს დამსახურებას ჩვენი სამწერლობო ენის განვითარების ისტორიაში. ასე, მაგალითად, პავლე ინგოროყვა შემდეგნაირად ახასიათებს ჩვენი დიდი სტილისტის ღვაწლს: „გიორგი მთაწმიდლის ნაწარმოები შესრულებულია მონუმენტალური სტილით. პროზა გიორგი მთაწმიდლისა — ეს არის ერთი საუკეთესო ნიმუშთაგანი დოკუმენტალური პროზისა ძველ ქართულ მწერლობაში. გიორგი მთაწმიდლის პროზა აღბეჭდილია დიადი უბრალოებით, სქემიანი იერით, სიზუსტით და მკვეთრი ჭედით. იგი არ აშვნევს ორნამენტალურ სამკაულს, სტილი იმდენად ნათელია, რომ ჩვენ თითქოს გვესმის თვით მწერლის ბუნებრივი ხმა“ („ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა“, „მნათობი“, № 12, გვ. 234). ამ უკანასკნელ ხანებში ა. შანიძის ძიებებით ნათელი ხდება, რომ გ. მთაწმიდლის ენა მაჩვენებელია ძველ სალიტერატურო ენაში მნიშვნელოვანი გარდატეხისა: ქართულ ლიტერატურულ ენაში, ა. შანიძის დასკვნით, დაწყებულია შემობრუნება ძველი ქართულიდან ახალ ქართულისაკენ. ვ. მთაწმიდელი, აღზრდილი კლასიკური ქართულის ძეგლებზე, „ცდილობს ძველი სალიტერატურო ქართულის უკანასკნელი პერიოდის (IX — X სს.) ნორმების მიხედვით წეროს, მაგრამ ვერ აბერხებს თავი დააღწიოს ცოცხალი ენის ძლიერ გავლენას. ეს გავლენა თავს იჩენს ყველგან: ფონეტიკურ საკითხებში, სახელთა ბრუნებასა და ზმნის უღლებაში, სინტაქსურ მოვლენებსა და სიტყვების შერჩევაში; ერთი სიტყვით, ძეგლიდან ჩანს, რომ ქართული სალიტერატურო ენა შემდგარია ახალ გზაზე, მაგრამ ის ჯერ კიდევ თავისუფალია ელინოფილური მიმართულებისაგან, რომელმაც შემდეგში მიმღეობიანი გამონათქმები და მიუმართავი ფორმების ძიება შემოიტანა“ (ა. შანიძე, „გიორგი მთაწმიდლის ენა იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების მიხედვით“, გვ. 81 — 82. 1946 წ.).

„ექუსთა დღეთაჲ“ ბიზანტიელი მწერლის — ბასილის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ერთერთი საუკეთესო ნაწარმოებია. ბასილი ფართოდ განათლებული ადამიანია თავისი დროისათვის, მას უწერია ასკეტიკური, დოგმატიკური, ეგზეგეტიკური, პოლემიკური, დიდაქტიკური, ჰომილიტიკური, ეპისტოლარული და დიტურგიული თხზულებანი, ბასილის აზროვნებისათვის ფრიად დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ იგი არ იფარგლებოდა ბიბლიური წიგნების შესწავლით და ეწაფებოდა წარმართულ მწერლობასაც. ეს ფართო დიაპაზონი ბასილის ინტერესებისა ხაზგასასმელია.

ეტყობა, „ექუსთა დღეთაჲ“ არ ყოფილა ნათარგმნი გიორგი მთაწმიდლამდე. მაგრამ ეს ვარაუდი მთლად უეჭველი არ არის. საქმე ისაა, რომ მთარგმნელი ანდერძში შემდეგს აცხობს: „და თარგმანი თუ არა, ჩუენგან აძისი ჭკრობაჲცა შეუძლებელი იყო, არა თუ თარგმნაჲ. და თუ რაჲზომნი ღუაწლნი გვნახვან აძისსა თარგმნასა, იგი ღმერთმან იცის! რაძეთუ აღურაცხელად ღრმაჲ არს და შეუკადრებელი! და ღმერთმან იგი პირველნიცა თარგმანნი აკურთხენ, დიდად ხელი აღძიპყრნეს“.

კორნ. კეკელიძემ, ამ სიტყვებზე დაყრდნობით, გამოსთქვა ეჭვი, რომ მანამდე შესაძლებელია არსებულიყო ამ ძეგლის თარგმანი ქართულ ენაზე. სარეცენზიო წიგნის რედაქტორი — მიხ. კახაძე ფიქრობს, რომ ეს ვარაუდი სიმართლეს არ უნდა შეეფერებოდეს, ხოლო ანდერძის ბოლო სიტყვები უნდა გულისხმობდეს ამავე თემაზე დაწერილ „თარგმანებს“ ბერძნულ ენაზე, როგორიცაა, მაგალითად, იოანე ოქროპირის „ექუსთა დღეთაჲ“ და სხვაც მრავალი.

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ეს ძეგლი ერთერთი წყაროთაგანია სულხანსაბა ორბელიანის ქართული ლექსიკონისათვის. მ. კახაძის მიკვლევით დიდ ქართველ ლექსიკოგრაფს ამ ძეგლიდან 20 სიტყვა შეუტანია, აქედან 16 სიტყვა საბას განმარტებული აქვს ძეგლის მიხედვით, 4 სიტყვა კი განუმარტებლად დაეტოვებია და „ექუსთა დღეთაჲს“ კონტექსტით დაკმაყოფილებულა. რედაქტორის მიერ მოცემულ სიას ამ ძეგლზე მითითებულ სიტყვებისას მე დაეუმატებდი ერთ სიტყვას: ვიგრი. საბა იმოწმებს ბასილის: „წმინდა ბასილი სწერს: „ლომი, ვიგრი და ვეფხი“. სხვათაშორის, ბერძნული დედნის მიხედვით დაზუსტდა ორთოგრაფია საბასა და ჩუბინაშვილის ლექსიკონებში მოცემული რამდენიმე სიტყვისა.

სარეცენზიო ძეგლის გამომცემელს — მიხ. კახაძეს, როგორც ბერძნული და ძველი ქართული ენების საფუძვლიან მცოდნეს, დიდი მუშაობა ჩაუტარებია იმისათვის, რომ გამოცემის ძეგლის ეს თარგმანი არსებითად უნაკლოდ გამოეცა. თამამად შეიძლება ითქვას, გამოცემა სანიმუშოა, რედაქტორს გულდასმით შეუსწავლია არსებული ხელნაწერები და ნაყოფიერი ფილოლოგიური მუშაობის შედეგად დაუდგენია ტექსტი, შეუდარებია ბერძნულ დედანთან, გაურკვევია სხვაობანი, დაუხასიათებია ქართული თარგმნის შინაარსობრივი თავისებურებანი და ძეგლის ენობრივი მხარე. გამოცემას ერთვის ვრცელი ლექსიკონი, რომელიც შედგენილია გულდასმით და საქმის ცოდნით.

გ. მთაწმიდლის თარგმანი შესრულებულია დიდი ოსტატობით. როგორც რედაქტორი აღნიშნავს, გ. მთაწმიდლის ნამუშევარი არ ჰგავს თარგმანს. იგი ორიგინალური თხზულების შთაბეჭდილებას სტოვებს. მთარგმნელი არ ემონება ორიგინალს, დახვეწილი სტილი და თხრობის ბუნებრივობა ამ ძეგლს ქართული კლასიკური მეტყველების პირველხარისხოვან დოკუმენტად აქცევს. გიორგი მთაწმიდელი პირდაპირ ამბობს: „ჩვენ რომელი ჯერ იყო, ჩაგვირთავს და რომელი ჯერ იყო, დაგვიკლია,— ვითა ჩუენსა ენასა მოვიდოდა და წესი საქმისა ეძიებდაო“.

რედაქტორს დაწვრილებით აღუნუსხავს ის ტექსტუალური ცვლილებანი, რომლებიც გ. მთაწმიდელს შეუტანია თავის თარგმანში. ბევრი ხიბუშია მოყვანილი იმისა, თუ როგორ სცვლის დედანს მთარგმნელი, აკლებს ან უმატებს. უმთავრესად ეს ცვლილებები ენის მოთხოვნილებებითაა გამართლებული. ასე, მაგალ., თარგმანში ვკითხულობთ: „დაღაცათუ მოძრავად იწოდებიან ძალისათჳს ზრდისა და აღორძინებისა მათისა“. დედნის მიხედვით, უნდა იყოს: ცოცხლად; თარგმანშია: „ებრძანა წყალთა შეკრებად და რბის ბუნებაჲ წყალთაჲ“. აქ ბერძნული წინადადების კონსტრუქცია შეცვლილია. შეუცვლელად იქნებოდა: „შეკერბედ წყალნი! ებრძანა რბენაჲ წყალთა ბუნებასა“. როგორც ჩანს, გ. მთაწმიდელი აქ ბერძნულ პირდაპირ მეტყველებას ქართულად ირიბი მეტყველების კონსტრუქციით გადმოსცემს. თარგმანშია: „და ეითარცა ჩურჩხელნი დამოეკიდებიან ერთი-ერთსა“. ბერძნულში შესატყვის ადგილს არის: ძწკრივ, რიგი ჯაჭვი, გროვა. აშკარაა, მთარგმნელი მიმართავს მეტაფორას და მოხდენილად გამოიყენებს ჩურჩხელ— სიტყვას. საინტერესოა კიდევ ერთი დეტალი.

თარგმანში ვკითხულობთ: „... გარე-შეიცავს ჭალაკსა მას ვრეტანიისასა და ქართველთა მათ დასავლისათა“. დედანში, რა თქმა უნდა, არ არის ქართველთა, არამედ არის იბერთა. ბასილი აქ გულისხმობს ესპანეთის იბერებს და არა საქართველოს. მაგრამ გ. მთაწმიდელი შეგნებულად სცვლის ტექსტს: მან იცის, რომ არსებობს მოსაზრება ესპანეთის იბერთა და კავკასიის იბერთა (ე. ი. ქართველთა) ნათესაობაზე. ბუნებრივია, ამ კონტექსტში გაგვახსენდება ერთი ადგილი იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრებიდან: „შემდგომად თორნიკის მიცვალებისა განიზრახა ნეტარმან მამამან ჩუენმან იოვანე, რაჲთა აღიღოს ძე თჳსი და რავდენნიმე მოწაფენი და ივლტოდეს სპანიად... რამეთუ ასძიოდა, ვითარმედ ქართველნი არა ძცირედნი ნათესავნი და ერნი მკჳდრ არიან მუნ“. ეს არის გვიანი გამოხმაურება იმ მოსაზრებებისა, რომლებიც გაძოითქვა ძველ საუკუნეებში ბერძენ-რომაელ ავტორთა მიერ ესპანეთის იბერიელებისა და რვენი იბერიელების ნათესაობაზე (დაწვრილებით იხ. ჩემი „საქართველო და ესპანეთის იბერია“, ჟურნ. „მნათობი“, № 3, 1937).

მიხ. კახაძე თავის გამოკვლევაში მნიშვნელოვან ადგილს უთმობს ძეგლის ენათმეცნიერულ ანალიზს. მას დახასიათებული აქვს ძეგლის ზოგიერთი ენობრივი თავისებურება, და აქაც მკვლევარი საყურადღებო დასკვნებს იძლევა. რედაქტორს ცალცალკე აქვს აღნუსხული ფონეტიკური, მორფოლოგიური და ლექსიკური თავისებურებანი. მორფოლოგიიდან ყურადღებას იპყრობს გასამკეცებული მრავლობითობის დადასტურება, ზოგიერთი სიახლე სიტყვათწარმოებაში, თანდებულების გამოყენებაში და სხვ. ერთობ საყურადღებოა დაკვირვებანი სტილის სფეროდან. გამოვლენილია მრავალი სინონიმი, დადასტურებულია ორიოდე შემთხვევა ბერძენიზმებისა, ფაქიზი ანალიზის გზით ნაჩვენებია თარგმანის დიდი ღირსებები სტილისტურის თვალსაზრისით. ძაგალ., თარგმანში ვკითხულობთ: „ათორმეტთა მათ თჳთოეულსა ნაწილსა ოცდა-ათ ნაწილად განჰყოფენ და თჳთოეულსა ნაწილსა ოცდა-ათთა მათგანსა სამეოცად განჰკუეთენ, და კუალად, სამეოცთა მათ თჳთოეულსა სამეოც-სამეოცეულად განსწვალებენ“. ხაზგასმული სიტყვების ადგილას დედანში ერთიდაიმავე მასალის სიტყვებია, — გ. მთაწმიდელი კი სამ სინონიმს იძლევა, რათა მკითხველს ააცილოს ტავტოლოგია, რომელიც ყურს ეხამუშება. ამგვარი ძაგალითები არა ერთი და ორია. ეს სხვაობანი დაკვირვებულ მკვლევარს არ გამოპარვია და სათანადო სისრულით კიდევაც აღუნუსხავს.

მ. კახაძის გამოკვლევა და [illegible] ზოგიერთ კერძოობითი ხასიათის შენიშვნას.

1. რედაქტორი დიფერენცირებულად წარმოგვიდგენს იმ ცვლილებებს, რომლებიც შეუტანია გიორგი მთაწმიდელს თარგმანში. ძაგალ., ცალკეა გამოყოფილი თავი: „მთარგმნელი სცვლის დედნის მონაცემებს“ და ცალკე —„თავისუფალი თარგმანის მაგალითები“. ბუნებრივია, ამ ორი თავის შესაბამისად დიფერენცირებული მასალა უნდა იყოს წარმოდგენილი. ნამდვილად, ყველა მაგალითის ძიძართ ეს არ ითქმის. აი ზოგიერთი ნიმუში. დედნის შეცვლის მაგალითებად დასახელებულია შემდეგი ფაქტები. დედანში მოცემულია ყანჩა, თარგმანშია გედი,—დედანშია მოგვიწოდებს, თარგმანში — ითხოვს“ და მისთ. თავისუფალი თარგმანის მაგალითებში ურევია ისეთი ნიმუშები, როგორიცაა: ცოცხლად-ის ნაცვლად მოძრავად,—ბოლოს, დასასრულის ნაცვლად ყოფადი, — შინაგანის ნაცვლად ნაწლევი და მისთ. ეს ცვლილებანი ერთი რიგისაა.

2. ფონეტიკურ თავისებურებათა მიმოხილვაში რედაქტორი ბგერითი მონაცვლეობის ნიმუშად ასახელებს ჲ||ი-ს: საიდუმლოდ აჲდონი, თებაჲდა (გვ. 046). ამ მოვლენას სუბსტიტუციურ პროცესებად ვერ ჩავთვლით: ი დაზუსტებულია ხმოვანთან შეზობლობაში; შესაძლოა აქ ,ჲ-ს არსებობა გრაფიკულ ნიადაგზედაც აიხსნას („ბგერით მონაცვლეობა“ სრულიად გარკვეული ცნებაა და იგი გამორიცხავს პოზიციურ ნიადაგზე აღძოცენებულ ცვლილებებს).

3. დასახელებულია ტმესის მაგალითები. მაგალითების უმრავლესობა რაჲ-კავშირიან ფორმებს შეეხება. კითხვა ისმის: განა ამ ტიპის მოვლენები სპეციფიკურია ამ ძეგლისათვის, ანდა ყოველ შემთხვევაში, რაჲ-კავშირის პრევერბსა და ზმნის ფუძის შორის მოთავსება ჩვეულებრივი არ არის სხვა ძეგლებისათვის? მაშასადამე, მათზე ყურადღებით შეჩერება არ ღირდა ისეთ მიმოხილვაში, რომელიც მოწოდებულია აღნუსხოს არა საყოველთაოდ გავრცელებული ენობრივი მონაცემები, არამედ მოცემული ძეგლისათვის დამახასიათებელი მოვლენები, ანდა სალიტერატურო ენის სპორადული ნიშნები.

4. რედაქტორი წარმოგვიდგენს ებრ-მებრ თანდებულის პარალელურად ხმარებას (049).

ჯერ მას მოცემული აქვს „საკითხის ისტორია". მოყვანილია ციტატები სხვადასხვა გრამატიკიდან და ამგვარად წარმოდგენილია სხვადასხვა გაგება ამ თანდებულის ფუნქციისა. შემდეგ დამოწმებულია უხვი მაგალითები **ებრმებრ**-ის გამოყენებისა მთაწმიდლის თარგმანში. საქმე ისაა, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ეს საკითხი (resp. თანდებულები) ვრცლად დამუშავდა (იგულისხმება ა. მარტიროსოვის ნაშრომი. იხ. „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება", I, 1946), სადაც გამოვლენილია **ებრმებრ**-ის პარალელური ხმარება საკმაოდ ვრცელი მასალის საფუძველზე და, ამავე დროს, გათვალისწინებულია ყველა ავტორის გაგებაც შრომის ისტორიულ ნაწილში. ამის შემდეგ ამხ. მ. კახაძის შენიშვნები ახალს არაფერს შეიცავს, და არც საჭირო იყო რამდენიმე გვერდის მანძილზე ამ საკითხის ფართოდ წარმოდგენა, — მით უმეტეს, რომ ჩვენი ძეგლი ამ ძხრივ თავისებურებას არ წარმოგვიდგენს.

5. მორფოლოგიის ნაწილში, სადაც მკვლევარი გასამკეცებულ მრავლობითს ეხება (047), აღნიშნულია: „სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს სახელთა მრავლობითის ორმაგი წარმოების როგორც სადაო მაგალითები (ძმა-ნ-ები, და-ნ-ები, კალან-დად-ნ-ები, შარა-შიძ-ნ-ები და სხვა **ძ**ე-ზე დაბოლოებული გვარები), ისე უდაო ნიმუშებიც (ამხანაგ-ებ-თა, შვილ-ებ-თა... ქვ-ებ-თა)..." პირველი რიგის ფაქტების კვალიფიკაცია ამჟამად სადაოდ არ შეიძლება მივიჩნიოთ. აქ საქმე გვაქვს ბოლოკიდური ფუძისეული **ნ**-ს აღდგენასთან მრავლობით რიცხვში (მარი, ჩიგობავა).

6. მასდარში — **დ ა-მ-ჭ ი რ ვ ა** რედაქტორი ხედავს მასდარის თავისებურ, ახალ ნაწარმოებს. „ენას მოთხოვნილება გასჩენია მასდარის გააქტივებისა და საამისოდ **მ** პრეფიქსი გამოუყენებიაო", შენიშნავს ამხ. მ. კახაძე (048). მე ვფიქრობ, მისაღებია ა. შანიძის გონებაძახვილური კვალიფიკაცია **დ ა მ ჭ ი რ ვ ა** ფორმისა: ეგ სიტყვა წარმოშობილი ჩანს **მ უ ჭ**-სიტყვიდან (რაც სემასიურადაც დაბრკოლებას არ ეღობება): **დ ა - მ უ ჭ - ე რ - ა** (ე. ი. **მ უ ჭ**-ში ქონა. შემდეგ **უ** ამოვარდა და მივიღეთ **დ ა მ ჭ ე რ ა**, აქედან **დ ა ჭ ე რ ა**). (იხ. ა. შანიძე, გიორგი მთაწმიდლის ენა, გვ. 8).

7. რედაქტორი ვარაუდობს, რომ ძეგლში არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ერთი ბერძნული სიტყვა გადმოცემულია სამი ქართული შესატყვისით. ამ მოვლენისათვის მას შემოაქვს ტერმინი — ჰენდიატრიონი" (hendiadys-ის ანალოგიით). ამ საკითხს მიეძღვნება ძე-3 ქვე-თავი იმ ვრცელ თავში, რომელსაც სათაურად აქვს **ს ტ ი ლ ი** (III თავი. გვ. 052—056). უნდა ვიფიქროთ, რომ ახალი ცნების დადგენა დაფუძნებული იქნებოდა საკმაო როდენობის მასალაზე. ნამდვილად ეს ტერმინი განკარგულებაშია სამად-სამი ნიმუში ჰენდიატრიონისა მთელს ძეგლში. ესენია: 1) **უ ყ ე ნ ი** და **ფ ლ ი ს კ ი ნ ა ნ ი** და **მ წ ყ უ რ ნ ე ბ ი**, 2) **უ მ ე ტ ე ს**, **ნ ა მ ე ტ ნ ა ვ** და **ა მ ა ო**, 3) **ა ვ ა ზ ა**, **ვ ე ფ ხ ი** და **ვ ი გ რ ი**. საქმე ისაა, რომ დამოწმებული მაგალითებიც საეჭვო ხასიათისაა. თუ კონტექსტს მივმართავთ, აღმოჩნდება: „მოკლე არს და შთასუმულ მხართა შინა ყელი დათუსაჲ, და ლომისა და ვიგრისა და ვეფხისა და ავაზისაჲ და ყოველთავე მსგავსთა ჯათთაჲ" (110, 13). ამ ფრაზიდან გამოკვლევაში მაგალითი ასეა გამოტანილი: „ავაზა, ფეხი და ვიგრი". ნამდვილად კი, **ვ ი გ რ**-სიტყვას, როგორც ამ კონტექსტიდან ჩანს, წინა პოზიცია უკავია ვეფხ-ავაზასთან. ძეგლში ასეთი თანმიმდევრობაა: **ვ ი გ რ ი**, **ვ ე ფ ხ ი**, **ა ვ ა ზ ა**, რედაქტორი კი შებრუნებულად გვაწვდის: **ა ვ ა ზ ა**, **ვ ე ფ ხ ი**, **ვ ი გ რ ი**. სიზუსტის დაცვას კი ამ შემთხვევაში შეიძლება არსებითი მნიშვნელობა აქვს. **ვ ი გ რ**-სიტყვის მნიშვნელობა რედაქტორს დადგენილი არა აქვს, და ვინ იცის, ეგების ის **ლ ო მ ს** უკავშირდება (შდრ. ტექსტში თანმიმდევრობა „...ლომისა და ვიგრისა და ვეფხისა და ავაზისაჲ..."). და თუნდაც ეგ სიტყვა ვეფხ-ავაზის სინონიმი აღმოჩნდეს (შეიძლება ის **ტ ი გ რ**-სიტყვის გადაკეთებული ფორმაა), ძაინც სავალდებულოა კონტექსტში წარმოდგენილი თანმიმდევრობის დაცვა. ჰენდიატრიონის სხვა მაგალითად რედაქტორს დასახელებული აქვს **უ ყ ე ნ ი**, **ფ ლ ი ს კ ი ნ ა ნ ი** და **მ წ ყ უ რ ნ ე ბ ი**. არც ამ ნიმუშს ახლავს საჭირო განმარტებები. ლექსიკონში ეს სამეული ერთადაა წარმოდგენილი და მნიშვნელობა ნაჩვენები არაა (ლექსიკონში არის **მ წ ყ რ ნ ე ბ ი**, უხდა იყოს **მ წ ყ უ რ ნ ე ბ ი**). ამ სიტყვათა ძნიშვნელობა ცნობილია. ცალკეა ლექსიკონში **უ ყ ე ა ნ ი** და აგრეთვე **უ ყ ე-მწყურნები**. ესენი ერთი და იგივე სიტყვებია. საჭირო იყო ძათი თავმოყრა... ამგვარად, ჰენდიატრიონის კატეგორიის გამოსაყოფად მასალა არ გაგვაჩნია, ხოლო ორიოდე ნიმუში, ავტორის მიერ დასახელებული, განმარტებებს მოითხოვდა.

8. გვ. 055 ჩამოთვლილია სინონიმები და ჰენდიადისები, რომლებიც ამოუკრეფია რედაქტორს ძეგლიდან. ჩვენის აზრით, ეს მასალა მოითხოვდა არა სიის სახით დალაგებას, არამედ ცალკეულად კომენტირებას და დასაბუთებას — სათანადო კონტექსტების ჩვენებით. სასურველი იყო გვეჩვენებინა პარალელები სხვა ძეგლებიდანაც. ასე, მაგალ., **ხ ა ტ ი** და **ს ა ხ ე** გარდა ამ ძეგლისა ხშირად გვხვდება იოანე

პეტრიწისთან: „რამეთუ ყოველთა მბადისა ბბადნი უფრო ხატ და სახე“ (II, 122, 31; მდრ ს. ყაუხჩიშვილი, იოანე პეტრიწის ეხა, (XVII) ნიში და სასწაული ხშირია სხვა ძეგლებშიც. იხ. ხანძთელის ცხოვრება: „და აღასრულებდა ნიშთა და სასწაულთა“ (XIV); იხ. გ. კაპადუკელის ბრძოლა ვეშაპთან: „...რათა აჩუენოს სასწაულები და ნიშები წმინდისა მოწამისა გიორგის მიერ“. ამასთანავე საჭირო იყო ყურადღების მიქცევა იმ გარემოებისათვის, რომ ნიში და სასწაული სინონიმური პარალელიზმის რიგისაა: ნიში ირანულია და მას მარტავს ქართული ეკვივალენტი სინონიმურ წყვილში. სინონიმებადაა დასახელებული მრგუალი და წერტილსა ზედა მოვლებული. მაგრამ „წერტილსა ზედა მოვლებული“ არ შეიძლება ტერმინად ჩაითვალოს. სინონიმებადვეა მიჩნეული უკუნი ღამე, რაც არაა გასაზიარებელი. გვ. VIII რედაქტორი აღნიშნავს: „ექუსთა დღეთამ შემატა სპეციალურ ლიტერატურას 79 ნამდვილი სინონიმი“. საინტერესო იყო მიგვეთითებინა—რომელია ეს ნამდვილი სინონიმი? გვ. 055 მოცემულ სიაში („სინონიმები და პენდიადისები“) გაცილებით მეტია სინონიმური წყვილები, ამათში რომელს მივიჩნევთ „ნამდვილ სინონიმებად“?

9. ლექსიკონში (რომელიც საერთოდ ყურადღებითაა შედგენილი), ყველა სიტყვა თავის ადგილას არა ზის. ასეთებია: მოდრეკილი მორგუალი დ წერტილსა ზედა მოვლებული, მრგუალ და შებერილ, მრავლის-მეტყველება, სადაგველი, საებგურო, სანოვაგე, სასყიდელი, საქმე, უქმი, უჩინო, უჩინოება, უჯერო, ფრთაპებ'ული.

ასეთია ჩვენი წვრილმანი შენიშვნები, რომლებიც ოდნავადაც არ ამცირებენ ამხ. მ. კახაძის საფუძვლიანსა და მრავალი ინტერესის აღმძვრელ ფილოლოგიურ ნაშრომს მთაწყიდლის ერთერთი ნათარგმნი თხზულების შესახებ, — თხზულებისა, რომელიც ბრწყინვალე ძეგლია ძველი ქართული მწერლობისა და სალიტერატურო ენისა.

ზოთა ძიძიგური

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

	33
ა. ჟდანოვი — საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ	3

იოსებ გრიშაშვილი — მოდის ქართული ავტომობილი, ლექსი	27
კონსტანტინე გამსახურდია — დავით აღმაშენებელი, რომანი, გაგრძელება	28
შალვა აფხაიძე — ჩანაწერები გზაში, ლექსები	59
ალეკო შენგელია — გორის დილა, ლექსი	67
სერგო კლდიაშვილი — დაბრუნება, მოთხრობა	68
იოსებ ნონეშვილი — ვახტანგ VI მოსკოვში, ლექსი	74
ჯურაბ ლორთქიფანიძე — სამი ლექსი	76
აკაკი გელიაშვილი — თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა, რომანი, გაგრძელება	78

ვიქტორ გოლცევი — სინათლე, ნარკვევი	97

გესარიონ ჟლენტი — რაედენ გვეტაძის მხატვრული პროზა, წერილი	108
გიორგი ტივაძე—სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური ვითარება XVI საუკუნეში, წერილი	122
ანა ღვინიაშვილი — არჩილ მეფის „საქართველოს ზნეობანისა“ და პეტრე I დროის „Юности честное зерцало“-ს ურთიერთობის საკითხისათვის, წერილი	164

შოთა ძიძიგური — ქართული კლასიკური ლიტერატურული მეტყველების მნიშვნელოვანი ძეგლი, ბიბლიოგრაფია	181

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პასუხისმგებელი რედაქტორი

ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

ალექსანდრა აბაშელი, ნიკოლოზ აბიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), იოსებ გრიშაშვილი, პავლე ინგოროყვა, სერგო კლდიაშვილი, ალიო მირცხულავა (მაშაშვილი), ბესარიონ ჟღენტი, გალაკტიონ ტაბიძე, სანდრო შანშიაშვილი, დემნა შენგელაია.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/XI-47 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა $11^3/_4$. УЭ 12798.
შეკვ. № 1645. ტირაჟი 5.300.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამომცემლობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.
რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქ. № 13. ტელეფ. № 3-04-64.

Тбилисский Филиал Библиотека